საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№40 (275)
5 - 11 ნოემბერი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

«თუ იცოდა, დამნაშავეა, თუ არ იცოდა — დოყლაპია» 8

# უპილოტო საფრენი ალასანია

4



ღარიბაშვილმა ალასანია მოხსნა და... პანდორას ყუთი გახსნა 2

მარკ ადომანისი:
თუკი ესტონეთში ყველაფერი კარგად არის, რატომ ტოვებენ ამ ქვეყანას ესტონელები? 3

ნოემბრის ვირთხები, ანუ «ნაც-რესპუბლიკური» ჯანყი და ევრომაიდანი-2 7

ელიზბარ ჯაველიძე: 9

## ეს ნორლანდი უკვე ყოველგვარ ზღვარს გადავიდა!

ბაკურ სვანიძე: 6

## ასე არხეინად თუ განაგრძო «ოცნებამ» ცხოვრება, ეჭვი არავის შეეპაროს, რომ მიშა დაბრუნდება



„დღევანდელი ხელისუფლება რომ ამბობს, ჩვენ ევროპული და განსაცვიფრებელი სახელმწიფო უნდა ავაშენოთო, ერთი რამ ავიწყდება — უზნეო საზოგადოებას არასოდეს აუშენებია კარგი სახელმწიფო. უზნეო ხალხი უზნეო სახელმწიფოს ააშენებს!“

იოსებ არჩვაძე:

## «სამთავრობო მომსახურებაზე, ხელისუფალთა ხარჯებზე, მთლიანი შიგა პროდუქტის 8,5% მოდის. ეს 2,7 მილიარდ ლარზე მეტია!» 11



«ხორცის 62%-ის იმპორტს ვახორციელებთ და გვიხარია, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერის შემდეგ 5 ათასი ტონა ხორცის უბაჟო გატანის საშუალება გვექლევა, არადა, ცალკეული წლების მონაცემებით, 77 ათასი ტონა ხორცი და ხორცპროდუქტები გაგვქონდა»

გომბორის ხიდი და დეპუტატ ხიდაშელის ფოჩიანი კანფეტები 12

«კანონმდებლობა, რომელიც დღეს გვაქვს, კატასტროფაა» 15

რატომ უერთდებიან «ისლამურ სახელმწიფოს» ევროპელი გოგონები 23

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოვლენები, რომლებიც 4 ნოემბერს განვითარდა, მოსალოდნელი იყო, რადგან „ნაცმოძრაობა“ და ის ძალები, რომლებსაც დასავლეთი უჭერს მხარს, დიდი ხანია, ემზადებიან ამჟამინდელი ხელისუფლების შესაცვლელად. ამას კი კიევური მაიდნის მსგავსი აქციებით — პროვოკაციებით, არეულობების მოწყობით, ანუ მართვადი ქაოსით აპირებენ. ამის დასტურია „ნაცმოძრაობის“ მიერ 15 ნოემბერს საპროტესტო აქციის დანიშვნა და სააკაშვილის ცუდად შენიღბული განცხადებები ხელისუფლებაში დაბრუნების შესახებ.**





# პროკურატურამ ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტზე თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე თანამშრომელს ბრალდება წაუყენა

**საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტზე თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე თანამშრომელს ბრალდება წარუდგინა. უწყების ინფორმაციით, შეიარაღებული ძალების რიგ სასადილოებში ანტისანიტარული მდგომარეობა იყო.**

„საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად გამოვლინდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოქმედი თანამდებობის პირები და სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფის განმახორციელებელი შპს „ქართული კვების კომპანიის“ მენეჯერები, რომელთა გულგრილობის შედეგად ადგილი ჰქონდა სამხედრო მოსამსახურეთა მასობრივ დაავადებას.

2013 წლის განმავლობაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარისო ნაწილებში აღირიცხა სამხედრო მოსამსახურეთა დაავადების 10 შემთხვევა. მთლიანობაში საკვები პროდუქტებით მოიწამლა 858 სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის 90 სამხედრო, მძიმე მდგომარეობის გამო, სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით და საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ: საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის კვებით მომსახურებას ახორციელებდა შპს „ქართული კვების კომპანია“, რომლის დამფუძნებელი არის თავდაცვის სამინისტრო.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი **მედეა ბეთაშვილი**, საქართველოს შეიარაღებული ძალების მესამე ქვეითი ბრიგადის მთავარი ექიმი **მიხეილ ბესტაევი**, მეოთხე ქვეითი ბრიგადის სამედიცინო სამსახურის უფროსი **ოთარ ჯეჯეია**, მესამე ქვეითი ბრიგადის სასადილოს მენეჯერი **აკაკი გიორგაძე,** მეოთხე ქვეითი ბრიგადის სასადილოს მენეჯერი **ლაშა გელოვანი** და მეათე კადრირებული ბრიგადის სასადილოს მენეჯერი **თორნიკე ხუბუა** აღნიშნულ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში გულგრილად ეკიდებოდნენ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას და მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო არ უზრუნველყოფდნენ დასახელებულ სასადილოებში სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელებას.

ამის შედეგად, **სამხედრო მოსამსახურეებს სასადილოდან მიეწოდებოდათ მოხმარებისთვის უვარგისი, ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიებით, ეშერიხია კოლით და აურეუსით დაბინძურებული საკვები პროდუქტი, რასაც მოჰყვა სამხედრო მოსამსახურეების მასობრივად დაავადება.**

სანიტარულ-ჰიგიენური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სასადილოდან გარეცხილი და გამოსაყენებლად გამზადებული ინვენტარიდან, ასევე მომსახურე პერსონალის ხელებიდან აღებული ნაცხების მიკრობიოლოგიური გამოკვლევებით დადგინდა, რომ აღნიშნულ სასადილოში და სასადილოს საცავებში არ იყო დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური, პერსონალის პირადი ჰიგიენის ნორმები, 9 შემთხვევაში ამოითესა ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები და 5 შემთხვევაში — აურეუსი.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა გამოიწვია დასახელებული სამხედრო ნაწილების ნორმალურად ფუნქციონირების შეფერხება, რითაც არსებითად დაირღვა სამხედრო მოსამსახურეებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ჩადენილი ამ დანაშაულებრივი ქმედებისთვის საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გამოტანილია ბრალდების შესახებ დადგენილებები და ბრალი წარედგინებათ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის უფროს მედეა ბეთაშვილს, საქართველოს შეიარაღებული ძალების მესამე ქვეითი ბრიგადის მთავარ ექიმ მიხეილ ბესტაევს, მეოთხე ქვეითი ბრიგადის სამედიცინო სამსახურის უფროს ოთარ ჯეჯეიას და შპს „ქართული კვების კომპანიის“ მენეჯერებს: აკაკი გიორგაძეს, ლაშა გელოვანსა და თორნიკე ხუბუას.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2201-ე მუხლის პირველი ნაწილით და 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით“, — განაცხადეს პროკურატურის წარმომადგენლებმა.

# ღარიბაშვილმა ალასანია მოხსნა და... პანდორას ყუთი გახსნა

**საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია პოსტიდან დაითხოვა. ამის შესახებ პრემიერმა 4 ნოემბერს „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.**



„მინისტრი, რომელიც ვერ ახერხებს 2 წლის განმავლობაში ჯარისკაცების კვების მოწესრიგებას, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება ეფექტიან მინისტრად და მხოლოდ ამის გამოც მე მას აუცილებლად გავათავისუფლებდი დაკავებული თანამდებობიდან. მინისტრი, რომელიც, სავარაუდოდ, საკუთარ მეგობრებს აძლევს შესყიდვებსა და ტენდერებს, რა თქმა უნდა, ასევე ვერ დარჩებოდა მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაცია არ ნიშნავს, რომ თავდაცის სამინისტროში მოხდეს, სავარაუდოდ, 4 მილიონი ლარის გაფლანგვა. ეს თანხა ჩვენს ჯარისკაცებს აკლდებათ“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერის ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ჯერ პროკურატურის მიერ თავდაცვის სამინისტროს 6 თანამშრომლისთვის ბრალდების წაყენება ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტზე, შემდეგ კი — თავდაცვის მინისტრის განცხადება. ირაკლი ალასანიამ პროკურატურის ბოლოდროინდელი ქმედებების პოლიტიკურ სარჩულსა და ქვეყნის ევროატლანტიკური მიმართულების წინააღმდეგ მიზანმიმართულ ქმედებაზე ისაუბრა და პროკურატურის ქმედებებს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ მიზანმიმართული შეტევა უწოდა.

„მინდა, მივმართო საზოგადოებას ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე, თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებით პროკურატურის ნაბიჯებზე, რომელიც დღესაც გაგრძელდა. რამდენიმე ჩვენს თანამშრომელს წაუყენეს ბრალი. აშკარად შეინიშნება პოლიტიკური სარჩული. მაშინ, როდესაც თავდაცვის მინისტრი წასული იყო კოლეგა მინისტრებთან შეხვედრაზე და ხელი ეწერებოდა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას, როდესაც კაპანაძე იმყოფება ამერიკელ კოლეგასთან შეხვედრაზე ვაშინგტონში, გრძელდება დაკავებები და დააკავეს სამედიცინო სამსახურის ხელმძღვანელი. ჩვენ არ გვითქვამს, რომ გამოძიებას ვინმე წინ უნდა დაუდგეს, გვქონდა ეჭვი, თუ რა საფუძველი იყო იმის, რომ ეს ადამიანები იყვნენ ციხეში, ესენი არსად არ გარბოდნენ და მაღალი თანამდებობის პირები ჩაუდგნენ თავდებში“, — განაცხადა ალასანიამ. თავდაცვის აწ უკვე ყოფილ მინისტრს გამოეხმაურა მთავარი პროკურის პირველი მოადგილე ირაკლი შოთაძე, რომელმაც ალასანიას განცხადებას უვიცობა უწოდა. ეს ყველაფერი კი პრემიერის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით დასრულდა.

მოვლენები, რომლებიც 4 ნოემბერს განვითარდა, მოსალოდნელი იყო, რადგან „ნაცმოძრაობა“ და ის ძალები, რომლებსაც დასავლეთი უჭერს მხარს, დიდი ხანია, ემზადებიან ამჟამინდელი ხელისუფლების შესაცვლელად. ამას კი კიევური მაიდნის მსგავსი აქციებით — პროვოკაციებით, არეულობების მოწყობით, ანუ მართვადი ქაოსით აპირებენ. ამის დასტურია „ნაცმოძრაობის“ მიერ 15 ნოემბერს საპროტესტო აქცის დანიშვნა და სააკაშვილის ცუდად შენიღბული განცხადებები ხელისუფლებაში დაბრუნების შესახებ.

განხეთქილება, რომელიც ირაკლი ალასანიასა და „ქართული ოცნების“ პირველ პირებს შორის წარმოიშვა, 2012 წლიდან იღებს სათავეს.

## ის ძალები, რომლებმაც პირსისხლიან სააკაშვილს დემოკრატიის შუქურა უწოდეს, საქართველოში დემოკრატიის პრინციპების შელახვაზე ნართაულ მინიშნებებს აღარ დასჯერდებიან და ყველა ღონეს იხმარენ «ნაციონალური მოძრაობის» მხარდასაჭერად და «ქართული ოცნების» ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებლად

ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნებამდე ბევრი ამბობდა, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ პარტია „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატების“ ადგილი არ იყო, რადგან მისი თავმჯდომარე ირაკლი ალასანია — სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში უშიშროების მინისტრის მოადგილე (2004), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე (2004-2006) და გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი (2006-2008) — მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის, იმ პოლიტიკურ წრეებთან, რომლებმაც თავის დროზე სააკაშვილი მოიყვანეს ხელისუფლების სათავეში, ახლა კი „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის უამრავ დანაშაულში ეჭვმიტანილ ლიდერს კბილებით იცავენ.

ეს, რა თქმა უნდა, იცოდა ბიძინა ივანიშვილმა, მაგრამ ამ საკითხზე არავის თვალსაზრისი არ გაითვალიწინა და ე. წ. პროდასავლური ორიენტაციის რესპუბლიკელები, ირაკლი ალასანიას გუნდი, აგრეთვე, ქსოვის მოყვარული ფილოსოფოსი გიორგი მარგველაშვილი, რომლებსაც თითქმის ნულოვანი რეიტინგი ჰქონდათ და ბიძინა ივანიშვილი რომ არა, საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავდნენ, ხელისუფლებაში მოიყვანა. შედეგად კი უმწვავესი დაპირისპირება მიიღო პრემიერსა და საქართველოს ხელისუფლებაში მყოფ იმ პირებს შორის, რომლებსაც მხარს დასავლეთი უჭერს (აქამდე — მხოლოდ განცხადებებით, ამიერიდან კი, ალბათ, ყველა ხერხითა და მეთოდით).

ირაკლი ალასანიას განცხადებებმა ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების საქართველოში განლაგების თაობაზე და სხვა ინიციატივებმა, რომლებიც მმართველ გუნდთან შეთანხმებული არ იყო, აგრეთვე, „ნაციონალური მოძრაობის“ გააქტიურებამ, როგორც ჩანს, დაანახვა პრემიერმინისტრს, რომელიც ამ ე. წ. პროდასავლურ ძალებთან ბრძოლაში ეულად გამოიყურება, რა საფრთხე ემუქრება საქართველოს...

**პრემიერმა მიიღო გადაწყვეტილება და გაკვეთა გორდიას კვანძი, თუმცა იმის გათვალიწინებით, რასაც დღეს საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ უამრავი დანაშაულის ჩამდენი სააააკაშვილი და მისი „ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებს, შესაძლოა, პანდორას ყუთს ახადა თავი. რადგან მან, თავდაცვის მინისტრის პოსტიდან ირაკლი ალასანიას გათავისუფლებით, აშშ-სა და მის მიერ მართულ ევროპულ ძალებს მკვეთრად მიანიშნა, რომ მარიონეტობას არ აპირებს და მათ ბრძანებებს უსიტყვოდ არ დაემორჩილება.** თუმცა ახლა **ის ძალები, რომლებმაც პირსისხლიან სააკაშვილს დემოკრატიის შუქურა უწოდეს, საქართველოში დემოკრატიის პრინციპების შელახვაზე ნართაულ მინიშნებებს აღარ დასჯერდებიან და ყველა ღონეს იხმარენ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდასაჭერად და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებლად**. მათ ამის კოლოსალური გამოცდილება აქვთ. მაგალითისთვის საქართველოში, უკრაინასა და არაბულ ქვეყნებში მოწყობილი ფერადი რევოლუციებიც კმარა.

საკითხავი ის არის — **გაუძლებს თუ არა საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება და სრულიად საქართველო მათ კიდევ ერთ შემოტევას...**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**P.S. პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრის პოსტზე კანდიდატად დაასახელა მინდია ჯანელიძე, რომელიც ამჟამად სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ხელმძღვანელობს.**



## მაიკლ ჯორდანმა ობამას უნიჭო და საზიზღარი გოლფისტი უწოდა

**სახელგანთქმულმა ამერიკელმა კალათბურთელმა მაიკლ ჯორდანმა, რომელიც აშშ-ის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონატებში „ჩიკაგოს" ღირსებას იცავდა და 6-ჯერ მოიპოვა NBA-ს ჩემპიონობა, პრეზიდენტი ბარაკ ობამა უდიერად მოიხსენია.** „ობამასთან გოლფი არასოდეს მითამაშია, მაგრამ უარს არ ვიტყოდი, თუმცა მას იოლად დავამარცხებ. ის უნიჭოა, მომიწევს მასთან მთელი დღის განმავლობაში ჯახირი. ნუ აღელდებით, მე ობამას მხოლოდ უნიჭო გოლფისტად ვთვლი", — განუცხადა მაიკლ ჯორდანმა ტელეარხ CBS Sports-ს.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შეშლილები ვაშინგტონიდან

CFP! czech free press

**ნორმალურ, კეთილგონიერ ადამიანს ვერ გაუგია, როგორ უნდა თქვა ისეთი ტყუილები და სისულელეები, როგორსაც, უკვე რამდენიმე თვეა, ამბობენ აშშ-ის წამყვანი პოლიტიკოსები. მათი რიტორიკა გაჟღენთილია რუსეთის საწინააღმდეგოდ წაქეზების პოლიტიკით. უფრო მეტიც — ეს რიტორიკა მცდარი და, ბოდიშს ვიხდი, სულელურია. ნორმალურ ადამიანს მსგავსი რამის წარმოსათქმელად ენა არ მოუბრუნდება, ამას მხოლოდ გიჟი თუ იტყვის.**

თვითონ განსაჯეთ.

პენტაგონის მეთაურმა ჩაკ ჰეიგელმა აშშ-ის არმიის ასოციაციის შეკრებაზე მშვიდად განაცხადა: **„ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს რევანშისტულ რუსეთთან, მის თანამედროვე და ბრძოლისუნარიან არმიასთან, რომელიც ნატოს ზღურბლზეა მომდგარი".** როდესაც ამ სხდომაზე მყოფ **ადმირალ კირბის** ჟურნალისტებმა ჰკითხეს, როგორ შეუძლია მას, ახსნას ჰეიგელის ნათქვამი და როგორ შეძლო რუსეთს ნატოსთან ასე მიახლოება, როცა პირიქით — თვითონ ალიანსი მიუახლოვდა რუსეთის საზღვრებს და თავის რიგებში ახალი წევრების მიღებით სულ უფრო ფართოვდება, კირბიმ განაცხადა: **„ნათელია, რომ ამ საკითხს პრეზიდენტი პუტინი ასე უყურებს, მაგრამ ჩვენ ამ საკითხს ასე არ ვუყურებთ".**





ამომწურავი პასუხია ხომ? ბოლო წერტილი კი დასვა ცნობილმა **ჯეინ ფსაკიმ** — აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, რომელიც ცოტა ხნის წინათ ბელარუსს — ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყანას — მის ნაპირებთან ამერიკის სამხედრო ფლოტილიის გაგზავნით დაემუქრა. ახლა კი ფსაკიმ განაცხადა, რომ სხვა ქვეყნები (რა თქმა უნდა, აშშ-ის მოკავშირეები) გრძნობენ საფრთხეს (რუსეთის მხრიდან).

არ გამინაწყენდეთ, მე არ მსურს ვინმე განვსაჯო. მწვავე საჯარო შეფასებებისგან, ჩვეულებრივ, თავს ვიკავებ ხოლმე, მაგრამ მხოლოდ წამქეზებელს, მატყუარას ან სრულიად გადარეულს შეუძლია მტკიცება იმისა, რომ რუსეთი, რომელიც, თითქოს მიუახლოვდა ნატოს საზღვრებს, იმიტომ წარმოადგენს საფრთხეს, რომ თავის ტერიტორიაზე ჰყავს თანამედროვე და ბრძოლისუნარიანი არმია, რომელსაც, აშშ-ის სამწუხაროდ, შეუძლია თავი დაიცვას ამერიკის ინტერვენციისგან. და ადამიანები, რომლებიც ამ რიტორიკას იღებენ, სამწუხაროდ, მათნაირები არიან ან, უბრალოდ, ინტელექტი არასაკმარისად აქვთ განვითარებული იმისათვის, რომ ზემოთ მოყვანილი მტკიცებულებების აბსურდულობა შეაფასონ.

**„მხოლოდ წამქეზებელს, მატყუარას ან სრულიად გადარეულს შეუძლია მტკიცება იმისა, რომ რუსეთი, რომელიც, თითქოს მიუახლოვდა ნატოს საზღვრებს, იმიტომ წარმოადგენს საფრთხეს, რომ თავის ტერიტორიაზე ჰყავს თანამედროვე და ბრძოლისუნარიანი არმია, რომელსაც, აშშ-ის სამწუხაროდ, შეუძლია, თავი დაიცვას ამერიკის ინტერვენციისგან. და ადამიანები, რომლებიც ამ რიტორიკას იღებენ, სამწუხაროდ, მათნაირები არიან ან, უბრალოდ, ინტელექტი არასაკმარისად აქვთ განვითარებული იმისათვის, რომ ზემოთ მოყვანილი მტკიცებულებების აბსურდულობა შეაფასონ"**

ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ აშშ-ს ჯერ კიდევ არ უთქვამს უარი თავის გიჟურ გეგმებზე, — რუსეთთან გააჩაღოს ლოკალური ომი უკრაინაში ან ბალტიისპირეთში, აგრეთვე, ჩამოუშვას რკინის ფარდა რუსეთსა და ევროპას შორის, რათა თვითონ სრულად დაეუფლოს ევროპის ბაზარს და თავიდან აიცილოს რუსეთის მხრიდან კონკურენცია.

**ლადისლავ კაშუკა**
**„Czech Free Press" (ჩეხეთი)**



## რონ პოლი: მე ტაშს ვუკრავ პუტინს!

**„დარწმუნებული ვარ, ნატოსა და პენტაგონის საშტაბო გენერლები სხედან და ანგარიშების ქაღალდებში იქექებიან იმისათვის, რომ გაიგონ, როგორ ააცალეს ცხვირწინ მთელი რეგიონი. იცით, მე ტაშს ვუკრავ პუტინს იმისათვის, რომ შეძლო, აემაღლებინა თავისი ქვეყნის პატრიოტული განწყობა. რუსები იწყებენ იმ თვითდაჯერებულობის დაბრუნებას, რომელიც მათ ადრე ჰქონდათ.**

**მე ვლაპარაკობ არა საბჭოთა კავშირზე, არამედ რუსეთის იმპერიაზე, სახელმწიფოზე, რომლისაც მსოფლიოს ეშინოდა. აი, ასეთი რუსეთი ბრუნდება!"**

აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის ყველაზე გავლენიანი წევრის, კონგრესმენ რონ პოლის (რონალდ ერნესტ პოლი) გამოსვლამ რუსეთისთვის სანქციების გაუქმების შესახებ ბომბის აფეთქების ეფექტი გამოიწვია. კოლეგებმა აშშ-ის პრეზიდენტის პოსტის ორგზის კანდიდატს რუსეთის ჯაშუში უწოდეს და სამსახურებრივი გამოძიებით დაემუქრნენ.

„ვფიქრობ, რუსებმა გამოიღვიძეს, — ასე დაიწყო თავისი სიტყვა რონ პოლმა, — არა მხოლოდ გაიღვიძეს, არამედ ჩამოიფერთხეს თავიანთი წარსული ისტორიის ფერფლი. დაივიწყეს მოღალატე პოლიტიკოსები, როგორებიც არიან გორბაჩოვი, ელცინი, სხვები და დაიწყეს ახალი ცხოვრება. იცით, ეს არის ახალი რუსული არმია, რომელიც ყირიმში ვიხილეთ. რუსები ერთიანობის ნიმუშს გვიჩვენებენ. ერთი ტყვიაც არ გაუსვრიათ, ისე მოახერხეს მთელი ნახევარკუნძულის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. როგორი ამბავია ეს?

დარწმუნებული ვარ, ნატოსა და პენტაგონის საშტაბო გენერლები სხედან და ანგარიშების ქაღალდებში იქექებიან იმისათვის, რომ გაიგონ, როგორ ააცალეს ცხვირწინ მთელი რეგიონი. იცით, მე ტაშს ვუკრავ პუტინს იმისათვის, რომ შეძლო, აემაღლებინა თავისი ქვეყნის პატრიოტული განწყობა. რუსები იწყებენ იმ თვითდაჯერებულობის დაბრუნებას, რომელიც მათ ადრე ჰქონდათ.

**მე ვლაპარაკობ არა საბჭოთა კავშირზე, არამედ რუსეთის იმპერიაზე, სახელმწიფოზე, რომლისაც მსოფლიოს ეშინოდა. აი, ასეთი რუსეთი ბრუნდება!"**

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის კონგრესის კედლებში ასეთი სიტყვები რუსეთზე არასოდეს უთქვამთ, არც გორბაჩოვისა და ელცინისთვის უწოდებიათ რუსი ხალხის მოღალატეები.

**„ექსპრეს გაზეტა"**



# თუკი ესტონეთში ყველაფერი კარგად არის, რატომ ტოვებენ ამ ქვეყანას ესტონელები?

**ცოტა ხნის წინათ „ნიუ იორკ თაიმსმა" გამოაქვეყნა მორიგი ოპტიმისტური ნარკვევი ესტონეთზე. ასეთი მასალები ისე ხშირად იბეჭდება ისეთ გამოცემებში, როგორებიც არის The Economist-ი, The Wall Street Journal-ი და Bloomberg business Wrek-ი, რომ სტანდარტული რეცეპტის გამოწერა შეიძლება: თავდაპირველად სასიამოვნო გასეირნება ტალინში — „ევროპული ატმოსფერო", სუფთა, მოკირწყლული ქუჩები და ძველი ეკლესიები; შემდეგ საუბარი მეწარმესთან ტექნოლოგიური სექტორიდან — ბიზნესისადმი მეგობრულად განწყობილი საგადასახადო პოლიტიკა, Skype-სა და მისი მსგავსი კომპანიების წარმატება; დასასრულ, ხანგრძლივი მსჯელობა ესტონეთის თანამედროვე, მაღალტექნოლოგიურ და ინტერნეტიზებულ სახელმწიფოზე.**




„ნიუ იორკ თაიმსის" ჟურნალისტი ამ რეცეპტს ბოლო მძიმემდე იყენებს. თითქოს სიტყვასიტყვით ციტირებს ესტონეთის ეკონომიკური განვითარების უწყებას, ის წერს საზოგადოებაზე, რომელიც **„პირველ რიგში, ქსელში ცხოვრობს"** და რომელიც **„ინტერნეტის მეშვეობით წუთებში იხდის გადასახადებს".**

ყველა ეს — თითქმის ერთნაირი — სტატია გაფიქრებინებს, რომ ესტონეთმა რაღაც ჯადოსნურ საშუალებას მიაგნო.

ვინ არ ისურვებს ცხოვრებას იმ ქვეყანაში, რომელშიც ყველა სახელმწიფო მომსახურების მიღება ინტერნეტით შეიძლება? რომელ ჭკუათმყოფელს სურს გადასახადების გადახდისას ქაღალდებით აქეთ-იქით სირბილი?

უბედურება არის ის, რომ ასეთი სტატიების ავტორები, მხოლოდ ერთ სიმპათიურ ხეს უმზერენ და ვერ ხედავენ ულრან ტყეს. სინამდვილეში ესტონეთი არც ისეთი დინამიკური და პერსპექტიული ადგილია, როგორც შეიძლება მოგეჩვენოს. ის დემოგრაფიული პრობლემების მქონე ქვეყნების სიაშია. **ბოლო ოცი წლის განმავლობაში ესტონეთმა, საერთო ჯამში, მოსახლეობის 15 პროცენტი დაკარგა, ანუ ყოველი მეშვიდე იმ ადამიანებიდან, რომლებიც ქვეყანაში 1992 წელს ცხოვრობდნენ — ზოგი გარდაიცვალა, ზოგიც ემიგრაციაში წავიდა.**

დემოგრაფიული მონაცემების დაქვეითება ფინანსურმა კრიზისმა დააჩქარა. ისეთი „უპერსპექტივო" ქვეყნებისგან განსხვავებით, როგორიცაა, მაგალითად, საფრანგეთი ან ბელგია, ესტონეთში ემიგრაციული საზოგადოებაა, იქიდან უფრო მეტი მიემგზავრება, ვიდრე ჩადის.


მარკ ადომანისი

**ნებისმიერი სახელმწიფოს მთავარი რესურსი ხალხია, ესტონეთში კი ადამიანების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს — სამწუხაროდ, იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე უფასო WiFi-ა ან სახელმწიფო უწყებების ვებგვერდები. მოკლედ, როგორი მომხიბვლელიც უნდა იყოს ესტონეთის ეკონომიკური და სახელმწიფო მოდელი, როგორც ჩანს, ისეთი არ არის, რომ ესტონელებმა სამშობლო არ დატოვონ და ბედის საძიებლად უცხოეთში არ გაემგზავრონ.**

**მარკ ადომანისი**
**Busines New Europe**
**(დიდი ბრიტანეთი)**

## დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ძია სემის ნდობაზე შეიძლება ბევრი რამ ითქვას — იყო დრო, როდესაც მიხეილ სააკაშვილს ენდობოდა, უფრო ადრე კი — ანასტასიო სომოსას (უფროსსაც და უმცროსსაც). იყო დრო, როდესაც პრეზიდენტი რუზველტი ამბობდა: „მუსოლინი აღტაცებას იმსახურებს“. მოკლედ, საოცრად მიმნდობნი არიან ეს ამერიკელები, მაგრამ (ალასანიას ძველ რეპლიკას თუ გავიხსენებთ): „ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?!“.**

# უპილოტო საფრენი ალასანია

**თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავებამ ახალი ბიძგი მისცა დისკუსიას ირაკლი ალასანიას პოლიტიკურ ამბიციებსა და შესაძლო კრიზისზე მმართველ კოალიციაში. ეს საუბრები დიდი ხნის წინათ დაიწყო, მაგრამ ადრე, როგორც წესი, კონსპიროლოგიური მკითხაობის ხასიათი ჰქონდათ, ამჯერად კი საუბარი გაცილებით კონკრეტული და დეტალიზებული გახდა.**

28 ოქტომბერს მთავარმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები დააკავა, მათ ბრალად სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვა ედებათ. ამ საქმის ნიუანსებს ამჯერად არ ჩავუღრმავდებით, უბრალოდ, აღვნიშნავთ, რომ იმ მრავლრიცხოვან განცხადებებში, რომლებიც თავდაცვის მინისტრმა ხელქვეითების დაკავების შემდეგ გააკეთა, იყო ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფრაზა: **„დარწმუნებული ვარ ჩემი თანამებრძოლების, ჩემი თანამშრომლების სრულ უდანაშაულობაში, იმიტომ, რომ მე ვაკვირდებოდი შესყიდვების პროცესს და ვიცი, რომ ყველაფერი კანონთან სრულ შესაბამისობაში კეთდებოდა“.** ამ განცხადებით ალასანიამ უკან დასახევი გზა მოიჭრა — თუ სასამართლო პროკურატურის არგუმენტებს გაიზიარებს და ამ პირებს დამნაშავედ ცნობს, მას თანამდებობის დატოვება მოუწევს.

**დღეს თავდაცვის მინისტრის გულშემატკივრები აკეთებენ ზუსტად იმავეს, რასაც ბოლო ორი წლის განმავლობაში „ნაციონალები“ აკეთებდნენ და ცდილობენ, ეს საქმე ალასანიას წინააღმდეგ წარმოებული პოლიტიკური ბრძოლის ნაწილად წარმოაჩინონ. მართალია, ისინი ჯერ არ მისულან „ნაციონალების“ საკრალურ ფორმულამდე „ეს პოლიტიკური დევნაა“, მაგრამ ხმამაღლა მოითხოვენ პოლიტიკურ დისკუსიას ამ კორუფციულ საქმეზე და ამით ხელს უწყობენ პროკურატურის დისკრედიტაციას, მის წარმოჩენას პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად.** მათი ძირითადი არგუმენტი დაახლოებით ასე ჟღერს: „ისინი დაიჭირეს იმიტომ, რომ ალასანიას დაარტყან“.

ინციდენტის დაწყებისთანავე ამოქმედდა მძიმე არტილერია და აშშ-ის ელჩმა ამ ეპიზოდზე საუბრისას ალასანიასა და მისი გუნდის მიმართ შეერთებული შტატების ნდობა დაადასტურა. შემდეგ ანალოგიური შინაარსის განცხადება შვეიცარიის საელჩომ გაავრცელა და კაციშვილმა ვერ გაიგო, რა შუაში იყო შვეიცარია საერთოდ (მხატვრულ ფილმ „მიმინოში“ რომ იტყოდნენ: „კტო ონ ტაკოი, ეტოტ პოტერპევში?! კუდა ონ პოშელ?!“). ამ მხარდაჭერამ ალასანიას ბანაკი ფრიად ოპტიმისტურად განაწყო. ქართველი კომენტატორების უმრავლესობამ კი რიჩარდ ნორლანდის მთავარი გზავნილი შემდეგნაირად გაიგო: „ალასანიას ხელი არ ახლოთ!“.

ზოგადად, **ძია სემის ნდობაზე შეიძლება ბევრი რამ ითქვას — იყო დრო, როდესაც მიხეილ სააკაშვილს ენდობოდა, უფრო ადრე კი — ანასტასიო სომოსას (უფროსსაც და უმცროსსაც). იყო დრო, როდესაც პრეზიდენტი რუზველტი ამბობდა: „მუსოლინი აღტაცებას იმსახურებს“. მოკლედ, საოცრად მიმნდობნი არიან ეს ამერიკელები, მაგრამ (ალასანიას ძველ რეპლიკას თუ გავიხსენებთ): „ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?!“.** კონსტიტუციაში უნდა ჩავწეროთ: „კანონზე მაღლა არავინ დგას თვინიერ ძია სემისა“ თუ აშშ-ის ელჩი მთავარ პროკურორად დავნიშნოთ (მთავარი ადვოკატი ის უკვე გახდა)? უცხოელი დიპლომატების რეაქციამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ საქმის განხილვას პოლიტიკური თამაშის კონტექსტში. შესაბამისად, გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი ნორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საპირისპირო მიმართულებით, კერძოდ კი — ბანანის რესპუბლიკის მიმართულებით, სადაც ყოველივე, მართლმსაჯულების ჩათვლით, პოლიტიკურ კონიუნქტურას ექვემდებარება.



**ამერიკელები სულ უფრო ხშირად გამოხატავენ უკმაყოფილებას საქართველოს ახალი ხელისუფლებით, უპირველესად, სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსნების სისხლისსამართლებრივი დევნის გამო, ახლა კი ამას თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების თემაც დაემატა. ისინი, როგორც ჩანს, აპირებენ, ნათლად მიანიშნონ საქართველოს ხელისუფლებას, კერძოდ კი ბიძინა ივანიშვილს და ირაკლი ღარიბაშვილს, რომ ალასანია, ასე ვთქვათ, მათი უპილოტო საფრენი აპარატია.**

**ამერიკელებს ძალიან უყვართ უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება და იმედია, თავდაცვის მინისტრს არ ეწყინება, თუ სწორედ ასეთ აპარატს შევადარებთ.** საქართველოში ძნელი მოსაძებნია პოლიტიკოსი, რომელიც ამერიკელების რჩევებს (ნუ გამოვიყენებთ ამ მოსაწყენ სიტყვას „ინსტრუქციები“) ასე გულდასმით ითვალისწინებს. ამერიკელებს, სავარაუდოდ, შეუძლიათ, ის ისევე უპრობლემოდ მართონ, როგორც თავიანთი უპილოტოები სადღაც იქ, ავღანეთ-პაკისტანში. რასაც ჩასძახებენ, იმას ამოსძახებს. მას არასოდეს შეუქმნია ძია სემისთვის თუნდაც მცირე პრობლემა, პირიქით — ყოველთვის ცდილობდა, მისი სურვილები წინასწარ ამოეცნო. ამასთანავე, ის ეყრდნობა გლობალური პოლიტიკური ლანდშაფტის აღქმის შავ-თეთრ, ბიპოლარულ მოდელს, რომელიც სავსებით მიესადაგება „ახალი ცივი ომის“ რეალიებს. პრინციპში, **სააკაშვილიც ასეთივე იყო, მაგრამ ის, ამავე მეტაფორის ჩარჩოებში თუ დავრჩებით, ძველი თაობის უპილოტო საფრენი აპარატი გახლდათ, ექსპერიმენტული ძრავით, რომელმაც, არ გაამართლა. ალასანია კი „გაუმჯობესებული მიშაა“, ახალი მოდელი, რომელსაც არ ახასიათებს მენტალური არასტაბილურობა, პათოლოგიური სადიზმი, უცნაური ფობიები,** მოკლედ, ყოველივე ის, რაც ხელს უშლის უპილოტო საფრენი პოლიტიკოსების ეფექტურ გამოყენებას „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში.

**არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ვაშინგტონი მოწონებით შეხვდება საქართველოს ხელისუფლების სათავეში ირაკლი ალასანიას მოსვლას, რომელიც ე. წ. პროდასავლურ ბლოკს დაეყრდნობა** (საკუთრივ ალასანის პარტია, რესპუბლიკელები, ძველი რეჟიმის „პროგრესული ნარჩენები“, საკვანძო არასამთავრობოებში მიმოფანტული რადიკალი ატლანტისტები და ა. შ.). როდესაც კომენტატორები ამ ჰიპოთეტურ კონსტრუქციაზე საუბრობენ, ცუდად შენიღბულ ქვეტექსტში ხშირად იგულისხმება, რომ **„არმატურის“ როლს მისთვის ძალოვანები შეასრულებენ, კერძოდ — „ნაციონალების“ კადრები შსს-ში,** რომელთა ნაწილი კვლავინდებურად რჩება საკვანძო თანამდებობებზე და ახალგაზრდა, მკვეთრად პროდასავლური ორიენტაციის მქონე ოფიცრები თავდაცვის სამინისტროში, აგრეთვე, ის კადრები, რომელთა კარიერული წინსვლა ბოლო 2 წლის განმავლობაში ალასანიას მხარდაჭერას დაუკავშირდა.

მაგრამ, ერთ ცნობილ ფილმში რომ იტყოდნენ, „არ შეიძლება, ასე უბრალოდ...“. არ შეიძლება, ასე უბრალოდ აიღო თავდაცვის მინისტრი და ხელისუფლების სათავეში მოიყვანო — ჩვენ გასული საუკუნის ლათინურ ამერიკაში არ ვცხოვრობთ. კლასიკური სამხედრო გადატრიალება ბინძური ტექნოლოგიაა, რომელიც სულ უფრო იშვიათად გამოიყენება. შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ამისთვის მზად არ არიან და (თუნდაც ნიგერიელი კოლეგებისგან განსხვავებით) შესაბამისი გამოცდილება და რესურსები არ აქვთ. ოფიცერ- ▶

**ცალკე აღებული «ნაციონალები» მაიდანს ვერ მოაწყობენ, ვერც ცალკე აღებული რესპუბლიკელები ან «ალასანისტები», ან ყველა ერთად უცხოელი დიპლომატების მხარდაჭერით, მაგრამ, თუ კრიტიკულ მომენტში საქმეში სახელისუფლო სტრუქტურებში საკვანძო თანამდებობებზე მყოფი პირებიც ჩაერთვებიან, ვითარება შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს, ხოლო ხელისუფლება რამდენიმე ასეული ძალოვანისა და რამდენიმე ათასი (კი, ბატონო, ათეული ათასი, თუმცა ეს არაფერს ცვლის) სამოქალაქო მხარდამჭერის ამარა დარჩეს**

---

მოკლედ



## ირანელმა ადმირალმა აშშ-ის მე-5 ფლოტს სპარსეთის ყურის დატოვება მოსთხოვა

**ირანის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ელიტური კორპუსის მეთაურმა, კონტრადმირალმა ალი ფადავიმ მოითხოვა, რომ აშშ-ის სამხედრო ხომალდებმა სპარსეთის ყურის სტრატეგიული რაიონი დატოვონ.** ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ის მე-5 ფლოტი, რომელიც 5 ათას მეზღვაურს ითვლის, განლაგებულია ბაჰრეინის ტერიტორიულ წყლებში. ამ ფლოტის შემადგენლობაშია: ავიამზიდები „კარლ ვინსონი“ და „აბრაამ ლინკოლნი“; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებით აღჭურვილი კრეისერები და მართვადრაკეტებიანი ხომალდები; საავიაციო და ამფიბიური დესანტური ჯგუფები. აშშ-ის მე-5 ფლოტის მოქმედების ზონები: წითელი და არაბეთის ზღვები; ომანისა და სპარსეთის ყურეები; ინდოეთის ოკეანის ნაწილი; აგრეთვე, ახლო და შუა აღმოსავლეთის 20 ქვეყნის ტერიტორიული წყლები.



# თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავებამ ალასანიას მისცა შესაძლებლობა, ოპოზიციაში მაქსიმალურად ეფექტურად, ყველა შესაძლო პიარეფექტის გამოყენებით გადაბარგდეს.

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀თა კორპუსის საუკეთესო ნაწილი ამაზე ხელს არავითარ შემთხვევაში არ მოაწერს. რაც მთავარია, **ასეთი სცენარის ამოქმედება ქვეყნის ყოვლისმომცველი დესტაბილიზაციის მაღალ რისკს უკავშირდება. ეს კი, მწვავე გეოპოლიტიკური კონკურენციის ზონაში, გადატრიალების უცხოელ სპონსორებს შეიძლება პოზიციების სრული ჩამოშლის ფასად დაუჯდეს. ასე რომ, მსჯელობა პრიმიტიულ სამხედრო გადატრიალებაზე დღევანდელ საქართველოში, ალბათ, მაინც ბოდვაა,** ხოლო ხელისუფლების სათავეში ალასანიას მოყვანის ძირითად სცენარებად (თუ ვაშინგტონი გადაწყვეტს ამას ხელი აქტიურად შეუწყოს), სავარაუდოდ, უნდა განვიხილოთ არჩევნები, აგრეთვე, ისეთი კრიზისული სიტუაცია (მაგალითად, მაიდანი და თანმდევი ქაოსი), როდესაც თავდაცვის მინისტრი, სამხედროებთან ერთად, შეიძლება დაპირისპირებულ მხარეებს „გამშველებლად“, ხოლო შეშინებულ ქვეყანას „მხსნელად“ მოევლინოს.

ამერიკული „ენ-დი-აი“, რომელიც 2012 წლის არჩევნებამდე „ნაციონალებს“ რაღაც კოსმოსურ, სრულიად შიზოფრენულ რეიტინგებს უხატავდა, ახლა დაახლოებით იმავეს ალასანიასთან დაკავშირებით აკეთებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ადგილობრივი კომენტატორების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ უახლოეს პერსპექტივაში ე. წ. პროდასავლური ბლოკი (ზემოთ ჩამოთვლილი შემადგენლობით), მმართველი კოალიციიდან გამოყოფის შემთხვევაში, 2016 წლის არჩევნებში გამარჯვებას ვერ მოახერხებს. სოციოლოგიური მონაცემების შეჯერებამ მართლაც შეიძლება ამ მოსაზრებისკენ გვიბიძგოს (საერთოდ, მათთვის ნეგატიური ფაქტორი ბევრია — ნაკლებად პოპულარულები არიან, ჯერჯერობით შედარებით ცოტა ფული აქვთ და ა. შ.); მაგრამ შეუძლებელია იმის ამოცნობა, რა ფორმებს მიიღებს კრიზისი, რომელიც კოალიციის რღევის პროცესს დაუკავშირდება. ერთადერთი რამ, რაც შეიძლება დანამდვილებით ითქვას, ისაა, რომ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავებამ ალასანიას მისცა შესაძლებლობა, ოპოზიციაში მაქსიმალურად ეფექტურად, ყველა შესაძლო პიარეფექტის გამოყენებით გადაბარგდეს. თუ მის, წერილის დასაწყისში ციტირებულ, რეპლიკას დავეყრდნობით, მან კი არ უარყო ეს შესაძლებლობა, არამედ ჩაებღაუჭა მას.

**ის, რომ გარკვეულ ძალებს არჩევნების მოგება არ ძალუძთ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ არ შეუძლიათ არჩევნების შემდეგ (ან არჩევნებისგან დამოუკიდებლად, როგორც ეს უკრაინაში მოხდა) მაიდანი მოაწყონ.** 2016 წლის ოქტომბერი ამისთვის ფრიად მოსახერხებელია, რადგან ამ დროს საქართველო ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეას უმასპინძლებს. თუმცა, იმის ნაცვლად, რომ წარმოვიდგინოთ ევროდელეგატები, რომლებიც „ქართულ მაიდანს“ გადაეფარებიან, და სხვა მსგავსი ნიუანსები, ალბათ, აჯობებს, ყურადღება უკრაინული მაიდნის ერთ მნიშვნელოვან თავისებურებაზე გავამახვილოთ.

თითოეული პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც მაიდანზე გამოვიდა, ცალკე აღებული, საკმაოდ სუსტი გახლდათ. იქ იყო ბევრი ურეიტინგო პოლიტიკოსი და მარგინალური ელემენტი და მათი გაერთიანება გარკვეული ლოზუნგის გარშემო არსებითად არაფერს ცვლიდა, მაგრამ მათ უკან იდგნენ ძალიან გამოცდილი მრჩევლები, რომლებიც მძლავრ უცხო სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. არც ეს იქნებოდა საკმარისი მაიდნის წარმატებისთვის, რომ არა „მეხუთე კოლონა“ ხელისუფლების შიგნით, რომლის წარმომადგენლებმა ღია თუ ფარული საბოტაჟით სახელმწიფო სტრუქტურების პარალიზება ან არასათანადო გამოყენება უზრუნველყვეს. ალბათ, ამ შემთხვევაში უფრო მართებულია საუბარი არა „კოლონაზე“, არამედ „ქსელზე“, რომლის თითოეული ელემენტი (ცალკე აღებული) ძალზე სუსტი, თითქმის უძლურია, მაგრამ მათ ერთობლივ ამოქმედებას ძალზე შთამბეჭდავი შედეგი მოაქვს. **ის ქართველი კომენტატორები, რომელნიც საუბრობენ, რომ საქართველოში მაიდანი გამორიცხულია, უშვებენ შეცდომას, როდესაც ამ ჰიპოთეტური ქსელის ცალკე აღებული ელემენტების ფარდობით სიძლიერეს (უფრო სწორად, სისუსტეს) აფასებენ. ცალკე აღებული „ნაციონალები“ მაიდანს ვერ მოაწყობენ, ვერც ცალკე აღებული რესპუბლიკელები ან „ალასანისტები“, ან ყველა ერთად უცხოელი დიპლომატების მხარდაჭერით,** მაგრამ, თუ კრიტიკულ მომენტში საქმეში სახელისუფლო სტრუქტურებში საკვანძო თანამდებობებზე მყოფი პირებიც ჩაერთვებიან, ვითარება შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს, ხოლო ხელისუფლება რამდენიმე ასეული ძალოვანისა და რამდენიმე ათასი (კი, ბატონო, ათეული ათასი, თუმცა ეს არაფერს ცვლის) სამოქალაქო მხარდამჭერის ამარა დარჩეს.

**ამერიკელები სულ უფრო ხშირად გამოხატავენ უკმაყოფილებას საქართველოს ახალი ხელისუფლებით, უპირველესად, სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსნების სისხლისსამართლებრივი დევნის გამო, ახლა კი ამას თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების თემაც დაემატა. ისინი, როგორც ჩანს, აპირებენ, ნათლად მიანიშნონ საქართველოს ხელისუფლებას, კერძოდ კი ბიძინა ივანიშვილს და ირაკლი ღარიბაშვილს, რომ ალასანია, ასე ვთქვათ, მათი უპილოტო საფრენი აპარატია.** ქვეტექსტში, ალბათ, იგულისხმება, რომ მისი მართვის პულტზე წითელი ღილაკიც არის. ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურადაა და ყველა ერთმანეთს უღიმის, თუმცა სინამდვილეში კრიზისი უკვე დაწყებულია და მისი შემდგომი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მტკიცე პოზიციას დაიკავებს ივანიშვილი (ან ღარიბაშვილი ივანიშვილის მხარდაჭერით) და შეეცდება თუ არა, ირაკლი ალასანიას ამბიციები შეზღუდოს, რაც, ფიგურანტის „უპილოტო როლის“ გათვალისწინებით, საქართველოში აშშ-ის ამბიციების შეზღუდვის ტოლფასია.

**P.S. გაზეთის ეს ნომერი უკვე დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია ირაკლი ალასანიას თავდაცვის მინისტრის პოსტიდან დათხოვნის შესახებ. მოსალოდნელზე სწრაფად განვითარებული მოვლენები კი სწორედ წინამდებარე მასალის შინაარსის დასტურია.**

# გასაღებდაკარგულები



**ცნობილ საბჭოთა დისიდენტს, სოციოლოგ-ანალიტიკოსს, მეცნიერსა და მწერალს — ალექსანდრ ზინოვიევს კლასიკად აღიარებულ თავის წიგნში „ხახადაფჩენილი მწვერვალები“ ერთი ასეთი პარადოქსული წინადადება აქვს: „იძულებითი უსაქმურობისგან თავისუფალ დროს შიზოფრენიკი სოციოლოგიურ ტრაქტატს წერდა“.**

„შიზოფრენიკს“ თუ გამოვრიცხავთ, ეს დახასიათება ზუსტად მიესადაგება იმ „აურზაურს სალხინეთში“, რომელიც ბოლო ორი კვირის განმავლობაში საქართველოს ტელეეკრანებიდან არ ჩამოსულა. გამოვრიცხოთ იმიტომ, რომ ეს „აქა ამბავი გასაღებისა“ (კლიტეებზეა საუბარი და არა გაყიდვა-გასაღებაზე) მამულიშვილურ თავებზე დაიტეხეს სრულ გონებაზე მყოფმა პარლამენტარებმა, არასამთავრობოებმა და პრეზიდენტმა, მსგავსად ყბედი ადამიანისა, რომელიც მაშინაც კი ლაყბობს, როცა ყურადღებას არავინ აქცევს (**უილიამ შექსპირი, „აურზაური არაფრის გამო“).**

შეკრეს ერთმანეთთან დაპირისპირებულთა ცინიკური „სასიყვარულო სამკუთხედი“, შეკრიბეს მომხრეები და მოწინააღმდეგეები ტელესაფიხვნოებზე, იდავეს და იკამათეს, შემდეგ ისევ იკამათეს და იდავეს, ვისთვის უნდა მიეცათ მიყურადების უფლება.

ზნეობის თვალსაზრისით, სხვის კარზე ასინეთასავით ყურის მიდება ისეთივე სამარცხვინო საქციელია, როგორიც სხვისი წერილების უნებართვოდ წაკითხვა.

უთუოდ ამ ნეგატივის გასანეიტრალებლად გაამხატვრულეს, გააპოეტურეს პრობლემა და „გასაღები“ უწოდეს („სამოთხის კარის გასაღები“, მაგალითად), მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ისეთივე მხატვრული სახე გამოუვიდათ, როგორი მეცნიერულიც (და ქართული) იყო პრეზიდენტ მარგველაშვილის დასკვნითი ფრაზა „სპიჩიდან“, რომელიც მან „გასაღების“ შესახებ წარმოთქვა: „ეს კონსენსუსი უნდა დავიყვანოთ კანონის ფორმაში“.

მაგრამ გასაღები შეიძლება, დაგეკარგოს.

ავტორიტეტივით.

დაკარგეს.

რადგან საკითხი, რომელიც პლანეტარულ მოვლენად მოგვასაღეს, სამთავრობო სტრუქტურებშიც (იმავე არასამთავრობოების მონაწილეობით) იოლად შეიძლებოდა, გადაწყვეტილიყო.

**ასეთი ამაო ზრუნვა ხალხის უფლებებსა და „კეთილდღეობაზე“ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას არც სჭირდება და არც აინტერესებს. ხოლო რას ფიქრობენ უმუშევარი და უსახსროდ დარჩენილი ადამიანები ხელისუფლებასა და არასამთავრობოებზე, იმავე პრეზიდენტზე, ამის გასაგებად მიყურადება სულაც არ არის საჭირო.**

უთქვამთ, ამბობენ და იტყვიან — ხმამაღლა, დაუფარავად, ოღონდ ვინმემ ისმინოს!

ხომ ჰგავს ასეთი ზრუნვა მეტიჩარა კუს მიერ ფეხის გამოყოფას — „მეც ნახირ-ნახირო?“

ჰგავს.

და რადგან ჰგავს, გაიხსენეთ ბავშვობაში წაკითხული ზღაპარი, რომელიც ჩვენმა თანამედროვეებმა სინამდვილედ აქციეს. ზღაპარი გრძელცხვირა ხის ბიჭუნას ფათერაკიანი თავგადასავლის შესახებ:

„კუ დიდხანს უმზერდა მთვარეს, რაღაცას იხსენებდა.

— ერთხელ ერთ ადამიანს დავეხმარე. მან კი ბებიაჩემისა და ბაბუაჩემისგან სავარცხლები გააკეთა, — თქვა და კვლავ მთვარეს ახედა.

— რაც არის, არის! იჯექი აქ, კაცუნავ, მე კი ფსკერზე გავცოცდები, ეგებ, ვიპოვო ერთი სასარგებლო ნივთი.

თავი, რომელიც გველისას უგავდა, შესწია და ნელა ჩაეშვა წყლის სიღრმეში.

ბაყაყებმა წაიჩურჩულეს:

— ტორტილამ უდიდესი საიდუმლო იცის.

გავიდა დიდი ხანი...

მთვარე გორაკებს იქით ჩასასვლელად ემზადებოდა.

შეირხა წყლის მწვანე ზედაპირი, გამოჩნდა კუ, რომელსაც პირში პატარა ოქროსფერი გასაღები ეჭირა.

ბურატინოს ფერხთით ფოთოლზე დადო.

— უტვინო, მიმნდობო, მოკლე ჭკუის პატარა სულელო, — უთხრა ტორტილამ, — მე შენ იმ გასაღებს გაძლევ, რომელიც გრძელწვერა კაცს ტბორში ჩაუვარდა... ო, როგორ მთხოვდა, მომეძებნა ეს პატარა გასაღები... მაგრამ არ დავეხმარე, რადგან მაშინ ძალიან გაბრაზებული ვიყავი ჩემი ბებიისა და ბაბუის გამო“.

ტორტილამ ბურატინოს აცნობა, რომ ამ პატარა გასაღებით შეიძლება იმ კარის გაღება, რომლის იქით ბედნიერება ელოდება.

ვერ გეტყვით, რა ბედნიერების მომტანი იქნება ის გასაღები, რომელიც ვერ მიართვეს სრულიად საქართველოს განსახილველად გამოტანილი საკითხის ფიგურანტებს (ისინი პრეზიდენტის ვეტოს შემდეგაც თამაშგარე მდგომარეობაში დარჩნენ), თუმცა მთავარი საკითხი გარკვეულია: ბედნიერების მომტანი არის გასაღები, კლიტე. ხოლო მთავარი მეკლიტული პირველი კაცია.

„როცა ბურატინო ნაპირის კიდეზე მოშავო ჩრდილად გამოჩნდა, ბაყაყებმა მიაძახეს:

— ბურატინო, არ დაკარგო გასაღები!“

ხოლო **იმის გასარკვევად, რომელი ოკეანის ფსკერიდან რომელმა ტორტილამ ამოუტანა ჩვენებურ ბურატინოებს ოქროს პატარა გასაღები, ანუ განხეთქილების ოქროს ვაშლი, დროს ნუ დავკარგავთ, ისედაც ნათელია.**

მოკლედ, პარადოქსების დოღია, ისეთის, „რომელიც შესაქებად მეტისმეტად პატარაა; მაღლისთვის — მეტისმეტად დაბალი; თეთრისთვის — მეტისმეტად მუქი.

ერთის თქმა შემიძლია მის სასარგებლოდ: სხვა რომ ყოფილიყო, უშნო იქნებოდა; ისეთი კი, როგორიც არის, მე არ მომწონს“ (**უილიამ შექსპირი, „აურზაური არაფრის გამო“).**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. პარლამენტის სპიკერობისას მაგიდასთან მჯდარ ზურაბ ჟვანიას (ღმერთმა ნათელში ამყოფოს!) ხის ჩაქუჩი, რომლის ხისსავე თეფშზე დარტყმით დადგენილების მიღებას ადასტურებდა, სადღაც გაებნა. ეძებდა, ვერ პოულობდა, არადა, იმ წუთას რომელიღაც კანონპროექტის მიღება დაკაკუნებით უნდა გაეოფიციალურებინა.**

**უხერხული მდგომარეობა ჩამოვარდა.**

**მაშინ ვიღაც ენაკვიმატმა დეპუტატმა დარბაზიდან შესძახა სპიკერს:**

**— გასაღები დაგეკარგა, ბატონო ზურაბ?!**

**გასაღებდაკარგულები, ეტყობა, არც დღევანდელ საზოგადოებას და ხელისუფლებას აკლია...**

**„ბურატინო, არ დაკარგო გასაღები!“**

## ის, რომ გარკვეულ ძალებს არჩევნების მოგება არ ძალუძთ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ არ შეუძლიათ არჩევნების შემდეგ (ან არჩევნებისგან დამოუკიდებლად, როგორც ეს უკრაინაში მოხდა) მაიდანი მოაწყონ



## თურქეთის არმია საომრად ემზადება

**თურქეთის არმია, ქვეყანაში ტერორისტული დაჯგუფება „ქურთისტანის“ მუშათა პარტიის გააქტიურების გამო, სრულ საომარ მზადყოფნაშია, — განაცხადა თურქეთის ვიცეპრემიერმა ბიულენტ არინჯიმ.** რამდენიმე დღის წინათ „ქურთისტანის“ ბოევიკებმა ხელში ჩაიგდეს სატვირთო ავტომობილი, რომელიც 400 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება გადაჰქონდათ ქვანახშირის მომპოვებელი მეშახტეებისთვის. თურქეთის არმია საშიშტვირთიან ავტომობილს სამხედრო ვერტმფრენების ეძებს.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ლუბა ელიაშვილმა, როგორც კი „მე-9 არხის“ გენდირექტორად დაინიშნა, კონტრაქტი შეუწყვიტა დათო ზილფიმიანს, სამაგიეროდ, გაუფორმა დათო ბეჟუაშვილს, რომელმაც, სააკაშვილის დახმარებით, მილიონიანი ქონება — ტელეკომპანია „პირველი სტერეო“ — დააკარგვინა ზილფიმიანს, რადგან მან სიხშირე მისცა ბიძინა ივანიშვილს. დღეს ძმები ბეჟუაშვილები ივანიშვილის პარტნიორები არიან რაღაც ფონდში. ამის შემდეგ ვილას უნდა გაუკვირდეს, რაც ხდებოდა „მე-9 არხზე“?**



# ბაკურ სვანიძე: ასე არხეინად თუ განაგრძო «ოცნებამ» ცხოვრება, ეჭვი არავის შეეპაროს, რომ მიშა დაბრუნდება

**„რუსთავი 2“-ის გასართობი დეპარტამენტის ყოფილი მთავარი პროდიუსერი, იუმორისტი ბაკურ სვანიძე ყოფილი პრემიერის — ბიძინა ივანიშვილის პარადოქსულ გადაწყვეტილებებზე, ქართულ ტელევიზიებში შექმნილ ვითარებასა და, საერთოდ, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება:**

— სამწუხაროდ, საქართველო ისეთ ქვეყნად ჩამოყალიბდა, რომ, თუ გინდა, შენი საქმე აკეთო, აუცილებლად ვიღაცას უნდა აკოცო საჯდომზე.

**— ვის და რას გულისხმობთ?**

— „რუსთავი 2“-ის გასართობი გადაცემების მთავარი პროდიუსერი ვიყავი და მეტი რაღა უნდა ვიგულისხმო?! 2007 წელს წამოვედი ჩემი ნებით, თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ სწორედ ამ ტელევიზიაშია ფუმფულა საჯდომები, რომლებსაც, თუ აკოცებ, წარმატება გარანტირებული გექნება და დოლარებსაც მიიღებ.

**— ყველა ტელევიზიაში დაბლოკილი ხართ?**

— რა თქმა უნდა. არადა, 2007 წელს „ნაცმოძრაობას“ დავუპირისპირდი და ამიტომაც წამოვედი ტელევიზიიდან. 2011 წლის მაისში მე და ჩემმა გუნდმა ნულიდან ავაწყვეთ „ინფო 9“. ყველა იტყუება, ვინც ამ სააგენტოს აწყობას იბრალებს. **როდესაც „ოცნებამ“ საპარლამენტო არჩევნები მოიგო, გვითხრეს, აღარ გვჭირდებითო, და დაამთავრეს ყველაფერი. კი გვითხრა მილიარდერმა, სამაგიეროდ დიდ ხელფასს გიხდითო, მაგრამ, მის სხვა კანტორებთან შედარებით, ყველაზე დაბალი ხელფასი „ინფო 9“-ში იყო. ანალოგიურ პოზიციაზე, რომელიც მე მეკავა „ინფო 9“-ში, ტელეკომპანია „ჯი დი ეს“-ში 7-ჯერ მეტ ხელფასს იღებენ, დაახლოებით — 10-12 ათას ლარს. ეს უსამართლობა თავიდანვე ჩადებული იყო მსგავს კანტორებში.** მაგალითად, ვიღაცები გადმოიბირეს „რუსთავი 2“-დან და, ფაქტობრივად, არაფრის კეთებაში დაუნიშნეს ათჯერ მეტი ანაზღაურება, ვიდრე ჩვენ, ვინც ფრონტის წინა ხაზზე ვიბრძოდით. ასეთი რამ ამორალურობას თესავს საზოგადოებაში. ადამიანები, რომლებმაც 2007 წელს ვთქვით, რომ „ნაცმოძრაობასთან“ თანამშრომლობა არ შეიძლებოდა და მხოლოდ ჩვენი თავის იმედით დავუპირისპირდით სადისტურ რეჟიმს და არა იმის იმედით, რომ მილიარდერი მილიონებს გვპირდებოდა, წამოვედით „რუსთავი 2“-დან. აი, ეს ხალხი დაგვიკიდეს დღეს ფეხებზე და, **ვინც მილიარდერის დაძახებაზე წამოვიდა იმ ბანაკიდან, რომელსაც „რუსთავი 2“ ჰქვია, ის დღესაც იღებს 5-ჯერ და 10-ჯერ მეტ ანაზღაურებას,** ანუ ეს ყველაფერი მიგვანიშნებს, რომ, თუ გინდა, ჯიბე სავსე გქონდეს, უნდა იყო ამორალური, უზნეო, გაიტრუნო და არ გააპროტესტო არაფერი, ვიდრე მილიარდერი არ დაგიძახებს. და როცა მილიარდერი დაგიძახებს და გადმოგიბირებენ, დიდ მოგებას ნახავ. აი, ამ ზნეობას ამკვიდრებს დღევანდელი ხელისუფლება და პირადად ბიძინა ივანიშვილი. სხვათა შორის, როდესაც „ინფო 9“-ში ვმუშაობდი, „ქართუს“ წარმომადგენელს ვკითხე — რატომ მოიქეცით ისე, რომ ადამიანები, რომლებმაც სააკაშვილის რეჟიმის მანიაკური ქმედებები არ გააპროტესტეს, თბილად იყვნენ მოკალათებულნი და რომლებიც 2012 წელს, ასე ვთქვათ, გადმოიბირეთ „რუსთავი 2“-დან, დღეს ათჯერ მეტ ხელფასს იღებენ, მე და ჩემნაირები კი უმუშევარი დაგვტოვეთ-მეთქი?! იცით, რა მიპასუხა? — „რუსთავი 2“-ს ხალხის გადმობირებით დავაზარალებთო. **არ ვამცირებ ამიკო ჩოხარაძეს, ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ, ვისაც ჰგონია, რომ „ჯი დი ეს“-ში ამიკო ჩოხარაძის გადაბირებით „რუსთავი 2“-ს ჩაძირავენ, სულელია.** 2007 წელს ქვეყანაში საშინელებები რომ ხდებოდა, თურმე არ უნდა გამეპროტესტებინა, უნდა გავტრუნულიყავი და დღეს კარგად ვიქნებოდი. რომ გავჩუმებულიყავი და 2012 წლამდე შემენარჩუნებინა „რუსთავი 2“-ის გასართობი გადაცემების პროდიუსერობა, 2012 წელს მილიონად გადმომიბირებდნენ, მაგრამ, რადგან 2007 წელს მილიარდერის მოწოდებებს არ დაველოდე და პროტესტის გაჩენის შემდეგ წამოვედი, ამიტომ მათი ინტერესის სფეროში ველარ მოვხვდი. ეს საზოგადოებაში უზნეობის დამკვიდრების გზაა. მე ავერიდე ამ უზნეობას, მაგრამ ადამიანების უმრავლესობა ცდუნებას ვერ გაუძლებს და გადავა უზნეო ცხოვრების რეჟიმზე, რაც საბოლოოდ დაასამარებს ჩვენს საზოგადოებას. დღევანდელი ხელისუფლება რომ ამბობს, ჩვენ ევროპული და განსაცვიფრებელი სახელმწიფო უნდა ავაშენოთო, ერთი რამ ავიწყდება — უზნეო საზოგადოებას არასოდეს აუშენებია კარგი სახელმწიფო. უზნეო ხალხი უზნეო სახელმწიფოს ააშენებს! ივანიშვილს უყვარს საფრანგეთი და ვურჩევ, გულდასმით წაიკითხოს ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „სამხედრო მფრინავი“, რომელშიც განხილულია ზუსტად ის საკითხები, რომლებზეც ახლა ვისაუბრე — ზნეობა და პროფესიონალიზმი. **ის ადამიანები, რომლებიც მიშას მანიაკურ რეჟიმს „აპრავებდნენ“ და რომლებზეც ივანიშვილი ამბობს, ესენი პროფესიონალები არიან, უბრალოდ, გზას ასცდნენო, ეგზიუპერის ამ ნაწარმოებში განხილულია, როგორც უზნეონი, რომლებიც შეუძლებელია, იყვნენ პროფესიონალები.** უზნეო, როგორი პროფესიონალიც უნდა იყოს, თავის საქმეს მაინც უზნეოდ დაასრულებს. ივანიშვილის ქმედებებს რომ ვაკვირდები, ვხედავ, რომ საზოგადოებას, ნებით თუ უნებლიედ, უბიძგებს, გამორჩენით იცხოვროს!

**«დღევანდელი ხელისუფლება რომ ამბობს, ჩვენ ევროპული და განსაცვიფრებელი სახელმწიფო უნდა ავაშენოთო, ერთი რამ ავიწყდება — უზნეო საზოგადოებას არასოდეს აუშენებია კარგი სახელმწიფო. უზნეო ხალხი უზნეო სახელმწიფოს ააშენებს!»**

**— „ინფო 9“-ის დახურვის შემდეგ რომელმა ტელევიზიებმა გითხრეს სამსახურზე უარი?**

— ყველამ. პირდაპირ არავის უთქვამს, კარგად იყავი, არ მომწონხარო, მაგრამ ზოგმა ფორმატი მოიმიზეზა, ზოგმა — სატელევიზიო ბადე და ა.შ. ახლახან მაჩუქეს ვიდეოპორტალი და ამაზე ვმუშაობ. მექნება ინტერნეტტელევიზია „ბი ეს ტივი“ და 1-2 თვეში, ალბათ, ავამუშავებ.

**— ამბობენ, ტელეკომპანია „მაესტროს“ წილი დავით კეზერაშვილმა იყიდაო.**

— ეს მეც შევიტყვე, მაგრამ ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, თუმცა, რომ დადასტურდეს, არ გამიკვირდება, რადგან, როგორი სიტუაციაც არის ქვეყანაში, ისეთივე პროცესები მიმდინარეობს სხვადასხვა ორგანიზაციაშიც. დღეს საქართველოში ნაციონალები „გულაობენ“, „ბლატაობენ“, ჯეჯილობენ, რადგან ეს ხალხი გაცილებით ჭკვიანი და მიზანმიმართულია, ვიდრე დღევანდელი ხელისუფლება. **ამჟამინდელ ხელისუფლებას ახალი დაავადება შეეყარა — არხეინიზმი.**

ჰგონიათ, „ნაციონალები“ ხელისუფლებაში ველარ მოვლენ და ტელევიზიას არ ხსნიან, „რუსთავი 2“-ის ნაბოდვარი რომ გააბათილონ. იმას კი არ ვამბობ, რომ ჯიბეში ჩაისვან, არა. არსებობს ხერხები, რომლებითაც შეიძლება „რუსთავი 2“-ის კონტრტელევიზიის გაკეთება... **გახსნეს „მე-9 არხი“, რომელიც ჩააბარეს ვიღაც ტუტუცებს, რომლებიც რაღაცას ბოდიალობდნენ, ამიტომაც უტირეს დედა ამ ტელევიზიას.**

**— ლუბა ელიაშვილს გულისხმობთ?**

— დიახ. იმხანად მუშაობდა „ინფო 9“-ც, რომელიც ლუბას ხუშტურებზე ვერ ივლიდა. ლუბა „მე-9 არხზე“ დახუშტურებდა, „ინფო 9“-ში კი მოდიოდა 5 წუთით და მიდიოდა. მისი და — მანანა ელიაშვილი „ინფო 9“-ში, თავის კაბინეტში იჯდა და რაღაცებს წიოდა, საქმეს კი მე და ჩემი გუნდი ვაკეთებდით. **ჰკითხეთ „მე-9 არხის“ ნებისმიერ თანამშრომელს და გეტყვით, რომ იქ „ბარდაგი“ იყო.** გამეფებული იყო ტუტუციზმი, რომ თურმე „დალეტი“ უნდა დაენერგათ და ამაზე იყო ლუბა ორიენტირებული. არადა, ეს არის ფრანგული სამაუწყებლო ტიპის სისტემა, რომელიც თვითონ ფრანგებს არ გამოუყენებიათ და ესენი მეტიჩრობდნენ, ამიერკავკასიაში პირველები დავნერგავთო. 8 თვის განმავლობაში ნერგავდნენ ფრანგების მიერ დაწუნებულ „დალეტს“, რომელიც რეალურად არაფრის მომცემია... რაც მთავარია, ლუბა ელიაშვილმა, როგორც კი „მე-9 არხის“ გენდირექტორად დაინიშნა, კონტრაქტი შეუწყვიტა დათო ზილფიმიანს, სამაგიეროდ, გაუფორმა დათო ბეჟუაშვილს, რომელმაც, სააკაშვილის დახმარებით, მილიონიანი ქონება — ტელეკომპანია „პირველი სტერეო“ — დააკარგვინა ზილფიმიანს, რადგან მან სიხშირე მისცა ბიძინა ივანიშვილს. დღეს ძმები ბეჟუაშვილები ივანიშვილის პარტნიორები არიან რაღაც ფონდში. ამის შემდეგ ვილას უნდა გაუკვირდეს, რაც ხდებოდა „მე-9 არხზე“? რატომ დახურა ბიძინამ ეს არხი, არ ვიცი. არადა, კი არ უნდა დაეხურა, მენეჯმენტი უნდა გამოეცვალა, ოღონდ ისევ სულელებით არ უნდა დაეკომპლექტებინა. ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ **სნობიზმი სჭირთ, ვერ არჩევენ კადრებს და არ იციან, ვის რა საქმე ჩააბარონ. ან „ჯი დი ეს“-ზე რა ხდება? მეცხრედ შეცვალეს გენერალური დირექტორი. ახლა დანიშნეს თემურ გოგოლაძე, მეტსახელად ოგობა, რომელიც „რუსთავი 2“-ის თანამშრომელი იყო. მოჰყავთ და მოჰყავთ კადრები „რუსთავი 2“-დან, ხელფასს 20 ათას ლარს უნიშნავენ, „ჯი-დი-ეს“-ი კი ერთ ადგილზეა გაშეშებული — იხარჯება მილიონები, მაგრამ ტელევიზიას რეიტინგი არ აქვს.**

ჰგონიათ, რადგან ადამიანი „რუსთავი 2“-ში მუშაობს, მაღალი დონის სპეციალისტია, იმას კი ვერ ხვდებიან, რომ კონკრეტული ადამიანი „რუსთავი 2“-ში არის ერთი ჭანჭიკი მექანიზმისა, რომელიც თავის დროზე ზურაბ ჟვანიამ დაეროსი კიწმარიშვილმა შექმნეს და რომელიც დღემდე მუშაობს.

**— 15 ნოემბერს „ნაციონალური მოძრაობა“ საპროტესტო აქციისთვის ემზადება...**

**— რაც „ოცნებას“ არ ადარდებს, რადგან არხეინიზმითაა დაავადებული. ასეთივე არხეინიზმი მახსოვს 2003 წელსაც, როდესაც „ვარდების რევოლუცია“ მზადდებოდა. იმხანად ბევრი ამბობდა, — მოიცა რა, გიჟ მიშას ხელისუფლებაში ვინ მოიყვანსო. ახლაც იმავეს მეუბნებიან, — ხალხი არ არის „ნაციონალების“ მხარესო. არადა, მაგათ ხალხი არ აინტერესებთ, შეუძლიათ, 5 კაცის მხარდაჭერით მოვიდნენ ხელისუფლებაში.** საზოგადოების 50 პროცენტი არის მედროვე და, ვისაც ძალაუფლება აქვს, იმისკენ მიილტვის. ეს 50 პროცენტი, როცა ხელისუფლებას „ნაცები“ ჩაიგდებენ ხელში, მყისვე მათთან მიცუცქდება. ახლა ხომ 10-15 პროცენტი უჭერს მხარს „ნაცებს“, მათ მედროვეთა 50 პროცენტიც დაემატება და 65 პროცენტით მოვლენ ხელისუფლებაში. სააკაშვილის ბოლო ინტერვიუს რომ ვუსმინე, გავგიჟდი — კაცი დასაჭერია, მაგრამ აქეთ-იქით დაჯლიგინებს; დაუფარავად ამბობს, ფეხებზე მკიდია არჩევნები, ხელისუფლებაში რევოლუციით უნდა მოვიდეო. **ასე არხეინად თუ განაგრძო „ოცნებამ“ ცხოვრება, ეჭვი არავის შეეპაროს, რომ მიშა დაბრუნდება.**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

---

ამბავი

## უცხოელებს საიმიგრაციო ვიზებში 100 ლარის გადახდა მოუწევთ

**საიმიგრაციო ვიზებისთვის 100-ლარიანი ბაჟის დაწესებას შესაბამის კანონში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც თან ერთვის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებს.**

პარლამენტს განსახილველად უკვე წარედგინა პროექტი, რომლის მიხედვით, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოს საიმიგრაციო ვიზა შეიძლება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაიცეს. ამ მიზნით უცხოელმა სამინისტროს შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს, საქართველოში კანონიერი საფუძვლით ყოფნის ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 45 დღისა.



**საააკაშვილის ამერიკელმა პატრონებმა იცოდნენ, რომ პირველ ეტაპზე ვერ მოხერხდებოდა საქართველოს ხელისუფლების სათავეში ისეთი ძალის მოყვანა, რომელიც წინამორბედის კურსს უცვლელად განაგრძობდა — ამას საზოგადოების მხრიდან წინააღმდეგობა მოჰყვებოდა, ამიტომ დაუშვეს თავის დროზე მმართველ გუნდში ისეთი განსხვავებული სუბიექტის არსებობა, როგორიც ივანიშვილი იყო და ახლა უკვე ღარიბაშვილია. თუმცა, როგორც ირკვევა, ამ „დაშვებამ“ საქართველოს ამერიკელი „მამებისთვის“ მისია ამოწურა.**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნოემბრის ვირთხები, ანუ «ნაც-რესპუბლიკური» ჯანყი და ევრომაიდანი-2

**საქართველოს ხელისუფლებაში „რაღაც“ რომ „დალპა“ და დიდი პოლიტიკური აფეთქება, ფაქტობრივად, გარდაუვალია, დღითიდღე ვრწმუნდებით. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ კოალიციის ერთიანობა მირაჟია და უსამართლოდ შობილი „რესპუბლიკური ოცნების“ დაქუცმაცება მხოლოდ და მხოლოდ დროის საკითხია. ამაზე მინიშნებებს „ქართული ოცნების“ მესვეურებიც აკეთებენ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ არის: მთავარია, რა მიზნები და ამოცანები დგას ამ „დიდი აფეთქების“ მიღმა, რომელმაც, აშკარაა, პოლიტიკურ ასპარეზზე ქაოსი უნდა გამოიწვიოს.**

მივყვეთ მოვლენებს ქრონოლოგიურად. მიმდინარე სამართლებრივი პროცესის კვალდაკვალ (ულიმლამოდ, მაგრამ ფაქტია, ეს პროცესი დაიწყო) 13 სექტემბერს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა საგანგებო განცხადება გაავრცელა. მასში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ხელისუფლების მხრიდან ოპონენტების დევნა საფრთხეს უქმნის ქართულ დემოკრატიას და სახელმწიფომ აქცენტი უნდა გააკეთოს პოლიტიკური პლურალიზმის პატივისცემაზე. იმავე განცხადებაში შავით თეთრზე ეწერა: **„ამერიკის შეერთებული შტატები მოუწოდებს ყველა ძალას, რომლებიც საქართველოს დემოკრატიულ განვითარებასა და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას უჭერენ მხარს, ფოკუსირება მოახდინოს საერთო ინტერესებზე“.**,ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, **ვაშინგტონმა კოალიციის „მედასავლეთე“ ფრთას გაერთიანებისა და ერთ ბირთვად ჩამოყალიბებისკენ მოუწოდა, რამაც, შეიძლება ითქვას, პროცესი დაძრა კიდეც. ვაშინგტონის განცხადებიდან მცირე ხანში რესპუბლიკელებმა კოალიციის შესაძლო დაშლაზე დაიწყეს ლაპარაკი**. ირაკლი ალასანიას მყისვე „გაახსენდა“, რომ აქვს დამოუკიდებელი პარტია და დააანონსა ყრილობა, რომელიც, ალბათ, არც კი ახსოვს, ბოლოს როდის ჩაატარა. პარალელურად **მმართველ გუნდში გაკეთდა ირიბი მინიშნებები „ქართულ ოცნებაში“ შემავალ სუბიექტებს შორის არსებულ გარკვეულ შეუთანხმებლობაზე.** მეტიც, ეს საკითხი, სულ რაღაც ერთ კვირაში ისე მწვავედ დადგა, რომ რესპუბლიკელების „ატამანმა“, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა საჭიროდ ჩათვალა, თანაგუნდელებისთვის საგანგებო განცხადებით მიემართა და კოალიციის გაძლიერების გზები შეეთავაზებინა. აი, ერთ-ერთი რესპუბლიკელის, ვახტანგ ხმალაძის, კომენტარი უსუფაშვილის განცხადებაზე: „არსებობს რაღაც პრობლემები, რომლებიც საჭიროა, გადაიჭრას. რაღაცები უნდა მოხდეს სხვაგვარად. არის ეტაპი, როდესაც საჭიროა ასეთი დემოკრატიული ურთიერთობების დამკვიდრება“.

ერთი სიტყვით, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი — დიდი გადაჯგუფებებისა და რეორგანიზაციის პროცესი. ამ პროცესს გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვუწოდოთ ახალი პოლიტიკური წესრიგი, რადგან ამით **შეერთებული შტატები, ფაქტობრივად, აგვირგვინებს 2012 წლის 2 ოქტომბერს დაწყებულ საქმეს: 2012 წლის 2 ოქტომბერს, როცა არჩევნებში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ყველას გვეგონა, რომ „ნაცმოძრაობის“ მზე სამარადისოდ ჩაესვენა. ზოგიერთი გულუბრყვილო „მეოცნებე“ იმხანად თავდაჯერებით ამბობდა, „ნაცრეჟიმი“ მალე მოქკავშირივით გაქრებაო. სამწუხაროდ, ისტორია არ განმეორდა. მიზეზი კი არის ის, რომ ამერიკის ელიტას იმთავითვე ასე ჰქონდა გადაწყვეტილი.** სააკაშვილის ამერიკელმა პატრონებმა იცოდნენ, რომ პირველ ეტაპზე ვერ მოხერხდებოდა საქართველოს ხელისუფლების სათავეში ისეთი ძალის მოყვანა, რომელიც წინამორბედის კურსს უცვლელად განაგრძობდა, ამას საზოგადოების მხრიდან წინააღმდეგობა მოჰყვებოდა; ამიტომ დაუშვეს თავის დროზე მმართველ გუნდში ისეთი განსხვავებული სუბიექტის არსებობა, როგორიც ივანიშვილი იყო, და ახლა უკვე ღარიბაშვილია. თუმცა, როგორც ირკვევა, ამ „დაშვებამ“ საქართველოს ამერიკელი „მამებისთვის“ მისია ამოწურა.

ახლა, ჩანს, ამერიკელები თვლიან, რომ ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია მომზადებულია ხელისუფლების შესაცვლელად, ანუ მიაჩნიათ, რომ ხელისუფლების ე. წ. დასავლური ფრთა საკმარისად ადაპტირებულია საზოგადოებრივ გარემოში და განსხვავებული თვალსაზრისის მქონე სუბიექტების არსებობა კოალიციაში საჭირო აღარ არის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი იოლი მისახვედრია, დარტყმის ქვეშ ვინ დგება. ცხადია, ღარიბაშვილი და მისი პოლიტიკური გარანტორი — ივანიშვილი, რომელსაც ეუბნებიან, აიკარი გუდა-ნაბადი და შენს „ოქროს ბიჭუნასთან“ ერთად ასპარეზს (კულისებიდანაც კი) გაეცალეო.

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ **საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამერიკული გეგმა უკვე შეუქცევადია. რესპუბლიკელები, ალასანია და კოალიციის „ლიბერალური“ ფრთის სხვა წარმომადგენლები საიდუმლო სერობას სერობაზე აწყობენ. რაც ყველაზე სახიფათოა, მათ მხარდამხარ, შესაძლოა, „ნაციონალებიც“ ვიხილოთ. ეს არის ერთ-ერთი სცენარი, რომლითაც ქვეყანაში ევრომაიდნის მოწყობა და სააკაშვილის დაბრუნება იგეგმება. მანამდე კი „ქართული ოცნება“ რესპუბლიკელებმა უნდა დატოვონ, თორემ სხვანაირად კოალიციისთვის პრორუსულობის დაბრალება ვერ მოხერხდება.**



## ამერიკული გეგმა უკვე შეუქცევადია — ღარიბაშვილი სამიზნეშია ამოღებული!



რაც შეეხება ღარიბაშვილს, როგორც ჩანს, ის არ აპირებს, კონიუნქტურას დაემორჩილოს და ოკეანისგაღმელ მენტორებს უბრძოლველად დაუთმოს ასპარეზი. ამაზე მისი გულწრფელი განცხადებებიც მეტყველებს, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი მომენტი — **ღარიბაშვილს არ ჰყავს გუნდი, არ ჰყავს იდეოლოგიური დასაყრდენი არც მთავრობაში და არც პარლამენტში. ის მარტოა. ამიტომ მისი ნებისმიერი ნაბიჯი, თუნდაც სწორი და საფუძვლიანი, დასაწყისშივე განწირული იქნება კრახისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ღარიბაშვილის გაძევება პოლიტიკური ველიდან მხოლოდ დროისა და მონდომების საკითხია**.

მკითხველს, ალბათ, აინტერესებს, როგორ აპირებს ვაშინგტონი „ნაცმოძრაობის“, კერძოდ კი სააკაშვლის, დაბრუნებას ხელისუფლებაში.

ის, რომ „ნაცრეჟიმი“ არჩევნებს ვერასოდეს მოიგებს და დემოკრატიული გზით ძალაუფლებას ვერ მოიპოვებს, ალბათ, ყველასთვის გასაგებია. ეს კარგად იციან ამერიკელებმაც და ამიტომ ამ შემთხვევაში დემოკრატიულ პროცესებზე არც არის საუბარი. **მოვლენები დაახლოებით ისეთივე სცენარით უნდა განვითარდეს, როგორითაც განვითარდა უკრაინაში. ლაპარაკია კოალიციიდან „ლიბერალური“ ფრთის გასვლაზე და შემდეგ გაშმაგებულ პროპაგანდაზე, რომ თურმე როგორი „არაპროდასავლურია“ „ქართული ოცნება“.** პირველი ვირთხები, რომლებიც კოალიციას დატოვებენ, სავარაუდოდ, იქნებიან რესპუბლიკელები და ალასანია. შემდეგ მათ მიჰყვებიან ფანჯიკიძე, პეტრიაშვილი და დანარჩენი „წვრილფეხობა“. ამის შემდეგ სააკაშვილის ზონდერჯგუფები დაიწყებენ პროვოკაციებს და მოაწყობენ ცემა-ტყეპას ქუჩაში (ამას უკვე ნაწილობრივ ისედაც აკეთებენ). ერთი სიტყვით, ზემოაღნიშნული სუბიექტები თავიანთ 3 ელექტორატს შეკრავენ და, ფულით მოსყიდულ „მხარდამჭერებსაც რომ შეიერთებენ“, გარკვეული სამოქალაქო ბირთვი შეკოწიწდება. აი, ეს იქნება სწორედ ის დესტრუქციული ძალა, რომელიც უკრაინულ ევრომაიდანს თბილისში გადმოიტანს. შედეგად კი „თეთრი სახლის“ გეგმა, სამხრეთ კავკასიაში მართვადი ქაოსის კერა გააჩინოს, საბოლოოდ ხორცს შეისხამს.

დღეს ამ სცენარის განხორციელებაზე ყველაზე მეტად მიხეილ სააკაშვილი ოცნებობს. მისთვის ეს პოლიტიკური პროცესიც არის და პერსპექტივაც. ამ სცენარის განხორციელების შემთხვევაში, სააკაშვილი აისრულებს ყველაფერს, რაც კი ოდესმე გონებაში გაუვლია, მათ შორის, ოპონენტების განადგურება, საზოგადოების ტერორი და ძალაუფლების უვადოდ შენარჩუნება...

პრობლემა არის ის, რომ ქართველ საზოგადოებას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ერთობლივი პოზიცია არ აქვს. ასე რომ არ იყოს, სააკაშვილის კრიმინალური ბანდა, ხელისუფლებაში დაბრუნების მცდელობას კი არა, გარეთ ცხვირის გამოყოფას ვერ გაბედავდა; ასევე ვერ გაბედავდნენ დესტრუქციულ ქმედებებს ალასანია, რესპუბლიკელები და მარგველაშვილი...

ეჰ, სადღაა ასეთი საზოგადოება, თორემ **სამართალზეც იფიქრებდა კაცი, ოღონდ იმ სამართალზე კი არა, კოტე კუბლაშვილის პირსისხლიანი მოსამართლეები რომ აღადგენენ, არამედ იმ სამართალზე, ხალხი რომ ითხოვს და რომელსაც, აგერ უკვე ორი წელია, ოცდაათ გრანტზე გაყიდული „რესპების“ წყალობით უშედეგოდ ელოდება.**

**ლარიბაშვილს არ ჰყავს გუნდი, არ ჰყავს იდეოლოგიური დასაყრდენი არც მთავრობაში და არც პარლამენტში. ის მარტოა, ამიტომ ღარიბაშვილის ნებისმიერი ნაბიჯი, თუნდაც სწორი და საფუძვლიანი, დასაწყისშივე განწირული იქნება კრახისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ღარიბაშვილის გაძევება პოლიტიკური ველიდან მხოლოდ დროისა და მონდომების საკითხია**

**ჯაბა ჟვანია**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მინისტრმა ალასანიამ ყველა კითხვას უნდა უპასუხოს: რატომ გზავნიდა ფულს დანაშაულებრივ ორგანიზაციაში? რა მიზანი ჰქონდა? რატომ ჰყავდა სამინისტროში ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე ხალხსა და ქვეყნას ანადგურებდნენ?“**



# თუ იცოდა, დამნაშავეა, თუ არ იცოდა — დოყლაპია

# «ალასანიამ უამრავი დამნაშავე შეიფარა»

**28 ოქტომბერს მთავარმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები დააკავა. მათ ბრალი სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვაში ედებათ. დაკავებულნი არიან: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი გიზო ღლონტი; საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჟ-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი ნუგზარ კაიშაური; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი გიორგი ლობჟანიძე; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი არჩილ ალავიძე და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჟ-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი დავით წიფურია.**

**თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების დაკავების მომენტში მინისტრი ირაკლი ალასანია საქართველოში არ იმყოფებოდა, რამაც ქვეყანაში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.**

**ზოგიერთი პოლიტიკოსი ამბობს, რომ პრემიერმა ალასანიას დაასწრო და მანამდე გამოუტანა განაჩენი, სანამ თვითონ ალასანია „დაუდებდა კვანტს“. ამბობენ იმასაც, რომ, თუ სამინისტროს თანამშრომლებს დანაშაული არ დაუმტკიცდათ, ღარიბაშვილს საქმე ცუდად წაუვა. თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ ყველაფრის საქმის კურსში იყო და მის თანამშრომლებს დანაშაული არ ჩაუდენიათ. ალასანიას მხარში დიპლომატიური კორპუსი, რაც მთავარია, ამერიკის ელჩი რიჩარდ ნორლანდი უდგას. იურისტები, აგრეთვე, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები და ანალიტიკოსები მომხდარს სხვადასხვაგვარად აფასებენ.**



**ტრისტან წითელაშვილი, გენერალი:**

— თავდაცვის სამინისტროში მომხდარი ამბავი არ გამკვირვებია. ორი წელიწადია, გავყვირი, თავდაცვის სამინისტროში ბაჩანა ახალაიასა და დავით კეზერაშვილის ხალხი ისევ მაღალ თანამდებობს იკავებენ, სააკაშვილის კადრები კვლავ საბიუჯეტო ორგანიზაციებში სხედან და დიდძალ ფულსაც იპარავენმეთქი, მაგრამ არავინ შეისმინა. **ირაკლი ალასანიამ „ნაციონალების“ ნარჩენები თავისი კალთის ქვეშ შეიფარა. დამნაშავეები, რომლებსაც მინისტრი ხელს აფარებს, მოპარულ თანხებს, ყველა კაპიკს, სააკაშვილის „ობშიაკში“ გზავნიან, შემდგომ კი საბოტაჟისა და არეულობების მოსაწყობად იყენებენ.**

**— დარწმუნებული ხართ, რომ ალასანია უწყობს ხელს ამ საქმეს?**

— დიახ. ასეთი თანხების სამინისტროდან გადინება მინისტრის ნებართვის გარეშე შეუძლებელია. თანხებს მინისტრი განკარგავს და, როდესაც დიდძალ ფულზეა ლაპარაკი, შეუძლებელია, მინისტრის გარეშე ტენდერი ჩატარდეს და რამე ხელშეკრულებაზე ხელი არ მოაწეროს. **ირაკლი ალასანიამ მომხდარზე პასუხისმგებლობა უნდა დაიკისროს, რადგან უზარმაზარი თანხის გაფლანგვაზეა საუბარი... თანაც სად ირიცხებოდა, რომელ ორგანიზაციაში თეთრდებოდა?!**

**ფაქტია, რომ მოხდა ანალოგიური რამ, რაც ხდებოდა ახლაიასა და კეზერაშვილის მინისტრობის პერიოდში. იმხანადაც ზუსტად ასე ირიცხებოდა ბიუჯეტის ფული და მერე იმ ბინძურ საქმეებს ხმარდებოდა, ცხრა წლის განმავლობაში რომ ვიხილეთ.**

რა, თავდაცვის მინისტრი არ უნდა დაინტერესებულიყო, სად მიდიოდა ამხელა თანხა? „სილქნეტი“ ხომ ის ორგანიზაციაა, რომელიც ოჯახების საძინებლებში ამონტაჟებდა სათვალთვალო კამერებს?! თავდაცვის სამინისტროდან „სილქნეტში“ ფულის გადაქაჩვა იმ ჯაჭვური რეაქციის გაგრძელებაა, რომელიც „ნაცების“ მმართველობის პერიოდში იყო. ეს ადამიანები კვლავ შეეცდებიან არეულობის მოწყობას.

**ირაკლი ალასანიას, თუ ზემოქმედებას განიცდიდა და სხვა საშუალება არ ჰქონდა, კაცობა უნდა ჰყოფნოდა და ეთქვა, თავს ზემოთ ძალა არ შემწევს და სამინისტროს ვერ ვაკონტროლებო. ასეთ შემთხვევაში, თავის ხალხთან დადგებოდა და არა საბოტაჟის მომწყობებთან.**

**— უნდა დადგეს თუ არა ალასანიას პასუხისმგებლობის საკითხი?**

— დიახ. და არამხოლოდ იმიტომ, რაც მოხდა, პირველ რიგში იმიტომ, რომ **ალასანიამ უამრავი დამნაშავე შეიფარა, უფრო მეტიც — დააწინაურა. თავდაცვის სამინისტრო ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჯერ არ ყოფილა, იქ ქაოსია. ორი მხარეა დაპირისპირებული — ახალი და ძველი ოფიცრები არაფერს თმობენ და ცდილობენ, ერთმანეთის გაფუჭებას, რაც ქვეყანას დაქცევის პირას მიიყვანს — თავდაცვის უნარი აღარ გვექნება.**

მინისტრმა ალასანიამ ყველა კითხვას უნდა გასცეს პასუხი. რატომ გზავნიდა ფულს დანაშაულებრივ ორგანიზაციაში? რა მიზანი ჰქონდა? რატომ ჰყავდა სამინისტროში ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე ხალხსა და ქვეყნას ანადგურებდნენ?



**ვალერი კვარაცხელია, ანალიტიკოსი:**

— გახსოვთ, ალბათ, ჯერ კიდევ როდის ვთქვი თქვენი გაზეთის ფურცლებზე, რომ ალასანია დასასჯელია. იმხანად, რა თქმა უნდა, არ მქონდა მხედველობაში არმქონის ფინასური დარღვევები და კორუფციული გარიგებები, მაგრამ ახლა, **როდესაც ეს ამბავი შევიტყვე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მინისტრი ყველა შემთხვევაში დასასჯელია. მინისტრი, რომლის უწყებაშიც ამხელა კორუფციაზეა საუბარი, თუ ყველაფერი იცოდა, სისხლის სამართლის დამნაშავეა, და თუ არ იცოდა, დოყლაპიაა და პოლიტიკური სასჯელი ეკუთვნის — სამინისტროდან უნდა გავაძევოთ.** ეს უსიტყვოდ და ძიების გარეშეა განსახორციელებელი. ახლა მეორე — **ირაკლი ალასანია საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მუშაობს,** ის ცდილობს, ხელი შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში რუსეთთან დაპირისპირებული სამხედრო ბლოკის რაკეტების განთავსებას, რომლებიც დამიზნებული იქნება რუსეთზე, რომელსაც მოჰყვება რუსეთის რაკეტების დამიზნება ჩვენს ქვეყანაზე, რაც, საბოლოოდ, საქართველოს განადგურებას გამოიწვევს.

ვერც ალასანია და ვერც მისი პატრონები ამ პროცესს წინ ვერ აღუდგებიან — ეს უნდა ესმოდეს საღად მოაზროვნე თავდაცვის მინისტრს.

**— ბატონო ვალერი, რამდენიმე თვის წინათ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება საქართველოში დემოკრატიული ძალების გაერთიანების თაობაზე და ახლახან თავდაცვის სამინისტროში მომხდარი ერთმანეთს ხომ არ უკავშირდება? სამინისტროდან თანხები „სილქნეტში“ ირიცხებოდა, იქ, სადაც „ზარალაა“, ადამიანი, რომლის სახელიც კეზერაშვილსა და რურუას უკავშირდება.**

— ყველაფერს ერთმანეთს ვუკავშირებ და გონივრული ეჭვიც მაქვს, მაგრამ საჯაროდ ჯერ ვერაფერს ვიტყვი, რადგან ამ ეტაპზე რამე ხელჩასაჭიდი ფაქტი, სამხილი არ მაქვს...

**ისე, გამაოგნებელია რიჩარდ ნორლანდის ასეთი უპრეცენდენტო მხარდაჭერა ექვმიტანილთა მიმართ. ამერიკის ელჩი ერევა ყველაფერში, აკეთებს შეფასებებს და იცის, რა როგორ უნდა განვითარდეს, თითქოს ის იყოს ქართველთა ყველაზე დიდი გულშემატკივარი.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«გამაოგნებელია რიჩარდ ნორლანდის ასეთი უპრეცენდენტო მხარდაჭერა ექვმიტანილთა მიმართ. ამერიკის ელჩი ერევა ყველაფერში, აკეთებს შეფასებებს და იცის, რა როგორ უნდა განვითარდეს, თითქოს ის იყოს ქართველთა ყველაზე დიდი გულშემატკივარი»**

## უნგრეთს ყელში ამოუვიდა ევროკავშირის მითითებები

**უნგრეთის პარლამენტის სპიკერი ლასლო კევერი დაიმუქრა, რომ მისმა ქვეყანამ შეიძლება, ევროკავშირი დატოვოს.** კევერმა განაცხადა, რომ: „თუკი ბრიუსელი კვლავაც განაგრძობს მითითებას, როგორ უნდა იმართებოდეს ქვეყანა, მაშინ ის 1989 წლამდე პერიოდს მოსკოვს დაემსგავსება“. სხვათა შორის, ევროკავშირის გაღიზიანება სწორედ მოსკოვის მიმართ ბუდაპეშტის კეთილგანწყობილი პოზიციით არის გამოწვეული. „ლასლო კევერმა მკაფიოდ გამოხატა თავისი პოზიცია ევროკავშირის ფუნქციონირების პრობლემებზე, ევროპული ფასეულობები ჩვენგან შორს არის, ამიტომ უნდა განვსაზღვროთ ჩვენი მომავალი — გვიღირს თუ არა ევროკავშირში ყოფნა“, — ასე დაუჭირა მხარი ლასლო კევერს ევროპარლამენტარმა უნგრეთიდან — **ტამაშ დოიჩმა**. აღსანიშნავია, რომ უნგრეთის პარლამენტის სპიკერის თვალსაზრისს რუსეთთან ურთიერთობის დათბობაზე იზიარებს ამ ქვეყნის პრემიერმინისტრი **ვიქტორ ორბანიც**, რომელმაც ცოტა ხნის წინათ განაცხადა: **„სანქციების დასავლურმა პოლიტიკამ, რომელიც რუსეთის მოქმედების შედეგია, ჩვენ უფრო მეტად გვავნო, ვიდრე რუსეთს... პოლიტიკაში ამას ეძახიან იმ ტოტის მოჭრას, რომელზეც ზიხარ“.**



**„ადამიანი უნდა გახდეს პირუტყვი, მხეცი, რომლის ქცევასაც არანაირი შემაკავებელი მორალური კოდექსი, შინაგანი ხმა არ ექნება? აი, ასეთი ადამიანი კი, ე.წ. ლიბერალების აზრით, იქნება ჭეშმარიტად თავისუფალი და იგი თავს ბედნიერად იგრძნობს, რადგან მას ცხოველივით შეეძლება სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მშობელთან, შვილთან და ა.შ.“**

ჰკა მაგათა!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ელიზბარ ჯაველიძე: ეს ნორლანდი უკვე ყოველგვარ ზღვარს გადავიდა!

**„საქართველო და მსოფლიო“ განაგრძობს რუბრიკას „ჰკა მაგათა!“ ამჯერად რუბრიკის სტუმარია პუბლიცისტი და მეცნიერი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, რომელიც ფსევდოლიბერალთა „იდეოლოგიას“ დეტალურად აანალიზებს.**

**— ბატონო ელიზბარ, დღეს საქართველოში სიტყვა ლიბერალი ერთგვარ სალანძღავ სიტყვად იქცა. ამ ტერმინის მიღმა საზოგადოების დიდი ნაწილი ეროვნული იდეოლოგიისგან შორს მდგარ, ანტიქართულად და ანტირელიგიურად მოაზროვნე მოქალაქეს გულისხმობს, რომელიც ე. წ. დასავლური ფასეულობების მოტრფიალეა და თავის ისტორიას, წარსულს პატივს არ სცემს. როგორ ფიქრობთ, რატომ გაჩნდა ასეთი განწყობა და, საერთოდ, რა არის თანამედროვე ლიბერალიზმი?**

— ლიბერალიზმი ახალი ცნება არ არის. ის მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან გამოჩნდა და მისი მიმდევრები იმთავითვე უარყოფითად შეაფასეს. ისინი მონათლნენ ადამიანებად, რომლებიც ყველაზე მეტს საუბრობდნენ თავისუფლებაზე, ხოლო საქმით საპირისპიროს აკეთებდნენ.

საქართველოში ეს ოდნავ მოგვიანებით შემოვიდა და, ფაქტობრივად, აქაც ისეთივე ფორმებით, როგორითაც დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში (თუმცა განსხვავება, ცხადია, იყო). ახლა რას ქადაგებს ეს იდეოლოგია: პირველი და უმთავრესი, რასაც ლიბერალიზმი ხაზს უსვამს, ადამიანის, პიროვნების თავისუფლებაა. ერთი შეხედვით, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ საკითხავია, რას გულისხმობენ ისინი თავისუფლებაში. მათთვის თავისუფლება არის ყოველგვარი მორალის, ზნეობრივი იდეალების ჩარჩოებიდან გამოსვლა, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ისინი ამბობენ, ადამიანი უბედურია, რადგან მას ბოჭავს და აფერხებს ზნეობრივი პრინციპები, ამიტომ ამისგან სრულად უნდა გათავისუფლდესო. რა გამოდის? **ადამიანი უნდა გახდეს პირუტყვი, მხეცი, რომლის ქცევასაც არანაირი შემაკავებელი მორალური კოდექსი, შინაგანი ხმა არ ექნება? აი, ასეთი ადამიანი კი, ე.წ. ლიბერალების აზრით, იქნება ჭეშმარიტად თავისუფალი და იგი თავს ბედნიერად იგრძნობს, რადგან მას ცხოველივით შეეძლება სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მშობელთან, შვილთან და ა.შ.**

**— დასავლეთი? დასავლეთი ამ იდეოლოგიაზე დგას?**

— რა თქმა უნდა. **დღევანდელი ევროპული ლიბერალიზმის ძირითადი აზრი არის ის, რომ სქესობრივი ცხოვრება უნდა იყოს აბსოლუტურად თავისუფალი და მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს ე.წ. ქალიშვილობის ინსტიტუტს.** ამ მიზნით, მეოცე საუკუნეში გამოიცა სამი ჰუმანიტარული მანიფესტი, რომლებშიც პირდაპირ ეწერა, რომ ადამიანს აქვს თავისუფალი სქესის უფლება. ეს ყველაფერი კი ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა, — არ უნდა არსებულიყო განსხვავება სექსუალური გადახრის მქონესა და ჯანმრთელ მოქალაქეებს შორის. აი, ეს ავადმყოფური აზროვნება მოედო შემდეგ ევროპას, რომელიც დღეს სწორედ ამ ავადმყოფური აზროვნებით ცხოვრობს.

**— საქართველოში რა ეტაპზეა ეს აზროვნება?**

— საქართველოში ახლა მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლა ამ იდეოლოგიის დასამკვიდრებლად. **ტელევიზიები — „რუსთავი 2“, „იმედი“ და, რაც განსაკუთრებით გამაღიზიანებელია, საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც თითოეული ჩვენგანის ჯიბიდან ფინანსდება, ამ იდეოლოგიას ყურმოჭრილი მონებივით ემსახურებიან.** მათი სამიზნეა ახალგაზრდები, დაწყებული პირველი კლასის მოსწავლით, დამთავრებული სტუდენტებით. მათ ტვინს ურეცხავენ, ამიტომ მშობლები უნდა იყვნენ ფხიზლად, თაობა რომ არ გაირყვნას და საბოლოოდ არ დაიკარგოს.

ახლა რაც შეეხება ხელისუფლების მოქმედებას, **საფრანგეთის მაგალითს გავიხსენებ: იქ ერთსქესიანთა ქორწინების ოფიციალურად დაკანონებამდე ათი წლით ადრე მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი. ჩვენ შემთხვევაში კი, ბევრად გაცილებით მალე მიიღებენ კანონს, რომლითაც ერთსქესიანთა ქორწინება იქნება დაშვებული. აი, ამას მოგვიტანს ამათი ე. წ. ლიბერალიზმი... აი, მერე ნახეთ გადაგვარება.**

**— „ლიბერალები“ ხშირად ამბობენ, ილია ჭავჭავაძეც ლიბერალი იყოო. რას უპასუხებთ მათ?**

— ამას ამბობენ რესპუბლიკელები, ბერძენიშვილი იმეორებს ხშირად. რა უნდა ვუპასუხო?! ილიას ლიბერალობა რაში გამოიხატებოდა: **ყველაზე დიდი ლიბერალი არის ის, ვინც ფიქრობს და იბრძვის ერის თვითმყოფადობისა და ვინაობის გადასარჩენად. ახლა ვინმე მეტყვის, რომ რესპუბლიკელებიც ამაზე ფიქრობენ და ამისთვის იბრძვიან?!**

**«აშშ-ის ელჩმა თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების დაკავებაზე განაცხადა, ჩვენ სრულიად ვენდობითო ამ უწყებას. ვინ გკითხავს შენ, შე გათახსირებულო?!.. თუ ამერიკა ჩვენი დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის იბრძვის, მაშინ სააკაშვილი როგორღა გამოაცხადა დემოკრატიის შუქურად?!»**

**— აბა, რისთვის იბრძვიან?**

— ისინი მონები არიან ამ ე. წ. ნეოლიბერალური იდეოლოგიისა. კიდევ ვიმეორებ: ეს არის დამღუპველი იდეოლოგია ქვეყნისთვის, ამათი ლიბერალიზმი დღეს მიდის იქით, რომ, საერთოდ, გაქრეს ცნება სამშობლო.

**— რა ძალები დგანან ამ ყველაფრის უკან?**

— ცხადია, **ეს არის ამერიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომლის ძალისხმევაც მიმართულია იქით, რომ მოსპოს ეროვნული იდენტობა. ისინი მოდიან და გეუბნებიან: მე მოვდივარ თავისუფლების, დემოკრატიის პრინციპების გასავრცელებლად და შენ რომ ხარ დახურულ სივრცეში, როგორც სოროსი ამბობდა, მინდა, იქიდან თავისუფალ სივრცეში გაგიყვანოო.** ახლა რას ნიშნავს მათთვის ღია სივრცე: ეს არის ის, რაც დასაწყისში ვთქვით, რომ ადამიანს მორალური შეზღუდვები აღარ უნდა ჰქონდეს. ამაში რაც ხელს შეუშლით, ყველაფერს მოსპობენ და გაანადგურებენ. ასე რომ, **აქ ახლა მიმდინარეობს გადაგვარების პროცესი, რომელიც, თუ მათი გამარჯვებით დასრულდა, ჩათვალეთ, რომ საქართველო აღარ იარსებებს.**

**— თუ ასეა, რატომ არის დღეს ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი პროდასავლური? ყოველ შემთხვევაში მოსახლეობა არ გამოხატავს პროტესტს ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის გამო.**

— ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ ქართველი საზოგადოება არასდროს ყოფილა პროდასავლური. **ჩვენმა საზოგადოებამ, უბრალოდ, არ იცის, რეალურად როგორია თანამედროვე დასავლეთი იმიტომ, რომ ის დღეს, ფაქტობრივად, ზომბირებულია ამ ე. წ. ლიბერალების აღვირახსნილი პროპაგანდით. ნახეთ, რა ხდება: დემოკრატიაზე გელაპარაკებიან და თითს გიქნევენ, — ასე და ასე მოიქეციო. ჩვენ რასაც გეტყვით, იმას თუ არ იზამთ, დედას გიტირებთო. ეს ნორლანდი კი უკვე ყოველგვარ ზღვარს გადავიდა.** აშშ-ის ელჩმა ამას წინათ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების დაკავებაზე განაცხადა, ჩვენ სრულიად ვენდობითო ამ უწყებას. ვინ გკითხავს შენ, შე გათახსირებულო?!.. **თუ ამერიკა ჩვენი დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის იბრძვის, მაშინ სააკაშვილი როგორღა გამოაცხადა დემოკრატიის შუქურად?! ეს ხომ უკვე ცხადყოფს, რომ ამ ხალხს დემოკრატიაც ფეხებზე ჰკიდიათ და საქართველოც, მათ აინტერესებთ მხოლოდ ის, რომ ეს ქვეყანა ჰყავდეთ სატელიტად და პოლიგონად, როცა დასჭირდებათ.**

**— თქვით, რომ თანამედროვე დასავლური ლიბერალიზმი ქადაგებს ადამიანის უსაზღვრო თავისუფლებას, რომელიც თავისთავად გულისხმობს ზნეობრივი ჩარჩოებისგან გასვლასაც. მოდი, მკითხველს დავუკონკრეტოთ, რა ძალები არიან საქართველოში ამ იდეოლოგიის მედროშენი?**

— თავის დროზე ეს პროცესი დაიწყო შევარდნაძემ, როდესაც მოხდა ეროვნული მოძრაობის განადგურება და ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობა. შემდეგ განაგრძო შევარდნაძის პოლიტიკურმა ნაშიერმა სააკაშვილმა და ამ ნაძირალამ უკვე ღიად მიჰყო ხელი ქართული ეროვნული ცნობიერების დისკრედიტაციას. ის იყო ამერიკელთა ყველა დაკვეთის უბადლო შემსრულებელი. ამიტომაა, რომ ისინი დღემდე ვერ ელევიან ამ ცოცხალ ლეშს...

**— დღეს ვინ განაგრობს „ლიბერალურ“ იდეოლოგიას, ვინ არის „ქართულ ოცნებაში“ ამ ყველაფრის ლოკომოტივი?**

— რა თქმა უნდა, ესენი არიან რესპუბლიკელები პარლამენტში. ეს არის გიორგი მარგველაშვილი, რომელიც ასევე ამ თამაშშია ჩართული და ეს არის ირაკლი ალასანია. აი, ესენი არიან ამერიკისგან მართული სუბიექტები და იქიდან იღებენ მითითებებს — სად, როგორ და რა სტრატეგიით იმოქმედონ. რაც შეეხება ივანიშვილს, ის, უბრალოდ, აიძულეს, რომ ესენი მოეყვანა ხელისუფლებაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თვითონაც არ ფიქრობდა, ასე მკაცრად თუ წაუჭერდნენ ხელს... როგორც ჩანს, შეცდა და, საუბედუროდ, ეს შეცდომა მომავალში ძალიან ძვირი დაუჯდება ქართულ სახელმწიფოს...

**— რას გულისხმობთ?**

— **ეს რესპუბლიკელები, ალასანია, მარგველაშვილი და ფსევდოლიბერალიზმის სენით შეპყრობილი სხვა სუბიექტები იქამდე არ მოისვენებენ, ვიდრე სააკაშვილის კრიმინალურ პარტიას არ გააცოცხლებენ. შეხედეთ, რა ხდება: უკვე აქციებსა და მიტინგებზე საუბრობენ ეს ყაჩაღები, კაცისმკვლელები. თუ ამათ ხელისუფლება არ გაასამართლებს, საჯაროდ უნდა გაასამართლოს ქართველმა ხალხმა!** „ნაცებს“ არათუ პოლიტიკური სუბიექტის სახით არსებობა, არამედ ქუჩაში გამოსვლა უნდა აეკრძალოთ!

**— არ ფიქრობთ, რომ ამ ყველაფერმა, შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიგვიყვანოს?**

— თუ ესენი კანონის სრული სიმკაცრით არ დაისჯებიან, მერე ნახავთ სამოქალაქო დაპირისპირებას! და, საერთოდ, **რა დაპირისპირებაზე ვსაუბრობთ? ამაზე მეტი დაპირისპირება რაღა გინდათ, ვერ ხედავთ, ნაციონალების ზონდერჯგუფები უკვე რას აკეთებენ?! მერწმუნეთ, თუ მათ ხალხმა განაჩენი არ გამოუტანა, ევრომაიდანსაც მოაწყობენ, ადამიანებსაც შეაკლავენ ერთმანეთს და ქვეყანას მიწასთან გაასწორებენ. მერე გამოვა რომელიმე ამერიკელი მაღალჩინოსანი და იტყვის, — ეს ქართულ დემოკრატიას სჭირდებოდაო.** ამის მაგალითები გვაქვს უახლოეს წარსულში, თუნდაც აშშ-ის ელჩის, ჯონ ბასის განცხადება რად ღირს 26 მაისის მოვლენებზე. მოკლედ, აქ უკვე ლინჩის წესი შეიძლება გამოიყენოს ქართველმა ხალხმა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს დათმობა. ერთს გაგვილახავენ? — ოცი უნდა გავულახოთ. მათთან არ შეიძლება კომპრომისი და უკან დახევა.

რაც შეეხება ლიბერალიზმს და ე. წ. ლიბერალურ იდეოლოგიას, მათ **ჰგონიათ, რომ მსოფლიო მოქალაქეები არიან და ვითომ გლობალურად აზროვნებენ, მაგრამ სინამდვილეში ესენი არიან ღამურები. მათ საქართველო არასდროს მიიღებს. ასე რომ, დღეს ეს ქვეყანა იყოფა ორად — ნორმალურ მამრებად და პედერასტებად.** აი, ასე უნდა გავმიჯნოთ, — სად დავდგეთ ჩვენ. ხოლო ის ლიბერალური ლოზუნგები, ბოდიში და, ერთ ადგილას მიიწებონ...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მსოფლიო

## ობამა იმპიჩმენტის საფრთხის წინაშე



**„თუ დემოკრატიული პარტია 4 ნოემბერს დანიშნულ კონგრესის შუალედურ არჩევნებში დამარცხდება, პრეზიდენტი ობამა იმპიჩმენტის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება“, — განაცხადა სენატში დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა ლიდერმა ჰარი რიდმა.** „გულწრფელად რომ ვთქვა, სენატში რესპუბლიკელების წარმომადგენლობას შეუძლია, არა მხოლოდ შეაჩეროს მთავრობის მუშაობა, არამედ პრეზიდენტისთვის იმპიჩმენტის მოწყობაც სცადოს“, — აღნიშნა სენატორმა რიდმა თანაპარტიელებისა და მხარდამჭერებისადმი მიმართვაში. ამერიკელი ანალიტიკოსების აზრით, 4 ნოემბრის არჩევნების შემდეგ რესპუბლიკელები განიმტკიცებენ პოზიციებს კონგრესში. მათ უკვე აქვთ უპირატესობა წარმომადგენელთა პალატაში და, თუ კიდევ დამატებით 6 ადგილს მოიპოვებენ, ამჟამინდელი ოპოზიცია კონტროლს სრულიად კონგრესზე დაამყარებს. მოვლენების ასე განვითარების შემთხვევაში კი ობამას ადმინისტრაცია საკანონმდებლო ინიციატივას დაკარგავს.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რესპუბლიკელებმა თავის დროზე ისე დააჴვიეს ბიძინა ივანიშვილს თავბრუ, რომ აღარ იკმარეს ბერძენიშვილის მოწოდება, — „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიის გადარჩენააო, და ანტიდისკრიმინაციული კანონიც გაიტანეს. ახლა კი ცდილობენ, ე. წ. იუვენალური სამართალი შემოგვტენონ“.**



ლადო სადღობელაშვილი:

# ირაკლი ალასანიას ძალიან უყვარს ფული და «გულაობა»

**ახალგაზრდული ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ ლიდერი ლადო სადღობელაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 15 ნოემბერს დაანონსებულ საპროტესტო აქციას ეხმაურება და იმის შესახებ გვესაუბრება, რეალურად რას გეგმავენ „ნაცმოძრაობის“ წევრები.**

**— 15 ნოემბერს, „ნაცმოძრაობის“ აქციის პარალელურად, კონტრაქციის გამართვას აპირებთ?**

— ეს მცდარი ინფორმაციაა, რომელიც სოციალური ქსელით გავრცელდა. „თავისუფალი თაობა“ დაელოდება მოვლენების განვითარებას, რადგან ვიცი, რა გეგმებიც აქვს „ნაცმოძრაობას“ ამ აქციის შემდეგ. **„ნაცები“ 15 ნოემბერს გამართავენ აქციას, მაგრამ იმ დღეს მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება. მეორე და მესამე დღეს კი შეეცდებიან ტემპერატურის აწევას და ისეთ რაღაცას ჩაიდენენ, რომ მათი ერთ-ერთი ლიდერი თავს დააპატიმრებინებს სამართალდამცავებს, რაზეც ატეხენ განგაშს, — ხელისუფლებამ „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური დევნა დაიწყოო, რომელსაც მოჰყვება შიმშილობა და ა.შ.** ამ ინფორმაციამ „ნაცმოძრაობის“ შტაბიდან გამოჟონა. მოდით, პირდაპირ ვთქვათ: **მიყრუებული სოფლიდან გაჭირვებულ ადამიანს რომ შესთავაზებ, თბილისში შიმშილობის სანაცვლოდ დღეში 20 ლარს გადაგიხდიო, ამ წინადადებას, დიდი ალბათობით, დათანხმდება. მაქვს ინფორმაცია, რომ სამეგრელოდან საშიმშილოდ ჩამოდიან ახალაიების მიერ შექმნილი დაჯგუფებების წარმომადგენლები.** მოკლედ, **„ნაცმოძრაობას“ ჰყოფნის თავხედობა და 15 ნოემბერს რუსთაველზე, პარლამენტის წინ, სწორედ იქ მართავს აქციას, სადაც 7 ნოემბერს და 26 მაისს ქართველი ხალხის სისხლი დაღვარეს და ერის წინაშე ჩაიდინეს უმძიმესი დანაშაული.** დიახ, „ნაცმოძრაობა“, რომელიც გლდანის ნაგავსაყრელთან ასოცირდება, რუსთაველის პროსპექტზე აპირებს ნაგავსაყრელის მოწყობას. ეს ნაგვის ბუნკერი რუსთაველზე აპირებს გადმობარგებას და მის მიერ გამწარებული ხალხის კიდევ უფრო გაღიზიანებას. ეს კი „ნაცებს“ ხელს აძლევს — ამით უფრო მეტი პროვოკაციის მოწყობის საშუალება მიეცემათ. ეს შს სამინისტროსა და პრემიერმინისტრის პირდაპირი გამოწვევაა, ამიტომ სწორედ მათ უნდა მოახერხონ ამ პროცესის განეიტრალება. პირობას ვდებ, რომ **15 ნოემბერს ნაცნაგავს არ გავეკარები და არ მივცემ პროვოკაციის მოწყობის საშუალებას, მაგრამ, თუ მათი აქცია პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და გამოსვლებს 23 ნოემბრამდე, ანუ „ვარდების რევოლუციის“ 11 წლისთავამდე გააჭიანურებენ, არ არის გამორიცხული, კონტრაქცია გავმართოთ,** ოღონდ კანონის დაცვით. აბა, **ვის რად უნდა ნაგავსაყრელი თბილისის ცენტრში?!** ეს ხომ ერის შეურაცხყოფაა, თანაც, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რა მოტივითაც უნდა გამართონ ეს აქცია. თურმე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხების გადაწყვეტაში დღევანდელი ხელისუფლება ყოფილა უძლური. არადა, **ნაცრეჟიმის 9-წლიან პერიოდში, განსაკუთრებით — 2008 წელს, ჯერ კოდორის ხეობა და შემდეგ ე. წ. სამხრეთ ოსეთი სწორედ სააკაშვილმა არ გადააბარა რუსეთს?!** ამის შემდეგ „ნაცებს“ ჰყოფნით თავხედობა და კიდევ ბევრს ლაპარაკობენ! „ნაცები“ ამდენს რომ ბედავენ, დღევანდელი ხელისუფლების იმ ნაწილის ბრალია, რომელიც ამბობს, რომ „ნაცმოძრაობის“ გადარჩენა საქართველოში დემოკრატიის გადარჩენაა. **ის, რომ „ნაცმოძრაობა“ — დამნაშავე რეჟიმი — არ ჩამოშორდა პოლიტიკას, რესპუბლიკური პარტიისა და ირაკლი ალასანიას გუნდის იმ წევრების ბრალია, რომლებიც თანამშრომლობენ „ნაცმოძრაობასთან“;** მეტიც, ჩახუტებულებიც კი არიან მასთან. **დღეს საქართველოს ხელისუფლებაში რესპუბლიკელებისა და ალასანიას სახით ნაღმია ჩადებული.** „ნაციონალების“ გადარჩენა სწორედ ამ ხალხმა მოახერხა. ისე, არც ის არის გამორიცხული, რომ „ნაცების“ საბოლოოდ გაფეტიშებას გიორგი მარგველაშვილმა შეუწყოს ხელი.

**— რას გულისხმობთ?**

— „ნაციონალი“ მიშა მაჭავარიანის ძმა რომ გეყოლება მრჩევლად და ნაცმინისტრები — მეგობრებად, სხვა რა უნდა იფიქრო?! მართალია, მარგველაშვილმა განაცხადა, ყველას პრეზიდენტი ვიქნებიო, მაგრამ ამ ყველაში არ უნდა იგულისხმო ქვეყნის მოღალატე, კრიმინალური „ნაცმოძრაობა“.

**— „თავისუფალი ზონა“ დიდად აღარ აქტიურობს...**

— **„თავისუფალი ზონა“ დღეს აღარ არსებობს, რადგან მისი წევრები „ნაცმოძრაობასა“ და ამ კრიმინალური დაჯგუფების სხვადასხვა ორგანიზაციაში გადანაწილდნენ.** ეს „თავისუფალი თაობის“ ერთგვარი დამსახურებაა, რადგან ჩვენი გამოჩენიდან ერთ თვეში „თავისუფალი ზონა“ ჩამოვწერეთ. სხვათა შორის, ამაში „ნაცმოძრაობაც“ დაგვეხმარა — სწორედ მათ გაწირეს „თავისუფალი ზონის“ ლიდერი კობა ხაბაზი. ის გამოიყენეს და სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდეს. მოგეხსენებათ, „ნაცმოელებს“ ეხერხებათ ერთმანეთის გაწირვა და ერთმანეთის ხარჯზე ქულების დაწერა. პრინციპში, **ხაბაზზე ყურადღების გადატანა არც ღირს, რადგან ორი წიგნიც არ აქვს წაკითხული, ერთუჯრედიანი არსებაა.**

**— ცოტა ხნის წინათ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას ოთხი თანამშრომელი დააკავეს კორუფციული გარიგების ბრალდებით...**

— როგორც ცნობილია, 8 ნოემბერს ალასანია თავისი პარტიის ყრილობის გამართვას აპირებს. თუ ვის წინაშე აპირებს ძალების დემონსტრირებას, რთული მისახვედრი არ არის: ერთი არის ირაკლი ღარიბაშვილი, ხოლო მეორე — დასავლეთი, რათა დაანახვოს, რა პოტენციალი აქვს ამ ორგანიზაციას. არადა, თავდაცვის სამინისტროში განვითარებული მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ალასანიას იოტისოდენი თავმოყვარეობა მაინც თუ აქვს, მინისტრის პოსტიდან უნდა გადადგეს. მას მოქმედების ორი ვარიანტი აქვს — ან უნდა თქვას, რომ არ გადადგება და ამით აღიაროს, რომ ამ კორუფციის მონაწილეა, ან გადადგეს და ხელი შეაწმინდის იმ ოთხ ადამიანს, რომლებიც დაკავებული არიან. **როგორ წარმოგიდგენიათ, მინისტრის გარეშე მისი ოთხი თანამშრომელი შეძლებდა კორუფციული სქემის ამუშავებას? თანაც ცნობილია, რომ ირაკლი ალასანიას ძალიან უყვარს ფული და „გულაობა“.**



# «საქართველოს ხელისუფლებაში რესპუბლიკელებისა და ალასანიას სახით ნაღმია ჩადებული»

**— რას ფიქრობთ იუვენალური სამართლის შესახებ? საზოგადოების ნაწილის აზრით, ხელისუფლება ამ საკითხზე კანონის შემოღებას აპირებს...**

— რესპუბლიკელები ახლა ამის შემოტენას ცდილობენ, ისევე, როგორც შემოგვტენეს ანტიდისკრიმინაციული კანონი. **ვინ არის დღეს ყველაზე დიდი გრანტიჭამია არასამთავრობო ორგანიზაცია? — რა თქმა უნდა, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, რომლის ხელმძღვანელებიც იყვნენ თინა ხიდაშელი და მისი მეუღლე. დღეს კი თითქმის ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას რესპუბლიკური პარტია აკონტროლებს.** რესპუბლიკელებმა თავის დროზე ისე დაახვიეს ბიძინა ივანიშვილს თავბრუ, რომ აღარ იკმარეს ბერძენიშვილის მოწოდება, — „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიის გადარჩენააო, და შემდეგ ანტიდისკრიმინაციული კანონიც გაიტანეს; ახლა კი ცდილობენ, ე. წ. იუვენალური სამართალი შემოგვტენონ. ამ ყველაფრის ფუძემდებლები არიან რესპუბლიკელები, რომლებსაც ისიც ვერ გაურკვევიათ, რომელი ეროვნებისა და სქესის წარმომადგენლები არიან. იმედი მაქვს, მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ამ ადამიანებს საერთოდ აღარ ვიხილავთ პარლამენტსა და საკრებულოში.

# «ნაცმოძრაობას» ჰყოფნის თავხედობა და 15 ნოემბერს რუსთაველზე, პარლამენტის წინ, სწორედ იქ მართავს აქციას, სადაც 7 ნოემბერს და 26 მაისს ქართველი ხალხის სისხლი დაღვარეს და ერის წინაშე ჩაიდინეს უმძიმესი დანაშაულები»

**— სააკაშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისთვის მიცემულ ბოლო ინტერვიუში...ხელისუფლებაში დაბრუნებაზე ილაპარაკა...**

— სააკაშვილის ამ ინტერვიუთი, რომელსაც ყველაზე აქტუალური საეთერო დრო დაეთმო, ტვინის გამორეცხვა ჩაგვიტარა „რუსთავი 2“-მა. იმას თუ დააკვირდით, სააკაშვილი ორი საათის განმავლობაში უჩვეულოდ დაწყნარებული და დამშვიდებული რომ ლაპარაკობდა? ალბათ, რაღაც საშუალებები გამოიყენა და იმიტომ იყო უჩვეულოდ მშვიდი. **დარწმუნებული ვარ, „რუსთავი 2“-მა სამი დღე მოანდომა სააკაშვილის ამ ინტერვიუს ჩაწერას, რათა ეს ნაგიჟარი მშვიდი, დალაგებული და პატრიოტი წარმოეჩინა, რათა მისი მოსმენის შემდეგ ბევრს დაუფლებოდა განცდა, რომ საქართველოს ჰყავს გმირი, დევნილი პრეზიდენტი, რომელიც პატრიოტობის გამო განდევნეს რუსეთუმეებმა საქართველოდან.** სააკაშვილი თავის ყველა გამოსვლაში მხოლოდ ივანიშვილსა და ღარიბაშვილს ლანძღავს და პრეზიდენტ მარგველაშვილზე ხმას არ იღებს. პირიქით, ამბობს, როგორ აკინინებენ პრეზიდენტს, — ხალხნო, არ გეცოდებათო?! სააკაშვილი მარგველაშვილს ყოველთვის იცავს. **კოჰაბიტაციამ, რესპუბლიკელებმა და ლოზუნგმა — „ნაციონალების გადარჩენა დემოკრატიის გადარჩენას ნიშნავსო“, მიგვიყვანა იქამდე, რომ დღეს მოღალატე და ქვეყნიდან გაქცეული სააკაშვილი ქართველ ხალხს გმირად მოევლინა.**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

---

ამბები

## მოქალაქეებმა იარაღი და საბრძოლო მასალა ჩააბარეს

**სამცხე-ჯავახეთში მოქალაქეებმა დიდი ოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა სამართალდამცველებს ჩააბარეს.** სულ ჩაბარებულია: „ა-კა-ეს“-ის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, გადაჭრილი ორლულიანი სანადირო თოფი, ე. წ. აბრეზი, სხვადასხვა ტიპის 1220 ვაზნა, 4 ჭურვი, 44 ამფეთქი კაფსულა, სხვადასხვა ტიპის 8 ხელყუმბარა, „ერ-პე-გე“-ს ტიპის 14 ყუმბარმტყორცნი, ნაღმმტყორცნის 3 ნაღმი, 3 სასიგნალო რაკეტა, ტყვიამფრქვევის დასადგამი 3 ფეხი, ნაღმის 2 კაფსულა და „ა-კა-ეს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 3 მჭიდი.



## საკრებულომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირს ბერი გაბრიელის სახელი დაარქვა

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირს ბერი გაბრიელის სახელი დაერქვა, ხოლო ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი — იპოდრომთან მდებრე ერთ-ერთ გზატკეცილს.

„უკეთესობა შესამჩნევი გახდება, თუკი თანხები ქკვიანურად იქნება გამოყენებული, თუკი ხელისუფლება უფრო მეტ ეკონომიას გააკეთებს თავისი ხარჯების გაღების მხრივ და მეტ ფინანსებს მოახმარს როგორც სოციალურ რესურსებს, ასევე ეკონომიკურსაც.“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



იოსებ არჩვაძე:

# სამთავრობო მომსახურებაზე, ხელისუფალთა ხარჯებზე, მთლიანი შიგა პროდუქტის 8,5% მოდის. ეს 2,7 მილიარდ ლარზე მეტია!

**რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის წინაშე მოხსენებით გამოსვლა ტელეკომპანიებმა პირდაპირ ეთერში გააშუქეს. ამით ხალხს შესაძლებლობა მიეცა, გაეგო მთავრობის მიერ ორ წელიწადში გატარებული, ასე ვთქვათ, მნიშვნელოვანი ცვლილებების თაობაზე, რომლებიც რატომღაც არავის უგრძვნია.**
**პრემიერი თითქმის ყველა დარგს შეეხო, მაგრამ ხალხის განსაკუთრებული ყურადღება ეკონომიკურმა საკითხებმა მიიპყრო. ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მთლიანი შიგა პროდუქტი 6%-ით გაიზარდა. თუმცა ეკონომიკის ექსპერტები ამბობენ, რომ ბიზნესის განვითარებამ 7%-ით იკლო. დაზარალებული და ქონებაწართმეული ბიზნესმენები წერილს წერილზე უგზავნიან პრემიერს, მაგრამ პასუხი არ ჩანს...**
**პროფესორმა და პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ ასეთი რამ თქვა: „ეროვნული ეკონომიკა არ გვაქვს, იგი განადგურდა ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში, ხოლო ნარჩენებს სააკაშვილმა მოუღო ბოლო. ყველა იმაზე შფოთავდა, რომ სააკაშვილმა ვიღაც გომბიო, რომელსაც მხოლოდ მამის თონის მართვის გამოცდილება ჰქონდა, ქვეყნის ეკონომიკის მინისტრად დანიშნა. როდესაც არ გაქვს ეკონომიკა და არც აღორძინების პერსპექტივა, ეკონომიკის მინისტრობას გაწვრთნილი მაიმუნიც შეძლებს. ეკონომიკა — ეს არის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა განვითარებული შიგა ბაზრითა და კონკურენტუნარიანი პროდუქციით“ (იხ. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 8-14 ოქტომბერი, №36).**
**გვაქვს თუ არა სინამდვილეში ეკონომიკა?**
**რა კრიტერიუმით საზღვრავენ მშპ-ს ზრდას ქვეყნის ხელისუფლებაში და რა რეალობის წინაშე ვდგავართ?— ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ეკონომისტი იოსებ არჩვაძე ესაუბრა.**



**«ყოველწლიურად მილიარდი დოლარი გაედინება საქართველოდან იმის გამო, რომ არ გვაქვს საკმარისი გამოცდილება, ტექნოლოგია, აღჭურვილობა, რათა შევძლოთ მეტი პროდუქციის წარმოება. ერთი ოჯახი სოფლად იმდენ დოვლათს ქმნის, რამდენიც 2 ადამიანის გამოსაკვებად არის საკმარისი, მაშინ, როდესაც ევროკავშირში ეს მაჩვენებელი 63-ის ტოლია, ამერიკაში — 79-ის და ისრაელში — 95-ის»**

**— ბატონო სოსო, მეც მინდა ცხოვრება იმ ეკონომიკურად აყვავებულ საქართველოში, რომელზეც პრემიერმა ისაუბრა... მართლა ასე კარგად გვაქვს საქმე?**

— ამ შემთხვევაში ორ სხვადასხვა ინდიკატორთან გვაქვს საქმე: პრემიერი მთლიან შიგა პროდუქტზე საუბრობდა. გარკვეულწილად **მთლიან შიგა პროდუქტში საქართველოს მმართველობა აისახება, უფრო გასაგები რომ იყოს, გეტყვით: პოლიციელს რაც მეტ ფულს გადავუხდით, მით მეტი იქნება ქვეყნის შიგა პროდუქტი, მაგრამ ამით ჩვენი დოვლათი არ გაიზრდება. 2007 წელს ლოჯიების მონგრევის კამპანია რომ მიმდინარეობდა, რაც მეტ ლოჯიას მოანგრევდნენ და მეტ პრემიას მისცემდნენ თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებს, მეტი მთლიანი შიგა პროდუქტი იქმნებოდა, ამით კი ჩვენი რეალური კეთილდღეობა მცირდებოდა.**

მთლიან შიგა პროდუქტში ზის, აგრეთვე, კერძო სახლებში მცხოვრები ოჯახების რენტა, რომელიც, ჯამში, 800 მილიონ ლარზე მეტი გამოდის. მოკლედ, ბევრი პირობითობა, დაანგარიშება და სხვა ფაქტორები მონაწილეობს ეკონომიკაში ისეთი, რომელთა მსგავსი ბიზნესსფეროში არ არის.

**ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, რეალურ სექტორს, რომელშიც მატერიალური ფორმით იქმნება დოვლათი, მესამედზე ნაკლები უკავია — დაახლოებით 32%; დანარჩენი მომსახურებაზე მოდის, მათ შორის, სამთავრობო მომსახურებაზე, ხელისუფალთა ხარჯებზე, რაც, დამეთანხმებით, საკმაოდ დიდი თანხაა — მთლიანი შიგა პროდუქტის 8,5%. ეს არის 2,7 მილიარდ ლარზე მეტი.**

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანა გაჭირვებულ მდგომარეობაშია, მაგრამ **უკეთესობა შესამჩნევი გახდება, თუკი თანხები ჭკვიანურად იქნება გამოყენებული, თუკი ხელისუფლება უფრო მეტ ეკონომიას გააკეთებს თავისი ხარჯების გაღების მხრივ და მეტ ფინანსებს მოახმარს როგორც სოციალურ რესურსებს, ასევე ეკონომიკურსაც.**

რეიტინგების მოტანა არაფერს ნიშნავს. ამ რეიტინგებით წლების განმავლობაში წინ მივდიოდით, ახლა კი უკან დავიხიეთ და არცთუ სახარბიელო ადგილზე ვართ. ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყანა ჩვენზე გაცილებით წინ არის. იმის თქმა, რომ ეკონომიკა არ არის, მთლად მართებული არ იქნება, რადგან ბიუჯეტში სახსრების მობილიზება მაინც ხდება, მაგრამ სახსრები ძალიან მცირეა, ასეთ პირობებში წარმატებით ვერ გადავჭრით ამოცანებს.

მთავრობამ ნელ-ნელა გაზარდა ბიუჯეტში სოციალური ხარჯების მოცულობა. რომ ავიღოთ განათლება, ჯანდაცვა და საპენსიო დახმარებები, — ეს არის ბიუჯეტის 45%, მაშინ, როდესაც ევროკავშირში ანალოგიური მაჩვენებელი 68%-ია. **პრემიერმა თქვა, მილიარდი ლარით გავზარდეთ სოციალური ხარჯებიო და ეს მართლაც ასეა, თუმცა ესეც არის იმის ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიზეზი, რომ ზრდის მოკრძალებული ტემპი გვაქვს. თუ ეკონომიკაში დებ სახსრებს, გაქვს შანსი, რომ დღევანდელი ეკონომიის ხარჯზე ეკონომიკა განავითარო; თუ მიმდინარე მოხმარებაზე ჩადებ, მაშინ ამცირებ ხვალინდელი ზრდის პერსპექტივასა და შანსს, ამიტომ საამაყო არ არის, რომ 1 მილიარდი ლარით გაიზარდა სოციალური დახმარება, რადგან ეს უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. სხვა საქმეა ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობის მორალური მხარდაჭერა, მაგრამ ასე წინ ვერ წავალთ.**

ბიზნესისა და ეკონომიკის ზრდაზე საუბარს, სჯობს, იმაზე ვისაუბროთ, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი თუ არის ის ყველაფერი, რაზეც პრემიერმა ილაპარაკა.

ჩვენი ეკონომიკის ყველაზე სუსტი რგოლი სოფლის მეურნეობაა; ცდილობენ, ამ დარგის განვითარებას ხელი შეუწყონ, მაგრამ ისეთი მძიმე მდგომარეობა იყო, რომ წინსვლა ჯერ არ დასტყობია. **2010 წელთან შედარებით მოხნული ფართობის რაოდენობა გაორმაგდა, მაგრამ 1988 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი შემცირებულია, 1988 წელს მოხნული იყო 748 ათასი ჰექტარი მიწა (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩაუთვლელად), ახლა კი 440 ათასი ჰექტარია დამუშავებული. შემცირებულია ღორებისა და ცხვრების რაოდენობაც. ხორცის 62%-ის იმპორტს ვახორციელებთ და გვიხარია, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერის შემდეგ 5 ათასი ტონა ხორცის უბაჟო გატანის საშუალება გვექლევა, არადა, ცალკეული წლების მონაცემებით, 77 ათასი ტონა ხორცი და ხორცპროდუქტები გაგვქონდა. ასე რომ, ეს ერთ-ერთი სუსტი სფეროა, რაც დაღს ასვამს დანარჩენ დარგებს.**

**«შემცირებულია ღორებისა და ცხვრების რაოდენობა. ხორცის 62%-ის იმპორტს ვახორციელებთ და გვიხარია, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერის შემდეგ 5 ათასი ტონა ხორცის უბაჟო გატანის საშუალება გვექლევა, არადა, ცალკეული წლების მონაცემებით, 77 ათასი ტონა ხორცი და ხორცპროდუქტები გაგვქონდა»**

**— რა უნდა ქნას მოსახლეობამ, მცირეოდენი სიკეთე მაინც რომ იგრძნოს?**

— ის 6%-იანი ზრდა, რომელზეც პრემიერმა ისაუბრა, არც ისე დიდია, მოსახლეობისთვის შესამჩნევი რომ იყოს. თანაც გააჩნია, ეს ზრდა რომელ დარგებზე ვრცელდება. მაგალითად, „ნაციონალების“ პერიოდში ეკონომიკური ზრდა მოდიოდა მათზე, ვინც დასაქმებულთა 22%-ს შეადგენდნენ.

**— ეს რას ნიშნავს?**

— იმას, რომ მცირე რაოდენობა ქმნის მეტ დოვლათს, ისინი არიან იმ ნამატი დოვლათის მომხმარებლები და მხოლოდ ისინი გრძნობენ სიკეთეს, დანარჩენი 78% — ვერა. ისევ დავუბრუნდები სოფლის მეურნეობას, რომელზეც ყველაზე მეტი უმუშევარი მოდის. **რამდენ პროცენტ დოვლათსაც ქმნის სოფლის მეურნეობაში გლეხი, იმდენ აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტს ვახორციელებთ უცხოეთიდან. ყოველწლიურად მილიარდი დოლარი გაედინება საქართველოდან იმის გამო, რომ არ გვაქვს საკმარისი გამოცდილება, ტექნოლოგია, აღჭურვილობა, რათა შევძლოთ მეტი პროდუქციის წარმოება. საქართველოში ერთი ოჯახი სოფლად იმდენ დოვლათს ქმნის, რამდენიც 2 ადამიანის გამოსაკვებად არის საკმარისი, მაშინ, როდესაც ევროკავშირში ეს მაჩვენებელი 63-ის ტოლია, ამერიკაში — 79-ის და ისრაელში — 95-ის.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ქრონიკა

## ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ბრალდებით ხუთი პირი დააკავეს

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ფაქტზე დააკავეს ხუთი მოქალაქე — ვლადიმერ, გაგა და შალვა ჩხიკვაძეები, თეონა კილაძე და მაკა ტყაბლაძე.**

ბრალდებულები კომპიუტერული ტექნიკით, სკანერით, საღებავებითა და სხვა საშუალებებით ამზადებდნენ დიდი ოდენობით ყალბ 100-ლარიან კუპიურებს, რომლებსაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქის სავაჭრო ობიექტებში ასაღებდნენ.

დაკავების მომენტში მათ აღმოაჩნდათ ყალბი 100-ლარიანი კუპიურები. გარდა ამისა, ამოღებულია ყალბი ფული მათი სახლებიდან და სავაჭრო ობიექტებიდან. გამოძიების მიერ ასევე ამოღებულია ტექნიკური საშუალებები, რომლებითაც ხდებოდა ყალბი კუპიურების დამზადება.



ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინაში დასავლეთის მიერ მართლმადიდებლობასთან გამოუცხადებელი ომი მიმდინარეობს და უფალი არ დაუშვებს ამ ომში რუსეთის დამარცხებას, რადგან, რუსეთის მარცხის შემთხვევაში, მართლმადიდებლობა ჯერ ნელ-ნელა დასუსტდება,შემდეგ კი გაქრება.**

# ცუდსა და უარესს შორის

**ცოდნა-განათლება ღვთიურთან თანაზიარობას, სამშობლოს ტკივილიან განცდასაც ნიშნავს, ამისგან კი ისე შორს არის „ჩვენი" რესპუბლიკელების ნეოლიბერალური იდეოლოგია, როგორც ცა და დედამიწა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს უცოდინარობას ვერ დასწამებ, მათ მხოლოდ ე. წ. ნაკითხებს და უფრო მეტიც, ნაკითხ კრეტინებს ვუწოდებ.**

ჰოდა, ერთმა „ზოგიერთმა მათგანმა" — რესპუბლიკელების ნაკითხმა კრეტინმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა თავის დროზე განაცხადა, „ილია ჭავჭავაძეს — ასეთ მწერალს არ ვიცნობო!"

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და, **ვიზუალურად, იქნებ ცნობაც გაგიჭირდეს კა-გე-ბეს საკანში „ცოდვამონანიებული დისიდენტისა", მაგრამ საკმარისია, პირი გააღოს, მიუხედავად წონის დაკლებისა, დარწმუნდებით, რომ „ისევ ის ბიჭია", ანუ ისევ ყოველივე ქართულის შეურაცხმყოფელი სიმყრალე ამოსდის სტომაქიდან.**

აგერ, ახლახან, ამ ვაიინტელექტუალმა, — სტალინი ვაჟა-ფშაველას ნაბიჭვარიაო...

ეს ისე, შესახსენებლად, რანი არიან სინამდვილეში „ინტელექტუალი" რესპუბლიკელები...

ლევან ბერძენიშვილის ხსენება კიდევ ერთხელ მაინც მომიწევს, რადგან მისმა განცხადებამ „შობა" წინამდებარე წერილი.

„რუსეთმა აიწყვიტა!" — განაცხადა ნაკითხმა მას შემდეგ, რაც კრემლის მიერ აფხაზეთისთვის შეთავაზებული „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის" შეთანხმების პროექტის შესახებ გახდა ცნობილი და იქვე, — რუსეთი მთელ მსოფლიოს ებრძვისო, — „აღმოაჩინა ამერიკა" ამერიკის ნაკითხმა მონამ...

„ხომ გეუბნებოდი, გაფრინდებიან-მეთქი, შე გალსტუკიანო?!" — შერეკილი ხუტა ოდიშელიძის ეს ფრაზა ამეკვიატა ნაკითხი ლევანის განცხადების შემდეგ. ანუ **ახლა აიწყვიტა რუსეთმა თუ მაშინ, როდესაც ყირიმს კლასიკური ანშლუზი უყო და, შინაური თუ გარეშე ლიბეIრასტების გულის გასახეთქად, ყურებზე ხახვი ვერავინ დააჭრა?**

ცოტას ვწერდით და ვაფრთხილებდით, ვისაც ეს ეხება, რომ უკრაინის შემდეგ რუსეთი სამხრეთ კავკასიისთვისაც, ანუ საქართველოსთვისაც მოიცლის და რომ ნატოს დახმარების ცრუ იმედით რუსეთთან ხუმრობა სახიფათოა?

**უკრაინის საკითხი, პრინციპში, გადაწყვეტილია — 50-მილიონიანი ქვეყნის საბოლოოდ დაშლა, გნებავთ, წელში გაწყვეტა მხოლოდ დროის ამბავია. ამ ქვეყანას რუსეთის ისტორიული მოკავშირე, ზამთარი, კარს მიადგა და გაყინულ-მშიერი უკრაინელები, სავარაუდოდ, თვითონ მოიშორებენ ფაშისტურ რეჟიმს...**

რუსეთი დროს არ კარგავს და ქართველების ჭკუის სასწავლებლად, უფრო კი მგონია, — გამოსაფხიზლებლად, დაიწყო დე ფაქტო ანექსირებული აფხაზეთის დე იურე ანექსირება, ანუ საქართველოს „გაწყვეტის" პროცესი. და, თუ ეს ოფიციალურად გაფორმდება, არა მხოლოდ აფხაზეთ-ცხინვალს დავემშვიდობებით სამუდამოდ, არამედ, შესაძლოა, სხვა ტერიტორიებიც დავკარგოთ!

იმასაც შეგახსენებთ, რომ უკვე ჩამოყალიბდა ე. წ. ევრაზიული კავშირი, რომელშიც ჩვენი მეზობელი სომხეთიც გაწევრდა. ამ ქვეყანასა და ევრაზიული კავშირის დომინანტ რუსეთს პირდაპირი საზღვარი, ანუ სახმელეთო კომუნიკაცია არ აქვს, რაც, არ მგონია, დიდხანს გაგრძელდეს...

ეს ისე, ცნობისთვის.

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? **იმის ნაცვლად, რომ სასწრაფოდ გადაიხედოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, ნატოს იმედად ვართ და უილაჯო ბაქიბუქს არ ვეშვებით, რომელზეც ირაკლი ალასანიას ადრინდელი კონფრონტაციული განცხადებებიც ღაღადებს და ახლახან „როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში ნათქვამი ფრაზებიც: „ქედს არ მოვიხრით რუსეთის წინაშე" და „უარესისთვის ვემზადებით". როგორც მოვემზადეთ უარესისთვის, 2008 წლის აგვისტოში გამოჩნდა...**

კიდევ ერთი ფუჭი იმედი რუსეთის ისტორიული მტრებისა, რომ ეს ქვეყანა, ამჯერად მაინც, დიდი-დიდი, 2-3 წელიწადში თავისით დაიშლება. მსგავსი იმედით დასავლეთი ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები, საუკუნეებია, სულდგმულობს.



**ერთ მხარეს გარყვნილ-გათახსირებული დასავლეთია, რომელსაც სოდომის ცოდვა ცხოვრების წესად, დემოკრატიის უმაღლეს ფორმად მიუჩნევია, მეორე მხარეს კი — მართლმადიდებელი რუსეთის იმპერია**

ივანე მრისხანეს შემდგომ, XVII საუკუნის მეორე მეოთხედიდან ლამის საუკუნის ბოლომდე, ვისაც არ ეზარებოდა (პირველ რიგში, შვედეთის სამეფოს და მასთან ალიანსში მყოფ ბალტიის ქვეყნებს), ძარცვავდა და არბევდა შინააშლილობებით, სასახლის გადატრიალებებით მოცულ რუსეთს, რასაც მისი ტერიტორიების შემცირებაც მოჰყვა და, როდესაც ბევრს ეგონა (დღევანდელივით), რომ რუსეთის საქმე წასული იყო, სწორედ ამ დროს აიწყვიტა, მოუვლინა რა განგებამ მხსნელად პეტhრე I, რომელმაც არა მხოლოდ სარკმელი გაჭრა ევროპაში, არამედ შვედეთის სამეფოსგან დაიბრუნა წართმეული და საფუძველი ჩაუყარა იმ იმპერიას, რომელიც დღესაც არსებობს.

XVIII საუკუნის მიწურულს კი, ეკატერინე მეორეს იმპერატორობისას, რუსეთის იმპერია ისე გაფართოვდა და ისეთ სამხედრო-ეკონომიკურ სიძლიერეს მიაღწია, რომ „განათლებული ევროპა" შეშფოთდა. და რადგან რუსეთში არავითარი არეულობა („სმუტა") არ ჩანდა, ბრიტანეთის პოლიტიკური ინტრიგების შედეგად, ნაპოლეონის არმია მიუსიეს მართლმადიდებლურ მონარქიას. თუმცა **რუსეთმა აიწყვიტა** და ნაპოლეონის არმია ლამის სრულად გაწყვიტა, მოგვიანებით კი პოლონეთიცა და ბალტიისპირეთის ქვეყნებიც საკუთარ საზღვრებში მოაქცია, როგორც ბუფერი რუსეთსა და დასავლეთ ევროპას შორის, რომლითაც უვნებელყო ის პერმანენტული საფრთხე, რომელიც დასავლეთიდან ემუქრებოდა.

ამის შემდგომი XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი რუსეთის იმპერიის სამხედრო-ეკონომიკური სიძლიერისა და კულტურული რენესანსის ხანა იყო. **ამ პერიოდში რუსეთის არმიამ სტამბულსაც უწია და, რომ არა ისევ და ისევ ინგლისი, დღეს სტამბოლი კვლავაც კონსტანტინოპოლი იქნებოდა!**

I მსოფლიო ომს კი, გეოპოლიტიკურის გარდა, ერთი კონკრეტული მიზანიც ჰქონდა — რუსეთის მართლმადიდებლური მონარქიის დამხობა, რისთვისაც ჩაითრიეს კიდეც გულუბრყვილო ნიკოლოზ II ამ ომში, სადაც, თავდაპირველად, თითქოს ყველაფერი ანგლოსაქსთა გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა, მაგრამ, როდესაც ნიკოლოზ მეორეს არმიის გამარჯვების პერსპექტივა ცხადი შეიქნა, რუსეთს ჯერ 1917 წლის თებერვლის რევოლუციია მოუწყვეს, შემდეგ — ბოლშევიკური გადატრიალება. შედეგად რომანოვების სამეფო დინასტია დაემხო და რუსეთის იმპერიაც დაიშალა.

ჰოდა, როდესაც ტროცკისტი ხელისუფლების ხელშეწყობით, რუსეთს კიდევ ერთხელ შეესივნენ საძარცვ-საჯიჯგნად და ეს ქვეყანა მსოფლიოს რუკიდან უნდა გამქრალიყო, მხსნელად სტალინი მოევლინა და **რუსეთმა კვლავ აიწყვიტა** — სტალინმა, მართლაც ფოლადის სიმტკიცით გაანადგურა ტროცკისტები და რუსეთის იმპერიის (ამჯერად კომუნისტურის) — სსრკ-ის შენება დაიწყო.

ამ დროს ისევ დიდი ბრიტანეთის (ამჯერად აშშ-თან ტანდემში) მეცადინეობით, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელიც დიდ სამამულო ომად ექცა საბჭოთა კავშირს, მაგრამ ვაშინგტონ-ლონდონის ოცნებას, რომ გერმანია და რუსეთი ერთმანეთს დაჭამდნენ და შემდეგ ორივეს მოუგრეხდნენ კისერს, ახდენა არ ეწერა — **გენიალურმა სტალინმა ჰიტლერს ბერლინში დაუმთავრა ომი და საბჭოთა იმპერიის საზღვრებმა ისტორიაში ჯერ არნახულ მასშტაბებს მიაღწია.**

სტალინის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში დასავლეთის „დემოკრატიას" შიშის ზარს სცემდა ბირთვული საბჭოთა იმპერია, რომელიც დასავლეთის გავლენის აგენტების — მიხეილ გორბაჩოვის, ალექსანდრე იაკოვლევისა და ედუარდ შევარდნაძის — მეცადინეობით, გასული საუკუნის მიწურულს დაიშალა, ხოლო რუსეთის ტერიტორიაზე მორიგი „სმუტა" მოხდა, რომლითაც უკვე მერამდენედ ისარგებლეს და ქვეყანა 1990-იან წლებში უმოწყალოდ ძარცვეს და არბიეს. მაგრამ განგებამ ალკოჰოლიკ ბორის ელცინს ერთადერთი სწორი ნაბიჯის გადადგმა შთააგონა და მან დაშლის პირას მდგომი რუსეთი ვლადიმერ პუტინს ჩააბარა. **სწორედ მაშინ აიწყვიტა რუსეთმა და არა დღეს.**

**აწყვეტილი რუსეთი კი დღეს ისე მოღონიერდა, რომ ყალყზეა შემდგარი და არც კავკასიაში დათმობს რამეს, სადაც, 200 წელიწადია, ომობს, და, მით უმეტეს, არც უკრაინაში, რადგან იმას, რაც უკრაინაში ხდება, მრავალი წახნაგი აქვს და მათ შორის უმთავრესს ცივილიზაციათა, ღირებულებათა ომი ჰქვია.**

ერთ მხარეს გარყვნილ-გათახსირებული დასავლეთია, რომელსაც სოდომის ცოდვა ცხოვრების წესად, დემოკრატიის უმაღლეს ფორმად მიუჩნევია, მეორე მხარეს კი — მართლმადიდებელი რუსეთის იმპერია.

უკრაინაში დასავლეთის მიერ მართლმადიდებლობასთან გამოუცხადებელი ომი მიმდინარეობს და უფალი არ დაუშვებს ამ ომში რუსეთის დამარცხებას, რადგან, რუსეთის მარცხის შემთხვევაში, მართლმადიდებლობა ჯერ ნელ-ნელა დასუსტდება, შემდეგ კი გაქრება.

ამას კი არ დაუშვებს ძალა, რომელსაც რუსეთის ბირთვული პოტენციალი ჰქვია...

ჩვენ კი ნატოს ფუჭ იმედად უილაჯო ბაქი-ბუქს არ ვეშვებით, რაზედაც ირაკლი ალასანიას ადრეული კონფრონტაციული განცხადებებიც ღაღადებს და სულ ახლახან „როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში — „ქედს არ მოვიხრით რუსეთის წინაშე" და, ღმერთო, შენ გვიშველე, კიდევ უფრო სახიფათოც, „უა- ▶

მოკლედ



## თვითმფრინავი აეროპორტის შენობას შეეჯახა

**კანზასის შტატის (აშშ) ქალაქ უიჩიტა მიდკონტინენტის აეროპორტის შენობას თვითმფრინავი Hawker Beechcraft Ring Air-ი შეეჯახა.**

კატასტროფის შედეგად, წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა 2 ადამიანი, დაიჭრა — 4. დაღუპულები შენობის შიგნით იმყოფებოდნენ.

აშშ-ის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს განცხადებით, პილოტმა აუწყა დისპეტჩერებს, რომ აფრენის შემდეგ თვითმფრინავის ძრავები გამოირთო. იძულებითი დაშვებისას Beechcraft- ი აეროპორტის 2-სართულიან შენობას შეეჯახა, შედეგად კი შენობას ცეცხლი მოედო.



# რუსეთი დროს არ კარგავს და ქართველების ჭკუის სასწავლებლად, უფრო კი მგონია, — გამოსაფხიზლებლად, დაიწყო დე ფაქტო ანექსირებული აფხაზეთის დე იურე ანექსირება, ანუ საქართველოს „გაწყვეტის“ პროცესი. და, თუ ეს ოფიციალურად გაფორმდება, არა მხოლოდ აფხაზეთ-ცხინვალს დავემშვიდობებით სამუდამოდ, არამედ, შესაძლოა, სხვა ტერიტორიებიც დავკარგოთ!

ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რესისთვის ვემზადებითო“!

როგორი მზადებაც ვიცით უარესისთვის, 2008 წლის აგვისტოში გამოჩნდა...

არადა, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, სასწრაფოდ უნდა გადაიხედოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, იქამდეც კი, რომ სერიოზულად ვიფიქროთ ევრაზიულ კავშირში გაწევრებაზე, რომლის წევრიც უკვე ჩვენი კარის მეზობელი სომხეთიც გახდა (თუ რა საფრთხეებს შეიცავს ეს საქართველოსთვის, ზემოთ მივანიშნეთ) და ამ კავშირზე არა მხოლოდ გეოპოლიტიკურ გიგანტებს (ჩინეთ-ინდოეთი) „უჭირავთ თვალი“, არამედ ისეთი კლასიკური დემოკრატიის ქვეყანასაც, როგორიც ისრაელია.

**ევრაზიული კავშირის გავლით — რუსეთის გავლენის ორბიტაზე დაბრუნება! — აი, ჩემი აზრით (და არა მხოლოდ), საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური გადარჩენის, ტერიტორიული მთლიანობის (თუნდაც შორეულ მომავალში) აღდგენის და, რაც უმთავრესია, ულმერთო, უფრო მეტიც, სატანისტი გლობალისტების შემოტევისას, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ერთადერთი გზა!**

რუსეთის პრეზიდენტმა ამ უკანასკნელს განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საერთაშორისო სადისკუსიო კლუბ „ვალდაის“ ბოლო, 24 ოქტომბრის სოჭის ფორუმზე!..

თუმცა ამ ფორუმის მთავარი მიღწევა იყო ის, რომ ვლადიმერ პუტინმა ჩვეული პირდაპირობით, რომ იტყვიან, „ერთ ადგილზე მოსვა“, როგორც ზოგადად ლიბერასტული დასავლეთი, ასევე კონკრეტულად აშშ და მისი პრეზიდენტი!

**ჩვენ (რუსეთი) ვაღიარებთ და პატივს ვცემთ არა მხოლოდ მართლმადიდებლობას, არამედ ყველა ტრადიციულ კონფესიას. აქედან გამომდინარე, ვაღიარებთ ათეისტების უფლებებს.**

თქვენ (დასავლეთი) ერთ უფლებრივ სიბრტყეში განიხილავთ ტრადიციულ ოჯახებსა და ერთსქესიან ქორწინებებს, მრავალშვილიან ოჯახებსა და პედოფილია-ინცესტის პროპაგანდას, ბოლოს და ბოლოს, რწმენას ღმერთისა და რწმენას სატანისას და რას გვიბრძანებთ, მივიღოთ ეს ყველაფერი, ანუ, როცა გვაუპატიურებენ, მოვდუნდეთ და სიამოვნება მივიღოთ?

თქვენ (აშშ-ს), ყველაფრის უფლება გაქვთ (სერბეთის დაბომბვა, ერაყი, ავღანეთი, ლიბია, სირია და ა. შ.) და ჩვენ რუსების დაცვის უფლება არ გვაქვს?

შინაარსობრივად ეს ბრძანა რუსეთის პრეზიდენტმა.

აი, ამას ჰქვია მარლაც აიწყვიტაო და ამ აწყვეტის ძალმოსილება კი იმაშია, რომ ვლადიმერ პუტინი, იმპერატორ ალექსანდრე III მსგავსად, მიხვდა, რომ ისტორიულად რუსეთის ერთადერთი ერთგული მოკავშირე მხოლოდ საკუთარი არმია და ფლოტი იყო, არის და იქნება. პუტინის ხელში კი რუსეთის არმიამ თუ ფლოტმა მართლაც სტალინური საბჭოეთის სიძლიერეს მიაღწია, რაც აგრერიგად აშფოთებთ პოტომაკის ნაპირებზე, რადგან მათი ოცნება, სსრკ-ის შემდეგ რუსეთიც გაექროთ მსოფლიო გეოპოლიტიკიდან, კიევში გამოჩნდა, რომ სამუდამოდ ჩაფლავდა!



# ჩვენ (რუსეთი) ვაღიარებთ და პატივს ვცემთ არა მხოლოდ მართლმადიდებლობას, არამედ ყველა ტრადიციულ კონფესიას. აქედან გამომდინარე, ვაღიარებთ ათეისტების უფლებებს

**სამწუხაროდ, საქართველოში დღეს არ არის ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც გაბედავს და იმას იტყვის, რაზეც წინამდებარე წერილშია საუბარი.**

სამაგიეროდ, ბევრნი არიან პოლიტიკანები, რომელთა ქმედება-უმოქმედობის გამო „ნაციონალების“ ბანდამ იმდენად აიწყვიტა, რომ საზოგადოების არც თუ უმნიშვნელო ნაწილი სერიოზული ხიფათის მოლოდინით უყურებს „ნაციონალი“ კრიმინალების მიერ 15 ნოემბრისთვის დაანონსებულ „გრანდიოზულ მიტინგს“.

თუმცა „გრანდიოზულის“ წინწკლებში ჩასმის იმედად ყოფნა არ ეგების, რადგან არც კიევის მაიდანი დაწყებულა გრანდიოზულად, მაგრამ, სამაგიეროდ, ვაშინგტონ-ბრიუსელის უპირობო მხარდაჭერის გარანტია ჰქონდათ, რამაც გარანტირებულად მოიყვანა ხელისუფლებაში ბანდერელი ნაცისტები და ამ უკანასკნელებმა გარანტირებულად დაშალეს მარტივ მამრავლებად ოდესღაც აყვავებული უკრაინა!

**უკრაინის ისტორიის საქართველოში განმეორების ალბათობა არც თუ მცირეა, რადგანაც, კიევის მაიდნის მსგავსად, თბილისის მაიდნის მოწყობის მსურველებსაც დასავლეთის (პირველ რიგში აშშ-ის) ფინასურ-პოლიტიკური მხარდაჭერა ამთავითვე გარანტირებული აქვთ!**

იმის დასტურად, ეს რომ ასეა და არა სხვაგვარად, მიმდინარე მოვლენების ლოგიკური ანალიზიც კმარა:

გავიხსენოთ ჩვენი „მეგობარი დასავლეთის“, ევროსაბჭოსა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ტყუპისცალებივით განცხადება-რეზოლუციები, რომლებშიც, ყოველგვარი დიპლომატიური შეფუთვის გარეშე, უკვე მტკიცებულებითი ფორმით არის საუბარი „ნაციონალი“კრიმინალების ე. წ. პოლიტიკურ დევნაზე და პირდაპირ, უკვე გვარ-სახელებით ითხოვენ ქართველთა მწამებლების, სისხლისმსმელების პატიმრობიდან განთავისუფლებას!

ეს ყველაფერი კი ქართველი ხალხის სულში ჩაფურთხებაა და ამას ის ხალხი აკეთებს, რომელიც 9 წლის მანძილზე ფართოდ დახუჭული თვალებით უყურებდა „დემოკრატიის შუქურა“ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს!

ნურც ის დაგვავიწყდება, როგორ მოულოდნელად „გავაჟკაცდა“ ჩვენი „ქსლისა მბეჭველი“ პრეზიდენტი, იქამდეც კი, ღარიბაშვილსაც „დაადო“ (ვეტო); ისიც, რომ ე. წ. თავისუფალი დემოკრატების ყრილობა 15 ნოემბრამდე ცოტა ხნით გაიმართება, რომელზეც აშშ-ის მთავარი ფავორიტი ირაკლი ალასანია პარტიის თავმჯდომარის პოსტს დაიბრუნებს; ისიც, თუ როგორ ორაზროვან განცხადებებს აკეთებენ ამერიკის მონა რესპუბლიკელები — ეს ყველაფერი ერთ, მიზეზ-შედეგობრივ კონტექსტში გავაანალიზოთ და ბრიყვთათვისაც ცხადი გახდება, რომ ნოემბერში, როგორც მინიმუმ, უსიამოვნო სიურპრიზები გველის და, რამდენად შორს წავა ეს სიურპრიზები, არსებულ ხელისუფლებაზე, პირადად პრემიერ ღარიბაშვილზეა დამოკიდებული!

პრემიერზე, რომელსაც, როგორც ჩანს („ნაცების“ პლუს „ქოცების“ ლიბერასტული ნაწილის ხელით), მართლაც მთელი დასავლეთი ებრძვის, და, მიუხედავად იმისა, ვის მოგვწონს და ვის არა, **ამ ეტაპზე ყველა მამულიშვილის ვალია, მხარი ირაკლი ღარიბაშვილს დაუჭიროს, რადგანაც, სამწუხაროდ, დღესაც მარადიული დილემის — ცუდსა და უარესს (კომმარს) შორის არჩევანის წინაშე დგას საქართველო!..**

**დავით მხეიძე**

**P. S.** **როგორმე გიორგობის თვეს თუ გადავურჩით, ქართველმა ერმა, საზოგადოებამ სასწრაფოდ არჩევანი უნდა გააკეთოს; სასწრაფოდ, რადგან დრო ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს!**

**ოღონდაც ერთი, პოლიტიკანების საყვარელი „არჩევანი“, არც ნატო მინდა და არც რუსეთი, ამთავითვე უნდა გამოირიცხოს, რადგან ასეთი რამ, იმის გარდა, რომ სამარცხვინო ურაპატრიოტიზმია, უტოპიაა — თანამედროვე მსოფლიოში შვეიცარია რომ შვეიცარიაა, გნებავთ, ავსტრია, ისინიც კი ვერ არიან ბოლომდე ნეიტრალურები — აშშ-ს მთელი ევროკავშირი სატელიტად გაუხდია და ვინმეს სჯერა, რომ შვეიცარია თუ ავსტრია აშშ-ის ძლიერი გავლენის ქვეშ არ არის?**

**აქედან, საქართველოსაც არავინ მისცემს ნეიტრალიტეტის ფუფუნებით ტკბობის საშუალებას!**

**ამიტომ, აშშ-ნატოს ფუჭ იმედად, გეოპოლიტიკურ ოკეანეში ჩასაძირად განწირული საქართველოს ნავი დროზე უნდა მიადგეს იმ ნაპირს, რომელსაც 2 საუკუნის წინათ მიაყენა მეფე ერეკლემ, ხოლო „ასის წლის წინად“ ამავე სათაურის წერილით დიდმა ილიამ ხოტბა შეასხა პატარა კახის არჩევანს!**

**ანუ, ასის წლის შემდეგ ერეკლე-ილიას შთამომავლებმა უნდა ავირჩიოთ, რა სჯობს — აწყვეტილ რუსეთთან საქართველოს გაწყვეტამდე ჭიდილი თუ არ დაგდება გზათა წინაპართა.**

ჟან-მარი ლე პენი:

# უკრაინელთა იმედი, რომ მათ ქვეყანას ევროკავშირის წევრად მიიღებენ, გაცრუვდება!



**უკრაინის საპარლამენტო არჩევნებს დემოკრატიულს ვერ ვუწოდებთ, რადგან ომის ფონზე ჩატარდა, — მიაჩნია ცნობილ ფრანგ პოლიტიკოსს, ევროპარლამენტის დეპუტატს, პარტია „ეროვნული ფრონტის“ შემქმნელსა და ხელმძღვანელს — ჟან-მარი ლე პენს.**

„ეს არჩევნები ომის ფონზე ჩატარდა და, შესაბამისად, შეუძლებელია, ითქვას, რომ დემოკრატიული იყო. ცნობილია, რომ პრემიერმინისტრის პარტიამ გაუსწრო პრეზიდენტის პარტიას, ვიქტორ იანუკოვიჩის მომხრეებმა კი ხმების 10 პროცენტი მოაგროვეს. უკრაინის აღმოსავლეთში მცხოვრებნი არ მონაწილეობდნენ არჩევნებში. მათ ამჯობინეს, კენჭისყრაში მოგვიანებით მიეღოთ მონაწილეობა“, — განუცხადა ფრანგმა პოლიტიკოსმა რუსულ ტელეარხ „ცარგრადს“.

ლე პენის აზრით, უკრაინისა და რუსეთის ურთიერთობა ორმხრივი უნდა იყოს და ამ ურთიერთობაში ჩარევაზე უცხოელმა „კეთილისმსურველებმა“ უარი უნდა თქვან, რადგან სწორედ მათი ჩარევის შემდეგ გამწვავდა ვითარება ქვეყანაში.

„რაც უკრაინის მოქალაქეებმა არ იციან, არის ის, რომ **ხომალდი სახელწოდებით „ევროკავშირი“ არამხოლოდ შტორმში მოყვა, არამედ იძირება. ჩვენ უკვე მკერდამდე ვართ წყალში. ვფიქრობ, ევროპელებს არ სურთ, უკრაინა ევროკავშირში იხილონ** და **უკრაინელთა იმედი, რომ მათ ქვეყანას ევროკავშირის წევრად მიიღებენ, გაცრუვდება. ჩემი აზრით, უკრაინამ პრობლემების გასაღები რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაში უნდა ეძებოს და იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ მას ევროპა დაეხმარება, რადგან ამჟამად ევროპას საკუთარი თავის დახმარებაც არ შეუძლია**“, — განაცხადა ლე პენმა.

# კოსმოსური ხომალდი საცდელი ფრენის დროს ჩამოვარდა



**აშშ-ში საცდელი ფრენისას კატასტროფა განიცადა სუბორბიტულმა კოსმოსურმა ხომალდმა SpaceShipTwo-მ. დაიღუპა ერთი პილოტი, მეორე საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

„ექსპერიმენტის მიმდინარეობისას მწყობრიდან გამოვიდა საფრენი აპარატის ძრავა, რის შედეგადაც **SpaceShipTwo** ჩამოვარდა. თვითმფრინავი White Knight 2 კი, რომელმაც საფრენი აპარატი სიმაღლეზე აიტანა, უვნებლად დაეშვა დედამიწაზე“, — ნათქვამია ამ საფრენი აპარატების შემქმნელი კომპანია Virgin Galactic-ის ვებგვერდზე.

კატასტროფა მოხდა კალიფორნიის შტატში, მოჰავეს უდაბნოში.

Space ShipTwo მრავალჯერადი კერძო პილოტირებული აპარატია. მისი დამამზადებელი ფირმა ეკუთვნის ცნობილ მილიარდერ რიჩარდ ბრენსონს, რომელიც ამბობს, რომ ფირმის მიზანი ტურისტული სუბორბიტული ფრენების ორგანიზებაა. აპარატი გასაშვებ სიმაღლეზე — 20 კმ-ზე აქვს თვითმფრინავ White Knight 2-ს. თვითონ Space ShipTwo-ს ფრენის მაქსიმალური სიმაღლე კი 135-დან 320 კმ-ია. აპარატში შეიძლება მოთავსდეს 6 მგზავრი და ეკიპაჟის 2 წევრი.

Space ShipTwo-ს პირველი ფრენა 2010 წელს განხორციელდა.

მოკლედ



# 128-კილოგრამიანი მინისტრი

**ბელგიის საზოგადოება გააკვირვა ამ ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრად მეგი დე ბლოგის დანიშვნამ.** მეგი ძლიერ ქალბატონია. იმიგრაციის მინისტრის პოსტზე მუშაობისას მან თავი გამოიჩინა იმით, რომ პოლიციას არალეგალების მიმართ დაარბევინა, ასობით იმიგრანტი კი ქვეყნიდან გააძევა. მაგრამ ისეთი გარეგნობის ქალისთვის, როგორიც მეგი დე ბლოგია, ხელმძღვანელობა სამინისტროსი, რომლის ფუნქციაც ჯანმრთელი ცხოვრების პროპაგანდაა, მეტისმეტია, მით უმეტეს, რომ ბელგიელთა 47 პროცენტს ჭარბი წონა აწუხებს, — წერს ბულგარული პრესა. თუმცა დე ბლოგისთვის სულერთია, რას ამბობენ მასზე — 120-კილოგრამიანი ქალბატონი პრემიერმინისტრის სავარძელს უმიზნებს.

ჩევლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თბილისი-გომბორი-თელავის ტრასა ნაგავსაყრელადაა გადაქცეული! ნაგავს ყრის ადგილობრივიც და გამვლელიც და ამ უმსგავსობას ბოლო არ უჩანს! არადა, ევროპაო, დასავლეთისკენ მივისწრაფვითო... სხვათა შორის, ევროპელები ამ გზით მოგზაურობენ თელავში და ხანდახან ჩერდებიან კიდეც. რა დასკვნას გამოიტანენ, როცა იქვე, გზასთან ბუზების გუნდი შემოესევათ და დამპალი ნარჩენების არომატს ჩაისუნთქავენ? არც დანაპირები წყალია გაყვანილი სოფელში, არც გზები მოხრეშილი...**

# გომბორის ხიდი და დეპუტატ ხიდაშელის ფოჩიანი კანფეტები

**სოფელ გომბორის ხიდი... ეს ნაგებობა, რომელიც დედაქალაქს თუ არა, ნებისმიერ რაიონულ ცენტრს უეჭველად დაამშვენებდა, ღირსია, რომ მისი მშენებლობის პერიპეტიები შევახსენო მკითხველს. ყველაფერი კი ასე დაიწყო: ზუსტად ოთხი წლის წინათ, 2010 წლის შემოდგომაზე, ზარ-ზეიმით, ჩვეული ტაშფანდურით და „მიშა, მიშა"-ს შეძახილებით ნაციონალებმა მორიგი „საუკუნის მშენებლობის" — თბილისი-გომბორი-თელავის საავტომობილო ტრასის — დასრულება აღნიშნეს.**



**საგარეჯოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი თინათინ ხიდაშელი მოხეტიალე ფანტომივით ხან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დერეფნებს ჩაუქროლებს, ხანაც — ნატოს შტაბ-ბინის კაბინეტებს, თუმცა უსარგებლოდ. გომბორელი ამომრჩეველი კი ახსენდება წელიწადში ერთხელ, როცა წინასაახალწლო დღეებში საგარეჯოში ჩადის და ადგილობრივ ბავშვებს კანფეტებს ურიგებს. ვიმედოვნებ, ეს სასუსნავი ქალბატონ დეპუტატს თავისი ხელფასით აქვს შეძენილი და «დაუვიწყარი» ბესო ჟუღელივით სახელმწიფო ხაზინით არ სარგებლობს**

**თელაველებისა და გომბორელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან საგრძნობლად შემოკლდა მანძილი თბილისამდე, თუმცა მათ სიხარულს დიდი დღე არ ეწერა;** და, აი, რატომ — აწ უკვე ისტორიულ სანაგვეზე მოსროლილ „ნაციონალურ" ხელისუფლებას ყოველთვის ისე ეჩქარებოდა, რომ მშენებლობის უსაფრთხოების ნორმებს არად აგდებდა. კახეთის (თბილისი-გომბორი-თელავის) გზის დაგების სირთულე განპირობებული იყო რელიეფითა და ეროზიული პროცესებით, რომლებიც დამახასიათებელია ამ რეგიონისათვის.

**ის მძღოლები, რომელთაც ტრასის მშენებლობამდე სოფელი გომბორი გაუვლიათ, უთუოდ შენიშნავდნენ ეკლესიასთან საგზაო ნიშანს, გამვლელ-გამომვლელს რომ აფრთხილებს ამ უბნის (საუბარია გომბორის ეკლესიის ქვეშ გამავალ გზაზე და მიმდებარე ხევის დამეწყრილ უბანზე) მეწყერსაშიშროებაზე.**

ტრასის ამ მონაკვეთის რეაბილიტაციის შემდეგ მშენებლებმა მოსალოდნელი დამეწყვრის თავიდან ასაცილებლად ხევში სახიფათო ადგილის გასამაგრებელი სამუშაოები დაიწყეს, თუმცა პირიქით უნდა ყოფილიყო — ჯერ ფერდობი გაემაგრებინათ და შემდეგ მოეხდინათ გზის რეაბილიტაცია. ასეა თუ ისე, **დიდი რაოდენობით შემოიტანეს მიწა და ქვა, დაფარეს კალაპოტი ინერტული მასალით (დაახლოებით 400 მეტრის სიგრძეზე) და გააკეთეს ხელოვნური მიწაყრილი, რომლის დონეც გაცილებით აღემატებოდა რიყის დონეს. მდინარე გომბორულას შეუცვალეს კალაპოტი და წყალი მიუგდეს მარჯვენა ნაპირს, სადაც მოსახლეობაა. დამეწყრილ ფერდობს დამცველი კონსტრუქცია აუგეს, სამწუხაროდ, დამპალი სალიანდაგე შპალებისგან.** ამ უაზრო ნაგებობამ აღაშფოთა მოსახლეობა, რომელმაც 2011 წლის 14 ივნისს საგარეჯოს გამგეობას საგანგებო წერილით მიმართა, რომ გაუგებარმა კონსტრუქციამ მდინარის კალაპოტი 5 მეტრით შეავიწროვა, რაც ძლიერი წვიმების დროს აუცილებლად გამოიწვევდა მოსახლეობის დატბორვას.

**2012 წლის 19 ივლისის წყალდიდობამ თვალნათლივ დაადასტურა მოსახლეობის ვარაუდი — უხარისხოდ და არაკომპეტენტურად აგებულმა კონსტრუქციამ ვერ გაუძლო სტიქიის პირველივე შემოტევას. მოვარდნილმა წყალმა გაბიონიდან გამორეცხა ქვის ლოდები და წაიღო ხიდისკენ. ლოდებს დაემატა მოგლეჯილი ხეები. ხიდი ჩაიხერგა და გადაიქცა ხელოვნურ კაშხლად; დაიწყო მიმდებარე ტერიტორიის დატბორვა.**

აი, როგორ იხსენებს იმ კოშმარულ ღამეს ხიდთან ახლოს მცხოვრები **ტარიელ სიხარულიძე:**

— „იმ ღამეს მძლავრმა გრუხუნმა გამაღვიძა. მეგონა, სოფელს ბომბავდნენ. როგორც შემდგომ გაირკვა, ამ გრუხუნის მიზეზი იყო გაბიონიდან გამორეცხილი ლოდები, რომლებიც ხიდს ასკდებოდა. წყალი ჩემს კარ-მიდამოშიც შემოვარდა. სახლში, მეუღლის გარდა, იმყოფებოდა ჩემი ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი. გავაღვიძე მეუღლე და ვუთხარი, ვიდრე გვიან არ არის, ბავშვებთან ერთად სახლი დავტოვოთ-მეთქი. როცა აივანზე გავედით, წყალი უკვე სახლს იყო მომდგარი. ეს კარგს არაფერს გვიქადდა, რადგან ჩვენი სახლის ახლოს არის მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორი, რომელიც უეჭველად დატბორილი იქნებოდა. დავურეკე საგანგებო სიტუაციების სამსახურს. მისმა თანამშრომლებმა გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი გასაჭირი და საშველად შვეულმფრენის გამოგზავნა გადაწყვიტეს. ამ დროს საშინელი გრუხუნის ხმა გაისმა, რომლის შემდეგ წყლის დონემ სწრაფად დაიწყო კლება. აღმოჩნდა, რომ უზარმაზარი ლოდი ხიდს შეეჯახა და მოწყვიტა ის, რითაც გაარღვია ჩახერგილი ხეებითა და ლოდებით შექმნილი კაშხალი. რომ არა ის მართლა დალოცვილი ლოდი, ვერ გეტყვით, ცოცხალი გადავრჩებოდით თუ არა".

2012 წლის 19 ივლისის წყალდიდობამ ააოხრა და წალეკა მდინარე გომბორულას პირას მცხოვრები სიხარულიძეებისა და ზალიევების ოჯახების ნაკვეთები. წყალი შევარდა რეზო ქოჩაშვილისა და გივი წიწილაშვილის ნაკვეთებშიც. დაიტბორა ხიდის მიმდებარე სოფლის გზაც.

2012 წლის ოქტომბრის დასაწყისში რედაქციის დავალებით ჩავედი გომბორში და შევხვდი ტანჯულ მოსახლეობას. ბეტონის კედლის მშენებლობა სრული სვლით მიმდინარეობდა. ადგილობრივებს დავპირდი, რომ მათ გასაჭირზე გაზეთის მეშვეობით აუცილებლად ვაცნობდი ფართო საზოგადოებას და, უპირველეს ყოვლისა, რედაქცია მოსთხოვდა შესაბამის სამსახურებს ხიდის აღდგენას, ხოლო დაზარალებულებისთვის კომპენსაციის გაცემას, მაგრამ **საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების" გამარჯვებისგან სიხარულის ეიფორიაში მყოფმა გომბორელებმა მთხოვეს, არჩევნებამდე ჩვენთან მოვიდა თინათინ ხიდაშელი და სიტყვა მოგვცა, ამ და სხვა პრობლემებსაც მოგიგვარებთ, ოღონდ არ დაიზაროთ, მიდით საარჩევნო უბნებში და ხმა „ქართულ ოცნებას" მიეცითო. დღეს ახალი ხელისუფლება მოვიდა, ვაცალოთ, მით უმეტეს, ასეთი ყოჩაღი გოგო — თინიკო — გვყავს დეპუტატიო..**

რა გაეწყობოდა, წერილი არ დავწერე და გომბორის ხიდის ამბავიც დავივიწყე. გომბორელები გამახსენდა 2013 წლის ივნისში, როდესაც საგარეჯოს გამგებელი დააპატიმრეს. საინტერესოა, როგორ აქვთ საქმე? შეუსრულა მათ დანაპირები „ყოჩაღმა გოგომ — თინიკომ"?.. რვა თვის შემდეგ ხევის ქუჩის მცხოვრებლების ალყაში მოვექეცი...

აი, რა მითხრა სტიქიით დაზარალებულმა **დილბარა ზალიევამ: „ძალიან ვნანობთ, რომ ჩვენი თხოვნით თქვენს გაზეთში წერილი არ გამოაქვეყნეთ. ხიდაშელმა უსინდისოდ გაგვაცურა! კარგად მახსოვს, ატირებულს მითხრა: დეიდა, ნუ ნერვიულობ, ნუ ტირი, ყველაფერს აგინაზღაურებთ, თუ არჩევნების დღეს საარჩევნო პუნქტში 41-ს შემოხაზავთო..."**

გავარკვიე, რომ **არჩევნების შემდეგ ქალბატონი ხიდაშელი გომბორში არც კი გამოჩენილა! ის მხოლოდ საგარეჯოში უნახავთ და გომბორელებს ხიდის აშენებას დაჰპირებია...**

შარშან, თებერვალში, სოფლის საერთო კრება ჩატარდა. საგარეჯოს გამგეობიდანაც იყვნენ ჩასულნი ახალი გამგებლის — ლოლაძის — მეთაურობით, რომელმაც უთხრა გომბორელებს, თანხა გამოყოფილია და, უპირველეს ყოვლისა, ხიდი უნდა აიგოსო; პარალელურად, გზებიც მოიხრეშება, წყალსაც გამოგიყვანთ, მარტში დავიწყებთ მშენებლობასო! თუმცა გავიდა მარტი, აპრილიც, მაისიც...

საბედნიეროდ, გომბორელები მებრძოლი ხალხი აღმოჩნდნენ. არ შეურიგდნენ საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელობის სიცრუეს და 2013 წლის აპრილში, მოსახლე **ოთარ ჩახუნაშვილის** ინიციატივით, საშველად თავიანთ მაჟორიტარს — თინათინ ხიდაშელს მიმართეს დახმარების თხოვნით.

გთავაზობთ ამონარიდს ამ მიმართვიდან:

**„ქალბატონო თინათინ! გაცნობებთ, რომ 2012 წლის ზაფხულში სტიქიის დროს ადიდებულმა მდინარე გომბორულამ მთლიანად გაანადგურა ერთადერთი ხიდი. დღეისთვის ხევის მოსახლეობა, სანამ მდინარეში ჯერჯერობით ცოტა წყალია, კიდევ ახერხებს მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლას, თუმცა წყლის დონის მომატების შემთხვევაში, რაც უკვე მოსალოდნელია გაზაფხულის დღეებში, ჩვენ, ამ წერილის ხელმომწერნი, აღმოვჩნდებით კატასტროფულ მდგომარეობაში. კერძოდ, ვერც მაღაზიაში გავალთ არსებობისთვის საჭირო პროდუქტების საყიდლად, ვერც ექიმს გამოვიძახებთ ავადმყოფთან და ვერც საქონელს გავრეკავთ საძოვრებზე.**

**სტიქიის შემოტევის შემდეგ, 2012-2013 წლებში, არაერთხელ მივმართეთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, კახეთის გუბერნატორს, საგარეჯოს რაიონის გამგებელს დახმარებისთვის, რათა გადაეწყვიტათ ხიდის აღდგენის საკითხი...**

**ჩამოსული იყო არაერთი კომისია, ათვალიერებდნენ ადგილს, გვპირდებოდნენ დახმარებას და გვეუბნებოდნენ, რომ სახელმწიფოს თანხა ხიდის აღდგენისთვის გამოყოფილი ჰქონდა და სამუშაოები 2013 წლის მარტში დაიწყებოდა. მაგრამ, დასრულდა მარტი და კონკრეტული ქმედებები არ ჩანს. როდის დაიწყება აღდგენითი სამუშაოები და დაიწყება თუ არა საერთოდ, ჩვენთვის უცნობია.**

**ქალბატონო თინათინ! ჩვენ, სოფელ გომბორის თითოეული მცხოვრები, უმორჩილესად გთხოვთ, დაავალოთ სათანადო სამინისტროს, გამოგზავნოს სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის ჩვენ მიერ დასმულ საკითხებს და გაგვიწევს დახმარებას, რათა ხიდის აღდგენის საკითხი დადებითად გადაწყდეს".**

**ამ წერილს ასამდე ადამიანი აწერს ხელს. მიუხედავად ამისა, ქალბატონ ხიდაშელს არათუ შარშან, წლინახევრის შემდეგაც, ანუ დღემდე პასუხი არ გაუცია თავის ამომრჩევლისთვის!**

არც არის გასაკვირი. საგარეჯოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი თინათინ ხიდაშელი მოხეტიალე ფანტომივით ხან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დერეფნებს ჩაუქროლებს, ხანაც — ნატოს შტაბ-ბინის კაბინეტებს, თუმცა უსარგებლოდ; თავისი ამომრჩეველი კი ახსენდება წელიწადში ერთხელ, როცა წინასაახალწლო დღეებში საგარეჯოში ჩადის და ადგილობრივ ბავშვებს კანფეტებს ურიგებს. ვიმედოვნებ, ეს სასუსნავი ქალბატონ დეპუტატს თავისი ხელფასით აქვს შეძენილი და „დაუვიწყარი" ბესო ჟუღელივით სახელმწიფო ხაზინით არ სარგებლობს.

* * *

დღეს 2014 წლის ოქტომბრის თბილი დღეა. ვდგავარ გომბორის ახალაშენებულ ხიდზე და ბავშვივით მიხარია!.. ხევის ქუჩის მცხოვრებლები ხელის ჩამორთმევით მესალმებიან, ზოგი სახლში მეპატიჟება. ისევე, როგორც შარშან, წარმოშობით აზერბაიჯანელი მახრამ ხანკიშევის სახლის აივანზე ვსხედვართ, ჩაის მივირთმევთ და ბატონ მახრამის აუჩქარებელ, დინჯ, მშვენიერ ქართულ საუბარს ვუსმენ:

— **„კარგი საქმე გაგვიკეთა თქვენმა რედაქციამ! მხოლოდ თქვენ გვიპატრონეთ და აიძულეთ ჩვენი ხელმძღვანელობა, დანაპირები შეესრულებინა. ორი წელი საშინელ მდგომარეობაში ვიყავით: ვერც ექიმთან წამიყვანდნენ, ვერც სასწრაფო მოვიდოდა, რადგან მანქანის გზა ჩაკეტილი იყო. მოვიდოდა წვიმა, ჩაიკეტებოდა გზა და ვიყავით, როგორც პატიმრები ციხეში! ასეა, შვილო, დიდი ძალა აქვს გაზეთს, როცა მშრომელი ადამიანის გასაჭირზე დაწერ და ბოლომდე იბრძოლებ სიმართლისათვის. მადლობის მეტი რა უნდა გითხრათ!"**

გომბორის ხიდი უკვე სოფლის ღირსშესანიშნავ ადგილად იქცა, განსაკუთრებით — ბავშვებისთვის. მოდიან და ხან „დაჭერობანას" თამაშობენ, ხან ფეხბურთს! ვუყურებ მათ და სასიამოვნო განცდა მეუფლება, რადგან ამ ბავშვების სიხარულში ჩემი წვლილიცაა.

მაგრამ თბილისში კარგი განწყობით დაბრუნება არ გამოდის...

**თბილისი-გომბორი-თელავის ტრასა ნაგავსაყრელადაა გადაქცეული! ნაგავს ყრის ადგილობრივიც და გამვლელიც და ამ უმსგავსობას ბოლო არ უჩანს! არადა, ევროპაო, დასავლეთისკენ მივისწრაფითო... სხვათა შორის, ევროპელები ამ გზით მოგზაურობენ თელავში და ხანდახან ჩერდებიან კიდეც. რა დასკვნას გამოიტანენ, როცა იქვე, გზასთან ბუზების გუნდი შემოესევათ და დამპალი ნარჩენების „არომატს" ჩაისუნთქავენ? არც დანაპირები წყალია გაყვანილი სოფელში, არც გზები — მოხრეშილი...**

**კიდევ მომიწევს გომბორში ჩასვლა. რა გაეწყობა — პროფესია ხომ ჩემი ნებით ავირჩიე...**

**გიორგი კორძაძე**

**როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა სააკაშვილი, კანონებიც და კონსტიტუციაც, ფაქტობრივად, საკუთარ თავზე მოირგო და შედეგად, საქართველო ცივილიზებული სამყაროს საკანონმდებლო ბაზიდან გავიდა. საქართველოს პარლამენტს, სულ ცოტა, ორი წელიწადი მაინც ინტენსიური მუშაობა დასჭირდება, 2003 წელს არსებულ საკანონმდებლო ბაზასთან რომ დავბრუნდეთ.**

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 2003-2012 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები — ძალადობა კანონის სახელით




## კანონმდებლობა, რომელიც დღეს გვაქვს, კატასტროფაა

**31 ოქტომბერს სასტუმრო „ვერე პალასში“, არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრის“ ორგანიზებით, გაიმართა პრეზენტაცია კრებულისა — „ძალადობა კანონის სახელით.“ ამ კრებულში მოცემულია პროფესიონალთა მოსაზრებები, რომლებსაც მივყავართ დასკვნამდე — ყოფილი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში საკანონმდებლო და საკონსტიტუციო ცვლილებები მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა.**

**გია მეფარიშვილი, კახა კახიშვილი, თამაზ იმნაიშვილი, მინდია უგრეხელიძე, მანანა კობახიძე, ეკა ბესელია, შალვა შავგულიძე, ნინო ბურჯანაძე, მარიამ ცაცანაშვილი, გელა ნიკოლაიშვილი, ზაზა ხატიაშვილი, ლია მუხაშავრია, ვალერი გელბახიანი, ირაკლი პეტრიაშვილი, კახა კუკავა, ლალი აფციაური და შალვა ხაჭაპურიძე 2003-2012 წლებში კონსტიტუციაში, სისხლის სამართლის, შრომისა თუ საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე პროფესიონალურ დასკვნებს აკეთებენ. „გლობალური კვლევების ცენტრის“ მიერ გამოცემულ წიგნში „ნაციონალების“ ხელისუფლების ფასადური დემოკრატიისა და საკუთარ თავზე მორგებული კანონმდებლობის მანკიერი შედეგები ნათლადაა წარმოჩენილი.**

კრებულში მოცემულია სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც, ევროპის ქვეყნებში დანაშაულისა თუ პატიმრების რაოდენობის პარალელურად, მკაფიოდ ასახავს, საქართველოში არსებულ მძიმე ვითარებას. საქართველოში 1937-1940 წლებში საქართველოში გამამართლებელი განაჩენი 10% იყო, 2003-2005 წლებში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 0,7-0,8%-ს აღწევდა, 2008-2009 წლებში 0,01%-მდე ჩამოვიდა, 2013 წელს კი 2,0% შეადგინა. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი საჩივრების რაოდენობა 2000 წელს მხოლოდ 7 იყო, 2009 წელს კი — 2 122.

ცნობილმა იურისტებმა, უფლებადამცველებმა, პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა, კრებულის მნიშვნელობაზე საუბრისას აღნიშნეს, რომ საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით ვითარება არსებითად არც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ შეცვლილა.

**არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელმა ნანა დევდარიანმა** განაცხადა, რომ „კრებულს საქართველოს პარლამენტის წევრებს გაუგზავნიან, რათა ყველას შეახსენონ, რა მდგომარეობაში იყო კანონმდებლობით შებოჭილი მოსახლეობა.

„კრებულში იურისტების, პარლამენტის წევრების, უფლებადამცველეების, სამოქალაქო აქტივისტების ბევრი მოხსენება და ინტერვიუა თავმოყრილი. კრებულში არ შესულა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელების მოსაზრებები და ეს სრულიად შეგნებულად გავაკეთეთ, ვინაიდან „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი დამღუპველი კვალი ქართულ კანონმდებლობაში უკვე დატოვა.



**კრებულში ნაჩვენებია, როგორ მძიმდებობდა მოქალაქის მდგომარეობა, როგორ მოარგეს „ნაციონალებმა“ საკანონმდებლო ინტერესები საკუთარ, პარტიულ ინტერესებს. მათ მიერ განხორციელებულმა ცვლილებებმა ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა. თუ 2003 წლამდე შედარებით ნორმალურ, დემოკრატიულ საკანონმდებლო გარემოში ვიყავით და ადამიანი კანონისა და სახელმწიფოს წინაშე დაცული იყო, 2003 წლის შემდეგ ის აბსოლუტურად დაუცველი აღმოჩნდა. ასე ნელ-ნელა შევედით უუფლებობის ზონაში...**

შევეცადეთ, პირველ რიგში, გაგვეანალიზებინა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, კონსტიტუცია, ნაწილობრივ შევეხეთ შრომის და საარჩევნო კანონმდებლობას, უსაფრთხოების სფეროს. ვფიქრობ, აუცილებელია, ყველას შევახსენოთ, რა მოხდა სინამდვილეში. ამას გარდა, ახალი ხელისუფლება უკვე ორი წელია, ქვეყნის სათავეშია, მაგრამ ამ შეცდომების გასწორებას არ ჩქარობს. მართალია, შრომის კანონმდებლობასა და სხვა საკანონმდებლო აქტებშიც გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯები შეინიშნება, მაგრამ **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ძალიან ბევრი ხარვეზია გასასწორებელი.** კრებულში პირდაპირ არის მითითებული, რა როგორ უნდა შეიცვალოს კანონმდებლობაში.“ — განაცხადა ნანა დევდარიანმა



**გია მეფარიშვილი, ყოფილი პარლამენტარი და გენერალური პროკურორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სრული პროფესორი:**

„ვფიქრობ, აღნიშნული კრებულის წაკითხვით ხალხისთვის ბევრი რამ გახდება ცნობილი. **ის მოვლენები, რომლებიც საქართველოში განვითარდა, აღარ უნდა განმეორდეს არც პოლიტიკაში და არც კანონმდებლობაში.** პოლიტიკასა და კანონმდებლობას თავისი წესი და განვითარების კანონზომიერება აქვს და საქართველოს, პატარა ტერიტორიის, მაგრამ ძალიან დიდი ისტორიული გამოცდილების მქონე ქვეყანას, მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი თანაცხოვრება და ნორმალური განვითარება სჭირდება, ამიტომ გარკვეული პოლიტიკური ძალები სიტუაციის არევას ნუ ცდილობენ.

**— ახალი ხელისუფლების შემდეგ თუ შეიცვალა ვითარება?**

— მე ამ ხელისუფლების ამომრჩეველი ვარ და არ ვმალავ, რომ მისი ერთ-ერთი მხარდამჭერიც ვიყავი, მაგრამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ბევრი კითხვა გამიჩნდა და არამხოლოდ მე — ამ კითხვებზე პასუხს ბევრი ქართველი ელის. რა თქმა უნდა, ახლა მეტი თავისუფლებაა, **დღეს არსებული რეალობის შედარება ყოფილი ხელისუფლების მმართველობის პერიოდის ვითარებასთან, უსინდისობა იქნება; ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი.** ერთი რამეც უნდა ითქვას: ხელისუფლება და მთავრობა არც ერთ ქვეყანაში სიყვარულით არ სარგებლობს. საზოგადოება მის მიმართ ყოველთვის მომთხოვნია და მისგან მეტს ელოდება, ამიტომ, რა თქმა უნდა, ჩვენმა ხელისუფლებამაც უნდა მოითმინოს კრიტიკა და გაითვალისწინოს ხალხის აზრი.“

**«მოვლენები, რომლებიც საქართველოში განვითარდა, აღარ უნდა განმეორდეს არც პოლიტიკაში და არც კანონმდებლობაში!»**



**შალვა ხაჭაპურიძე, ადვოკატი:**

— კრებული „ძალადობა კანონის სახელით“ 2003-2012 წლებში ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედებების კრიტიკაა. ამ თემაზე ჩვენ წლების განმავლობაში ვწერდით. როდესაც ჰააგის პროკურატურაში შევიტანე სარჩელი, მისი პირველი თავი სწორედ აღნიშნულ საკითხს ეძღვნებოდა, ანუ იმას, რომ, **როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა სააკაშვილი, კანონებიც და კონსტიტუციაც, ფაქტობრივად, საკუთარ თავზე მოირგო და შედეგად, საქართველო ცივილიზებული სამყაროს საკანონმდებლო ბაზიდან გავიდა.** საქართველოს პარლამენტს, სულ ცოტა, ორი წელიწადი მაინც ინტენსიური მუშაობა დასჭირდება, 2003 წელს არსებულ საკანონმდებლო ბაზასთან რომ დავბრუნდეთ. ვერ ვიტყვი, რომ საკანონმდებლო კუთხით ყველაფერი დახვეწილი იყო, მაგრამ იმჟამინდელი კანონმდებლობა გაცილებით პროგრესული იყო. ხოლო ის, რაც დღეს გვაქვს, კატასტროფაა.

მიგვაჩნია, რომ მოსამართლე უნდა იყოს დამოუკიდებელი, მაგრამ გვავიწყდება, მოსამართლეს, გარდა პატიმრობისა, სასჯელის გამოტანის ალტერნატივა არ აქვს. მოსამართლეს არ შეუძლია, გამოიტანოს გამამართლებელი, ანუ შუალედური განაჩენი, როდესაც მოსამართლე ითვალისწინებს პიროვნების მახასიათებელ მომენტებს და მას შეიძლება, პირობითი სასჯელი მიუსაჯოს, წლების წინათ გააუქმეს. ამით გატეხა სააკაშვილმა სასამართლო ხელისუფლება და დღესაც ანალოგიური ვითარებაა.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ პარლამენტში ბევრი იურისტია, რატომღაც ამ საკითხზე ყურადღებას არავინ ამახვილებს. ამიტომ, ჩემი აზრით, ეს კრებული დეპუტატებს უნდა დაურიგდეთ და გაირკვეს: დღევანდელმა პარლამენტარებმა ან არ იციან, რა საკანონმდებლო უბედურებასთან გვქონდა ათი წლის განმავლობაში საქმე, ან არ იციან, როგორ გამოასწორონ ვითარება. ამ შემთხვევაში სპეციალისტები უნდა მოიწვიონ, თორემ ეს ყველაფერი ისევ ხელისუფლებას დაუბრუნდება ცუდად. ჩვენ კი ის ადამიანები ვართ, რომლებიც ამჟამინდელ ხელისუფლებას ვუჭერთ მხარს და გვინდა, მისი საქმიანობა წარმატებული იყოს. შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი პირველი ნაბიჯია, რომელშიც ოფიციალურად დაიწერა, რა მოვლენასთან გვქონდა საქმე. საჭიროა, ხელისუფლებამ ამ ყველაფერზე რეაგირება მოახდინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებამ უნდა აიძულოს ხელისუფლება, საქართველოს დემოკრატიული კანონმდებლობა დაუბრუნოს.



**სიმონ კილაძე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ლექტორი (ის გახლდათ სააკაშვილის ხელისუფლების პირველი მსხვერპლი, რომელიც 2006 წელს ჯაშუშობისთვის და სამშობლოს ღალატისთვის გაასამართლეს):**

„ძალიან საინტერესო კრებულია. „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის მძიმე წლები საკუთარ თავზე გამოვცადე. ის, რაც ხდებოდა, იყო კონსტიტუციაზე ძალადობა. ისეთი კანონები მიიღო ყოფილმა ხელისუფლებამ, რომელიც ადამიანის უფლებებს ლახავდა. რიგითი მოქალაქე აბსოლუტურად დაუცველი იყო. **იმხანად პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ვმუშაობდი და კარგად მახსოვს, როგორ იღებდა პარლამენტი კანონებს — ურიკით ჩამოატარებდნენ დასტა კანონებს და, ყოველგვარი განხილვის გარეშე, არც კითხულობდნენ, ისე აწერდნენ ხელს. სწორედ ამიტომ მივიღეთ ამგვარი კანონმდებლობა“.**

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

**«მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ პარლამენტში ბევრი იურისტია, რატომღაც ამ საკითხზე ყურადღებას არავინ ამახვილებს. ამიტომ, ჩემი აზრით, ეს კრებული დეპუტატებს უნდა დაურიგდეთ და გაირკვეს: დღევანდელმა პარლამენტარებმა ან არ იციან, რა საკანონმდებლო უბედურებასთან გვქონდა ათი წლის განმავლობაში საქმე, ან არ იციან, როგორ გამოასწორონ ვითარება»**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ვიხილე ის, ვისზეც ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასე ახლოს ვნახავდი. ეს იყო სტალინი. ისეთი, როგორიც ფოტოებსა და კინოფილმებში მყავდა ნანახი. გამიღიმა, ხელი ჩამომართვა, — გამარჯობა, ამხანაგო გოლოვანოვ! და ძალიან, ძალიან გულიანად და სიყვარულით გამიღიმა“.**

# გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

## სტალინის მუშაობის სტილი

**სტალინი იმ ადამიანების მიმართ, რომლებთანაც საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, მკაცრი და მომთხოვნი იყო. ის იზიარებდა თანამშრომლის აზრს და მასაც უზიარებდა საკუთარ თვალსაზრისს, მაგრამ მის მიმართ ნდობა სხვადასხვა მხრიდან შემოწმებული ფაქტის სრული ცოდნის შედეგი იყო. სტალინი ერთი ადამიანის ინფორმაციაზე დაყრდნობით არც ერთ ფაქტს არ განიხილავდა, როგორც უტყუარსა და სანდოს. ის ნდობისა და გადამოწმების ატმოსფეროში ცხოვრობდა.**

სტალინის თანამედროვეთა მემუარებიდან, აგრეთვე, მისი თანამოსანგრეებისა თუ ახლობლების წერილებიდან, განცხადებებიდან და მოგონებებიდან ირკვევა, რომ სტალინის ყველაზე გულწრფელი თანამებრძოლი და „მეგობარი“ იყო მარშალი **ალექსანდრე გოლოვანოვი** (1904-1975). ის არა მხოლოდ სტალინის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში, როცა ცხოვრებამ და ისტორიამ გამოსცადა, არამედ ბელადის სიცოცხლეშიც, მის სანდო ადამიანად მიიჩნეოდა. გოლოვანოვი შეეცადა, სტალინზე მოგონებები წიგნად გამოეცა, მაგრამ ეს მის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა. გულდაწყვეტილმა მარშალმა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივან ლეონიდ ბრეჟნევსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსეი კოსიგინს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

„...ჩემი წიგნი შეჩერებული იქნა მთავლიტის (ლიტერატურისა და გამომცემლობების მთავარი სამმართველო, რომელიც ახორციელებდა ცენზურას ბეჭდვით გამოცემებში და იცავდა სახელმწიფო საიდუმლოებებს 1922-1991 წლებში. — გრ. ონიანი) მიერ, რადგან მასში თითქმის სრულად არის აღწერილი სტალინის პიროვნება და არის მისი საომარი მოქმედებების შექების მცდელობა. „წიგნი არა მხოლოდ აშუქებს ომის მიმდინარეობას, არამედ აფასებს კიდეც სტალინის პიროვნებას, რაც მიუღებელია მთავლიტისთვის“, — განმიცხადეს ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებაში.

**არ შემიძლია, დავეთანხმო ასეთ შენიშვნას იმის გამო, რომ სტალინის როლი დიდ სამამულო ომში პარტიისა და ქვეყნის მიერ შეფასებულია დადებითად. და ამის გამო მე, როგორც ამ ომის მონაწილესა და მთავარსარდალთან ერთ-ერთ ახლოს მდგომ ადამიანს, არ მაქვს უფლება, სიმართლით არ აღვწერო, ჩემ თვალწინ განვითარებული მოვლენები.** და, თუ მე სტალინის საქმიანობასა და ხასიათს უფრო დაწვრილებით გადმოვცემ, ვიდრე სხვა ადამიანები, ეს იმიტომ, რომ მთელი ომის განმავლობაში არ მიმიღია და არ შემისრულებია სხვისი დავალება და განკარგულება, გარდა სტალინისა — არც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის რომელიმე წევრის, არც ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და არც ნებისმიერი მაღალი თანამდებობისა თუ მაღალი ჩინის პიროვნების. **მე დავალებებს ვიღებდი მთავარსარდლისგან და ამ დავალებების შესრულებაზე პატაკს მთავარსარდალსვე ვაბარებდი. ის არავის ენდობოდა, მათ შორის, არც მე, მაგრამ გადამოწმების შემდეგ ჩემი ქმედებით თუ მოხსენებით, რომელიც ჩემს გაკეთებულსა და ნათქვამს ადასტურებდა, ყოველთვის კმაყოფილი იყო. ამიტომ ჩემი გულწრფელი თხრობა და საქებარი სიტყვები მხოლოდ და მხოლოდ ჩემ მიერ რეალურად დანახული და შეცნობილი სტალინია. მე სრულად ვაგებ პასუხს ჩემს ნათქვამსა და დაწერილზე.**

**პატივისცემით,**
**ა. ე. გოლოვანოვი“.**

იმის გამო, რომ მარშალ გოლოვანოვს თითქმის ყველაზე გულწრფელად და სიყვარულით აქვს გადმოცემული თავისი დამოკიდებულება სტალინის მიმართ, მისი პიროვნებით მეტად დავინტერესდი:

**ალექსანდრე ევგენის ძე გოლოვანოვი** (შემდეგში ავიაციის მთავარი მარშალი) 1904 წლის 22 სექტემბერს ნიჟნი ნოვგოროდში დაიბადა. მისი ბიოგრაფიიდან, ბევრი საინტერესო ამბის გარდა, ჩემთვის ისიც ცნობილი შეიქნა, რომ ლეგენდარული მხატვრის, ელენე ახვლედიანის, ტილოზე („ზამთარი თბილისში“) გამოსახული „კიბალჩიჩის“ აღმართი მარშალ გოლოვანოვის ბაბუის (დედის მხრიდან) სახელს ატარებდა, ის ცნობილი სახალხო მთქმელი და ოქტომბრის რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო.

1931-33 წლებში ალექსანდრე გოლოვანოვმა საავიაციო სასწავლებელი დაამთავრა და მუშაობა დაიწყო მფრინავად. ენერგიული ახალგაზრდა ჯერ შეფ-მფრინავად დანიშნეს, ხოლო 1935 წელს აღმოსავლეთ ციმბირის სამოქალაქო ავიაცია ჩააბარეს. 1937 წელს სამსახურიდან დაითხოვეს და პარტიიდან გარიცხეს, მაგრამ მოსკოვში ჩავიდა, თავისი უდანაშაულობა დაამტკიცა და პარტიაში აღადგინეს. შემდეგ გოლოვანოვი დანიშნეს განსაკუთრებული დავალებების შეფ-მფრინავად. 1938 წელს გაზეთების ფურცლებზე გამოჩნდა ფოტო მფრინავი გოლოვანოვისა, რომელმაც ხალხინ-გოლისა (ჩინეთისა და მონგოლეთის საზღვართან) და ფინეთის ომში მილიონ კილომეტრზე მეტი იფრინა.

სამოქალაქო ავიაციის გენერალური ინსპექტორის, იაკობ სუშკევიჩის, დაჟინებული მოთხოვნით, გოლოვანოვს დაევალა, შორეული მოქმედების ავიაციაზე ჩამოეყალიბებინა თავისი თვალსაზრისი, რომელიც შემდეგ სტალინისთვის უნდა გაეგზავნათ. მფრინავს ვერ წარმოედგინა, რომ მის ნააზრევს შეიძლებოდა, სტალინი გაცნობოდა. გენერალური ინსპექტორი შეუვალი იყო და გოლოვანოვისაგან დავალების შესრულებას მოითხოვდა: „შენ დაწერე, სტალინამდე კი წერილს მე მივიტან“.

ყველაფერში ბეჯითმა გოლოვანოვმა, წერილი გულმოდგინედ მოამზადა და იაკობ სუშკევიჩისთვის გადასაცემად მეუღლეს დაუტოვა. თვითონ კი განსაკუთრებული დავალების შესასრულებლად ძალზე ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში ციმბირში გაფრინდა.



**«არმიას გამოწურეთ ყველაფერი, რაც შეგეძლოთ, და ახლა გადააგდეთ, როგორც ნახმარი ძონძი?! ეს დასვენებაა თუ დასჯა არმიისა, რომელმაც ბრწყინვალედ იომა?! გიბრძანებთ, სასწრაფოდ გამოასწოროთ მდგომარეობა და შესრულების შესახებ მომახსენოთ! ჯარისკაცის მიერ სტალინისთვის დეპეშის გაგზავნიდან ოთხ საათში სამხედრო ტელეგრაფით სატანკო არმიამ შეტყობინება მიიღო: «თქვენკენ მოემართება დატვირთული ვაგონები»**

იაკობ სუშკევიჩმა დილითვე მიაკითხა მფრინავს, მაგრამ ის შინ აღარ დახვდა, წერილი კი მეუღლემ გადასცა მას. მეორე დღეს მფრინავის ბინაში ტელეფონმა დარეკა, ყურმილში გაისმა სრულიად უცხო გვარები — სუხანოვი და მალენკოვი, რომლებიც არაფერს ეუბნებოდა დიასახლისს, რადგან მეუღლის ასეთ მეგობრებს არ იცნობდა. ცუდ მეტეოპირობებში ფრენის წარმატებით დასრულების შემდეგ დაღლილი გოლოვანოვი თავის ბინაში დაბრუნდა. მეუღლემ ამბავი დაახვედრა, — ხშირად გირეკავდნენ მალენკოვი და სუხანოვიო, მაგრამ ვერც მფრინავმა გაიხსენა ასეთი გვარის მეგობრები. მოშიებული გოლოვანოვი სადილს შეექცეოდა, როცა ტელეფონმა კვლავ დარეკა.

— საშა, კვლავ შენი ამხანაგი რეკავს, — უთხრა მეუღლემ გოლოვანოვს, — სუხანოვი.

— მე მალენკოვის თანაშემწე სუხანოვი გაწუხებთ, თქვენ სასწრაფოდ უნდა მოხვიდეთ მასთან, — მოესმა გოლოვანოვს ყურმილიდან.

— სად იმყოფებით, როგორ მოგნახოთ? — მიუგო მფრინავმა.

— თქვენს კართან მანქანა უკვე დგას, ის მოგიყვანთ, — იყო მოკლე პასუხი.

მანქანამ წითელი მოედანი გადაკვეთა და შენობის წინ გაჩერდა. გოლოვანოვი მალენკოვის კაბინეტში შეიყვანეს.

გულთბილი მიღების შემდეგ კაბინეტიდან გამოვედით და ლიფტით Dდაბლა დავეშვით. მანქანით ხუთი წუთიც არ გვივლია, რომ კრემლის ეზოში შევედით. მეორე სართულზე ავედით. როდესაც მუხის დიდ კარს მივადექით, მალენკოვმა მთხოვა, აქ დამელოდეო, თვითონ კი კარს მიღმა გაუჩინარდა. ცოტა ხნის შემდეგ მელოტმა კაცმა გაღებულ კარზე მიმითითა და მითხრა, შებრძანდითო.

ვიხილე ის, ვისზეც ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასე ახლოს ვნახავდი. ეს იყო სტალინი. ისეთი, როგორიც ფოტოებსა და კინოფილმებში მყავდა ნანახი. გამიღიმა, ხელი ჩამომართვა, — გამარჯობა, ამხანაგო გოლოვანოვ! და ძალიან, ძალიან გულიანად და სიყვარულით გამიღიმა.

**— თქვენი წერილი წავიკითხე, ძალიან საჭირო საქმეზე გიფიქრია, მაგრამ ერთი უნდა გითხრათ: თქვენ წერთ, რომ 100-150 თვითმფრინავისგან შევქმნათ მობილური ჯგუფი, რომელსაც შევაიარაღებთ სანავიგაციო საშუალებებით და იფრენს შორ მანძილებზე. მაგრამ ასეთი დანაყოფი ჩვენ არ გვყავს. ჩვენ გვყავს ესკადრილია, პოლკი, დივიზია, კორპუსი და არმია — აი, ეს არის ჩვენი სამხედრო სტრუქტურები.**

— როგორი იქნება თქვენი მოსაზრება? — მიმართა სტალინმა იქვე მყოფ მაღალჩინოსნებსა და პარტიულ ხელმძღვანელებს. პასუხად მიიღო, რომ გაერთიანება დაწყებულიყო კორპუსიდან.

სტალინი დინჯად დადიოდა ხალიჩაზე. როდესაც მომიახლოვდა, შეჩერდა, თვალებში შემომხედა და გამომცდელად მკითხა:

— თქვენ ამაყი ხართ? — ამ კითხვას უარყოფითი პასუხი გავეცი.

არ ვიცოდი, რატომ დამისვა ასეთი უხერხული შეკითხვა და რა იყო ამის საფუძველი ან მიზანი.

სტალინმა კვლავ განაგრძო ხალიჩაზე სიარული, ფიქრობდა, შემომხედავდა და გაიღიმებდა. ალბათ, მეტყობოდა სახეზე ის კმაყოფილება და სიამაყე, რომელიც იმ წუთებში იპყრობდა მთელ ჩემს სხეულს.

— თქვენგან არაფერი მეწყინება, ამხანაგო სტალინ!

— ამიტომ არ გეკითხებით, — გაიღიმა სტალინმა, — არმია თუ კორპუსი? შემოგთავაზებთ, დავიწყოთ პატარა ქვედანაყოფით, შევარჩიოთ საუკეთესო მფრინავები — გაბედული, ჭკვიანი, მამაცი ადამიანები, რომლებიც შეძლებენ ნებისმიერ ამინდში შორ მანძილზე ფრენას. ამისათვის ჩვენ არმიასა და კორპუსს ჯერჯერობით ვერ შევქმნით. სჯობს, შევქმნათ განსაკუთრებული მნიშვნელობის პოლკი, რომელიც, არა რომელიმე ოლქში ან დივიზიის შემადგენლობაში შევა, არამედ უშუალოდ დაექვემდებარება თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს და შეასრულებს მხოლოდ და მხოლოდ მის ბრძანებებს. მას უნდა აღმოვუჩინოთ ყოველგვარი დახმარება, რისი საშუალებაც გვაქვს. პოლკი ისე უნდა განვავითაროთ და გავაძლიეროთ, რომ ექვსი თვის შემდეგ გარდავქმნათ დივიზიად, ერთი წლის შემდეგ — კორპუსად, ხოლო ორი წლის შემდეგ — არმიად.

— თქვენ, ამხანაგო გოლოვანოვ, თანახმა იქნებით ამაზე?

— დიახ, ამხანაგო სტალინ.

— თქვენი აზრები და მოსაზრებები, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, გვარწმუნებს იმაში, რომ ამ საქმის წარმართვას ყველაზე უკეთ თქვენ შეძლებთ. თანახმა ხართ თუ არა, ამხანაგო გოლოვანოვ?

— თანახმა ვარ, ამხანაგო სტალინ!

— ახლა თქვენთან ასეთი შეკითხვა მაქვს: რამდენი გაქვთ ხელფასი სამოქალაქო ავიაციაში?

— მთავრობის დადგენილებით, როგორც შეფ-მფრინავი თვეში 4000 მანეთს ვიღებ, — ვუპასუხე.

— ამხანაგო ტიმოშენკო, მითხარით, რამდენს იღებს საავიაციო პოლკის მეთაური?

— პოლკის მეთაური ხელფასის სახით იღებს 1600 მანეთს, — მოახსენა სახკომმა.

— ამხანაგო სტალინ, მე ხელფასის ოდენობას არასოდეს გამოვკიდებივარ, ჩემთვის დამაკმაყოფილებელია 1600 მანეთი, — ვთქვი მე.

— **აი, რა: თქვენ, როგორც მეთაურს, გექნებათ სახელმწიფო კვება, ჩასაცმელი, ფეხსაც-** ▶

**„დავალებებს ვიღებდი მთავარსარდლისგან და ამ დავალებების შესრულებაზე პატაკს მთავარსარდალსვე ვაბარებდი. ის არავის ენდობოდა, მათ შორის, არც მე, მაგრამ გადამოწმების შემდეგ ჩემი ქმედებით თუ მოხსენებით, რომელიც ჩემს გაკეთებულსა და ნათქვამს ადასტურებდა, ყოველთვის კმაყოფილი იყო. ამიტომ ჩემი გულწრფელი თხრობა და საქებარი სიტყვები მხოლოდ და მხოლოდ ჩემ მიერ რეალურად დანახული და შეცნობილი სტალინია. მე სრულად ვაგებ პასუხს ჩემს ნათქვამსა და დაწერილზე“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀მელი, სახელმწიფო ბინა და, ამასთანავე, გექნებათ იგივე ხელფასი, რომელიც გქონდათ დღემდე. რატომ უნდა დავწყვიტოთ გული ადამიანს, როდესაც ის მიდის მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ასე არ არის, ამხანაგებო?**

გაისმა შეძახილები:

— მართალია, მართალია!

— კმაყოფილი ხართ? — მკითხა სტალინმა.

— რა თქმა უნდა, სრულიად კმაყოფილი ვარ, — იყო ჩემი პასუხი.

— მაშ, მოვილაპარაკეთ. დასრულდა თქვენი თავისუფლება, შეეშვით ფრენას და გადაერთეთ საორგანიზაციო საქმიანობაზე. მოგვეცით თქვენი წინადადებები, ჩვენ ყველაფერში დაგეხმარებით. გისურვებთ წარმატებებს! — სტალინმა ხელის აწევით მანიშნა, რომ ჩვენი საუბარი დასრულდა“.

იმ დღიდან 35 წლის ალექსანდრე გოლოვანოვი სტალინის უახლოესი და უერთგულესი ადამიანი გახდა. გოლოვანოვმა ღირსეულად გაიარა ყველა გზა პოლკის მეთაურობიდან, სრულიად ახალი მიმართულების შორს მოქმედი ავიაციის შემქმნელამდე და მის უმაღლეს წარმომადგენლამდე.

**სტალინის გარდაცვალების წელს ალექსანდრე გოლოვანოვს 49 წელი შეუსრულდა, მაგრამ ცოდნითა და გამოცდილებით სავსე მარშალი, რადგან ის სტალინის უერთგულესი და უახლოესი პიროვნება იყო, ხრუშჩოვმა დაუყონებლივ პენსიაზე გაისტუმრა.**

ალექსანდრე გოლოვანოვი 1975 წელს გარდაიცვალა მოსკოვში.

„1942 წელს შორეულ აღმოსავლეთში დიდი ტანკმშენებელი ქარხანა გაიხსნა. გადაწყდა, ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის დირექტორად დაენიშნათ მინისტრის მოადგილე, რომელიც გამოიძახეს პოლიტბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

სტალინმა მოისმინა მინისტრის მოადგილის წარდგინება და ის დადებითი თვისებები, რომლებიც მომავალ დირექტორს ჰქონდა. კმაყოფილმა სტალინმა დირექტორობის მომავალ კანდიდატს ჰკითხა, რამდენი ჰქონდა ხელფასი მინისტრის მოადგილედ მუშაობის პერიოდში. პასუხის მიღების შემდეგ სტალინმა იკითხა, რამდენი ექნება ხელფასი დირექტორობის შემთხვევაში და, როცა პასუხი მოისმინა, წამოიძახა:

— ეს როგორ?! კაცს აქვეითებთ თანამდებობრივად, აუარესებთ მის საყოფაცხოვრებო პირობებს, მოსკოვიდან ასახლებთ შორეულ აღმოსავლეთში და ხელფასს უნახევრებთ, თანაც ამტკიცებთ, რომ კარგი მუშაკია?! არ მესმის, რა ხდება!

— ის კომუნისტია და ვალდებულია, შეასრულოს პარტიის დავალება, — უპასუხეს ბელადს.

**სტალინი კარგა ხანს დუმდა. იქ დამსწრენი გრძნობდნენ, რომ სტალინი ეს-ეს არის განრისხდებოდა, მაგრამ რაღაც აჩერებდა, თავს ებრძოდა და მიმოდიოდა წითელ ხალიჩაზე, ბოლოს მაგიდასთან შეჩერდა და გაბრაზებულმა დაიწყო:**

**— აი, ჩვენ გვყავს ბატონი კომუნისტები, რომლებიც ასე წყვეტენ საკითხს: რადგან შენ კომუნისტი ხარ, სადაც უნდა გაგგზავნონ და რაც უნდა ცუდი გაგიკეთონ, შენ მაინც უნდა დაიძახო „ვაშა“ და ადიდო საბჭოთა ხელისუფლება. მართალია, პარტიის დავალება აუცილებლად უნდა შესრულდეს, მაგრამ პარტიასაც ხომ უნდა ეყოს ჭკუა, მიხვდეს, რომ შეძახილი „ვაშა“ ადამიანისა, რომელსაც ასახლებ ციმბირში, აქვეითებ თანამდებობრივად და უნახევრებ ხელფასს, არც გულწრფელი იქნება და არც სამართლიანი. საიდან მოიტანეთ, რომ ჩვენ გვაქვს უფლება, როგორც მოგვესურვება, ისე მოვექცეთ ადამიანებს?!**

თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა, გამოვასწოროთ საქმე და


ალექსანდრე გოლოვანოვი


მიხეილ კატუკოვი

**«სტალინი კარგა ხანს დუმდა. იქ დამსწრენი გრძნობდნენ, რომ სტალინი ეს-ეს არის განრისხდებოდა, მაგრამ რაღაც აჩერებდა, თავს ებრძოდა და მიმოდიოდა წითელ ხალიჩაზე. ბოლოს მაგიდასთან შეჩერდა და გაბრაზებულმა დაიწყო:**
**— აი, ჩვენ გვყავს ბატონი კომუნისტები, რომლებიც ასე წყვეტენ საკითხს: რადგან შენ კომუნისტი ხარ, სადაც უნდა გაგგზავნონ და რაც უნდა ცუდი გაგიკეთონ, შენ მაინც უნდა დაიძახო «ვაშა» და ადიდო საბჭოთა ხელისუფლება. მართალია, პარტიის დავალება აუცილებლად უნდა შესრულდეს, მაგრამ პარტიასაც ხომ უნდა ეყოს ჭკუა, მიხვდეს, რომ შეძახილი «ვაშა» ადამიანისა, რომელსაც ასახლებ ციმბირში, აქვეითებ თანამდებობრივად და უნახევრებ ხელფასს, არც გულწრფელი იქნება და არც სამართლიანი. საიდან მოიტანეთ, რომ ჩვენ გვაქვს უფლება, როგორც მოგვესურვება, ისე მოვექცეთ ადამიანებს?!»**

ამ საქმის გასაკეთებლად გვჭირდება ადამიანი, რომელსაც შეუძლია, გააკეთოს ეს საქმე, მაშინ კეთილი ინებეთ და მას შეუნარჩუნეთ ყველაფერი. გაუშვით იქ, სადაც გინდათ, მაგრამ გაუუმჯობესეთ პირობები და დაჰპირდით, რომ, როდესაც ქარხანას ფეხზე დააყენებს, კაბინეტი ისევ მოსკოვში დაელოდება. აი, ასეთ შემთხვევაში საქმეც უფრო კარგად გაკეთდება და ადამიანსაც ჯანმრთელობა და ენერგია შეუნარჩუნდება“, — იხსენებს გოლოვანოვი.

მარშალი **მიხეილ კატუკოვი** კი თავის მოგონებებში წერს, როგორ გასცა განკარგულება სტალინმა, კურსკის რკალის არნახული ბრძოლების შემდეგ პირველ სატანკო არმიას დაესვენა და რეზერვში გადასულიყო. არმია ზურგში გადაიყვანეს. მართალია, არ ცვიოდა ბომბები, მაგრამ ჯარისკაცები უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ არ მარაგდებოდნენ სანოვაგითა და საწვავით. 15 კილომეტრით დაშორებული სარკინიგზო პლატფორმიდან ჯარისკაცებს ზურგით მოჰქონდათ პურით სავსე ტომრები და ულუფებად ინაწილებდნენ. ერთმა გაბედულმა მებრძოლმა რკინიგზის სადგურის ფოსტიდან ტელეგრამა გაუგზავნა სტალინს სატანკო არმიის მდგომარეობის შესახებ.

შეიარაღების მინისტრი **იაკობ ფედორენკო** იგონებს:

„სასწრაფოდ სტალინთან გამომიძახეს. მარტო იყო. საშინლად აღშფოთებული ჩანდა. როგორც კი კაბინეტში შევედი, ჩემკენ წამოვიდა. ხელში დეპეშა ეკავა.

— რა ჰქვია ამას?! აგდებული დამოკიდებულება? **არმიას გამოწურეთ ყველაფერი, რაც შეგეძლოთ და ახლა გადააგდეთ, როგორც ნახმარი ძონძი?! ეს დასვენებაა თუ დასჯა არმიისა, რომელმაც ბრწყინვალედ იომა?! გიბრძანებთ, სასწრაფოდ გამოასწოროთ მდგომარეობა და შესრულების შესახებ მომახსენოთ!**

ჯარისკაცის მიერ სტალინისთვის დეპეშის გაგზავნიდან ოთხ საათში სამხედრო ტელეგრაფით სატანკო არმიამ შეტყობინება მიიღო: „თქვენკენ მოემართება დატვირთული ვაგონები“.



სტალინს არ ავიწყდებოდა დაღუპულებიც. ბოლო მომენტში, როდესაც კურსკის ბრძოლების შემდეგ განკარგულება გასცა, გამარჯვების აღსანიშნავად მოეწყოთ სალუტი და გამოექვეყნებინათ მთავარსარდლის ბრძანება, აღმოჩნდა, რომ ტექსტში სათანადოდ არ იყო გამოხატული ომში დაღუპულთა მიმართ პატივისცემა, რაც სტალინის ხელითვე იქნა შესწორებული და ასე ჩამოაყალიბა: **„სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისთვის ბრძოლაში“.**

პოლიტბიუროს სხდომაზე იხილებოდა საკითხი სამხედრო შეიარაღების ერთ-ერთი სახეობის მკვეთრ გაუმჯობესებაზე, რომლისთვისაც მიწვეული იყო სამხედრო მრეწველობის მინისტრი **ალექსანდრე ეფრემოვი.** მისი განმარტებით, პროდუქციის გამოშვების გაზრდა შესაძლებელი იყო, მაგრამ ამისთვის, სხვა საკითხების მოგვარებასთან ერთად, საშტატო ერთეულებიც უნდა დაემატებინათ 800 თანამშრომელზე.

სტალინმა ყურადღებით მოუსმინა მინისტრის ახსნა-განმარტებას; მიუახლოვდა, თვალებში ჩახედა და მიმართა.

— ერთი მითხარით, თუ გსმენიათ რამე ბუგროვის შესახებ.

— არა, ამხანაგო სტალინ, ასეთი გვარის შესახებ არაფერი მსმენია.

— მაშინ მე მოგიყვებით: ბუგროვი იყო მეწისქვილე, რომელსაც მდინარე ვოლგის გასწვრივ უამრავი წისქვილი ჰქონდა. მას ემსახურებოდა დიდი სამდინარო ფლოტი და ბარჟები. ბუგროვის წლიური შემოსავალი რამდენიმე მილიონ ოქროს მანეთს შეადგენდა. როგორ გგონიათ, რამდენი საშტატო ერთეული ეყოლებოდა ბუგროვს თავის აპარატში, რომ ეკონტროლებინა ასეთი დიდი სამსახური, მითხარით, დაახლოებით რამდენი?

ცოტაოდენი ლოდინის შემდეგ განაგრძო:

— რადგანაც თქვენ არ იცით, მე გეტყვით: ბუგროვს ჰყავდა ერთადერთი ბუღალტერი, რომელსაც წელიწადში უხდიდა 25 000 ოქროს მანეთს. დადიოდა ბუგროვის ცხენებითა და ცხოვრობდა ბუგროვის სახლში. ბუგროვს, ალბათ, ულირდა ბუღალტერი იმად, რომ ამდენი ოქრო მიეცა. ის კაპიტალისტი იყო და შეეძლო, რამდენიც უნდოდა, იმდენი შტატი ჰყოლოდა, მაგრამ ფულს მუქთად არავის მისცემდა, რადგან ის ფული მისი იყო, მისი საკუთრება.

მე ისევე, როგორც თქვენ, საკუთარი ფული არ მაქვს და რაც გვაქვს, ის ხალხის ფულია. ხალხის ფულს კი განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება. ძალიან გთხოვთ, გაითვალისწინოთ და გაიაზროთ ის, რაც მე მოგიყევით და ამ თვალსაზრისით გაიანგარიშოთ და წარმოადგინოთ ახალი წინადადება.

აგარაკზე ყოფნის პერიოდში, უახლოეს ადამიანებთან საუბრისას, მარშალმა ვასილევსკიმ შეჰბედა სტალინს და ჰკითხა, როგორ წარმოუდგენია კომუნიზმის პირველი ფაზა.

მე ვთვლი, რომ კომუნიზმის პირველი ფაზა, ანუ პირველი საფეხური იქნება ის, რომ ჩვენ მოსახლეობას უფასოდ მივაწვდით პურს.

— ამხანაგო სტალინ, ეს როგორ, ხალხს უფასოდ მივცეთ პური? ეს ხომ შეუძლებელია! — წამოიძახა ერთ-ერთმა. სტალინი ამ მომენტში ფანჯარასთან იდგა და სივრცეს გაჰყურებდა. ამხანაგებიც ფანჯარასთან მიიწვია. ფანჯრიდან წყარო მოჩანდა, საიდანაც ბროლივით წყალი იღვრებოდა.

— რას ხედავთ, მეგობრებო? — იკითხა სტალინმა.

— წყაროს, — იყო პასუხი.

— ჩვენ რომ უდაბნოში ვიყოთ, ამ წყალთან უზარმაზარი რიგი იქნებოდა, მაგრამ აქ წყალი ბევრია და რიგიც არ არის. ჩაფიქრებულმა სტალინმა გაიარ-გამოიარა, კვლავ გაჩერდა ფანჯარასთან და თქვა: იცით რა, თუ არ იქნება საერთაშორისო გართულებები, მხედველობაში მაქვს ომი, ჩვენ მოსახლეობისთვის პურის უფასოდ მიცემის საკითხს 1960 წლისთვის გადავწყვეტთ.

**P.S. 1960 წელს, სტალინის გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ და ხრუშჩოვის მმართველობის მეშვიდე წლის თავზე უისტონ ჩერჩილმა ხრუშჩოვის მისამართით თქვა: „მართლაც გენიოსი უნდა იყოს კაცი, რომ რუსეთი უპუროდ დატოვოს“.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კოჰაბიტაცია იყო „ნაციონალთა“ მხარდამჭერი ექსპერიმენტი და ქართველი ერის წინააღმდეგ ამხედრებული უბოროტესი ძალების მიერ დაგებული ხაფანგი. იგი „მეოცნებეთა“ მიერ მოწინააღმდეგეთა ვერაგი და საკმაოდ ძლიერი ძალების შესაძლებლობათა შეუფასებლობისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში სიფხიზლის მოდუნების შედეგია. განცვიფრებას იწვევს ის, რომ ეს ანტიეროვნული აქტი განხორციელდა უშუალოდ „ქართული ოცნების“ მიერ.**

# მხოლოდ ხალხის მონოლითური ერთიანობა და მამულიშვილური თავდადება გადაარჩენს საქართველოს!



**„ნაციონალთა“ კაცთმოძულე რეჟიმის დამხობისა და ქართული ეროვნული ძალების გამარჯვების შემდეგ ვერ წარმოგვედგინა, საქართველოს კვლავაც თუ დაემუქრებოდა რაიმე საფრთხე და ამდენ ხანს წელში ვერ გაიმართებოდა. უხეშმა შეცდომებმა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში, განაპირობა ქვეყნის წარუმატებლობა. ამის მთავარ მიზეზად ე.წ. კოჰაბიტაციას მიიჩნევენ, რომლითაც „ნაციონალ“ ნაძირლებს მიეცათ შესაძლებლობა, შეენარჩუნებინათ თავიანთი პოლიტიკური ძალები და შემდეგ თანდათანობით ეზრუნათ მათი აქტივობისა და ბრძოლისუნარიანობის აღსადგენად.**



დღეს არავის ეეჭვება, რომ **კოჰაბიტაცია იყო „ნაციონალთა“ მხარდამჭერი ექსპერიმენტი და ქართველი ერის წინააღმდეგ ამხედრებული უბოროტესი ძალების მიერ დაგებული ხაფანგი. იგი „მეოცნებეთა“ მიერ მოწინააღმდეგეთა ვერაგი და საკმაოდ ძლიერი ძალების შესაძლებლობათა შეუფასებლობისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში სიფხიზლის მოდუნების შედეგია. განცვიფრებას იწვევს ის, რომ ეს ანტიეროვნული აქტი განხორციელდა უშუალოდ „ქართული ოცნების“ მიერ.**

ომებისა და რევოლუციების ისტორია გვარწმუნებს, რომ მოსისხლე მტერი არ უნდა დაინდო და მას უნდა სდიო საბოლოო განადგურებამდე, მით უფრო, როცა ხელთ გიპყრია მის მიერ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულთა შესახებ უამრავი მტკიცებულება. ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ემახსოვრებათ გენიალური სტრატეგისა და მხედართმთავრის — იოსებ სტალინის მგზნებარე მოწოდება გერმანელ ფაშისტთა საკუთარ ბუნაგში განადგურების თაობაზე, რომელიც შესრულდა კიდეც და ნიურნბერგის სასამართლო პროცესის შედეგად აღიგავა პირისაგან მიწისა ფაშიზმი, როგორც პოლიტიკური გაუგებრობა.

**ბატონი ბიძინა ივანიშვილის ვარაუდი, რომ „ქართული ოცნება“ კოჰაბიტაციის პირობებშიც კი შეძლებდა ისტორიის სარბიელიდან „ნაციონალთა“ ალაგმვას და ამით ერთხელ კიდევ იტყოდა ახალ სიტყვას პოლიტიკაში, არ გამართლდა.** უნდა ვიფიქროთ, რომ თავი იჩინა წარმატებისგან თავბრუდახვევამ, რომელმაც უბიძგა ახალ ხელისუფლებას, წასულიყო ერთგვარ კომპრომისზე და შემოეღო ეს ექსპერიმენტი. **„მეოცნებეებმა“ ვერ გაითვალისწინეს, რომ ისტორიის გარდამტეხ და გადამწყვეტ მომენტში ასეთი ნაბიჯი საბედისწერო შედეგებით შეიძლება, დამთავრდეს.**

ისე დიდია ბიძინა ივანიშვილის დამსახურება ქართველი ერისა და სამშობლოს წინაშე, რომ ვერ ვიტყვით, ამ შეცდომამ უზომოდ დაჩრდილა მისი ავტორიტეტი და დამანგრეველი დარტყმა მიაყენა მის დამსახურებასო. არა გვგონია, ბატონ ბიძინას, როგორც მულტიმილიარდერ ბიზნესმენს, არ ჰქონდეს გათვითცნობიერებული, რომ ყველაზე დიდი სიმდიდრე მამულიშვილისთვის, მატერიალური ფასეულობები კი არა, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, რომელიც შველას ითხოვს დღესაც, პირველ რიგში, მისგან და მასთან ერთად, ქართველი ხალხისგან; მაგრამ ერთი რამ ცხადია: ნებსით თუ უნებლიეთ, **მის მიერ გადადგმული წინდაუხედავი ნაბიჯის გამო ბევრი სიძნელეები შეექმნა ქვეყანას.**

სწორედ კოჰაბიტაციის შედეგად იჩინა თავი განუკითხაობამ ქვეყნის საკადრო პოლიტიკაში. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, თავს გვახსენებს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში დღეს არსებული საგანგაშო სურათი. **იმის გამო, რომ საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად და მხოლოდ ერთპიროვნული ნება-სურვილით მოხდა უმაღლესი**

**თუ ჩვენ ვამყარებთ დემოკრატიულ პრინციპებს, იგი მთელი საზოგადოების ღვიძლ საქმედ უნდა მივიჩნიოთ, რათა ადამიანთა ფართო მასებმა გადაწყვიტონ ხელმძღვანელი კადრების როგორც შერჩევის, ისე არჩევის, აგრეთვე, იმ ხელმძღვანელების თანამდებობიდან დათხოვნის საკითხები, რომლებმაც ვერ გაამართლეს ხალხის ნდობა**

**ხელისუფლების ხელმძღვანელ პირთა (ქვეყნის პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის, მინისტრების) კანდიდატურების შერჩევა, ზოგიერთი მათგანი არ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.**

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიკვეთა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის პიროვნება, **რომელიც თავიდანვე განუდგა პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და არ ინება მასთან კოლეგიური ურთიერთობა**, ბოლო პერიოდში ყოველივე ამან დაპირისპირების ხასიათიც კი მიიღო. აშკარად შეიმჩნევა, რომ პრეზიდენტი თავისი შეხედულებებითა და მოქმედებით სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა აყენებს პირად ინტერესებს. ასეთ პირობებში პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, რაც არც მოსაწონია და არც გამართლებული. ამასთანავე, **პარლამენტის სპიკერის მისამართით, დადებით შეფასებებთან ერთად, ხშირად გაისმის შენიშვნები მისი, როგორც რესპუბლიკელის, ადრინდელი საქმიანობის მიმართ და რომ მისი თვალსაზრისი ცალკეულ შემთხვევაში ეწინააღმდეგება „ქართული ოცნების“ პროგრამულ მიზნებს. აი, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ხელისუფლება და მარტო დარჩენილი პრემიერმინისტრი ვერ აღწევენ სასურველ წარმატებას.** სწორედ ამიტომაც ითქვა სავსებით სამართლიანად, რომ ამგვარად ეს სამეული სახელმწიფოს წინამძღოლობას ვერ შეძლებს. რაც შეეხება პრემიერმინისტრს, აშკარაააა, რომ იგი დიდად გამოირჩევა სხვებისგან ქვეყნისადმი ერთგულებით, შეუპოვრობით, პრინციპულობით, თუმცა საზოგადოებას მის მიმართაც აქვს მთელი რიგი ყურადსაღები შენიშვნებისა.

**ახალმა ხელისუფლებამ დღემდე ვერ შეძლო გადამწყვეტ უბნებზე, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, კადრების სწორად შერჩევა და განაწილება. ფაქტები მოწმობს, რომ სახელმწიფო მოხელეთა უმრავლესობა ისევ „ნაციონალები“ არიან, სამართალდამცველ ორგანოებში მათ კვლავ წამყვანი თანამდებობები უკავიათ (მათ შორის არიან წარსულში მძიმე დანაშაულის ჩამდენი ადამიანებიც). მიუხედავად ახლახან განხორციელებული ცვლილებებისა, არც სამინისტროების აქტივობა იგრძნობა; კრიტიკას ვერ უძლებს ცალკეული მინისტრების, უწყებათა ხელმძღვანელების უგუნური, დასაგმობი საქციელი, რომელიც თანამშრომლებისთვის პრემიების დაუმსახურებლად დარიგებაში გამოიხატა;** მუნიციპალიტეტის გამგებლები, ქალაქის მერები ურიგდებიან საკადრო პოლიტიკაში დაშვებულ მიუტევებელ შეცდომებს.

ზუგდიდის საკრებულოს წევრ კახა მიქაიას წერილში, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა „ასავალ-დასავალში“, მეტად მძიმე საუბარია იმაზე, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ქვეყნის მმართველი და სხვა კადრების როლის შეუფასებლობას. **„სამეგრელოს რვა რაიონიდან, — აღნიშნავს იგი, — ხუთში საკრებულოს თავმჯდომარეების არჩევნებზე „ქართული ოცნების“ კანდიდატურა ჩავარდა და „ნაციონალებმა“ თავიანთი ხალხი გაიყვანეს... ამ რეგიონში მერიებისა და გამგეობების ადმინისტრაციები თითქმის სრულად „ნაციონალებით“ დაკომპლექტდა“... ზუგდიდის გამგებელი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოში „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე ყოფილი „ნაციონალები“ არიან; ფაქტები კი მოწმობს, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი ყოფილი „ნაციონალებისა“, რომლებიც სააკაშვილის ბანაკიდან გადმობარგდნენ „ქართულ ოცნებაში“, ისევ ძველ პოზიციებზე რჩება და „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ასეა სხვა რეგიონებშიც.**

ცნობილია, რომ, თუ ქვეყნის ხელისუფლება პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს მეცნიერულად დასაბუთებული მოწინავე თეორიით, თუ მისი სტრატეგია და ტაქტიკა ეფუძნება პრაქტიკული ცხოვრებით შემოწმებულ დადებით გამოცდილებას, წინსვლის შემაფერხებელი დაბრკოლებები იოლი დასაძლევია და წარმატებებიც ადვილად მიიღწევა. ამიტომაცაა აუცილებელი, ქვეყნის აღმშენებლობაში პრაქტიკულ ორგანიზატორულ საქმიანობას წინ უსწრებდეს პრობლემების თეორიული დამუშავება, რომელიც ისეთივე როლს უნდა ასრულებდეს, როგორსაც კომპასი ზღვაში ან ოკეანეში მოცურავე გემისთვის. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? **შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ღრმა მეცნიერული შემოქმედებითი მოღვაწეობა უგულებელყოფილია, სახელმწიფოს მშენებლობის თეორიული პრობლემების დამუშავება თვითდინებაზეა მიშვებული, უგულებელყოფილია სახელმწიფო აპარატებში მომუშავე კადრების თეორიული სწავლება, რაც მთავარია, ამ დარგში არ არსებობს რაიმე სისტემა. ქართ-**

▶



## საპატრულო პოლიციამ ნაპოვნი თანხა მფლობელს დაუბრუნა

**მეტროპოლიტენის სადგურ „გოცირიძის“ თანამშრომლებმა სალაროსთან იპოვეს საფულე, რომელშიც 37 750 ერაყული დინარი, 200 თურქული ლირა და პირადი საბუთები იყო.** საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დაადგინეს აღნიშნული ნივთების მფლობელის ვინაობა და ადგილსამყოფელი. ის 1990 წელს დაბადებული, ერაყის მოქალაქე – ბაბაჰ აჰმედ ჯალალ ჰადი აღმოჩნდა. სამართალდამცველებმა ნაპოვნი თანხა და საბუთები კანონიერ მფლობელს დაუბრუნეს.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოში ღრმა მეცნიერული შემოქმედებითი მოღვაწეობა უგულებელყოფილია, სახელმწიფოს მშენებლობის თეორიული პრობლემების დამუშავება თვითდინებაზეა მიშვებული, უგულებელყოფილია სახელმწიფო აპარატებში მომუშავე კადრების თეორიული სწავლება, რაც მთავარია, ამ დარგში არ არსებობს რაიმე სისტემა. ქართველ კაცს, თუნდაც სწავლა-განათლება მიღებულს, რომ ჰკითხოთ, საით მივდივართ ან როგორი ტიპის სახელმწიფოს ვაშენებთ, ვერ გიპასუხებთ.

◀**ველ კაცს, თუნდაც სწავლა-განათლება მიღებულს, რომ ჰკითხოთ, საით მივდივართ ან როგორი ტიპის სახელმწიფოს ვაშენებთ, ვერ გიპასუხებთ.** სწორედ თეორიულმა სიღატაკემ, მეცნიერულად დასაბუთებული პროგნოზების უქონლობამ უბიძგა მიხეილ სააკაშვილს, წამოეწყო რუსეთთან უგუნური ომი შიდა ქართლში, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ეს თავზე ხელაღებული, თვითნება კაცი, რა პროგნოზებიც უნდა ყოფილიყო, თავისას არ მოიშლიდა.

ასე რომ, **დღეს საქართველოს არ აქვს გათვითცნობიერებული ეროვნული იდეოლოგიის არსებობის აუცილებლობა, ის, რომ მხოლოდ ეროვნული იდეოლოგია, გამდიდრებული მოწინავე საკაცობრიო შედევრებით, არის ქართველი ხალხის ეთნიკური გადარჩენის საფუძველი; სწორედ** საზოგადოების ინტერესების გამომხატველი იდეოლოგია აიარაღებს ხალხს, ხელისუფლებას მოწინავე პროგრესული იდეებით და ჰმატებს მათ ბრძოლისუნარიანობას. ყოვლად დაუშვებლად და უპრეცენდენტოდ მიგვაჩნია, რომ ქვეყანას არ აქვს ასეთი თეორიული საფუძველი და არც კი ფიქრობს მის შექმნაზე. საკმარისი არ არის მხოლოდ აღიარება იმისა, რომ ქვეყნის იდეოლოგია არის დიდი ილიას სამება — „ენა, მამული, სარწმუნოება“. იმის ნაცვლად, რომ მივიჩნიოთ იგი ქვეყნის იდეოლოგიის საფუძვლად და შემდეგ მოვახდინოთ მისი კონკრეტიზაცია.

გამოცდილება პატარა სახელმწიფოებისა, რომლებმაც ეს-ეს არის მოიპოვეს თავისუფლება, გვარწმუნებს, რომ დემოკრატიის მშენებლობა ასეთ ქვეყნებში ხანგრძლივი პროცესია და არა დეკრეტით გამოცხადებული, ხელოვნურად დაკანონებული აქტი. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ თანდათანობით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად საჭიროა, მომწიფდეს ნიადაგი ფართო დემოკრატიისთვის, საქართველოში კი მოხდა პირიქით — ერთბაშად გაიხსნა დემოკრატიის ყველა სარქველი, რის გამოც ხელუხლებელი დარჩა ბევრი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა ფართო დემოკრატიის პირობებში თითქმის შეუძლებელია. ამისი მაგალითები ბევრია ჩვენში. ამდენად, იმის **მოთხოვნა, რომ ქვეყანაში დემოკრატია, საამისო პირობების მომზადების გარეშე, მოუმწიფებლად, ჩქარი ტემპით უნდა ვითარდებოდეს, არ შეიძლება მივიჩნიოთ კანონზომიერ და ქვეყნისთვის სასარგებლო მოვლენად** (ეს თვალსაზრისი არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ ვეწინააღმდეგები ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას), აქ შეიძლება, კიდევ ერთხელ ვახსენოთ უკვე საზოგადოებაში გაშიშვლებული კოჰაბიტაცია, რომელიც, ფაქტობრივად, მოგიზგიზე ხანძარზე ბენზინის დასხმა იყო.

კიდევ ერთი საშიში სენი შემოგვეპარა, რომელიც სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს და ლამის ტრადიციად იქცეს — **დემოკრატიის არასწორმა გაგებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ვლაპარაკობთ უსაშველოდ ბევრს, საქმე კი ცოტა, ძალიან ცოტა კეთდება. თანაც მოვლენების შეფასებაში არ არსებობს ერთიანი სახელმძღვანელო აზრი, რაც შედეგია იმისა, რომ ჩვენი საზოგადოება არ არის ერთიანი, მონოლითურად შეკავშირებული**. კამათი, პაექრობა ხშირად მწვავე დაპირისპირებასა და განაწყენებას იწვევს, ნაცვლად იმისა, რომ გამოხატავდეს ქვეყნის, ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. **ასეთი ანომალიური ვითარება აიხსნება იმით, რომ ხელისუფლება უძლურია, გასცეს ავტორიტეტული პასუხი საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ დასმულ ბევრ საჭირბოროტო კითხვაზე.**

ჩვენდა სამარცხვინოდ, მოწინააღმდეგეთა კრიტიკა ხშირად ლანძღვა-გინების ხასიათს ატარებს; კამათის კულტურა ისე დაბალი, დამამცირებელი და ადამიანთა პირადი ღირსების შემლახველია, რომ სახელს უტეხს საერთოდ ქართულ ეროვნულ კულტურას. **უწმაწური და უზნეო სიტყვებით ერთმანეთისადმი მიმართვა იქცა ჩვეულებრივ მოვლენად. ქართულ წერით და ზეპირმეტყველებას დიდად აზიანებს ბილწი, ბინძური სიტყვები, რომლებსაც ვერც ერთ ლექსიკონში ვერ იპოვით.**

პაექრობის კორიანტელში ანგარიში არ ეწევა იმას, რომ ერთი და იგივე შენიშვნა რაც უფრო ხშირად მეორდება, მით უფრო საზიანოა საქმისთვის, რადგანაც კრიტიკის ობიექტი ეჩვევა, ეგუება აუგად მოხსენიებას და ნაკლებად რეაგირებს მასზე.

მთავარი მაინც ის არის, რომ მოსახლეობა ვერაფრით ეგუება ცხოვრების დღევანდელ საარსებო პირობებს. **ზედმეტი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ უკვე აივსო მოთმინების ფიალა და კარგა ხანია, ლოდინმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა.** სიღატაკე, სიდუხჭირე, შიმშილი „არ თმობს პოზიციას“. „მაძღარ მღვდელს დიაკონიც მაძღარი ეგონაო“, — უთქვამს ბრძენს. **ხელისუფალთაც ისეთ პირობებში რომ უწევდეთ ცხოვრება, როგორშიც უპოვარნი იმყოფებიან, შეიძლება, შველებოდა ხალხს. და რაკი გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ხალხი ხმას არ იღებს, განგაშს არ ტეხს, იმავე ხალხის მიერ ხელისუფლებისადმი ანგარიშის გაწევით უნდა აიხსნას ეს ან იმის შეგნებით, რომ წივილ-კივილით სატკივარს ვერ უშველი.**

უეჭველია, მოსახლეობა მრავალი წლის ლოდინისა და ტანჯვა-წამების შემდეგ არ დასჯერდება პირობების ნაწილობრივ გაუმჯობესებას და ხელისუფლებას მოსთხოვს ნორმალური ცხოვრებისთვის აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, რომლისთვისაც საჭირო მატერიალური რესურსები საქართველოში საკმარისზე მეტია, მაგრამ დღემდე რაციონალურად კი არა, სანახევროდაც არ გამოიყენება, ე. ი. რა გამოდის? — გვაქვს სიმდიდრე, განვიცდით სიღარიბეს და ვერ გამოგვიყენებია იგი. დარწმუნებული ვარ, **დღევანდელი მუშაობის უვარგისი, პასიური სტილითა და მეთოდებით ამ რესურსების ამოქმედება შეუძლებელია, ამიტომ არსებითად უნდა შეიცვალოს მიდგომა მოვლენებისადმი, ერთ მუჭად უნდა შეიკრას საქართველოს მოსახლეობა, ქართველი იქნება იგი თუ სხვა ერის შვილი, რომელსაც ქართული მიწა კვებავს და ასაზრდოებს, და რაც შეიძლება მოკლე ვადებში გადაიჭრას უკვე საკმაოდ მომწიფებული პრობლემები.**

**ამიტომაც ხელისუფლებას, თანამემამულეებს ვთავაზობთ წინადადებას, რომ მომდევნო 2015 წელი გამოცხადდეს დამკვრელური, მაღალნაყოფიერი შრომისა და ხალხის კეთილდღეობისთვის თავდადებული ბრძოლის წლად,** ყველანაირად უნდა შეეწყოს ხელი სახელმწიფოში არსებული მდიდარი მატერიალური და შრომითი რესურსების ამოქმედებას და მათ ჩაყენებას ქვეყნის სამსახურში. მიმდინარე წლის დარჩენილ პერიოდში, ზედმეტი ხმაურის გარეშე, გულმოდგინედ მოვემზადოთ, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი, სრულიად საერთო-სახალხო კამპანია წარმატებით ჩატარდეს: აუცილებელია, წინასწარ შემუშავდეს სამოქმედო პროგრამები, გეგმები, როგორც ქვეყნის, ასევე ცალკეული სამსახურებისთვის (სამინისტროები, რაიონული, საქალაქო და სამხარეო ორგანიზაციები, საწარმო-დაწესებულებები, სასოფლო ფერმერული მეურნეობები), ცალკეული ბიზნესმენებისთვის, ოჯახებისა და პიროვნებებისთვისაც კი. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ქვეყნის ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში გვერდით დაგვიდგებიან უცხოელი ბიზნესმენებიც, რომლებიც საქმიანობენ საქართველოში.

* * *

როგორც ხედავთ, საკითხი მთელი სიმწვავით დგას, პასუხგაუცემელია კითხვები — რა ვიღონოთ? როგორ დავაღწიოთ თავი პრობლემებს, რომლებმაც კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში შეიძლება ჩააყენოს ქვეყანა?

**ბატონო ბიძინა, რაკი წარმატებით გადაწყვიტეთ ქვეყნის უმთავრესი პრობლემა, ისევ თქვენგან ველოდით, რომ ბოლომდე მიიყვანდით დაწყებულ საქმეს და ამით საბოლოოდ დაამკვიდრებდით თქვენს ეროვნულ მისიას სამშობლოს წინაშე, მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა. მიუხედავად დაპირებისა, რომ საჭიროების შემთხვევაში ისევ დაუბრუნდებოდით პოლიტიკას, თქვენგან არაფერი ისმის. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ქვეყანამ სხვა გამოსავალი უნდა ეძიოს. მთლად ისე არ არის საქმე, როგორც ზოგიერთს ჰგონია — თითქოს საქართველოში დღეს არ მოიძებნება პიროვნება, რომელიც სახელმწიფოს მმართველობის უმაღლეს ლიგაში გვერდით დაუდგება ქვეყნის პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც ამ ურთულეს პირობებში მარტოდმარტო ეწევა ქვეყნის წინამძღოლის უმძიმეს ტვირთს. ერთ-ერთ ასეთ სანიმუშო პიროვნებად მესახება ქვეყანაში საკმაოდ ცნობილი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ჭაჭია, რომლის პოლიტიკური მრწამსი, მსოფლმხედველობა სავსებით შეესაბამება საქართველოს, ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ბატონი ალექსანდრე საკმაოდ ძლიერი ეროვნული ძალაა, რომლის შესაძლებლობები დღემდე სრულად არ იხარჯება ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

თუ ჩვენ ვამყარებთ დემოკრატიულ პრინციპებს, იგი მთელი საზოგადოების ღვიძლ საქმედ უნდა მივიჩნიოთ, რათა ადამიანთა ფართო მასებმა გადაწყვიტონ ხელმძღვანელი კადრების როგორც შერჩევის, ისე არჩევის, აგრეთვე, იმ ხელმძღვანელების თანამდებობიდან დათხოვნის საკითხები, რომლებმაც ვერ გაამართლეს ხალხის ნდობა.

**გრამიტონ კვარაცხელია,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალისტი**

**ახალმა ხელისუფლებამ დღემდე ვერ შეძლო გადამწყვეტ უბნებზე, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, კადრების სწორად შერჩევა და განაწილება. ფაქტები მოწმობს, რომ სახელმწიფო მოხელეთა უმრავლესობა ისევ „ნაციონალები“ არიან, სამართალდამცველ ორგანოებში მათ კვლავ წამყვანი თანამდებობები უკავიათ (მათ შორის არიან წარსულში მძიმე დანაშაულის ჩამდენი ადამიანებიც). მიუხედავად ახლახან განხორციელებული ცვლილებებისა, არც სამინისტროების აქტივობა იგრძნობა; კრიტიკას ვერ უძლებს ცალკეული მინისტრების, უწყებათა ხელმძღვანელების უგუნური, დასაგმობი საქციელი, რომელიც თანამშრომლებისთვის პრემიების დაუმსახურებლად დარიგებაში გამოიხატა**




# ბრიტანელ ჟურნალისტებს უკრაინელები ინდოელებში აერიათ

**ბრიტანული გაზეთის — The Times-ის ჟურნალისტებმა სტატიას, რომელიც უკრაინაში გამართულ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს ეძღვნებოდა, ინდოეთში გადაღებული ფოტო დაურთეს. ასე შეეცადნენ იმის ილუსტრირებას, რომ უკრაინაში შეიარაღებული სეპარატისტები მოქმედებენ.**

ეს სკანდალური ფოტო გაზეთმა 28 ოქტომბერს დაბეჭდა. სტატია სათაურით „კრემლში მხარს უჭერენ უკრაინის პროდასავლურ არჩევნებს“ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე მოგვითხრობს, თუმცა ჟურნალისტებმა ხელიდან არ გაუშვეს შანსი, დონბასში მიმდინარე პროცესებზეც დაეწერათ. საჭირო ფოტო, რომელიც ასახავდა უკრაინაში რუსული სამხედრო შენაერთების არსებობას, როგორც ჩანს, ბრიტანელ ჟურნალისტებს არ აღმოაჩნდათ და ამიტომ გადაწყვიტეს, გამოეყენებინათ ფოტო, რომელიც ინდოეთშია გადაღებული.

მინაწერი ფოტოზე, რომელზეც ავტომატით შეიარაღებული, ნატოს ჩაფხუტიანი შავგვრემანი მამაკაცია გამოსახული, ასეთი შინაარსისაა: „5 მილიონზე მეტი ადამიანი არჩევნებში იმიტომ ვერ მონაწილეობდა, რომ პრორუსულად განწყობილი სეპარატისტების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე იმყოფებოდა“.

როგორც გაირკვა, ბრიტანელებმა ფოტო სააგენტო Associated Press-ის ვებგვერდიდან აიღეს. ჯამუსა და ქაშმირის შტატის (ინდოეთი) ქალაქ სრინაგარში გადაღებული ფოტოს ავტორი კი მუხტარ ხანია.

ეს შეცდომა კიდევ ერთხელ ადასტურებს იუმორისტული გადაცემა The Colbert Report-ის წამყვან სტივენ კოლბერტის ნათქვამს, რომ აშშ-სა და ევროპაში მცხოვრებთა უმრავლესობას წარმოდგენა არ აქვს გეოგრაფიაზე. ადრე კოლბერტმა აღნიშნა, რომ ყოველმა მეექვსე ამერიკელმა ვერ მოძებნა მსოფლიოს რუკაზე ამერიკა, ბევრმა კი ის გრენლანდიაში, აფრიკაში და თვით აშშ-ში „იპოვა“.

მოკლედ

## პენსია და მასწავლებელთა ხელფასები გაიზრდება



**საქართველოს ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, 2015 წლის 1 სექტემბრიდან, ქულების მიხედვით, 25 ლარით გაიზრდება სოციალურად დაუცველი პენსიონერების პენსია. პენსიები გაიზრდება 2016 წელსაც და ზრდა ყველა კატეგორიის პენსიონერს შეეხება.**

ფინანსთა მინისტრის თქმით, ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან ყველა კატეგორიის პედაგოგებისთვის საბაზისო ხელფასი გაიზრდება 50 ლარით, ხოლო კატეგორიების მიხედვით უფრო მეტით და უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლებისთვის ზრდა იქნება 200 ლარი.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი პირვანდელ ვარიანტთან შედარებით 170 მილიონი ლარით გაიზარდა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 19 ოქტომბრის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, სულ ებოლათი დაავადების 9936 შემთხვევა აღირიცხა, მათგან სასიკვდილო აღმოჩნდა 4877 შემთხვევა — დახლოებით 50%.**

# ებოლა — აშშ-ში დააპატენტებული ბიოლოგიური იარაღი

**მიუხედავად საერთაშორისო ხასიათის საგანგებო ზომებისა, ებოლას ციებ-ცხელება მთელ პლანეტაზე განაგრძობს გავრცელებას. 25 ოქტომბრის მონაცემებით, დაავადებულები მსოფლიოს შვიდ ქვეყანაში დაარეგისტრირეს. მათი უმრავლესობა დასავლეთ აფრიკის სამ ქვეყანაში — ლიბერიაში, სიერა ლეონესა და გვინეაში ცხოვრობს. სწორედ იქ არის ვირუსის გავრცელების ბუნებრივი არეალი. 23 ოქტომბერს მალიდან იტყობინებოდნენ ქვეყანაში პირველი ადამიანის დაავადების დადასტურებული შემთხვევის თაობაზე. ებოლა ორ ურთიერთდამოკიდებულ ასპექტში — სამედიცინოსა და პოლიტიკურში მოითხოვს განხილვას.**

**ებოლას** ისტორია დაიწყო 2014 წლის მარტში, როდესაც მსოფლიო მასმედიამ გაავრცელა ინფორმაცია მომაკვდინებელი ვირუსის ახალ-ახალი შემთხვევების შესახებ. ზაფხულის დასასრულიდან ციებ-ცხელების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას შეუერთდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და მსოფლიო ლიდერები.

აგვისტოს ბოლოს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ „საერთაშორისო საგანგებო მდგომარეობა“ გამოაცხადა ებოლას ვირუსის გავრცელების გამო. ორგანიზაციის ხელმძღვანელი მთელ რიგ ქვეყნებს ეწვია და მას ყველგან სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე ხვდებოდნენ. 18 სექტემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო თავისი არსებობის ისტორიაში უპრეცენდენტო გადაწყვეტილება, რომელშიც დაავადების აფეთქება კვალიფიცირებულ იქნა, როგორც „საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისთვის შექმნილი საფრთხე“. ეს ფორმულირება უშიშროების საბჭოს უფლებას აძლევს, გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად გამოიყენოს ნებისმიერი იძულებითი ზომა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ გაეროს ისტორიაში პირველად „მშვიდობის საფრთხედ“ ვირუსი აღიარეს. რა საფუძველი არსებობს საამისოდ? უნდა აღინიშნოს, რომ რეზოლუციის სპონსორის რანგში აშშ გამოვიდა. საკითხის პრიორიტეტულობა დაადასტურა აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გაეროს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისასაც.

ებოლას საკითხი გაეროს გენერალურ ასამბლეას განსახილველად რიგგარეშედ წარუდგინეს. დელეგაციების წინაშე გამოვიდა გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი, რომელმაც წარადგინა ებოლას საკითხებში გაეროს საგანგებო მისიის დაფუძნების შესახებ რეზოლუციის პროექტი. ესეც აბსოლუტურად უპრეცენდენტო შემთხვევაა. სახელმწიფოებმა წარდგენილი რეზოლუციის პროექტი ერთხმად და პრაქტიკულად განხილვის გარეშე მიიღეს. აღსანიშნავია ის სისწრაფეც, რომლითაც დამტკიცებულ იქნა ზემოხსენებული რეზოლუცია: წერილი, რომელიც გაეროს გენერალურმა მდივანმა მისიის დაფუძნების თაობაზე მისწერა სახელმწიფო მეთაურებს, დათარიღებულია 17 სექტემბრით, ანუ გადაწყვეტილება ერთ დღეში იქნა მიღებული!

საკმარისია, დაისვას კითხვა, თუ რით აიხსნება ამგვარი რეაქცია და პასუხის ძებნის დაწყებისთანავე უამრავი უცნაურობა იჩენს თავს.

დავიწყოთ იმით, რომ ებოლა პირველად არ აბობოქრებულა, მაგრამ ადრე ვირუსი მსოფლიო საზოგადოების ამხელა ყურადღებას არ იპყრობდა. **ციებ-ცხელება ებოლა ცნობილია 1970-იანი წლებიდან, 1976 წელს მან ზაირში 280 ადამიანი შეიწირა. ამის შემდეგ ვირუსი საკმაოდ ხშირად ბობოქრობდა. ყველაზე ხშირად კი — აშშ-სა და ფილიპინებზე 1989-1990, 1995 წელს — კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (254 გარდაცვლილი), 2000-2001 წლებში — უგანდაში (224 გარდაცვლილი), 2002 წელს — გაბონში (53 გარდაცვლილი). რატომ მიიპყრო ვირუსმა ამჯერად ასე დიდი ყურადღება?**

თვალში საცემია მედიაში დაავადების მომაკვდინელები ხასიათის შესახებ ატეხილი აჟიოტაჟიც. ეს ძალზე თვალში საცემი დეზინფორმაცია, რადგან მთელ რიგ შემთხვევებში საუბარი იყო 100%-იან სიკვდილიანობაზე. არადა, საუბარი იყო იმ შემთხვევებზე, როდესაც დაავადდა ადამიანთა მცირე რაოდენობა, ამ დროს კი სტატისტიკა ცდება. მაგალითად, თუ ერთი ადამიანია დაავადებული და ის ერთი გარდაიცვალა, არ ნიშნავს, რომ დაავადების სიკვდილიანობა 100%-იანია. გაცილებით უფრო სწორ სტატისტიკას იძლევა ზემოხსენებული ებოლას აფეთქებები, რომელთა დროსაც სიკვდილიანობის მაჩვენებელი 75-88%-ს შეადგენდა. მართალია, ეს ძალზე მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ აუცილებელია აღნიშნულ ქვეყნებში სამედიცინო მომსახურების უხარისხობისა და დაბალი დონის გათვალისწინებაც.

რაც შეეხება ებოლას ამჟამინდელი აფეთქების დროს სიკვდილიანობას, მედია ხშირად ირწმუნება, რომ ამ დაავადების შემთხვევაში სიკვდილიანობა 90%-ს აღწევს, მაგრამ ეს მაჩვენებელი არ დასტურდება.



**2010 წელს აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრმა დააპატენტა ებოლას ვირუსის ერთ-ერთი სახეობა. პატენტის თანახმად, ამ ვირუსის შტამის ვაქცინაში გამოყენების შემთხვევაში საპრემიო წილი აღნიშნული ორგანიზაციის ანგარიშზე წავა**

**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 19 ოქტომბრის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, სულ ებოლათი დაავადების 9936 შემთხვევა აღირიცხა, მათგან სასიკვდილო აღმოჩნდა 4877 შემთხვევა — დახლოებით 50%.** ახლა ეს მაჩვენებელი რეალურად გაცილებით დაბალია, ვიდრე წინა ეპიდემიების დროს. ანალოგიური სურათია ცალკეული ქვეყნების შემთხვევაშიც: ლიბერიაში 4665 დაავადებულიდან 2705 გარდაიცვალა, რაც დაახლოებით 50%-ს შეადგენს, სიერა ლეონეში 3706 დაავადებულიდან გარდაიცვალა 1259 (35%), ხოლო გვინეაში 1540 დაავადებულიდან ვირუსი სასიკვდილო აღმოჩნდა 904 ადამიანისთვის, რაც დაახლოებით 60%-ს უდრის. მაშ, ვის და რაში სჭირდებოდა, ესოდენ მნიშვნელოვნად გაეზარდა ვირუსის სიკვდილიანობის მაჩვენებლები?



ვაქცინის არარსებობის შემთხვევაში დაახლოებით 50%-იანი სიკვდილიანობა ნიშნავს, რომ შემთხვევათა ნახევარი მთავრდება ადამიანის მიერ იმუნიტეტის გამომუშავებით და ყოველგვარი წამლის გარეშე განკურნებით. ადამიანები, რომლებიც გადარჩნენ, ვირუსით დაავადების შემდეგ ახლა აბსოლუტურად უსაფრთხოდ შეიძლება იქნენ ჩართულნი ამ ვირუსის საწინააღმდეგო სამუშაოებში. ამავე დროს, რაღაც ვაქცინები მაინც გამოიყენება და სწორედ ეს არის საეჭვო, რადგან კატასტროფის მასშტაბები ძალიან ჰგავს, ერთი მხრივ, მასშტაბურ ექსპერიმენტს ბუნებრივი იმუნიტეტის გამომუშავების მიმართულებით, მეორე მხრივ კი — გარკვეული ვაქცინის მასობრივ აპრობირებას.

სამედიცინო პერსონალთან მკაცრად გასწორების რამდენიმე შემთხვევამ მასმედიაში კი გაიელვა, მაგრამ ყველაფერი ადგილობრივი მოსახლეობების უკულტურობას დაბრალდა. სინამდვილეში ამ შემთხვევებს, შესაძლოა, უფრო ღრმა საფუძვლები ჰქონდეთ. რა მიზეზით შეიძლება ესხმოდნენ თავს მედპორსანლს ისინი, ვინც ყველაზე მეტად უნდა იყოს დაინტერესებული მათგან დახმარების მიღებით?

საგანგებო სიტუაცია, რომელიც ებოლას გამო გამოცხადდა, ცოტა არ იყოს, გროტესკულად გამოიყურება თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული სხვა სასიკვდილო დაავადებების ფონზე. ებოლას ვირუსის ეპიდემიის ობიექტური შეფასება შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მსოფლიოს საერთო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე. მაგალითად, არანაირ საგანგებო ზომებს არ განაპირობებს მალარია, რომელიც ყოველწლიურად 700 000 ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება, თანაც იმავე დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში, სადაც ახლა ებოლა მძვინვარებს. მალარიის ზოგიერთი სახეობა სასიკვდილო შედეგით მთავრდება არამხოლოდ რამდენიმე დღეში, არამედ რამდენიმე საათშიც კი, ანუ ის ებოლაზე გაცილებით სწრაფად მოუღებს ბოლოს თავის მსხვერპლთ. არანაირი საგანგებო ზომები არ მოქმედებს საყოველთაოდ გავრცელებული ტუბერკულოზის წინააღმდეგ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მხოლოდ 2013 წელს ამ დაავადებით 9 მილიონი ადამიანი დასნებოვნდა. 2014 წელს ტუბერკულოზმა უკვე იმსხვერპლა 1,5 მილიონი ადამიანი. რაღა ებოლა იქცა საერთაშორისო განგაშის საგნად, ▶



## ამერიკაში მესამე ბუში აპირებს პრეზიდენტობას

**ექსპრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ძმამ — ჯებ ბუშმა, შესაძლოა, 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. ამის შესახებ განაცხადა ბუშის ვაჟმა ჯორჯ პრესკოტ ბუშმა, რომელიც თავადაც კენჭს იყრის ტეხასის მიწების კომისიის წევრის პოსტზე.** ეს კომისია განკარგავს შტატის მიწებს და მინერალურ რესურსებს. ნავთობითა და მიწებით მდიდარ ტეხასში ამ პოსტს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. მანამდე ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ უმცროსმა ასევე განაცხადა, რომ მისი ძმა და ფლორიდის ყოფილი გუბერნატორი 2016 წლის საპრეზიდენტო მარათონში მიიღებს მონაწილეობას. მისი მხარდამჭერი კამპანია უკვე დაწყებულია და მისი ერთ-ერთი სლოგანია „დინასტია გრძელდება“.

ჯებ ბუში 1999-2007 წლებში ფლორიდის შტატის გუბერნატორი იყო. მისი მამა, ჯორჯ ბუშ უფროსი, 1989-1993 წლებში ამერიკის 41-ე პრეზიდენტი იყო, ხოლო 1981-1989 წლებში — პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციაში აშშ-ის 43-ე ვიცეპრეზიდენტი. ჯებ ბუშის უფროსი ძმა, ჯორჯ ბუშ უმცროსი, ამერიკის 43-ე პრეზიდენტი იყო.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ახლა, როდესაც თალიბანის მტრების დიდი ნაწილი ბოლოს და ბოლოს დატოვებს მრავალტანჯულ ავღანეთს, ისლამისტები აუცილებლად მოვლენ ხელისუფლებაში, რაც მათ საშუალებას მისცემს, „ურწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ეტაპზე“ გადავიდნენ.



◀ როდესაც არსებობს სხვა არაერთი დაავადება, რომელიც გაცილებით მეტ ადამიანს გაცილებით უფრო სწრაფად კლავს და მთელ პლანეტაზე ვრცელდება?

დასასრულ, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი უცნაურობა, რომელიც აშშ-ში ებოლას საწინააღმდეგო ვაქცინის შემუშავების კვლევებისთვის დაფინანსების წყაროებს უკავშირდება. აღმოჩნდა, რომ დაფინანსებას ახორციელებდნენ არა სამედიცინო კომპანიები, არამედ აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო. თავისთავად ეს ფაქტი ჯერ კიდევ არ არის მტკიცებულება იმისა, რომ ებოლას ბიოლოგიური იარაღის სახით იყენებენ, მაგრამ კაპიტალისტურ სამყაროში თანამედროვე მედიცინის სისტემა ვაქცინის შექმნაში ფულის დაბანდებას არარენტაბელურს ხდის. ჯერ ერთი, ბაზარი ძალიან პატარაა — დაავადების უკანასკნელ ამოფრქვევამდე 36 წლის განმავლობაში სულ დაავადების 2200 შემთხვევა დაფიქსირდა. მეორეც, როგორც არ უნდა გავრცელებულიყო დაავადება, ლიბერიის, სიერა ლეონესა და გვინეის მოსახლეობიდან წამლის საფასურს ვერავინ გადაიხდიდა.

**ამ ყველაფრის შემდეგ ჩნდება ვარაუდი, რომ ვირუსის გავრცელებას მხოლოდ სამედიცინო მიზეზები არ აქვს. თავად ეპიდემიის ბუნებრივი ან ხელოვნური გაჩენისგან დამოუკიდებლად არსებობს საფუძველი ეჭვისთვის, რომ ზოგიერთი სახელმწიფო და მის მიერ კონტროლირებადი საერთაშორისო ორგანიზაციები, ისევე, როგორც მედიასაშუალებები, გარკვეული ფარმაცევტული კომპანიების აგენტების როლში წარდგნენ.** ებოლას გავრცელების ისტორიაში იკვეთება მიზანი — გაფართოვდეს მისი საწინააღმდეგო ვაქცინის ბაზარი. თუ მოხერხდება მთელი რიგი სახელმწიფოების შემთხვევაში ვაქცინაზე მუდმივი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაც, **ვაქცინა ზეშემოსავლიანი პროდუქტი გახდება. მას სახელმწიფოებრივ დონეზე მიაწვდიან ქვეყნებს, ოღონდ უფრო სწორი იქნება, თუ ამ ყველაფერს ვაჭრობა კი არა, საერთაშორისო რეკეტი დაერქმევა, ან სპეცოპერაცია.** ერთხელ რაღაც ამგვარი უკვე გაკეთდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ. მაშინ მთელი სახელმწიფო დამოკიდებული გახდა ერთი კონკრეტული სამედიცინო პრეპარატის მიწოდებაზე, ამ პრეპარატს კი ერთი კონკრეტული ფარმაცევტული კომპანია აწარმოებდა, რომელიც ვითომდა კურნავდა შიდსს.

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ამ სპეცოპერაციის დაუნდობლობის დონე ერთადერთზე მიანიშნებს: შეთავაზებულ მომსახურებაზე უარის თქმა გამორიცხულია. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ებოლას ეპიდემია მსოფლიო საზოგადოების ტოტალური დესტაბილიზაციის ელემენტია, მრავალშრიანი კრიზისის დანერგვის ახალი ფორმაა, ამ საქმით კი დღეს აშშ არის დაკავებული.

პრინსტონის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თანამედროვე გეოპოლიტიკის შესახებ წიგნების სერიის ავტორი ვილიამ ენგდალი აცხადებს, რომ ებოლას გავრცელებასთან და მის ირგვლივ ატეხილ ისტერიასთან დაკავშირებულმა ისტორიამ ახალი, მოულოდნელი სახე მიიღო. მისი აზრით, მდგომარეობა სულაც არ არის ისეთი კრიტიკული, როგორც ამას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია წარმოადგენს. სამაგიეროდ, ამ საკითხებთან დაკავშირებით დასავლური ელიტის ანგარებიანი ინტერესი გაცილებით უფრო სახიფათოა, ვიდრე ვინმეს შეეძლო წარმოდგენა.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ინფორმაციაზე, რომლის თანახმადაც აფრიკაში ებოლას ვირუსით დაავადებული ორი ამერიკელი წარმატებით განიკურნა ახალი ექსპერიმენტული პრეპარატის საშუალებით. ინფორმაციაში ასევე აღნიშნული იყო, რომ პრეპარატი შეიმუშავა აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ თავისი უამრავი „კვლევიდან“ ერთ-ერთის ფარგლებში და აქამდე ადამიანებზე არასდროს გამოუცდიათ.

ვილიამ ენდგალმა გაარკვია, რომ ებოლას შესწავლის „კვლევებს“ აწარმოებდა კომპანია Tekmira, რომელმაც 2010 წელს ხელი მოაწერა 140-მილიონიან შეთანხმებას აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსთან. შეთანხმებაში აღნიშნული იყო, რომ ეს კომპანია ებოლას ვირუსს შეისწავლის და მის წინააღმდეგ ვაქცინას შექმნის. მალე ეს კომპანია შეუერთდა საერთაშორისო კონსორციუმს, რომელსაც სათავეში უდგას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია და რომლის ოფიციალური მიზანია „ებოლას ვირუსის გავრცელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა“.

**კითხვაზე, შეიძლება თუ არა, რომ ებოლას ირგვლივ ატეხილი ისტერია მსოფლიოსათვის მორიგი, ჯერაც გამოუცდელი წამლის მიყიდვის მცდელობა იყოს, ჯერჯერობით კონკრეტული და არგუმენტირებული პასუხის გარეშე რჩება, მაგრამ უკვე ფაქტია, რომ ვირუსის გამოჩენისთანავე Tekmira-ს აქციების ფასი რეკორდულად გაიზარდა.**

ამ სასწაულებრივი წამლის ტესტირების უფლება Tekmira-მ გადასცა კომპანია Monsanto-ს, მაგრამ დაავიწყდა მინიშნება, თუ სად უნდა ეძებნა ამ უკანასკნელს საცდელი ობიექტები ან ვინ მისცა Tekmira-ს მსგავსი კვლევების ჩატარების ნებართვა.

Monsanto-ს დირექტორთა საბჭოში აღმოჩნდნენ როკფელერების ოჯახის წარმომადგენლები, თავად დიდმა როკფელერმა კი მედიცინის ისტორიაში კვალი დატოვა, როგორც მესამე რეიხის კაციჭამიების მიერ წარმოებული „ექსტრავაგანტული“ ექსპერიმენტების დაფინანსებით. რამდენიმე თვის წინათ რიჩარდ როკფელერი, რომელიც 2010 წლამდე წარმოადგენდა ორგანიზაციას „ექიმები საზღვრებს გარეშე“, საიდუმლოებით მოცულ ავიაკატასტროფაში დაიღუპა, მაგრამ Monsanto-ს დირექტორთა საბჭოში მისი ადგილი დიდხანს არ დარჩენილა უპატრონოდ. ის მალევე დაიკავა მისმა ერთ-ერთმა ნათესავმა.

ებოლას საიდუმლოებით მოცული ისტორია არც ამით მავრდება. **2010 წელს აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრმა დააპატენტა ებოლას ვირუსის ერთ-ერთი სახეობა. პატენტის თანახმად, ამ ვირუსის შტამის ვაქცინაში გამოყენების შემთხვევაში საპრემიო წილი აღნიშნული ორგანიზაციის ანგარიშზე წავა.** იურისტების განმარტებით, დაავადების დაპატენტება, ცხადია, არ შეიძლება, მაგრამ პატენტი შეიძლება გაიცეს ბაქტერიის ან ვირუსის იმ სახეობაზე, რომელიც ადამიანის ჩარევით შეიცვალა.

ამიტომ დანამდვილებით ვერავინ იტყვის, რომ ის, რაც ახლა აფრიკის ქვეყნებში ხდება, ებოლას ეპიდემიაა და არა დასავლეთში დაპატენტებული ბიოლოგიური იარაღისა და მისივე სამკურნალო საშუალების გამოცდა.

**fondsk.ru,**
**journal-neo.org**



# ძალადობის ცამეტი წელიწადი

**13 წლის თავზე აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო კონტინგენტებმა ოფიციალურად დაასრულეს ოპერაციები ავღანეთის ტერიტორიაზე. მისიის დასრულების ცერემონიის მსვლელობისას, 26 ოქტომბერს, გილმენდის პროვინციის სამხედრო ბაზაზე ბრიტანული და ამერიკული დროშები უკანასკნელად დაუშვეს და ჩამოხსნეს საერთაშორისო კონტინგენტის შტაბიდან, ბაზა კი ქვეყნის ნაციონალური უშიშროების ძალების კონტროლს დაექვემდებარა.**

ოფიციალური მონაცემების თანახმად, ავღანეთში უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალების ნაცვლად (ამ ძალების შემადგენლობაში მაქსიმალური მაჩვენებელი 139 ათასი ადამიანი იყო), 2015 წლის დასაწყისიდან ქვეყანაში დაახლოებით 12 ათასი ადამიანი შემოვა. მისია არასაბრძოლო იქნება — ამერიკელი და ნატოელი სამხედრო მოსამსახურეები შეძლებენ თავდაცვას, მაგრამ არ ჩაერთვებიან საბრძოლო მოქმედებებში ავღანეთის უშიშროების ძალებთან ერთად.

გარდა ამისა, მისია „გადამწყვეტი მხარდაჭერა“ დაკავდება ავღანელი პოლიციელებისა და სამხედროების სწავლებით. ამ უკანასკნელთ კი მოუწევთ, საკუთარ თავზე აიღონ ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ნატოს სამხედრო ძალებმა ავღანეთში საომარი მოქმედებები 2001 წელს დაიწყეს, აშშ-ში 11 სექტემბრის ტერაქტებიდან ძალიან მოკლე დროში. დასაწყისში საბრძოლო მოქმედებები საჰაერო დაბომბვებით შემოიფარგლებოდა, რაშიც აშშ-ს აქტიურად ეხმარებოდა დიდი ბრიტანეთი.

2001 წლის ნოემბრის დასასრულს, როდესაც რადიკალური დაჯგუფება თალიბანის კონტროლქვეშ ერთადერთი დიდი ქალაქი — ყანდაგარი რჩებოდა, მაგრამ მალე ისიც დაეცა, ავღანეთში უსაფრთხოების მიზნით ჩამოყალიბდა სამხედრო მისია ISAF, რომელშიც ნატოს წევრი და არაწევრი 39 ქვეყანა იყო გაერთიანებული.

მაგრამ 2003-2005 წლებში თალიბანმა შეძლო საკუთარი ძალების აღდგენა და დაიწყო ავღანური კამპანიის ახალი ეტაპი და დაიწყო ავღანური კამპანიის ახალი ეტაპი.

2011 წლის ზაფხულში დაიწყო ავღანეთიდან ამერიკული ჯარების გაყვანის ოფიციალური პროცესი. ავღანეთის ნაციონალურ არმიასა და ბოევიკეს შორის შეტაკებები კი დღემდე გრძელდება.

აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის უკანასკნელი ბაზები Camp Bastion და Camp Leatherneck ავღანეთის უშიშროების ძალებს გადაეცა. ეს მოხდა თალიბანის რადიკალური რეჟიმის დამხობიდან მხოლოდ 13 წლის შემდეგ.

სპეცოპერაციის მთელი დროის განმავლობაში საერთაშორისო ძალებმა 2125 ამერიკელი, 453 ბრიტანელი და სხვა ქვეყნების 633 სამხედრო მოსამსახურე დაკარგეს.

სულ სამხედრო ოპერაციას 10 000-ზე მეტი ავღანელი შეეწირა. ნატოელი სამხედროები ხშირად ხსნიდნენ ცეცხლს იმის მიუხედავად, თუ სად იყვნენ თალიბები და სად — მშვიდობიანი ავღანელები. შეცდომით ცხრილავდნენ ქორწილებზე, ოჯახურ ზეიმებზე, დღესასწაულებზე შეკრებილ ხალხს. ავიადარტყმების შედეგად არაერთხელ ამოწყდა მთელი სოფელი. სარდლობა ყოველი ამგვარი შემთხვევის შემდეგ ღრმა მწუხარებას გამოთქვამდა, მაგრამ სიტყვებზე შორის საქმე არ მიდიოდა. გარდა ამისა, კოალიციის არც ერთი სამხედრო მოსამსახურე არ მიუციათ პასუხისგებაში ჩადენილი დანაშაულების გამო.

13 წელი საკმარისი არ აღმოჩნდა არც ეთნოკონფლიქტების მოსაგვარებლად, არც კორუფციის აღმოსაფხვრელად და არც ნარკოტიკების წარმოების აღსაკვეთად. უფრო მეტიც, ავღანეთში კოალიციის ძალების შესვლის შემდეგ ნარკოტიკების წარმოებამ და გავრცელებამ ყველა წარმოუდგენელ ზღვარს გადააჭარბა. რუსეთის ნარკოტიკების კონტროლის ფედერალური სამსახურის მონაცემებით, ყოველწლიურად ავღანეთიდან ევროკავშირში 711 ტონა ოპიუმი გადის, რუსეთში — 549 ტონა, აშშ-სა და კანადაში — 22 ტონა. 2001 წელთან შედარებით ნარკოტიკების წარმოება 40-ჯერ გაიზარდა და ახლა ამ ქვეყანაზე მოდის ჰეროინის მსოფლიო წარმოების 95%. ფაქტობრივად, საერთაშორისო კოალიციის წყალობით, რომელსაც სათავეში აშშ ედგა, ავღანეთი „ოპიუმის მონოპოლისტად“ იქცა.

**ახლა, როდესაც თალიბანის მტრების დიდი ნაწილი ბოლოს და ბოლოს დატოვებს მრავალტანჯულ ავღანეთს, ისლამისტები აუცილებლად მოვლენ ხელისუფლებაში, რაც მათ საშუალებას მისცემს, „ურწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ეტაპზე“ გადავიდნენ.** ვინაიდან №1 მტრამდე — აშშ-მდე მიწვდომის პერსპექტივა ლამის შეუძლებლად რჩება მათთვის, მთელი 13 წლის განმავლობაში ქვეყნის მოქალაქეთა დაუსჯელი ჟლეტის გამო საპასუხო დარტყმების სიმწარეს, პირველ რიგში, ისევ ავღანელები იწვნევენ — ის ავღანელები, რომლებიც ამერიკელებს ეხმარებოდნენ.

**vpoanalytics.com**

მსოფლიო



## ტერორისტი ბავშვების სკოლა

**ქალაქ რაქას მცხოვრებთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, რომელიც ისლამისტების დანაშაულებების შესახებ ცნობებს მალულად აგროვებს, ინფორმაცია მოიპოვა ტერორსიტების იმ სკოლის შესახებ, სადაც მომზადებას 5-16 წლის ბავშვები გადიან. ბავშვების დიდი ნაწილი მხოლოდ 5 წლისაა.** ბავშვი ტერორისტების მომზადება ექტრემისტული ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ გრძელვადიანი გეგმების ნაწილია. ბავშვი ტეროსტების სკოლა სირიაში, „ხალიფატის“ დეფაქტო დედაქალაქ რაქთან მდებარეობს და ის ცნობილია სახელწოდებით ალ-შარეა.

ტერორისტთა სკოლაში ასწავლიან ავტომატური იარაღის გამოყენებას და ბრძოლის საბაზისო ელემენტებს. მოსწავლეები ასევე ეუფლებიან თვითმკვლელი ტერორისტების უნარ-ჩვევებს. ძირითადი მიმართულება კი იდეოლოგიაა. რაქას მცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ სკოლაში ქმნიან მთელ თაობას, რომლისთვისაც ისლამური ექსტრემიზმი და ტერაქტები განუყოფელი ნაწილია. გაწვრთნილი ბავშვები 16 წლის ასაკის შემდეგ გადაჰყავთ ტერორისტთა ბანაკებში, სადაც ისინი კვლავ გადიან ინტენსიურ მომზადებას, როგორც მებრძოლები და თვითმკვლელი ტერორისტები.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისლამისტების მიერ გადაბირებული ბავშვების დედები სასოწარკვეთილი არიან და არ იციან, რა გააკეთონ, რადგან მათი შვილები ნებაყოფლობით მიდიან საომრად და მათ შეჩერებას ვერ ახერხებენ.**

# ხალიფატის შვილები

**ისლამური სახელმწიფო ქმნის ბავშვებისგან არმიას, რომელთანაც დასავლეთს მრავალი წლის განმავლობაში მოუწევს ბრძოლა. „ისლამური სახელმწიფოს“ ციხესიმაგრედ ქცეულ ქალაქ რაკაში ისინი პირველ ხაზზე დგანან სიკვდილით დასჯის რიტუალისას, როდესაც მსხვერპლს თავს აჭრიან ან ჯვარს აცვამენ; მათ იყენებენ სისხლის ჩასაბარებლად, როდესაც სისხლი „ისლამური სახელმწიფოს“ დაჭრილ ბოევიკებს ესაჭიროებათ; მათ ფულს უხდიან „ისლამური სახელმწიფოსადმი“ არალოიალურად დამოკიდებული ადამიანების დაბეზღებაში; მათ ასწავლიან, როგორ გახდნენ თვითმკვლელი ტერორისტები.**



ამ ორგანიზაციამ შექმნა ბავშვების გადაბირების კარგად ორგანიზებული სისტემა. ეს სისტემა ამუშავებს მოზარდის ცნობიერებას და უნერგავს ექსტრემისტულ იდეებს, შემდეგ კი ასწავლის საბრძოლო მოქმედებების წარმოების ელემენტარულ წესებს. ბოევიკები დასავლეთის წინააღმდეგ ხანგრძლივი ომისთვის ემზადებიან და იმედოვნებენ, რომ დღეს გაწვრთნილი ახალგაზრდა მეომრები კიდევ მრავალი წლის მანძილზე იომებენ.

**ზუსტი მონაცემი, თუ რამდენი ბავშვია ამ პროცესში ჩართული, არ არსებობს. მაგრამ დევნილების მონათხრობი, გაეროს, უფლებადამცველი ორგანოებისა და ჟურნალისტების მიერ შეგროვებული მტკიცებულებები იმაზე მიანიშნებს, რომ ბავშვების სამხედრო მომზადება გულმოდგინედ მიმდინარეობს.**

ომში ჯარისკაცი ბავშვების მონაწილეობა ახალი არ არის. არასრულწლოვან ბიჭებს მეომრების სახით არმიებსა და გასამხედროებულ ფორმირებებში აფრიკის ათობით სახელმწიფო იყენებს. როგორც კვლევებმა აჩვენა, ეს იმიტომ ხდება, რომ ბავშვებს ჩამოყალიბებული არ აქვთ ზნეობრივი ღირებულებები და მათ ადვილად ითანხმებენ სასტიკ და ძალადობრივ ქმედებებზე.

**„ისლამური სახელმწიფოს“ ახალგაზრდა ბოევიკები წარმოადგენენ განსაკუთრებულ და გრძელვადიან საფრთხეს, იმიტომ, რომ ისინი არ დადიან ნორმალურ სკოლებში, ამის ნაცვლად მათ დაჟინებით ჩასჩიჩინებენ ისლამურ პროპაგანდას და არწმუნებენ, რომ რწმენისთვის ბრძოლა და სიკვდილი კეთილშობილური საქმეა.**

„განათლების მიღების საშუალებას „ისლამური სახელმწიფო“ სპეციალურად არ აძლევს იმ ადამიანებს, რომლებიც მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობენ. და არა მხოლოდ ეს. აღნიშნული ორგანიზაცია მათ ტვინს გამოურეცხავს, — ამბობს გენერალ-ლეიტენანტი მაკმასტერი, რომელიც მომავალი საფრთხეების შესწავლითა და სახმელეთო ჯარების განვითარების პერსპექტივების დაგეგმვითაა დაკავებული. — ისინი სასტიკად ექცევიან ახლგაზრდებს, აწვალებენ მათ და თანდათან მოაშორებენ ყოველივე ადამიანურს. ეს მრავალი თაობის პრობლემაა“.

გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე ადამიანის უფლებათა მიმართულებით, ივან სიმონოვიჩი, ახლახან დაბრუნდა ერაყიდან, სადაც მრავალ დევნილს შეხვდა და ესაუბრა. მისი თქმით, „ისლამურ სახელმწიფოს“ აქვს ძალზე სახიფათო და მასშტაბური გადაბირების პროგრამა.

გაეროში ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას სიმონოვიჩმა აღნიშნა, რომ ბოევიკები „მიმზიდველნი“ არიან ზოგი ახალგაზრდისთვის და რომ ისლამისტები მოხერხებულად მანიპულირებენ მათით. მან ახსნა, რომ „ისლამური სახელმწიფო“ წარმოჩინდება გამარჯვებული ორგანიზაციის სახით და პირობას იძლევა, რომ ბრძოლაში დაცემულნი პირდაპირ სამოთხეში მოხვდებიან.

**მისივე განმარტებით, ისლამისტების მიერ გადაბირებული ბავშვების დედები სასოწარკვეთილი არიან და არ იციან, რა გააკეთონ, რადგან მათი შვილები ნებაყოფლობით მიდიან საომრად და მათ შეჩერებას ვერ ახერხებენ.**

ბიჭებს, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში ერთიანდებიან ან გაიტაცეს ერაყიდან და სირიიდან, ასაკის შესაბამისად გზავნიან სხვადასხვა რელიგიურ ან სამხედრო სასწავლო ბანაკში. ამ ბანაკებში მათ ასწავლიან ყველაფერს — „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ შარიათის კანონების თავისებური აღქმიდან დაწყებული, იარაღის ხმარების წესებით დამთავრებული. მათ ადამიანისთვის თავის მოკვეთაშიც კი წვრთნიან და სამეცადინოდ მანეკენებს აძლევენ.

**«ისლამური სახელმწიფოს» ახალგაზრდა ბოევიკები წარმოადგენენ განსაკუთრებულ და გრძელვადიან საფრთხეს, იმიტომ, რომ ისინი არ დადიან ნორმალურ სკოლებში, ამის ნაცვლად მათ დაჟინებით ჩასჩიჩინებენ ისლამურ პროპაგანდას და არწმუნებენ, რომ რწმენისთვის ბრძოლა და სიკვდილი კეთილშობილური საქმეა**

ბავშვებს უშვებენ ფრონტზეც, სადაც მათ ცოცხალი ფარების ან დაჭრილი ბოევიკებისთვის სისხლის მარაგის სახით იყენებენ. ერაყის ქალაქებში — მოსულისა და თელაფარიში თვითმხილველები გაეროს წარმომადგენლებს უყვებიან, რომ უნახავთ „ისლამური სახელმწიფოს“ ფორმებში გამოწყობილი შეიარაღებული ბავშვები. ისინი ქუჩებში პატრულირებდნენ და ადგილობრივ მცხოვრებლებს აპატიმრებდნენ.

**მოსულიში 12-13 წლის ბავშვები „ისლამური სახელმწიფოს“ ბანაკში სამხედრო მომზადებას რომ გადიან, გაეროს ექსპერტების მიერ დადასტურებული ფაქტია.** როგორც სპეციალური ანგარიშიდან ირკვევა, აგვისტოს ბოლო კვირას მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ მოზარდების რაოდენობა, რომლებითაც არის დაკომპლექტებული ბლოკპოსტები ეშ-შარკატის ოლქში, მახმურზე შეტევისას კი „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკები აქტიურად აგროვებდნენ ახალგაზრდებს. ზოგიერთი ცნობით, ამ ბავშვებს შემდეგ აიძულებდნენ, ცოცხალი ჯაჭვები შეექმნათ ბრძოლებისას ბოევიკების დასაცავად, ზოგიერთებს კი დაჭრილებისთვის სისხლს ულებდნენ.

22 წლის სირიელი აბუ იბრაჰიმ რაკავი „ტვიტერსა“ და „ფეისბუზე“ შექმნილ საკუთარ გვერდებზე აქვეყნებს მის მშობლიურ ქალაქ რაკაში არსებული მდგომარეობის ამსახველ მასალებს. მასთან ერთად ინფორმაციებს ავრცელებს კიდევ სამი სირიელი, რომლებიც ახლა ქვეყნის ტერიტორიაზე აღარ ცხოვრობენ, და რაკაში მცხოვრები 12 ადამიანი. რაკავის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ისლამურმა სახელმწიფომ“ გაააქტიურა ქმედებები ახალგაზრდობის შესაკრებად და შექმნა ბანაკი ბიჭებისთვის, სადაც მათ საბრძოლო მოქმედებებს ასწავლიან.

ამ ბავშვებს სწრაფად წვრთნიან, შემდეგ კი დაუყოვნებლივ გზავნიან საბრძოლველად კობანში, სირია-თურქეთის საზღვარზე. იქ ელისი გააფთრებით იბრძვის ქურთ ბოევიკებთან, უკვე რამდენიმე კვირაა.

რაკავის მტკიცებით, რაკაში, სადაც, დიდი ხანია, ომია, ადამიანები იმდენად გალატაკებული არიან, რომ ხშირად ელისის ბოევიკები მშობლებს არწმუნებენ, ფულის სანაცვლოდ საკუთარი შვილები მათ ბანაკებში გაგზავნონ. ხანდახან გადაბირების მიზნით პირდაპირ ბავშვებს მიმართავენ და მათვე სთავაზობენ ფულს საბრძოლო მომზადებაზე თანხმობის შემთხვევაში.

ახლა რაკაში ყველა სკოლა დაკეტილია, სამაგიეროდ მუშაობს რამდენიმე უკვე კარგად ცნობილი ბანაკი ბავშვების გასაწვრთნელად. მათ შორისაა ბანაკები „აზ-ზარკავი“, „უსამა ბენ ლადენი“, „აზ-შერკრაკი“, „ალ-ტალაი“ და „აშ-შარეა“. რაკავის შეფასებით, მხოლოდ ამ უკანასკნელ ბანაკში, რომელიც 16-წლამდე ბიჭებისთვისაა განკუთვნილი, მომზადებას 250-300 ბავშვი გადის. მან ბანაკიდან ბავშვების სურათებიც კი წარმოადგინა.

დაახლოებით ანალოგიური სიტუაციაა ერაყშიც. ელისის ტყვეებიდან გამოქცეული ერაყელი იეზიდები ამბობენ, რომ საკუთარი თვალით ნახეს, როგორ მიჰყავს ელისის ოჯახებიდან ბავშვები რელიგიური და საბრძოლო მომზადების გასავლელად.

გასულ ზაფხულს ახალი ამბების არხმა Vice News-მა მოახერხა, გადაეღო ხუთსერიანი დოკუმენტური ფილმი, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. მეოhრე სერიაში დეტალურადაა აღწერილი, თუ როგორ ამზადებენ ბავშვებს მომავალი ბრძოლებისთვის. **„ჩვენ ვთვლით, რომ ბავშვების ეს თაობა ხალიფატის თაობაა. თუ ალაჰი ინებებს, ეს თაობა იბრძოლებს არამორწმუნეების, ამერიკელებისა და მათი მოკავშირეების წინააღმდეგ“,** — უთხრა ტელეარხს ერთ-ერთმა რესპონდენტმა.

გარდა ამისა, „ისლამური სახელმწიფო“ სოციალურ ქსელებში მუშაობის ცოდნის წყალობით მსოფლიოს მასშტაბით არწმუნებს ადამიანებს, ჩავიდნენ ერაყსა და სირიაში და იბრძოლონ მის მხარეს. ამ ქმედებებისას ბავშვები პროპაგანდის ინსტრუმენტებად გამოიყენებიან. ისლამისტები მათ ფოტოებს აქვეყნებენ სოციალურ ქსელებში, ამ ფოტოებზე კი ბავშვებს ელისის ფორმები აცვიათ და მოზრდილ მებრძოლებთან ერთად დგანან მწყობრში. გაეროს ანგარიშში წერია, რომ აგვისტოს შუა რიცხვებში ელისის ბოევიკები მოსულის ონკოლოგიურ საავადმყოფოში შევიდნენ, კიბოთი დაავადებული ორი ბავშვი აიძულეს, მათი დროშა დაეჭირათ, გადაუღეს ფოტოები და ▶

მოკლედ



## ისრაელმა შვედეთიდან ელჩი გაიწვია

**ისრაელმა შვედეთიდან ელჩის გაწვევის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც სტოკჰოლმმა პალესტინა სახელმწიფოდ აღიარა.** ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა ემანუილ ნახშონამ ელჩის გაწვევასთან დაკავშირებით განაცხადა: „ეს ფაქტი ასახავს ჩვენ გაღიზიანებას ასეთ უსარგებლო გადაწყვეტილებაზე, რომელიც ხელს არ უწყობს მოლაპარაკებების პროცესის ნორმალიზებას“. შვედეთი პალესტინის სახელმწიფოდ აღიარებას რომ აპირებდა, ამის შესახებ ცნობილი 3 ოქტომბერს გახდა, რაზეც აშშ-მა განაცხადა, რომ შვედეთმა გადაწყვეტილების მიღებაში იჩქარა. 30 ოქტომბერს შვედეთის ხელისუფლებამ პალესტინა ოფიციალურად სცნო, როგორც სახელმწიფო.



## გოგონები „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებს ირჩევენ, რადგან დასავლეთი სუსტი და არავაჟკაცური ეჩვენებათ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ შემდეგ ინტერნეტში განათავსეს.

ელისის რიგებში ონლაინგადაბირების პრაქტიკამ საკუთარი შედეგიანობა უკვე აჩვენა — ახლა მის შემადგენლობაში 3000-ზე მეტი ევროპელი იბრძვის. გამოძიების ფედერალური ბიურო აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია ათზე მეტი ამერიკელი, რომლებიც ელისის მხარეს იბრძვიან და აღიარებს, რომ რეალურად ასეთი გაცილებით მეტია.

გასულ კვირას გერმანულ ფრანკფურტში დაიჭირეს ორი ამერიკელი მოსწავლე გოგონა, რომლებიც სირიაში მიემგზავრებოდნენ ელისის რიგებში გასაწევრებლად. არსებული ინფორმაციის მიხედვით, ამ გოგონების გადაბირება და მათთვის რადიკალური მსოფლმხედველობის შთაგონება ინტერნეტის საშუალებით მოხდა.

**Vice News-მა აჩვენა ვიდეოკადრები, რომლებზეც ასახულია 6-7 წლის ბავშვთან ერთად რაკაში მიმავალი ბელგიელი მამაკაცი. მამა ბავშვს ასწავლის, კამერის წინაშე თქვას, რომ, ბელგიიდან კი არა, „ისლამური სახელმწიფოდანაა“, შემდეგ კი ეკითხება: — ვინ უნდა, რომ გახდეს — ჯიჰადისტი თუ თვითმკვლელი ტერორისტი? — ჯიჰადისტი, — უპასუხებს ბავშვი.**

რაკავის განცხადებით, როდესაც რაკაში ცხოვრობდა, ნახა ამერიკელი ქალი, მისი ალჟირელი ქმარი და მათი ოთხიოდე წლის გოგონა. ასევე ნახა ფრანგი ბოევიკი ორი ბავშვით. ბიჭი დაახლოებით 6 წლის იქნებოდა, გოგონა კი — მხოლოდ ერთის.

**სირიასა და ერაყში ბავშვებს არა მხოლოდ შთააგონებენ რადიკალურ შეხედულებებს, არამედ აიძულებენ, უყურონ საშინელი ძალადობის აქტებს.** რაკავიმ წარმოადგინა ფოტოები, რომლებიც რაკაში ყოფნისას გადაიღო. ამ ფოტოებზე ჩანს, თუ როგორ უყურებენ ბავშვები ჯვარცმის პროცესს. მისივე თქმით, ბავშვები იმდენად არიან შეჩვეული ამგვარი სისასტიკეების ყურებას, რომ თავმოკვეთილი სხეულის დანახვა ოდნავადაც არ აშფოთებთ.

„გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ, შესაძლოა, დავკარგოთ მთელი თაობა, რომელიც ფსიქიკურად შეუქცევადად ტრამვირებული იქნება, — განაცხადა ორგანიზაცია Save the Children-ის რეგიონულმა წარმომადგენელმა იორდანიაში — მისტი ბასუელმა. — მე ვნახე ბავშვები, რომლებმაც იმ საშინელებათა ხილვის შემდეგ შეწყვიტეს ლაპარაკი და თვეების განმავლობაში არიან დამუნჯებულნი. ეს ის ბავშვები არიან, რომელთაც სხვებთან შედარებით გაუმართლათ, რადგან საზღვარგარეთ უსაფრთხო ადგილებისთვის შეძლეს თავის შეფარება“.

**Foreign Policy**

# რატომ უერთდებიან «ისლამურ სახელმწიფოს» ევროპელი გოგონები

**ახლა მთელი დასავლეთის ყურადღება მოზარდი გოგონებისკენაა მიპყრობილი. მათ გემოვნებაზეა გათვლილი თითქმის მთელი დასავლური პოპკულტურა — „რბილი ძალის“ საკვანძო ელემენტი. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მობილური კავშირგაბმულობის სასწაულები მასობრივად საუბრობენ გოგონების მრწამსსა და გემოვნებაზე. დასავლურმა ცივილიზაციამ გოგონებს საშუალება მისცა, ესწავლათ, ემუშავათ, დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ, თუ ვის და როდის გაჰყოლოდნენ ცოლად და გათხოვილიყვნენ თუ არა საერთოდ. და თუ ახლა გოგონებს ბოი ფრენდს „იალამური სახელმწიფო“ ურჩევნიათ, — ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთი მარცხდება.**







გასულ კვირას ახლოაღმოსავლური პოლიტიკის ვაშინგტონური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა მიანიშნებს, რომ ისლამური სახელმწიფო ევროპაში უფრო მეტი მხარდაჭერით სარგებლობს, ვიდრე ახლო აღმოსავლეთში. კვლევის შედეგების თანახმად, **ისლამური სახელმწიფოს შესახებ დადებითი განწყობა გამოხატა ეგვიპტელების მხოლოდ 3%-მა, საუდელების 5%-მა და ლიბიელების 1%-ზე ნაკლებმა. სამაგიეროდ, ორგანიზაციას დადებითად აფასებს ბრიტანელების 7% და ფრანგების 16%. 18-დან 24 წლამდე ასაკის ფრანგი რესპონდენტებიდან „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართ დადებითი განწყობა 27%-მა დააფიქსირა.**

ამ ციფრებში გასაკვირი არაფერია. ათასობით ახალგაზრდა ევროპელი მუსლიმანი უკვე გაემგზავრა ახლო აღმოსავლეთში „ისლამური სახელმწიფოს“ დასახმარებლად ხალიფატის მშენებლობის საქმეში. მათ კიდევ ათასობით ადამიანი გაჰყვება, ის ადამიანები, რომლებიც მზად არიან, იდეის გულისთვის სიცოცხლე გაწირონ და სხვათა მკვლელობაზეც დათანხმდნენ.

გამაოგნებელი ის არის, რომ „ისლამური სახელმწიფო“ იზიდავს არამხოლოდ ევროპელ ბიჭებს, არამედ გოგონებსაც, რომლებიც ასობით მიემგზავრებიან სირიასა და ერაყში ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებზე გასათხოვებლად. ცხადია, მრავალი მათგანი საბოლოოდ ინანიებს ამ გადაწყვეტილების გამო, ისევე, როგორც უკვე ინანა საფრანგეთიდან სირიაში წასულმა ერთმა ებრაელმა გოგონამ, მაგრამ საქმის არსს ეს არ ცვლის: **გოგონები „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებს ირჩევენ, რადგან დასავლეთი სუსტი და არავაჟკაცური ეჩვენებათ.** მათ მოენატრათ ნამდვილი მამაკაცები, ისეთები, რომლებიც მზად არიან, მოკლან და თავიც გაწირონ იმისათვის, რაც სწამთ და სჯერათ.

რატომ? — ევროპაში არის კარგი ჯანდაცვის სისტემა, კეთილდღეობის მაღალი დონე, მრავალი მიმზიდველი ახალგაზრდა კაცი და ქალი. ახლო აღმოსავლეთის ქალების უმრავლესობისგან განსხვავებით, გარდა ისრაელელი ქალებისა, ევროპელი გოგონები სექსუალურად ხელმისაწვდომნი არიან. რატომ უნდა აკეთებდნენ მუსლიმანი ევროპელები არჩევანს, ვთქვათ, ჰამბურგში ფარმაცევტის ცოტა მოსაწყენ, მაგრამ კომფორტულ ცხოვრებასა და სადღაც უდაბნოში მიმდინარე ბრძოლებში სიკვდილს შორის მეორე ვარიანტის სასარგებლოდ?

**იმიტომ, რომ ევროპა, მიუხედავად მისი სოციალური სისტემისა და სამომხმარებლო საქონლის სიჭარბის ყველა შთამბეჭდავი მიღწევისა, უძლური აღმოჩნდა, რაიმე აზრი შესძინოს ნებისმიერი ალმსარებლობის საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლეს.** შედეგად ახალგაზრდა მუსლიმანების მთელი თაობა უარს ამბობს იოლ ცხოვრებაზე მალმეში, მარსელსა თუ მანჩესტერში სირიასა და ერაყში ბრძოლების გამო. ევროპას, უბრალოდ, არ გააჩნია ღირებულებები, რომელთა გამოც ღირს ან სიცოცხლე, ან სიკვდილი. ისინი მიდიან ზუსტად იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ევროპელი ებრაელები მიდიან ისრაელში...

ევროპელი სპეცსამსახურები ღელავენ, რომ დასავლური პასპორტების მქონე ჯიჰადისტები კონტინენტზე დაბრუნების შემდეგ საფრთხეს წარმოადგენენ ევროპისთვის. მათ აშინებთ ის სპეციალური უნარ-ჩვევები, რომლებიც ბოევიკებმა შეიძლება შეიძინონ საზღვარგარეთ და შემდეგ სამშობლოში გამოიყენონ. ისინი იხსენებენ ფრანგ მეხდი ნემუშს, რომელმაც მაისში ბრიუსელის ერთ-ერთ მუზეუმში ოთხი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს.

მაგრამ ევროპის ხელისუფლება უყურადღებოდ ტოვებს მთავარს: ნემუში სირიაში ექსტრემისტების მხარეს იბრძოდა, მაგრამ ავტომატიდან სროლის სწავლა მხოლოდ სირიაში არაა შესაძლებელი. ახლო აღმოსავლეთში მოგზაურობა არც იმისთვისაა აუცილებელი პირობა, რომ ებრაელები ეზიზღებოდეს ვინმეს. პრობლემა ის კი არაა, რომ ევროპელი მუსლიმანები კონფლიქტის ზონებიდან ბრუნდებიან, არამედ ის, რომ ისინი ევროპიდან მიემგზავრებიან. თვითგამოცხადებული ხალიფატი ცინიკურ ხუმრობად გამოიყურება არაბული თემებისა და სადამ ჰუსეინის ყოფილი ძალოვნებისთვის — „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკების ორი მთავარი წყაროსთვის. მაგრამ უცხოელების და განსაკუთრებით დასავლეთ ევროპელებისთვის, რომლებიც მხარს უჭერენ „ისლამურ სახელმწიფოს“, ისტორიის სიღრმეებიდან მოსული ხალიფატის იდეა იმ ნამდვილობის შეგრძნებას განაპირობებს, რომელსაც მოკლებულია ევროპელი ახალგაზრდა მუსლიმანების ცხოვრება ევროპის ქალაქების მოსაწყენ გარეუბნებში.

**ამ ყველაფერთან ერთად ევროპელებს ევროპული სახელმწიფოს სისასტიკე იზიდავს.** ახლო აღმოსავლეთში სისხლისღვრა არავის უკვირს. თავის მოკვეთა, ჯვარზე გაკვრა და მსგავსი მხეცობები ამ რეგიონისთვის ჩვეულებრივი მოვლენებია. აშშ-ის მოკავშირე საუდის არაბეთი დამნაშავეებს პირდაპირ ერ-რიადის ცენტრში აჭრის თავებს; ამერიკის ახალ მეგობარს — ირანულ რეჟიმს კი, რომელსაც პრეზიდენტი ობამა „გონიერებისთვის“ აქებს, დამნაშავეების ჩამოხრჩობის განაჩენი პირდაპირ სამშენებლო ამწეებზე მოჰყავს სისრულეში.

უდავოა, რომ „ისლამური სახელმწიფო“ იცავს თავის უკიდურესად სულელურ და სასტიკ იდეებს, რომლებიც სავსებით შეეფერება ფილმ „ტრანსფორმერების“ რობოტებს, მაგრამ ასეა მუდამ, როდესაც იდეური ვაკუუმი ჩნდება — ცარიელ სივრცეს ათასგვარი სისაძაგლე ავსებს. თუ ირგვლივ მიმოვიხედავთ, მივალთ დასკვნამდე, რომ ყველგან სისულელე, სისაძაგლე და სისასტიკე მეფობს და სიკეთის მცველებს არ შეუძლიათ, რაიმე დაუპირისპირონ მას.

**უკმაყოფილო ევროპელი ახალგაზრდობა ხედავს, რომ დასავლეთი ეგუება დამარცხებებს და თმობს პოზიციებს არა იმიტომ, რომ მას მოსწონს დამცირება, არამედ იმიტომ, რომ აღარ სწამს არაფრის, რისთვისაც ღირს ბრძოლა.** აი, რატომ გამოდიან მის წინააღმდეგ საბრძოლველად ახალგაზრდა ევროპელი მუსლიმანები და რატომ ეზიზღებათ ის 15 წლის გოგონებს...

**Tablet**



## ისლამისტებმა ქალაქის ცენტრში 30 სუნიტი მოკლეს

**ექსტრემისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა ბაღდათიდან 85 კილომეტრში მდებარე ქალაქ ჰიტის ცენტრალურ ქუჩაზე 30 ერთმორწმუნე სუნიტი დემონსტრაციულად დასაჯეს სიკვდილით.** ამ რეგიონში მოჯაჰედებსა და ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ ადგილობრივ მოსახლეობას შორის ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობს. სიკვდილით დასჯილთა უმრავლესობა ხელისუფლების მოკავშირე ადგილობრივი ტომების მებრძოლები არიან. მოჯაჰედებმა ტყვეებს დახოცვამდე მთელი ქალაქი მოატარეს და მათ მეგაფონებით მოღალატეებად მოიხსენიებდნენ. შემდეგ ექსტრემისტებმა ტყვეები ხაზზე ჩაამწკრივეს და დაცხრილეს, გვამები კი ადგილობრივთა დასაშინებლად დაუმარხავი დატოვეს.



რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კომპანია „ჰერბისა“ და ქართველი მეცნიერ-სპეციალისტების მიერ შედგენილი და წარმოდგენილი პროექტი — „მდინარე ენგურის კალაპოტისა და წყალსაცავის გაწმენდა ინერტული მასალებისგან და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტებისგან, მისი ათვისება“, აგრეთვე, თანდართული პროგრამა რეგიონის ინფრასტრუქტურის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ საქართველოსთან აფხაზური მხარის ინტეგრაციის საშუალებაა, რადგან მდინარე ენგურის გარკვეული ნაწილი წარმოადგენს ადმინისტრაციულ საზღვარს აფხაზურ მხარესთან. აქედან გამომდინარე, პროექტის განხორციელება რეალურია აფხაზეთის მხარესთან მჭიდრო ინტეგრაციის პროცესში.**

# მდინარე ენგურის დამალული ფენომენი

„ქართული მდინარე ენგური „ევროპული მსოფლიოს“ ფილოსოფიურ მდინარეთა დედაა“

აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე

**საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, ამასთანავე, იგი მდიდარია დიდი და პატარა მდინარეებით, რომელთა რაოდენობა 26 ათასს, ხოლო მათი საერთო სიგრძე 55 ათას კმ-ს აღწევს.**

**ქართულმა კომპანია „ჰერბიმ“, ქართველ მეცნიერ-სპეციალისტებთან ერთად, უცხოელ სპეციალისტებთან კონსულტაციით შეიმუშავა პროექტი „მდინარე ენგურის კალაპოტისა და წყალსაცავის გაწმენდა ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტებისგან“. ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის აშენების შემდეგ შეიცვალა ეკოლოგიური ვითარება მდინარე ენგურის კაშხლიდან შავი ზღვის შესართავამდე. მიზეზი არის ის, რომ ამ კალაპოტში აღარ ხდება მდინარის ბუნებრივი წყლის დიდი რაოდენობით გატარება და მყარი ნატანები გროვდება, რომელიც იწვევს კალაპოტის გამტარუნარიანობის შემცირებას. გაზაფხულ-ზაფხულის წყალმოვარდნები და წყალდიდობა იწვევს კალაპოტის ხშირ შეცვლას, რომლის შედეგადაც ზიანდება სახნავ-სათესი ფართობები, იტბორება მიმდებარე ტერიტორიები და საკარმიდამო ნაკვეთები, ზარალდება მოსახლეობა. ამასთანავე, ენგურჰესის წყალსაცავში დაგროვილია 120 მლნ $მ^3$-ზე მეტი მყარი ნატანი, რომლის გაწმენდა აუცილებელია თაღოვანი კაშხლის სიახლოვეს, რათა ენგურჰესის კაშხლის წყალსაცავ ფარებს მიეცეს ნორმალური ფუნქციონირების საშუალება.**



**რეგიონში კონფლიქტური სიტუაციიდან გამომდინარე, პროექტი მოიწონა და მას მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და ევროპის კომისიამ, მისი განხორციელებაც მათი მხარდაჭერითა და მონაწილეობით იგეგმება**

გაზაფხულზე, კავკასიონის მთებში თოვლის ინტენსიური დნობისას, მდინარე ენგური და მისი შენაკადები დიდდება, ხოლო, როცა ამას ენგურჰესის წყალსაცავიდან წყლის ავარიული გაშვება ერთვის, მნიშვნელოვნად იტბორება კალაპოტის მიმდებარე ტერიტორიები. დიდი რაოდენობით ნატანი მასალა დაგროვდა ენგურჰესის წყალსაცავშიც, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მისი ფუნქციონირების ეფექტიანობაზე, გარდა ამისა, ნატანი კაშხლის კედლებზე დიდი დაწოლის შედეგად ამცირებს მის უსაფრთხოებას. აღნიშნულის გამო, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე ეკოლოგიური მოსაზრებებით აქტუალური გახდა მდინარე ენგურის კალაპოტში არსებული ნატანი მასალების ამოღებისა და ენგურჰესის წყალსაცავის ნატანი მასალებისგან გაწმენდის პირობების შექმნა, ამ ღონისძიებების რეალიზაცია მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ **ჩვენი კომპანიის მიერ ჩატარებული კომპლექსური კვლევები და შეფასებები აჩვენებს, რომ ამოღებულ ნატან მასალაში არსებული ძვირფასი ნივთიერებების მოპოვება, აგრეთვე, თვით მაღალი ხარისხის ნატანი მასალის რეალიზაციის შედეგად მიღებული სოლიდური მოგება, არა მხოლოდ მდინარის კალაპოტისა და წყალსაცავის ნატანი მასალისგან გაწმენდის, არამედ მთელი რიგი ინფრასტრუქტურული და გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.**

არსებულ ბაზარზე **დიდი წარმადობის, დაბალი თვითღირებულებისა და იაფი ტრანსპორტირების პირობებში კონკურენტი არ გვყავს, რადგანაც შავი ზღვის აკვატორიაში ჩამომავალ მდინარეებს შორის ერთადერთია მდინარე ენგურის გაუწყლიანებელი კალაპოტი და უდიდესი — ენგურჰესის წყალსაცავი, რომლებშიც ინერტული მასალების მოპოვება არათუ აზიანებს გარემოს, არამედ პირიქით — ხელს უწყობს ენგურჰესის ნორმალურ ფუნქციონირებას და კალაპოტს სძენს სამეურნეო დატვირთვას.**

წარმოდგენილი პროექტი იმითაც არის განსხვავებული, რომ, გარდა გრანდიოზული ტერიტორიების კეთილმოწყობისა, მას შეუძლია მრავალმხრივი ამოცანების გადაწყვეტა, თანაც საჭირო არ არის სპეციალური საშუალებები ხელოვნური ლანდშაფტის მშენებლობისთვის. ის უპრეცენდენტო მაგალითია შავიზღვისპირეთის მასშტაბით, როცა რესურსების მოპოვება არათუ არღვევს ლანდშაფტს, არამედ აშენებს მას, კეთილმოაწყობს და ბუნებრივ იერს უფრო მიმზიდველს ხდის.

შესწავლილი გვაქვს და პროექტის შედგენისას გავითვალისწინეთ რეგიონში არსებული, შავ ზღვაში ჩამავალი ყველა მდინარისა და კარიერის პოტენციალი, აგრეთვე, რეგიონულ ბაზარზე მშენებლობის წარმოებისა და ძვირფას ლითონებზე მოთხოვნის მზარდი ტემპები და მივედით დასკვნამდე, რომ რეგიონში, პრაქტიკულად, არ არსებობს კონკურენტის ალტერნატივა, შეთავაზება, რომელიც უფრო მოსახერხებელი და იაფი იქნება მომხმარებლისთვის. ამასთანავე, მდინარეებიდან, რომლებიც ჩაედინება შავ ზღვაში, ეკოლოგიური თვალსაზრისით, არ შეიძლება დიდი რაოდენობით ინერტული მასალების ამოღება, რადგან დაირღვევა ზღვის დინამიკა, რომელიც გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას.

თავის დროზე „ენგურჰესის“ კაშხლის უსაფრთხოების მიზნით გათვალისწინებული იყო, როგორც წყალსაცავის, ასევე კალაპოტის გაწმენდა (საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 3 თებერვლის №75 და 1986 წლის 21 ნოემბრის №714 დადგენილებები), რომლებიც არ შესრულდა. ამასთანავე, არსებობს მთავრობისადმი შპს „ენგურჰესის“ ხელმძღვანელების წერილობითი მიმართვები, რომლებშიც პრინციპულადაა დასმული საკითხი მდინარე ენგურის კალაპოტისა და წყალსაცავის გაწმენდის აუცილებლობაზე.

1994-2009 წლებში კომპანია „ჰერბის“ სპეციალისტების, მეცნიერ-თანამშრომლების მიერ საკუთარი ძალებითა და სხვადასხვა კერძო წყაროდან მოზიდული სახსრებით, მდინარე ენგურის კალაპოტში, წყალსაცავში, კარიერებსა და მათში ჩამავალ მდინარეებსა და წყლებში ჩატარდა გეოლოგიური, ლაბორატორიული და ანალიზური კვლევები; ჩატარდა სხვადასხვა პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობა, მოხდა აზრთა გაზიარება, შემუშავდა წარმოდგენილი პროექტის ტექნიკური პარამეტრები და ბიზნესგეგმა.

**კომპანია „ჰერბისა“ და ქართველი მეცნიერ-სპეციალისტების მიერ შედგენილი და წარმოდგენილი პროექტი — „მდინარე ენგურის კალაპოტისა და წყალსაცავის გაწმენდა ინერტული მასალებისგან და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტებისგან, მისი ათვისება“, აგრეთვე, თანდართული პროგრამა რეგიონის ინფრასტრუქტურის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ საქართველოსთან აფხაზური მხარის ინტეგრაციის საშუალებაა, რადგან მდინარე ენგურის გარკვეული ნაწილი წარმოადგენს ადმინისტრაციულ საზღვარს აფხაზურ მხარესთან. აქედან გამომდინარე, პროექტის განხორციელება რეალურია აფხაზეთის მხარესთან მჭიდრო ინტეგრაციის პროცესში.** წარმოდგენილი პროექტისა და თანდართული რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის რეალიზაცია არის მასშტაბური, ხანგრძლივი პროცესი და მოიცავს მდინარე ენგურის ორივე ნაპირის ნაპირდაცვით სამუშაოებს, რომელთა შედეგად **მდინარის გაუწყლოებული კალაპოტი გადაიქცევა სანაოსნო არხად, ხოლო გაზაფხულზე მდინარის ადიდების შედეგად წამოსული ნიაღვრისგან დაცული იქნება მიმდებარე ტერიტორიები და მოსახლეობა.** პროგრამის ფარგლებში საქართველოს აფხაზეთის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვართან დამაკავშირებელი არსებული დროებითი ავარიული ხიდები შეიცვლება თანამედროვე, კაპიტალური, დაკიდებული ხიდებით. მოეწყობა თევზსაშენი მეურნეობები, სამრეწველო, სასოფლო დანიშნულების საწარმოები და სხვ., გაჩნდება თავისუფალი სამრეწველო-ეკონომიკური სტატუსის მინიჭების პერსპექტივა.

**რეგიონში კონფლიქტური სიტუაციიდან გამომდინარე, პროექტი მოიწონა და მას მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და ევროპის კომისიამ, მისი განხორციელებაც მათი მხარდაჭერითა და მონაწილეობით იგეგმება.**

**კონფლიქტის ეტაპობრივი მოგვარების პროცესთან ერთად გაფართოვდება პროექტით გათვალისწინებული პროგრამის არეალი მდინარე ენგურის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარე აფხაზეთის ტერიტორიაზე.**

რეგიონში სანაოსნო არხის აშენება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება მოიტანს დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს, ეს კი დადებითად აისახება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე. **წარმოდგენილ პროექტსა და განვითარების პროგრამაში გათვალისწინებულია აფხაზეთის რეგიონიდან მოწვეული სპეციალისტების, დამხმარე მუშების მონაწილეობა, რაც გააუმჯობესებს ქართულ-აფხაზური ინტეგრაციის პროცესს.** აფხაზეთის მხრიდან მოწვეულ მეცნიერ-სპეციალიტებს პროექტის ფარგლებში საშუალება მიეცემათ, მიიღონ აქტიური მონაწილეობა პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასა და რეალიზაციაში, წარმოადგინონ ინიციატივა ქართულ მხარესთან ერთობლივი დასაქმებისა და ურთიერთობებისთვის, გამოვიდნენ თანადამფუძნებლად ქართულ-აფხაზური ერთობლივი შერეული ოფისის შექმნაში, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკური პროექტების შემუშავება, კულტურული, სპორტული და სხვა გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ერთობლივი ექსკურსიების ჩატარება, უფრო მჭიდრო და თავისუფალი ურთიერთობების დამყარება, ტრადიციების აღდგენა.

ამასთანავე, შერეულმა ოფისმა, აფხაზურ მხარესთან ერთად, აფხაზეთში მცხოვრებ ხალხებთან უნდა აწარმოოს პროპაგანდა, რამდენად საშიში და ეკოლოგიური კატასტროფის მომტანია აფხაზეთის მდინარეებიდან (ბზიფი, კოდორი, გუმისთა, ღალიძგა და სხვ.) ინერტული მასალების მოპოვება.

**განსახორციელებელი პროექტი და თანდართული პროგრამა საშუალებას იძლევა, ქართველ და აფხაზ მეცნიერ-სპეციალისტებს შორის დამყარდეს მჭიდრო ურთიერთობა, დაისახოს მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები, აღდგეს ნდობის ფაქტორი, ხელი შეეწყოს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.**

**აღნიშნული პროგრამა კომერციული თვალსაზრისით მომგებიანია, საშუალებას მისცემს ქართველ და აფხაზ ხალხს, ერთობლივად გადაჭრან მრავალი სოციალური და ეკონომიკური პრობლემა და ამოცანა.**

ჩვენ მიერ წარმოდhგენილი პროექტი „მდინარე ენგურის კალაპოტისა და წყალსაცავის გაწმენდა ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტებისგან“ მოიცავს მდინარე ენგურის შავ ზღვასთან შეერთების ადგილიდან „ენგურჰესის“ კაშხლამდე 62 კმ-ს და წყალსაცავიდან ზევით — 35 კმ-ს, მდინარის კალაპოტსა და მიმდებარე თავისუფალ ტე- ▶

## განსახორციელებელი პროექტი და თანდართული პროგრამა საშუალებას იძლევა, ქართველ და აფხაზ მეცნიერ-სპეციალისტებს შორის დამყარდეს მჭიდრო ურთიერთობა, დაისახოს მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები, აღდგეს ნდობის ფაქტორი, ხელი შეეწყოს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. აღნიშნული პროგრამა კომერციული თვალსაზრისით მომგებიანია, საშუალებას მისცემს ქართველებსა და აფხაზებს, ერთობლივად გადაჭრან მრავალი სოციალური და ეკონომიკური პრობლემა და ამოცანა.

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რიტორიებს, რომელთა ათვისებაც შეუძლებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გარეშე.

წარმოდგენილი **პროექტი მოიცავს მდინარე ენგურზე არსებული დროებითი და ამორტიზებული ხიდების შეცვლას თანამედროვე სტანდარტების კიდული ხიდებით, კალაპოტის ჩასმას რკინა-ბეტონის ჯებირებში. მდინარის კალაპოტიდან ინერტული მასალების მოპოვება მდინარის კალაპოტის სანაოსნო არხად გამოყენების საშუალებას იძლევა, რაც წინაპირობაა ჯერ სანაოსნო, ხოლო შემდგომ მთის ტურიზმის გაფართოებისა ზემო სვანეთში, როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის პირობებში**. კერძოდ, ჩამოსული ტურისტი სამდინარე არხის მეშვეობით მოხვდება „ენგურჰესის" კაშხლის მიმდებარე ტერიტორიაზე, საიდანაც საბაგირო გზით გადავა მდინარე ენგურის წყალსაცავში და კატერების საშუალებით გაემგზავრება ზემო სვანეთში, საიდანაც შემდგომ საავტომობილო ან საცხენოსნო ტრანსპორტის საშუალებით გადაადგილდება. **სამდინარო ტურისტული მარშრუტი მოიცავს 97 კმ-ს, გზადაგზა მოეწყობა ტურისტული ბაზები შესაბამისი ინფრასტრუქტურით. მარშრუტი მოსახერხებელია წელიწადის ნებისმიერ დროს ნებისმიერ ბუნებრივ პირობებში. ამავე მარშრუტით ზამთრის დიდთოვლობის პერიოდში შესაძლებელია სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტებისა და სხვა ტვირთების ტრანსპორტირება.**

მდინარის გაწმენდილ კალაპოტში, გარდა სანაოსნო არხისა, გათვალისწინებულია გაწმენდილ კარიერებზე თევზსაშენებისა და თევზის გადამამუშავებელი ქარხნების მოწყობა, საწყალოსნო სპორტის სახეობებისთვის — საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება, დახურული და ღია ტიპის გასართობი ცენტრებისა და აკვაპარკების მოწყობა.

პროექტით, ასევე, გათვალისწინებულია მდინარე ენგურის კალაპოტის მიმდებარე თავისუფალ და გამოთავისუფლებულ ტერიტორიებზე სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურისა და მრეწველობის ეკოლოგიურად სუფთა დარგების განვითარება.

პროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს მეცნიერების მიერ მიღწეული შედეგების გამოყენებით შემუშავებული მეთოდით მსოფლიოში ერთ-ერთ მაღალ (272 მ სიმაღლის) „ენგურჰესის" წყალსაცავში დაგროვილი ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტების ამოღებაში, რაც საშუალებას მისცემს „ენგურჰესს", იმუშაოს სრული დატვირთვით, ამასთანავე, წყლის ავარიული გაშვების ან სტიქიური უბედურების შემთხვევაში გაზარდოს წყლის ნაკადის გატარება მდინარის კალაპოტის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხისა და არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით. **პროექტი გაწერილია მრავალწლიანი სამუშაო გრაფიკით. არის უნიკალური, მრავალმხრივი და კომპლექსური, მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ასევე ტურისტული, დასასვენებელი, გასართობი ცენტრების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობას.**

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარება მოითხოვს დიდი ოდენობით ცოცხალი ძალის გამოყენებას, რომლის პოტენციალიც რეგიონში საკმაოდ დიდია. სამუშაოების ხანგრძლივი დროით წარმართვა მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნას, რომელიც ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის ფართო ქსელის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. განსახორციელებელი პროექტის რენტაბელობიდან გამომდინარე, სოფელ ანაკლიიდან მდინარე ენგურის მთელი კალაპოტის გასწვრივ შეიქმნება სხვადასხვა დანიშნულების საწარმოები, რომლებიც განაპირობებს ხალხის დასაქმებას ინფრასტრუქტურის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, სპორტისა და მომსახურების სფეროებში. ათასობით მუშა-მოსამსახურის დასაქმების პირობებში კი აუცილებელია საბინაო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მცირე და დიდი ობიექტების მშენებლობა, წარმომადგენლობითი ოფისების გახსნა და სხვ.

წარმოდგენილი პროექტი არის ფართომასშტაბიანი, კომპლექსური, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი. რეგიონის განვითარება ხელს შეუწყობს, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ინვესტორებს, სამუშაოების დაწყებისთანავე იპოვონ საკუთარი ადგილი წარმოდგენილი პროგრამის განვითარებაში.

**პროექტის ფარგლებში ეტაპობრივად განხორციელდება ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტების ამოღება, ადგილზე მოხდება ამოღებული ინერტული მასალებიდან ძვირფასი ნივთიერებების (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ტყვია, თუთია, დარიშხანი, ბისმუტი, ინდიუმი) პირველადი გამოყოფა და საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში გადაიგზავნება ამ ნივთიერებების შემცველი მასის შემდგომ გადასამუშავებლად.** დანარჩენი ნატანი მასალა (ქვა, ქვიშა) ძირითადად მოხმარდება საქართველოს ტერიტორიაზე შავი ზღვის ნაპირების — პლაჟების — კვებას, ზღვასა და მდინარეებზე ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობას, საზღვაო-სამდინარო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ქვეყნისთვის აქტუალურ სხვა მიზნებს. ამოღებული ლამი გამოყენებული იქნება სოფლის მეურნეობაში, როგორც ეკოლოგიურად სუფთა მინერალური სასუქი. ჭარბი ნატანი მასალა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გატანილი იქნება დაინტერესებულ ქვეყნებში.

**კომპანია „ჰერბის" მიერ საწარმოებელი ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტების მოპოვება, გადამუშავება და ტრანსპორტირება განხორციელდება კომპანიის მეცნიერ-სპეციალისტების მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით, რომლის ანალოგიც რეგიონში არ არსებობს. ეს არის უნიკალური შემთხვევა, როდესაც მდინარის კალაპოტის გაწმენდა ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტებისგან ხორციელდება სპეციალური დანადგარებით აღჭურვილი „სუპერ-დრაგის" მეშვეობით, რომლის წარმადობაც საათში 5600 კუბური მეტრია.**

**წარმოდგენილი პროექტის ძირითადი მიზანი და ამოცანაა მდინარე ენგურის კალაპოტისა და წყალსაცავის გაწმენდა ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტებისგან და მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგებით რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და აფხაზეთის რეგიონთან ინტეგრაციის პროექტების განხორციელება.**

პროექტის ფინანსური წარმატების არსი მდგომარეობს ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტების კომპლექსურად გამოყოფაში. კომპლექსური მუშაობა პროდუქციის თვითღირებულებას ამცირებს და პროექტს ხდის ძალზე მომგებიანს.

ძველ კოლხეთში ოქროს არსებობა ცნობილია ჯერ კიდევ არგონავტების დროიდან. მდინარე ენგურის კალაპოტში პირველი საძიებო სამუშაოები ოქროზე ჩატარდა XIX საუკუნის 60-იან წლებში, ძირითადად, უცხოელი მკვლევარების მიერ, ხოლო მათი უფრო საფუძვლიანი გეოლოგიური და მინერალოგიური შესწავლა დაიწყო XX საუკუნის 30-იანი წლებიდან. დღეს დაგროვილია მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის ბაზაზეც, შესწავლისა და სისტემატიზაციის შედეგად, შესაძლებელი გახდა ოქროს მოპოვებითი სამუშაოების წარმოება.



სამუშაო ტერიტორიას აქვს ბორცვიან-ეროზიული რელიეფი, მსუბუქი დაქანების ფერდობები, კარგად არის გამოსახული ჭალისა და ჭალის ზედა ტერასები, განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭალის ზედა ტერასა, რომლის ამგებ ნალექებშიც გვხვდება ოქროს შემცველი ფენები, რომლებიც კომპლექსში ქმნის ოქროს ქვიშრობებს. აღნიშნული ტერასა განვითარებულია მდინარის მთელ სიგრძეზე.

მდინარე ენგურის აუზი მდიდარია კეთილშობილი, ფერადი და იშვიათი ელემენტების საბადოებით.

ჩვენთვის პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს მდინარე ენგურის ქვემო წელის ქვიშრობები წყალსაცავიდან შესართავამდე (შავ ზღვამდე), როგორც ინერტული მასალების, თანმხლები ოქროსა და სხვა ქიმიური კომპონენტის მოპოვების მსხვილი ობიექტი. ამ რაიონში არსებობს ინერტული მასალების კარიერები, დამტკიცებული სამრეწველო მარაგებით. **ინერტული მასალის ყველა საბადოზე დადგენილია ოქროს შემცველობა ერთეული ნიშნებიდან 1-1,6 გრ/ტ. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია ინერტული მასალების მოპოვება თანმხლები ოქროსა და სხვა ქიმიური კომპონენტების ამოღების გარეშე. ოქრო მაღალი სინჯისაა, საშუალოდ ობიექტზე 860-965-მდე სინჯია. მარცვლები, ძირითადად, ბრტყელი ფორმისაა, ფირფიტები — ფოთლისმაგვარი, ქერცლისმაგვარი. ჩატარებული გათვლებით, აღნიშნული ნივთიერებების მოპოვება და რეალიზება მომგებიანია.**

მდინარე ენგურის კალაპოტში, კარიერებსა და წყალსაცავში არსებული 897 მილიონი მ3 ინერტული მასალა შეიცავს 37,2 მილიონ ტონა ქიმიურ კომპონენტებს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული ქიმიური კომპონენტების მოპოვების შედეგად შეიძლება დაიგეგმოს გამამდიდრებელი კომპლექსის მშენებლობა რეინვესტირების თანხით. ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას მისცემს ქვეყანას, ადგილზე აწარმოოს სტრატეგიული მაღალხარისხიანი ნედლეული და გაიტანოს იგი მსოფლიოს ბაზარზე.

წარმოდგენილი პროექტის მცირე საინვესტიციო დანახარჯებით — 34,5 მლნ ევრო, შესაძლებელია დიდი მოგების მიღება — 110 მილიარდი ევროს ოდენობით, ანუ აღნიშნული სამუhშაოების კომპლექსურად წარმოება საშუალებას იძლევა, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა დაფაროს მის წარმოებაზე გაწეული ხარჯები (60 მილიარდი ევრო) და მიიღოს მოგება შემდგომი რეინვესტიციების განსახორციელებლად.

რეინვესტირება განზრახული გვაქვს მუშაობის დაწყებიდან მე-2 წელს, როცა „ენგურჰესის" წყალსაცავის გაწმენდითი სამუშაოებისთვის შეძენილი იქნება და ადგილზე დამონტაჟდება ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ერთად შემუშავებული, წყალსაცავის გაწმენდის სპეციფიკიდან გამომდინარე (ანალოგიური წყალსაცავების გაწმენდის პრეცენდენტი მსოფლიოში ჯერჯერობით არ არსებობს), სპეციალური დანადგარ-მოწყობილობებით აღჭურვილი მცურავი პლატფორმა, აგრეთვე, — ტრანსპორტირებისა და გადამუშავებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები, რომელთა ჯამური ღირებულებაც შეადგენს 46,0 მილიონ ევროს.

წარმოდგენილი პროექტის ფისკალური ეფექტი საშუალო წლიური საბიუჯეტო შენატანებით შეადგენს 2 მილიარდ ევროს.

რადგან მდინარე ენგურის გარკვეული ნაწილი წარმოადგენს ადმინისტრაციულ საზღვარს აფხაზეთის მხარესთან, პროექტის განხორციელება რეალურია აფხაზეთის მხარესთან მჭიდრო ინტეგრაციის პროცესში ევროკავშირისა და გაეროს მონაწილეობით. არსებობს ევროკავშირის წერილობითი მხარდაჭერა პროექტის განხორციელების შემთხვევაში თანადაფინანსების გამოყოფაზე. აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონი დავით უსუფაშვილის მხარდაჭერით, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, ბატონი პაატა ზაქარეიშვილის წერილობითი მიმართვა აფხაზური მხარისადმი.

გამოხმაურებები სახელმწიფო უწყებებიდან: **განსაკუთრებით ხაზგასასმელია დადებითი შეფასებები სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვისა და ეკონომიკური საბჭოებისგან. არსებობს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროების, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტების, ეკოლოგების დადებითი დასკვნები, შეთანხმებები საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტების თავმჯდომარეებთან და ფრაქცია „ქართული ოცნების" ხელმძღვანელობასთან**.

პროექტი განხილულია და შეთანხმებულია სამხარეო ადმინისტრაციის რწმუნებულთან, ბატონ ლევან შონიასთან; ზუგდიდის რაიონის გამგებელთან, ბატონ ედიშერ თოლორაიასთან; მდინარე ენგურის მიმდებარე რეგიონის მოსახლეობასთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. არსებობს მათი მხარდაჭერა და აქტიური თანადგომა პროექტის რეალიზაციისთვის საჭირო სამთავრობო დადგენილების მისაღებად.

**რამინ ჯომიდავა,**
კომპანია „ჰერბის" პრეზიდენტი;
**თემურ ვეკუა,**
მთავარი ეკოლოგი, პროფესორი

**პროექტის ფარგლებში ეტაპობრივად განხორციელდება ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტების ამოღება, ადგილზე მოხდება ამოღებული ინერტული მასალებიდან ძვირფასი ნივთიერებების (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ტყვია, თუთია, დარიშხანი, ბისმუტი, ინდიუმი) პირველადი გამოყოფა და საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში გადაიგზავნება ამ ნივთიერებების შემცველი მასის შემდგომ გადასამუშავებლად. მდინარე ენგურის კალაპოტში, კარიერებსა და წყალსაცავში არსებული 897 მილიონი მ³ ინერტული მასალა შეიცავს 37,2 მილიონ ტონა ქიმიურ კომპონენტებს**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი, დიაბეტი, მაღალი წნევა და ყველა უბედურება, რომლებიც არასწორ კვებასთანაა დაკავშირებული. მაიკლ მოსის დაკვირვებით, ყველა ამ უბედურებას იწვევს შაქარი, ცხიმი, მარილი, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ის, თუ როგორ იყენებენ ამ პროდუქტებს კვების მრეწველობაში.**



## გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის თვითმფრინავი რადარებიდან გაქრა

**გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ფრანკ ვალტერ შტაინმაიერის თვითმფრინავი რადარებიდან გაქრა, – იუწყება გერმანული მედია.**

ეს ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ქვეყნის პირველი დიპლომატი სეულიდან ჯაკარტაში მიფრინავდა. ლაინერი რადარებიდან რამდენიმე საათის განმავლობაში გამქრალი იყო და პილოტებთან დაკავშირება ვერ ხერხდებოდა. მოგვიანებით პრობლემა მოგვარდა და მინისტრის თვითმფრინავმა დანიშნულების ადგილზე დაშვება მოახერხა. რადარებიდან გაქრობის მიზეზის დასადგენად სპეციალურმა ჯგუფმა მუშაობა დაიწყო.



## «ისლამური სახელმწიფოს» ბოევიკებმა 50 ადამიანი დახვრიტეს

**ისლამისტებმა ერაყში საჯაროდ დახვრიტეს 50-მდე ადამიანი, მათ შორის 4 ბავშვი.** მასობრივი მკვლელობა ქალაქ ერრამადას ჩრდილოეთით მდებარე სოფელ რას-ალ-მააში მოხდა. დახვრეტილთა შორის 40 მამაკაცი, 6 ქალბატონი და 4 ბავშვია.

გაეროს მისიის ცნობით, მიმდინარე წლის ოქტომბერში ერაყში 1,2 ათასი ადამიანი მოკლეს.



## გლეხები მაღაზიებსა და ბაზრებში რძის პროდუქტებს ლაბორატორიული შემოწმების გარეშე ვეღარ გაყიდიან

**სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსმა კახა სოხაძემ განაცხადა, რომ მწარმოებელმა, თუ მას ბაზარზე გასაყიდად გააქვს პროდუქტი, მაგალითად, ის ლაბორატორიაში უნდა გაგზავნოს შესამოწმებლად.**

მაგალითად, თუკი ფერმერმა გადაწყვიტა მცირე ოჯახურ მეურნეობაში დამზადებული ყველის ან რძის რომელიმე პროდუქტის გაყიდვა, აუცილებლად უნდა გაგზავნოს ნიმუში ლაბორატორიაში, რომლის დასკვნის გარეშეც მას ყველის გაყიდვის უფლება არ ექნება. კანონის მიხედვით, ნებისმიერი პროდუქტი, რომელიც ხვდება ბაზარზე და მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის არ არის განკუთვნილი, სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება. სოხაძე მომხმარებელს ურჩევს, თავი შეიკავონ სურსათის შეძენისგან იქ, სადაც ჰიგიენის ნორმები დაცული არ არის.

# შაქარი, ცხიმი და მარილი დაყოვნებული მოქმედების ბომბებია

**ჟურნალისტ მაიკლ მოსის ახლახან გამოცემულ წიგნში მოთხრობილია აგრომრეწვის რთული სტრატეგიისა და კარგად დამუშავებული რეცეპტების შესახებ, რომლებიც შაქრის, ცხიმისა და მარილის აქტიურ გამოყენებაზეა დაფუძნებული.**

აგრომრეწვის უმსხვილეს საწარმოთა კვლევით ლაბორატორიებში ამ პრობლემით ქიმიკოსების, ნეირობიოლოგების, ფსიქოლოგების, აგრეთვე, მარკეტინგის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტების მთელი არმიაა დაკავებული. რამდენიმე წლის განმავლობაში მაიკლ მოსი სწავლობდა მათ საქმიანობას, ინტერვიუს ართმევდა სპეციალისტებსა და კომპანიების ყოფილ ხელმძღვანელებს (მათი უმრავლესობა სპორტული აღნაგობის ადამიანები არიან, რომლებსაც ამგვარი პროდუქციისგან თავი შორს უჭირავთ).

**ხანგრძლივი კვლევის შედეგად „ნიუ იორკ თაიმსის“ ამ ჟურნალისტმა (იგი 2010 წელს პულიტცერის პრემიის ლაურეატი გახდა) გამოსცა წიგნი აგრომრეწვის კომპლექსის საქმიანობის შესახებ სახელწოდებით „მარილი, შაქარი, ცხიმი. როგორ წამოგვაგეს კომპანიებმა ანკესზე“, რომელშიც დაწვრილებითა და მეთოდურად არის გადმოცემული კომპანიების საიდუმლო მეთოდები, რომელთა მეშვეობით ახერხებენ მომხმარებლის ინტერესის გაღვიძებას მათ მიერ წარმოებული პროდუქციისადმი. ასეთი შეტევის შედეგია სიმსუქნე, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი, დიაბეტი, მაღალი წნევა და ყველა უბედურება, რომლებიც არასწორ კვებასთანაა დაკავშირებული.**

მაიკლ მოსის დაკვირვებით, ყველა ამ უბედურებას იწვევს შაქარი, ცხიმი, მარილი, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ის, თუ როგორ იყენებენ ამ პროდუქტებს კვების მრეწველობაში. ამ ინგრედიენტების გამოყენებას შედეგად მოსდევს მიჩვევა, რადგან **მათი დოზირება კი ისეა შერჩეული, რომ ადამიანს ბედნიერების განცდა შეუქმნას; გასაგებია რატომაც: მას უნდა გაუჩნდეს ამ პროდუქტების კვლავ და კვლავ შეძენის სურვილი. ამ ყველაფრის უკან დოლარების უზარმაზარი ნაკადები დგას.**

### განცხრომის მომენტი

უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულება შაქრითაა გამოწვეული. დიდი ხანია, რაც იგი კვების მრეწველობის ძირითადი ელემენტი გახდა და, ზუსტად დოზირებული, „განცხრომის მომენტის“ მისაღებად გამოიყენება: „ზუსტი რაოდენობით, არც ერთი გრამი ნაკლები, არც ერთი გრამი ზედმეტი, ანუ იმდენი, რამდენიც პროდუქტს — სასმელსა თუ საკვებს, განსაკუთრებით გემრიელს გახდის“. ასეთი კონცეფცია საშუალებას იძლევა, მაქსიმალურად გაიზარდოს გაყიდვის მოცულობა, რადგან მყიდველს უჩნდება შესაბამისი სურვილი: პროდუქტის გემოს ჩვენეული აღქმა უმჯობესდება შაქრის შემადგენლობის გაზრდის კვალზე, მაგრამ გარკვეულ მომენტამდე. ამ ზღვარის გადალახვის შემდეგ პროდუქტის მიმზიდველობა მცირდება. ასეთია აგრომრეწვის ერთ-ერთი ჯადოსნური ფორმულა, რომელიც კლიენტის ასაკის შესაბამისად იცვლება: იოლი მისახვედრია, ბავშვებს გაცილებით მეტი ოდენობით შეუძლიათ შაქრის ათვისება.

ამას გარდა, სხვადასხვა ფორმით შაქრის გამოყენება საშუალებას იძლევა, ზოგიერთი პროდუქტის დამზადებისას არ გამოიყენონ უფრო ძვირად ღირებული ინგრედიენტები. სწორედ ის არის „უამრავი სამრეწველო სასწაულის“ შემქმნელი: აფუებული ცხელ-ცხელი ფუნთუშები, მსუბუქი და მოოქროსფრო „ჩიფსები“ და ა. შ.

შემდეგ მაიკლ მოსი მოგვითხრობს ცხიმის გამოყენების პრაქტიკაზე. ცხიმის დოზა პროდუქციაში ასევე ძალიან დიდია — ადამიანი ცხიმის უამრავ რაოდენობას შთანთქავს, ისე, რომ ვერც ამჩნევს. იაფფასიანი ცხიმებით შეიძლება გემრიელი პროდუქტის დამზადება და, მაშასადამე, მისი მოხმარების ოდენობის გაზრდაც.

კიდევ ერთ „სასწაულად“ იქცა ახალ პროდუქციებში „კალორიულობის შემცირებისკენ“ მისწრაფება. ამის კარგი მაგალითია მადის აღმძვრელი ნამცხვარი: „თუ საკვები პირში დნება, თქვენი ტვინი იფიქრებს, რომ მასში კალორიები არ არის და შეგიძლიათ ჭამა უსასრულობამდე განაგრძოთ. ცხიმი კი მისწრებაა საიმისოდ, რომ პროდუქტს სწორედ ეს თვისება მისცეს. მაიკლ მოსმა გასინჯა რამდენიმე პროდუქტი, რომლებიც უმარილოდ იყო დამზადებული და დაასკვნა, რომ საზიზღრობაა.

ეს თეთრი ფხვნილი შესანიშნავი კონსერვანტია, ძალიან იაფია, ეკონომიის საშუალებას იძლევა, ამასთან, შეუძლია გადაფაროს სამრეწველო დამუშავებაგავლილი პროდუქციის უგემურობა.





ეს სამი ინგრედიენტი თავს რომ მოიყრის, „ნამდვილი სასწაული“ იწყება. რეცეპტებს დიდი გულმოდგინებით ამოწმებენ, დროდადრო ხვეწენ, ცვლიან, რადგან ერთი და იგივე გემო მოსაბეზრებელი ხდება. „მოყირჭების პრინციპი“ კვების მრეწველობაში ცნობილია და აგრომრეწვი მას სისტემატურად გამოიყენებს.

### მკვლელობა

ამ სამი ინგრედიენტის ზემოქმედების გასაძლიერებლად მარკეტინგს გამოიყენებენ.

**ომისშემდგომ ეპოქაში აგრომრეწვში ირწმუნებოდნენ, რომ ესწრაფვიან, „გაუიოლონ ცხოვრება თანამედროვე მომხმარებელს“ ისეთი პროდუქტებით, რომლებიც იაფია, იოლია მათი, შენახვა, მომზადება და ჭამა.**

ყველაფერი მოსახერხებელი უნდა იყოს — ესეც აგრომრეწვის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. 2000 წელს მარკეტინგმა კურსი შემსუბუქებულ პროდუქტებზე აიღო, რომლებსაც გამორჩეული გემო უნდა ჰქონდეს, მაგრამ რომლებშიც გრამი არ არის ნატურალური პროდუქტის. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ფორთოხლის შაქრით დამტკბარი წვენი, რომელიც ნატურალურს ისეა დაშორებული, როგორც ცა დედამიწას. იქმნება სრულიად აბსურდული სიტუაცია, ისეთი, მაგალითად, როგორსაც მოსი Nestle-ს მაგალითზე აგვიწერს:

Nestle-ში აღმოაჩინეს ცხიმის იმგვარად განაწილების ხერხი, რომელიც ქმნის ცხიმიანობის შეგრძნებას „მსუბუქ“ ნაყინში. ამავე კომპანიაში დაამუშავეს ჯანსაღი ცხიმის (მაგალითად, მზესუმზირის ზეთის) შაქრად ან ცილად, შემდეგ კი ფხვნილად გარდაქმნის ტექნოლოგია. ამ აღმოჩენას „ცხიმოვანი კაფსულები“ უწოდეს.

აღნიშნულ ფხვნილს ტკბილეულის დასამზადებლად გამოიყენებენ: იქმნება გამდიდრებული ცხიმიანობის შეგრძნება, რომელიც ნაკლებად ვნებს სისხლძარღვოვან სისტემას. მომხმარებლის ტვინი უწინდელ სიამოვნებას იღებს, მაგრამ სისხლში ნაკლებია გამდიდრებული ცხიმები“.

მაგრამ რა საჭიროა ამ პროდუქტების დამზადება, თუ ისინი აშკარად ვნებს ჩვენს ჯანმრთელობას? მაიკლ მოსის აზრით, ამის მიზეზია „დარგის უძლიერესი დამოკიდებულება აგრომრეწვის სამ ბურჯზე“, აგრეთვე, შეზღუდვები, რომლებსაც აქციონერები და აქტიური კონკურენცია ქმნის.

დასასრულ, ავტორის აზრით, „მიუხედავად იმისა, რომ სუპერმარკეტები დაყოვნებული მოქმედების ბომბებით არის სავსე, თუ ვერკვევით სიტუაციაში და შეგნებული გვაქვს საშიშროება, რომელიც გვემუქრება, შეგვწევს კიდეც ძალა, დავძლიოთ საფრთხე, რომელსაც აგრომრეწვი გვიქადის, მოსის აღნიშნული წიგნი ამაში დაგვეხმარება.

**ლუსი დე ერონერი,**
**Statc.fr**

„წლევანდელი 13 აპრილიდან 18 სექტემბრამდე წალკა-ახალქალაქის უბანზე დიდი მოცულობის სამუშაო შევასრულეთ. ძველი ლიანდაგი მთლიანად ავყარეთ, მოვაწყვეთ მიწის ახალი ვაკისი და ზედ ახალი ლიანდაგი დავაგეთ, ანუ 6 თვეში 74 კილომეტრის სიგრძის სრულიად ახალი რკინიგზა გავიყვანეთ.“

მაგისტრალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# განახლებული «აბრეშუმის გზის» კიდევ ერთი ეტაპი დეკემბერში დასრულდება

**თათბირი, რომელიც ახალქალაქში გაიმართა და მარაბდა-კარწახი-ყარსის ტრანსეროვნული რკინიგზის მშენებლობის მიმდინარე წლის დამამთავრებელი ეტაპის მიმდინარე საკითხებს მიეძღვნა, საკმაოდ მკაცრი და პრინციპული იყო.**


მალე ეს მონაკვეთიც ელექტრიფიცირებული იქნება


პირველი სატვირთო ვაგონები ახალქალაქის სადგურზე


ოპერატიული თათბირი ახალქალაქის უბანზე

**— რით იყო ეს გამოწვეული? — ვეკითხები მაგისტრალის მშენებლობის ხელმძღვანელ ოლეგ ბიჭიაშვილს.**

— მთავარი პრობლემა, — **თქვა ბატონმა ოლეგმა,** — ოქტომბრის თვის მუშაობის შედეგებში დევს. ველოდით, რომ სამუშაოთა მოცულობა 10 მილიონ დოლარზე მეტი იქნებოდა. ჩვენი ვარაუდი წინა 5 თვის მონაცემებიდან გამომდინარეობდა, როცა ყოველ თვეში 11 მილიონი დოლარის სამუშაოს ვასრულებდით. ოქტომბერში 14 მილიონის ფარგლებში უნდა ყოფილიყო, მაგრამ რეალურად გამოიკვეთა, რომ სადღაც 10-11 მილიონზე გავდივართ. ასეთი ჩამორჩენა გამოიწვია რიგმა ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზებმა.

**— კერძოდ?**

— ობიექტურ მიზეზთა შორის, უპირველესად, ამ შემოდგომის უხვნალექიანობას დავასახელებ; სუბიექტური მიზეზებიდან კი ზოგიერთი ხელმძღვანელის მცდარი გათვლები და სამუშაოს არაპროფესიული ორგანიზება იყო.

**— რა სამუშაოზეა ლაპარაკი?**

— ელექტროქვესადგურებზე. ექსპლუატაციაში შევიდა თეთრიწყაროს ქვესადგური. ნადარბაზევის ქვესადგურიც დამთავრდა და სამუშაოთა შესრულებაში უნდა ჩათვლილიყო. ორივეს ღირებულება 6,5 მილიონი ლარია. აღმოჩნდა, რომ 2012 წელს სრულიად უსაფუძვლოდ 1,5 მილიონი ლარი ავანსად იყო გადახდილი, რაც დაუშვებელია. ელექტროქვესადგური საექსპლუატაციოდ ჩაბარებული არ ყოფილა, ფული კი გადაიხადეს.

**— იმ თათბირზე თქვენ, ბატონო ოლეგ, ქვეკონტრაქტორი ფირმის ერთ-ერთ წარმომადგენელს პირდაპირ უთხარით, — ავტორიტეტი არ გაქვთო. ასეთ სიმკაცრეს რით ახსნით?**

— როცა ხელმძღვანელი თავიდან განაცხადებს, შესრულებული იქნება 7 მილიონი ლარის ღირებულების სამუშაოო, ხოლო თვის ბოლოს — 30 რიცხვში გეტყვის, რომ 5 მილიონზე გაჩერდება, იგი საკუთარ ავტორიტეტს თვითონვე არ უფრთხილდება. ეს უპასუხისმგებლობაც არის და უავტორიტეტობაც, რაც დავაფიქსირე კიდეც.

**— ელექტროქვესადგურების თემა რკინიგზის საკონტაქტო ქსელით რომ გავაგრძელოთ, ალბათ, ლოგიკური იქნება.**

— დიახ.

**— მაშინ შეკითხვა: რკინიგზის მაგისტრალის უმეტესი ნაწილი საკონტაქტო ქსელის გარეშეა დარჩენილი, რატომ?**

— საკონტაქტო ქსელი სრულად 180 კილომეტრზე უნდა დამონტაჟდეს — ძველი მთლიანად ახლით უნდა შეიცვალოს — ტექნოლოგიები სრულიად ახალია. საქმე, რა თქმა უნდა, რთულია. დღეისთვის ეს ქსელი 80 კილომეტრზეა გაყვანილი. ერთი წლის წინათ მხოლოდ 30 კილომეტრი იყო ჩაბარებული, ისიც — არასრულად.

**— ე.ი. ხუთ წელიწადში მხოლოდ 30 კილომეტრზე აშენდა?**

— დიახ, ხუთ წელიწადში მხოლოდ ამდენი იყო, ბოლო ერთ წელიწადში კი 50 კილომეტრზე ვამონტაჟებთ. ოქტომბრის ბოლოდან მესამე ეტაპს შევუდგებით, ანუ დავიწყებთ მონტაჟს წალკა-ახალქალაქის უბანზე, რომლის სიგრძე 74 კილომეტრია, პლუს ამას ახალქალაქიდან სადგურ კარწახამდე 27 კილომეტრი. სამუშაო 2015 წლის ბოლოსთვის უნდა დავასრულოთ. ამის შემდეგ გზა მთლიანად ელექტრიფიცირებული იქნება.

**— დაახლოებით ერთი თვის წინათ განზრახული გქონდათ რკინიგზის ახალქალაქის სადგურამდე შეყვანა...**

— წლევანდელი 13 აპრილიდან 18 სექტემბრამდე წალკა-ახალქალაქის უბანზე დიდი მოცულობის სამუშაო შევასრულეთ. ძველი ლიანდაგი მთლიანად ავყარეთ, მოვაწყვეთ მიწის ახალი ვაკისი და ზედ ახალი ლიანდაგი დავაგეთ, ანუ 6 თვეში 74 კილომეტრის სიგრძის სრულიად ახალი რკინიგზა გავიყვანეთ.

**— წინა ხუთ წელიწადში რამდენი იყო?**

— მე რომ მოვედი, დაგებული დამხვდა 80 კილომეტრი, მაგრამ ეს განვლილი ეტაპია და, მართალი გითხრათ, დღეს არ გვაინტერესებს, რა იყო ჩვენამდე. რახან შემეკითხეთ, მეც იმიტომ გიპასუხეთ.

**(შევეკითხე არა იმიტომ, რომ ახალი ხელმძღვანელის სამაგალითო მუშაობა წარმომეჩინა — ბატონი ოლეგი მისი პიროვნებისა და საქმიანობის ხაზგასმას კატეგორიულად ეწინააღმდეგება — არამედ იმიტომ, რომ ჩვენი მკითხველებისთვის შემეხსენებინა ის ბაქიობა და სიცრუის კორიანტელი, რომელიც ყოფილმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა იკადრა მარაბდა-კარწახის რკინიგზასთან დაკავშირებით, როცა ახალქალაქის სადგურის ფონზე მდგარმა თვითკმაყოფილებით განაცხადა, — მის დროს აქ მუშაობა დუღდა, არჩევნებში ივანიშვილს გამარჯვების შემდეგ კი ყველაფერი ჩაკვდა და ჩაიშალა.**

**ბატონ ოლეგ ბიჭიაშვილის პასუხმა, დარწმუნებული ვარ, ჩვენს მკითხველებს რეალობა შეულამაზებლად დაანახა).**

— მთავარი ისაა, რომ დღეს ლიანდაგი მთლიანად შეერთებულია. საექსპლუატაციოდ მის ჩასაბარებლად, რა თქმა უნდა, დრო და სამუშაოების დიდი მოცულობის შესრულება (ღორღის შეტანა, ლიანდაგის წამოწევა და გასწორება) იქნება აუცილებელი, მაგრამ ამისთვის ერთი წელიწადი სავსებით საკმარისია. სამი ქვეყნის — საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის ხელმძღვანელების, სამი ქვეყნის მთავრობების წინაშე, დარწმუნებული ვარ, თავს არ შევირცხვენთ, პირობას შევასრულებთ: სატესტო მატარებელი კარწახამდე წლის ბოლოს აუცილებლად გაივლის.

**(აქვე შევნიშნავ, რომ ახალქალაქის სადგურზე უკვე შევიდა პირველი სატვირთო ვაგონები).**

**— ბატონო ოლეგ, სულ სამი დღის დანიშნული იყავით, როცა პირველად ამოხვედით ახალქალაქში და აქ დაგხვდნენ მუშები, რომლებიც რამდენიმე თვის უხელფასობას აპროტესტებდნენ.**

— მართალი ხართ, ასე იყო. ტელევიზიითაც გამოდიოდნენ ამ პრობლემით, მაგრამ უკვე წელიწადია, ყველაფერი ეტაპობრივად მოგვარდა. საკითხი ასე დგას: იქნება შესრულებული სამუშაო მოცულობა, იქნება დაფინანსებაც. აქედან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ, სამუშაოთა მოცულობის გაზრდა, შევასრულეთ კიდეც, რამაც ანაზღაურების გაზრდა და ფინანსების უწყვეტი შემოდინება უზრუნველყო. ამან ხელი შეუწყო ფინანსური პრობლემის დაბალანსებას: ძველი ვალები გასტუმრებულია, მიმდინარე ხელფასები დაუგვიანებლად გაიცემა.

**— სამუშაოთა ორგანიზებისა და პასუხისმგებლობის განაწილების შესახებაც მინდა გკითხოთ, ბატონო ოლეგ.**

— ალბათ, მიაქციეთ ყურადღება, რომ დღევანდელ თათბირს უძღვებოდა ახალგაზრდა კაცი, ჩემი ერთ-ერთი მოადგილე ლევან კანკავა, რომელიც პასუხისმგებელია ახალქალაქის კვანძის მშენებლობაზე.

მშენებარე რკინიგზის უბნები მე და ჩემმა სამმა მოადგილემ გავიპიროვნეთ, რადგან 210-მილიონიანი ბიუჯეტის მქონე სამუშაოთა მოცულობა ძალიან დიდია. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობის კონკრეტულ ადამიანებზე განაწილება გაცილებით შედეგიანია.

შპს „მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის“ კოლექტივში მთლიანი მართვის სისტემა შევქმენით, ჩამოვაყალიბეთ სათათბირო ორგანო, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ჩემი მოადგილეები, ყველა დეპარტამენტისა და სამსახურის უფროსები. ამ სათათბიროში ხდება წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა შეთანხმებით, კონსესუსის საფუძველზე, გამოცდილების, ცოდნის, პროფესიონალიზმის გათვალისწინებით.

**— თუ მიგილიათ ისეთი გადაწყვეტილება, რომელზეც შემდგომ უარი თქვით?**

— იყო, მაგრამ უფრო ყოფით საკითხზე. მაგალითად, გადავწყვიტეთ, გვეყიდა ყავის მოსადუღებელი აგრეგატი თანამშრომლებისთვის. დიდი ფუფუნება არ არის, მაგრამ, როცა დავადგინეთ, რომ 1400 ლარზე მეტი ღირდა, შეძენაზე უარი ვთქვით.

**— საბიუჯეტო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვის ამ პრინციპიდან გამომდინარე, საინტერესოა, როგორ აფასებთ სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ ძვირადღირებული, მრავალფუნქციური მობილური ტელეფონის შეძენის ფაქტს, რომლის გამოც გასულ კვირაში დიდი ხმაური იყო ატეხილი მასმედიაში?**

— ჩემი სუბიექტური აზრი თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ მინისტრებს უნდა ჰქონდეთ თანამედროვე მოდელის ტელეფონები. და ეს სასაუბრო თემა არ უნდა იყოს, რადგან ახალი ტექნოლოგიები დარგების ოპერატიულად მართვის შესაძლებლობას იძლევა. ფუფუნების საგანი კი არ არის ტელეფონი, არამედ მართვის ეფექტიანი საშუალებაა და, რაც უფრო მეტი ფუნქციით იქნება იგი აღჭურვილი, მით უკეთესია.

**— რახან ეფექტიან მუშაობაზე ჩამოვარდა საუბარი, მინდა, გკითხოთ: არის ჩვენს ქვეყანაში უფროსი თაობის ცოდნისა და გამოცდილების ახალგაზრდულ ენერგიასთან და პროფესიონალიზმთან შერწყმის პირობები შექმნილი?**

— პირობები არსებობს, მაგრამ, ჩემი აზრით, ჯერჯერობით ბოლომდე არ არის გამოყენებული. ჩვენი კომპანია მსგავსი პრაქტიკის საუკეთესო მაგალითია. „მარაბდა-კარწახის რკინიგზაში“ მუშაობენ უფროსი თაობის გამოცდილი ადამიანები ახალგაზრდებთან ერთად. მათი ერთობლივი მუშაობა უაღრესად ეფექტიანია, ახალი თაობა იძენს ძვირფას ცოდნას ძველი თაობის წარმომადგენლებისგან, რომლებიც, თავის მხრივ, თანამედროვე ტენდენციებს და მიმართულებებს ეცნობიან ახალგაზრდა პროფესიონალების დახმარებით. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ჯანსაღი სამუშაო გარემო. არ უნდა დაიკარგოს უფროსი თაობის გამოცდილება, მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ ცოდნა გადასცენ ახალგაზრდებს.

პროფესიონალიზმი ის დიდი ბერკეტია, რომლის გონივრული გამოყენებით შესაძლებელი იქნება ქვეყნის უკეთესობისკენ შემობრუნება.

**— რკინიგზა, რომელსაც თქვენ აშენებთ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელი დერეფნის მნიშვნელოვანი რგოლია. რამდენად არიან დაინტერესებულნი სხვა ქვეყნები ამ რკინიგზის რაც შეიძლება მალე ამუშავებით?**

— ორი სიტყვით გიპასუხებთ: ამ დერეფნის გახსნით ძალიან არიან დაინტერესებული ცენტრალური აზიის ქვეყნები, კერძოდ, ყაზახეთი, უზბეკეთი, ახლა ტაჯიკეთიც ჩაერთო; ასევე, წყნარი ოკეანის ქვეყნები — ჩინეთი, სამხრეთ კორეა, ინდოეთი, პაკისტანი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ავღანეთიც კი.

ორი კვირის წინათ ბაქოში გაიმართა დიდი ფორუმი, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი და სიტყვითაც გამოვედი. სწორედ აქ გამოხატეს ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა თავიანთი დიდი დაინტერესება ჩვენი მშენებარე მაგისტრალის ამოქმედებისადმი.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ჩვენი პრემიერის — ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლამ, რომელშიც მარაბდა-კარწახი-ყარსის მაგისტრალს სერიოზული ყურადღება დაეთმო. ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ 2015 წელს საქართველოში მოვიწვევთ ფორუმს ზუსტად ამ თემაზე. ასეთი ყურადღება ჩვენთვის სასიამოვნოც იყო და საპასუხისმგებლოც.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**φ ის რიცხვია, რომელსაც კაცობრიობამ „ოქროს შუალედი“, იგივე „ოქროს კვეთა“ უწოდა. „ოქროს კვეთა“ — ეს არის ჰარმონიული გაყოფა მთელისა ისეთ ორ არატოლ ნაწილად, რომელთაგან მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი — მთელს და პირიქით, მთელი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი მცირეს. მასზე აგებული გეომეტრია სასიამოვნოა თვალისთვის, მიღებულია კაცობრიობის მიერ და ადამიანებისთვის ჰარმონიულობის ნაწილს შეადგენს.**

# ყველაფერი «ოქროს კვეთის» შესახებ

**სამყაროში ყველაფერი გარკვეული კანონზომიერებით, პროპორციითაა აგებული და სამყაროს გენიალურობა დადის ერთ მარტივ ციფრამდე — φ. საკმარისია, იცოდეთ ეს ციფრი და ადვილად მიხვდებით, როგორ ქსოვს ობობა ქსელს, როგორ აგებს ლოკოკინა ნიჟარას, სად გაიკეთებს ხე შემდეგ ფოთოლს და რომელი მიმართულებით მოიქნევს კუდს კომეტა. ყველაფრის საიდუმლო „ოქროს კვეთაა“.**



ცოტამ თუ იცის, რომ ათობითი სისტემა, იმ ფორმით როგორითაც მას ვიყენებთ, ლეონარდო ფიბონაჩიმ შექმნა. მაგრამ ფიბონაჩიმ შექმნა კიდევ ერთი სისტემა, რომელსაც მოგვიანებით ფიბონაჩის რიცხვების თანამიმდევრობა ეწოდა. **თავად ფიბონაჩი ცნობილია, როგორც შუა საუკუნეების უდიდესი მათემატიკოსი, რომელმაც კაცობრიობას აჩუქა ღრმა და საფუძვლიანი ცნობები „ოქროს კვეთასა“ და „ღვთიურ მიმდევრობაზე“.**

იტალიელი მათემატიკოსი ლეონარდო პიზელი, იგივე ფიბონაჩი (დაახლოებით 1170-1250), მოგზაურობდა აღმოსავლეთში, სადაც გაეცნო არაბული მათემატიკის მიღწევებს და ხელი შეუწყო მათ გადაცემას დასავლეთში. სიტყვა Fibonacci წარმოადგენს ორი სიტყვის (filius და Bonacci) შემოკლებას და აღმოჩენილ იქნა მისი ერთ-ერთი წიგნის ყდაზე. შესაძლოა, ეს სიტყვები ნიშნავდეს ბონაჩის შვილს, ხოლო საკუთარ ხელმოწერას ლეონარდო პიზელი ასახავდა სიტყვით „ბონაჩი“. მამამისი პიზელი კომერსანტი იყო და ამის გამო ხშირად ჩადიოდა ალჟირში, ხოლო 1192 წლიდან წარმოადგენდა პიზის სავაჭრო კოლონიას ჩრდილოეთ აფრიკაში. წარმატებული კომერციული კარიერისთვის მამის სურვილით ლეონარდო მათემატიკას არაბ მასწავლებლებთან სწავლობდა. მისი ძირითადი შრომებია: Liber Abaci (1202) — ტრაქტატი არითმეტიკასა (ინდური ციფრები, ფიბონაჩის რიცხვები) და ალგებრაზე (კვადრატულ განტოლებამდე), Practica Geometriae (1220). შესწავლილი ჰქონდა მუჰამად ბენ მუსა ალ-ხვარაზმისა და აბუ კამილის შრომები. XIX საუკუნეში ქალაქ პიზაში ფიბონაჩის ძეგლი დაუდგეს.




თავისი ტრაქტატით რიცხვთა თანმიმდევრობის შესახებ ფიბონაჩიმ, შეიძლება ითქვას, კაცობრიობას შეახსენა ოქროს შუალედის თეორია, რომელიც კარგად იყო ცნობილი ძველი ეგვიპტელებისა და ბერძნებისთვის. მისი ნაშრომის გამოქვეყნების შედეგად სპეციალისტებმა აღმოაჩინეს მნიშვნელოვანი კანონზომიერებები მათემატიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში, ბიოლოგიაში, არქიტექტურაში, სახვით და მუსიკალურ ხელოვნებაში და მრავალ სხვა სფეროში. ეს კანონზომიერებები შეესატყვისებოდა ფიბონაჩის კოეფიციენტებს. გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მისი თეორია არ არის რიცხვებთან უბრალო თამაში, არამედ წარმოადგენს მნიშვნელოვან უპრეცედენტო აღმოჩენას და ბუნებრივი მოვლენების მათემატიკურ გამოხატულებას, ანუ სწორედ ფიბონაჩი მოევლინა დასავლეთ სამყაროს ცოდნის გამავრცელებლად ოქროს პროპორციის პრინციპების თაობაზე.

XIII საუკუნის დასაწყისში ფიბონაჩიმ გამოსცა ცნობილი „გამოთვლების წიგნი“ (Liber Abacci), ჩვენთვის ყველასთვის ცნობილი ათობითი სისტემის შესახებ, რომელიც პირველ ციფრად განიხილავს 0-ს. ეს სისტემა ახლა საყოველთაოდ გამოიყენება, ეწოდება ინდურ-არაბული სისტემა და შედგება ცნობილი სიმბოლოებისგან 0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 და 9. სისტემა დაფუძნებულია სიმბოლოების რიცხვით მნიშვნელობაზე და სიმბოლოების ადგილზე, რომელთაც ისინი იკავებენ რიცხვებში. სიმბოლოს ადგილმდებარეობაზე დამყარებული სისტემა გამოგონებული იყო გაცილებით ადრე ბაბილონში და მაიას ტომებში, მაგრამ მათი მეთოდები იყო მოუქნელი და ძნელად გამოსაყენებელი. ათობითმა სისტემამ მაქსიმალურად გამოდევნა ხმარებიდან რომაული სისტემა და დასაბამი მისცა დიდ ევოლუციას მათემატიკასა და მასთან დაკავშირებულ მეცნიერებებში.

იმავე წიგნში ფიბონაჩიმ აღწერა რიცხვების მეორე თანმიმდევრობა, რომელიც ასე გამოიყურებოდა: 1, 1, 2, 3, 5, 8,13, 21, 34, 55, 89, 144 და ასე შემდეგ უსასრულობამდე.

ამ თანმიმდევრობაში ყოველი შემდეგი რიცხვი არის მის წინ მდებარე ორი რიცხვის ჯამის ტოლი.

რამდენი წყვილი კურდღელი შეიძლება გაჩნდეს დახურულ გალიაში ერთი წლის განმავლობაში ერთი წყვილი კურდღლებისგან, თუ თითოეული წყვილი შობს კიდევ ერთ ახალ წყვილს? თავს ნუ გადაიტვირთავთ ანგარიშით. რაოდენობის ზრდა ფიბონაჩის რიცხვების მიხედვით ხდება.

თუ იმავე კურდღლებს იმავე თანმიმდევრობით გამრავლების საშუალებას მივცემთ ათი წლის განმავლობაში, მაშინ შემდეგი მსოფლიო ომი ადამიანებსა და კურდღლებს შორის იქნება — ამ უკანასკნელთა რაოდენობა 100 თვეში მიაღწევს 354 224 848 179 261 915 075 წყვილს. ეს გრძელი რიცხვიც ფიბონაჩის რიცხვების თანმიმდევრობის წევრია.

ფიბონაჩის რიცხვების თანმიმდევრობის კიდევ ერთი მახასიათებელი ისაა, რომ ყოველი რიცხვის ფარდობა მის შემდგომ რიცხვთან დიდი მიახლოებით ტოლია 0.618-ის. აი, მაგალითად 55/89 დაახლოებით 0.618-ის ტოლია, ხოლო ყოველი რიცხვის ფარდობა მის წინა რიცხვთან დიდი მიახლოებით ტოლია 1.618-ის, ანუ 0.618-ის ინვერსიის. რაც უფრო იზრდება რიცხვები, მით უფრო უახლოვდება ფარდობა 1.618034-ს — რიცხვს, რომელსაც უწოდეს φ (ფი).

ერთის გამოტოვებით რიცხვების ფარდობა ტოლია 0.382 და პირიქით ფარდობა 2.618, ანუ 0.382-ის ინვერსიას.

ამ თანმიმდევრობას კიდევ უამრავი არითმეტიკული კანონზომიერება ახასიათებს, რომლებიც არანაკლებ საინტერესოა, თუმცა საგნის უფრო ღრმა ცოდნას მოითხოვს.

**φ ის რიცხვია, რომელსაც კაცობრიობამ „ოქროს შუალედი“, იგივე „ოქროს კვეთა“ უწოდა. „ოქროს კვეთა“ — ეს არის ჰარმონიული გაყოფა მთელისა ისეთ ორ არატოლ ნაწილად, რომელთაგან მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი — მთელს და პირიქით, მთელი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი მცირეს. მასზე აგებული გეომეტრია სასიამოვნოა თვალისთვის, მიღებულია კაცობრიობის მიერ და ადამიანებისთვის ჰარმონიულობის ნაწილს შეადგენს.**

საოცარი ისაა, რომ ფიბონაჩის თანმიმდევრობის კანონზომიერებას ემორჩილება უამრავი რამ ირგვლივ — მუსიკა, არქიტექტურა, ბიოლოგია... მისი წესრიგის მიხედვითაა აგებული მზესუმზირის მარცვლები მთლიან მცენარეზე, ლოკოკინას ნიჟარა, ლამბაქი, სპირალური გალაქტიკაც კი. საკმარისი იქნება იმის თქმა, რომ ეგვიპტელები 5000 წლის წინათ მის მიხედვით აგებდნენ პირამიდებს (სიგანისა და სიმაღლის ფარდობა უდრიდა φ-ს).

უხსოვარი დროიდან პროპორცია 1:1.618 აღიარებული იყო ყველაზე დახვეწილ, სრულყოფილებისა და ჰარმონიის პროპორციად. ცნობილია, რომ მრავალი მხატვარი თუ დიზაინერი აქტიურად იყენებს მას კომპოზიციის აგებაში. ოქროს პროპორცია შეგვიძლია აღმოვაჩინოთ არქიტექტურისა თუ ხელოვნების უამრავ მიმართულებაში: მაგალითად, გიზის პირამიდებში, მექსიკის პირამიდებში, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისა და არქიტექტურის სხვა ძეგლების თუ თანამედროვე შენობების აგებულებაში; ბახის ან მოცარტის რიგ ნაწარმოებებში, ანტონიო სტრადივარიუსის ვიოლინოსა და მრავალი ცნობილი მხატვრისა თუ მოქანდაკის შედევრში.

ატომის სტრუქტურები, დნმ-ის ჯაჭვი, მცენარეთა აგებულება, ტვინის ხვეულები, პლანეტების ორბიტები, გალაქტიკები — ბუნება ყველგან იყენებს ოქროს პროპორციას. განუწყვეტელი მაგალითები ბუნების დამოკიდებულებისა ამ რიცხვებზე ხსნის იმ ფაქტს, რომ ხელოვნებაში ეს თანაფარდობა მიღებული და მიმზიდველია.

ოქროს სამკუთხედის გვერდების ფარდობა ტოლია 1.618-ს. რომ ავაგოთ ოქროს სამკუთხედი, კვადრატის კუთხიდან უნდა დავუშვათ მონაკვეთი გვერდის შუა წერტილამდე. ოქროს მართკუთხედების საშუალებით კი მიიღება ოქროს სპირალი, რომლის ხვეულების ზომები ერთმანეთთან თანაფარდობაშიც იძლევა φ-ს.

ოქროს სპირალს საზღვარი არ აქვს და იშლება უსასრულოდ. სპირალის ნებისმიერ წერტილში მისი რკალის სიგრძის ფარდობა დიამეტრთან 1.618-ის ტოლია.

ამ სპირალის კანონით მრავლდებიან ბაქტერიები, ახვევს თავის ბუდეს ობობა, ახვევს კუდს კომეტა, დედამიწასთან შეჯახებისას მეტეორიოტები ქმნიან ღრმულს ამ სპირალის შესაბამისად, ამ სპირალის შესაბამისად ფორმირდება ჩვეულებრივი გირჩის აგებულება, ახვევს ნიჟარას ლოკოკინა, ნაუტილუსის ნიჟარაში ყველა სპირალის დიამეტრის შეფარდება მომდევნოსთან უდრის φ-ს.

ასე ეხვევა ზღვის ტალღა, ეხვევა ცხოველების რქები, განლაგდება ყვავილის ფოთლები, ეხვევა ქარბორბალა და გალაქტიკური მოძრაობები. მზესუმზირის მარცვლები სპირალურადაა განლაგებული საათის ისრის საწინააღმდეგოდ. ყოველი წრის დიამეტრის შეფარდება მომდევნოსთან უდრის 1,618-ს. ფუტკრების სკაში მდედრებისა და მამრების რაოდენობა ყოველთვის დაბალანსებულია, მდედრი ფუტკრები რაოდენობრივად სჭარბობენ მამრებს, მაგრამ თუ მდედრების რაოდენობას გავყოფთ მამრი ფუტკრებისაზე, ყოველთვის, მსოფლიოს ნებისმიერი სკისათვის შედეგად მივიღებთ 1,618-ს.

ლეონარდო და ვინჩიმ ადამიანის ჩონჩხის დეტალური შესწავლის შემდეგ „ღვთაებრივი პროპორცია“ თავის „ვიტარიუსის მამაკაცში“ გამოსახა. ▶











## ბუნების საოცრება

**მანჩესტერში მდებარე პიკ-დისტრიქტს ჩვეულებრივ ადგილს ვერ დავარქმევთ.**

ამ ადგილის მონახულების მსურველი ბევრია, რადგან ყველგან ვერ ნახავ 30 მეტრი სიმაღლის ჩანჩქერს, რომელიც ქვემოდან ზემოთ აედინება, ეს საოცრება კი იქ ძლიერი ქარის გამო ხდება.

ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა ხდება ადამიანის თავში ძილის დროს

**კემბრიჯელმა მეცნიერებმა, მარი კიურის უნივერსიტეტიდან, გადაწყვიტეს, ჩაეტარებინათ კვლევები ძილის დროს ტვინის მოქმედების შესახებ. აქამდე არსებული მონაცემების მიხედვით, ცნობილი იყო, რომ ძილის დროს ტვინის 70% გათიშულია, ხოლო დანარჩენი 30% სუნთქვას და გულისა და სხვა ორგანოების მოქმედებას უზრუნველყოფს.**



ამასთან ერთად, მრავალი მეცნიერი დარწმუნებული იყო, რომ ძილის დროს ადამიანი დასვენებას ახერხებს და მისი ტვინი პრაქტიკულად არ მუშაობს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ასე არაა. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ადამიანებისგან, რომლებსაც ძილის დროს აუდიოგადამცემების მეშვეობით სხვადასხვა კითხვას უსვამდნენ, შესაბამის პასუხებს იღებდნენ. გაირკვა, რომ ძილის დროსაც კი ადამინის ტვინი რეაგირებდა კითხვებზე. მეცნიერების თქმით, ახლა ნათელი გახდა, თუ რატომ იღვიძებენ ადამიანები მაღვიძარის ხმაზე, საკუთარი სახელის გაგონებაზე, ხოლო სხვა სტიმულებზე საერთოდ არ რეაგირებენ. ნევროლოგი სიდ კუიდე თვლის, რომ ძილის დროს ტვინს რეალურად არ სძინავს და გარეგანი სტიმულების კონტროლს ახდენს, ხოლო ისეთი ხმის გაგონების შემთხვევაში, რომელსაც ჩვენთვის ზიანის მოყენება შეუძლია, გვაღვიძებს.



მანძილი თავის წვეროდან იატაკამდე რომ გავყოთ მანძილზე ჭიპიდან იატაკამდე, ნებისმიერი ადამიანისთვის 1,618-ს მივიღებთ. ასეთივე პროპორციითაა აგებული ადამიანის სხეულის სხვა ნაწილებიც. მანძილი მხრიდან ხელის თითის წვერამდე ასე შეეფარდება მანძილს იდაყვიდან ხელის ამავე თითის წვერამდე, მანძილი ბარძაყიდან იატაკამდე და მუხლიდან იატაკამდე, თითები, ხერხემლის მალები, სახსრები — ყველა დეტალი „ღვთაებრივი პროპორციის“ მოარული მტკიცებაა.

სამყაროს ქაოსში ზუსტი წესრიგი იმალება. რიცხვი φ გვხვდება ნებისმიერი შენობის არქიტექტურულ განზომილებაში.

ალბათ, ყველას გვინახავს პენტაგრამა, რომელსაც ბევრი კულტურა მიიჩნევს ღვთაებრივი და ჯადოსნური ძალის მატარებელ გამოსახულებად. მასში ყველა სეგმენტის შეფარდება φ-ს ტოლია. თუ სწორად დავხაზავთ ამ სიმბოლოს, მაშინ წრფის მონაკვეთები ავტომატურად დაიყოფა „ღვთაებრივი პროპორციის“ მიხედვით.

ტრადიციულად მიღებულია, რომ ცნება „ოქროს კვეთა“ პირველად შემოიღო პითაგორამ და ეს ცოდნა მან ძველი ბაბილონელებიhსა და ეგვიპტელებისგან შეიძინა. მართლაც, ფარაონ ხეოფსის პირამიდის ტაძრების აგებულობა, სამკაულებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების პროპორციები ცხადყოფს, რომ უძველესი ეგვიპტელი ოსტატები კარგად ფლობდნენ და აქტიურად იყენებდნენ „ოქროს კვეთის“ პრინციპებს.

სხვა ვერსიით, ტერმინი „ოქროს კვეთა“'შემოიღო ლეონარდო და ვინჩიმ. მან აღმოაჩინა, რომ ამ პროპორციის პირობებში სისტემის ელემენტები ქმნის ყველაზე უფრო სრულყოფილ ფორმებს და აღწევს უმაღლეს ჰარმონიას ფერწერის, ქანდაკებისა თუ არქიტექტურის შედევრებში.

მაგრამ, „ოქროს კვეთის“ მათემატიკური თეორიის სისტემატიზებურ საფუძვლებს მაინც უკავშირებენ შუა საუკუნეების ევროპელი მათემატიკოსის — ფიბონაჩის სახელს.

ფიბონაჩის რიცხვებს ხშირად ბუნების ნუმერაციის სისტემასაც უწოდებენ, რადგან სამყაროში თითქმის ყველაფერი მასა და „ოქროს კვეთის“ პროპორციას ემყარება, ეს ორი საკითხი კი საკმაოდ მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული...





## სიმთვრალის სამაჯური



**ალკოჰოლური სასმელების მოყვარულთათვის სასიამოვნო სიახლეა. სამაჯური სახელწოდებით „ვივი“ დეჰიდრაციის დონეს აფიქსირებს და სისხლში ალკოჰოლის შემცველობას გამოთვლის. მსუბუქი შენჯღრევის შემდეგ თუ სამაჯური დაგიწერთ, რომ ალკოჰოლის რაოდენობა თქვენს ორგანიზმში სტანდარტულია, შეგიძლიათ სმა განაგრძოთ, თუ — არა, ეს იმის ნიშანია, რომ ტაქსი უნდა გამოიძახოთ.**

ამასთან, შეგიძლიათ სამაჯური ყველა მეგობარს უყიდოთ. სამაჯურებს ერთმანეთის მონაცემების გაცვლა შეუძლია, ამიტომ, როდესაც ერთ-ერთი მეგობარი ძალიან დათვრება, თქვენი სამაჯური ამას შეგატყობინებთ და დროულად გეცოდინებათ, რომ მეგობარს, შესაძლოა, დახმარება დასჭირდეს.

# ძაღლმა პატრონს სიმსივნე აღმოუჩინა



**ინგლისის ქალაქ პორტსმუტში ოთხი წლის ლაბრადორი მისი პატრონის, 48 წლის ელისონ პაუელის, მკერდს რამდენიმე თვის გამავლობაში ეხებოდა. შინაური ცხოველის უჩვეულო ქცევის გამო, ქალმა ექიმთან კონსულტაციაზე მისვლა გადაწყვიტა, რის შემდეგაც მას სარძევე ჯირკვლების კიბოს საწყისი სტადია აღმოაჩნდა.**

პაუელის თქმით, თავიდან იგი ფიქრობდა, რომ ძაღლი ასე მხოლოდ ყურადღების მიქცევის მიზნით იქცეოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი ოთხფეხა მეგობარი დეპრესიაში ჩავარდა და კვებაზეც უარი თქვა.

თავიდან ქალმა ლაბრადორის ვეტერინართან მიყვანა გადაწყვიტა, მაგრამ მას განუცხადეს, რომ ძაღლი აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო. ამის შემდეგ ელისონმა საკუთარი ჯანმრთელობის შემოწმება გადაწყვიტა. სწორედ მაშინ აღმოაჩინეს ექიმებმა კიბოს დაავადება.

**„მე ვერც კი ვიჯერებდი, როდესაც გავიგე, რომ ძაღლმა სიკვდილისგან მიხსნა“,** — აღნიშნა ქალმა. პატრონის მკერდის ოპერაციისა და გამოჯანმრთელების შემდეგ, ცხოველს ისევ დაუბრუნდა სიცოცხლის ხალისი.



# უფასო სახლი ალპებში

**ერთი ღამის გატარება ამ ზღაპრულ სახლში, რომელიც ალპებში, მთის მწვერვალზეა აშენებული, საერთოდ არაფერი დაგიჯდებათ. მყუდრო ნავსაყუდელში დროის გასატარებლად მხოლოდ 2 500 მეტრის დაფარვაა საჭირო. სახლი ალპინისტ ლუკა ვუერიჩის ოჯახმა ააშენა, თავად ალპინისტი კი 2010 წელს ჩამოწოლილ ზვავს ემსხვერპლა.**





12-კაციანმა გუნდმა, რომელიც მშენებლებისგან, მოხალისეებისგან და ლუკას მეგობრებისგან შედგებოდა, სახლი ერთ დღეში ააშენა. მისი ფართობი 16 კვ.მ-ია. კონსტრუქცია არქიტექტორ ჯოვანი პესამოსკას მიერ არის შექმნილი და სპეციალურად არის შემუშავებული, რათა სახლის სახურავმა თოვლის ზეწოლას გაუძლოს. აღსანიშნავია, რომ ალპებში უამრავი ასეთი სახლია უფრო პატარა სიმაღლეებზე, თუმცა მათ უმეტესობაში დამსვენებელს ფულის გადახდა უწევს. ზოგიერთ მათგანს პერსონალიც კი ჰყავს, რომელიც საკვების დამზადებით და სახლის დასუფთავებით არის დაკავებული. თუკი ოდესმე ალპებში მსგავს სიმაღლეზე მოხვდებით, იცოდეთ, რომ იქ სახლი გელოდებათ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სიზმრის დიეტა

**ხუთი შვილის დედამ წონაში დაკლება იმ კოშმარული სიზმრის შემდეგ გადაწყვიტა, რომელშიც მისი სახლი იწვოდა, ხოლო მეხანძრეები ზედმეტი წონის გამო სახლიდან მის გამოყვანას ვერ ახერხებდნენ. 40 წლის მასწავლებლის ასისტენტი კიმ ლი 26 ზომის ტანისამოსს ატარებდა და ზედმეტი წონა მას დიდ დისკომფორტს უქმნიდა.** მისი თქმით, იგი კიბეზე ასვლასაც ვერ ახერხებდა შესვენებების გარეშე. კოშმარული სიზმარი, რომელშიც კიმი ცოცხლად დაიწვა, მისთვის მოტივაციად იქცა. ამის გამო მან საბოლოოდ გადაწყვიტა საკუთარი ცხოვრების წესის შეცვლა. დიეტის დაწყების შემდეგ კიმმა 26 ზომის ტანისამოსი 10 ზომით შეცვალა. ხუთი შვილის დედამ წონაში დაკლება საკვები რაციონის შეცვლითა და ვარჯიშით მოახერხა. „ახლა მე უფრო ჯანმრთელი ვარ და ბავშვებთან ერთად დროის გატარება ბევრად უფრო მარტივი გახდა“, — ამბობს კიმი.



# ყველაზე ძვირადღირებული კერძო თვითმფრინავები



## ლარი ფეიჯი და სერგეი ბრინი, 25 მილიონი დოლარი

ეს, ალბათ, ყველაზე ცნობილი თვითმფრინავია წარმოდგენილ თვითმფრინავებს შორის. მას უზარმაზარი ასოებით აწერია Google. ამ თვითმფრინავის მფლობელები არიან საძიებო სისტემის შემქმნელები. ისინი არ არიან ჰოლივუდის ვარსკვლავები, მაგრამ მათ ქმნილებას ყველა იცნობს. ბრინმა და ფეიჯმა იყიდეს თვითმფრინავი და დაარქვეს Google Jet/Google One. ეს არის ბოინგი 767-200. რითაა ის განსაკუთრებული? მას აქვს უფლება, დაეშვას მოფეტის ფედერალურ აეროდრომზე, რომელიც ეკუთვნის NASA-ს და, როდესაც ის აპირებს აფრენას, სხვა არც ერთ თვითმფრინავს არ აქვს ამის უფლება.



## ტომ კრუზი, 36 მილიონი დოლარი

გინახავთ ფილმი, რომელშიც ტომ კრუზმა მფრინავის როლი ითამაშა? როგორც ჩანს, ისე მოეწონა ეს პროფესია, რომ გადაწყვიტა, ეყიდა საკუთარი თვითმფრინავი, ან შეიძლება იმიტომ იყიდა, რომ სხვა ვარსკვლავებიც ყიდულობენ თვითმფრინავებს. რაც უნდა იყოს მიზეზი, რა მნიშვნელობა აქვს. კრუზმა იყიდა Gulfstream IV, რომელიც არის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კერძო თვითმფრინავი. თვითმფრინავი ხასიათდება სტილისა და კომფორტის მაღალი დონით. ძრავა არის კომპანია „როლს როისის“ მიერ შექმნილი. თვითმფრინავის სალონში არის დიდი საწოლები და გასართობი სისტემები. ბორტზე შეიძლება დაეტიოს 19 ადამიანი.



## სელინ დიონი, 42 მილიონი დოლარი

ეს კანადელი მომღერალი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია. სელინმა შეიძინა Bombardier BD-700 Global Express. თვითმფრინავი ყველა პარამეტრით საუკეთესოა, სელინი მასში თავს კომფორტულად გრძნობს. სალონში არის სასტუმრო ოთახი, რამდენიმე სააბაზანო და სამზარეულო. თვითმფრინავი 18 ადამიანს იტევს.



## ოპრა უინფრი, 42 მილიონი დოლარი

ტელეწამყვანი ოპრა უინფრი არის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი ტელევიზიის ისტორიაში. წარმატებული კარიერის წყალობით, ოპრა გამდიდრდა და დაიწყო ფულის დახარჯვა ფუფუნებაზე. მისი შენაძენი გახდა Bombardier Global Express XRS, რომელიც ბორტზე 10 ადამიანი იტევს.



## ბილ გეითსი, 40 მილიონი დოლარი

ბილ გეითსი არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი. ყველამ იცის, როგორ იშოვა მან თავისი მილიარდები. მან შეიძინა Bombardier BD-700 Global Express. თვითმფრინავს აქვს მაღალი ტექნიკური მახასიათებლები. ის აღჭურვილია სპეციალური მაღალტექნოლოგიური ნავიგაციური მოწყობილობით. თვითმფრინავი არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე კომფორტული.



## Jay-Z, 40 მილიონი დოლარი

jei-Z-მა და მისმა ცოლმა ბიონსემ შეიძინეს თვითმფრინავი Bombardier Challenger 850 Learjet, რომელსაც აქვს ტყავის სალონი. თვითმფრინავში არის სასტუმრო ოთახი, სამზარეულო და ორი საწოლი ოთახი. მასში შეიძლება თავისუფლად დაეტიოს მთელი ოჯახი. ეს თვითმფრინავი ბიონსემ jei-Z-ს აჩუქა.



## ჯიმ ქერი, 59 მილიონი დოლარი

ჯიმ ქერი კარგი მსახიობია, რომელსაც ბევრი ფული აქვს. 59 მილიონ დოლარად ჯიმ ქერიმ შეიძინა Gulfstream V, რომელიც თავის კლასში არის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი. ასეთი თვითმფრინავი მსოფლიოში სულ 191-ია.



## ელვის პრესლი, 600 000 დოლარი (ამჟამინდელი 2,7 მილიონი დოლარი)

ელვისი სახლიდან წავიდა, მაგრამ ამან მას ხელი არ შეუშალა, გამხდარიყო როკ-ენ-როლის ვარსკლავი და მსოფლიოში ყველაზე პოპულარული მომღერალი. მან თავის დროზე იყიდა Convair 880, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი თვითმფრინავია, 600 000 დოლარად. პრესლიმ მას უწოდა თავისი ქალიშვილების სახელები ლიზა-მერი. თვითმფრინავს აქვს საძინებელი, სააბაზანო, კონფერენცოთახი. აბაზანაში არის ოქროს დეტალებიც. თვითმფრინავი 28 ადამიანს იტევს.



## დონალდ ტრამპი, 100 მილიონი დოლარი

არაა გასაკვირი, რომ მეორე ადგილზეა მილიარდერის თვითმფრინავი. ბოინგი 757, რომელიც ადრე ეკუთვნოდა პოლ ალენს, ამჟამად ეკუთვნის ტრამპს. მასში არის ყველაფერი კომფორტული მოგზაურობისთვის. ბორტზე არის სასტუმრო, სასადილო, მფლობელის საძინებელი, სტუმრის საძინებელი და ცალკე VIP-ოთახები. ბორტზე არის სამეფო ზომის საწოლი. სააბაზანოს დეტალები გაკეთებულია სუფთა ოქროთი. სიტყვა „ტრამპიც“ დაწერილია 24-კარატიანი ოქროთი. ტრამპს ბევრი თვითმფრინავი ჰყავს, მაგრამ ეს, რომელსაც თვითონ უწოდებს „ცის ტიტანიკს“, ყველაზე გამაოგნებელია.



## ჯონ ტრავოლტა, ფასი უცნობია

ჯონ ტრავოლტას ჰყავს 11 კერძო თვითმფრინავი და ის არის სიაში ნომერი პირველი. ამას გარდა, ის არის მოთხოვნადი მსახიობი და კომერციული თვითმფრინავების სერთიფიცირებული მფრინავი, ასევე, ავსტრალიური ავიაკომპანია Qantas-ის საპატიო მფრინავი და ელჩი. ტრავოლტა ყველაზე ხშირად დაფრინავს ბოინგ 707-138 „Jett Clipper Ella“-თი, ასე ჰქვიათ მის შვილებს. 2010 წელს ის იყო ოპრა უინფრის პილოტიც.

# უტვინო ქალი

**24 წლის ჩინელი ქალი ექიმთან გახშირებულმა თავბრუსხვევამ და გულისრევამ მიიყვანა. ტომოგრაფის გადაღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას ტვინის ნათხემი აკლდა — ნაწილი, რომელსაც ტვინის საერთო მოცულობის 10% უკავია, თუმცა მისი ნეირონების 50%-ს შეიცავს.**

შეგახსენებთ, რომ ნათხემი ცენტრალური ნერვული სისტემის მრავალ განყოფილებას უკავშირდება. იგი მოძრაობით აქტებს არეგულირებს. როდესაც ნათხემის ნორმალურად მუშაობა ირღვევა, ადამიანები კარგავენ ზუსტი, შეთანხმებული მოძრაობებისა და სხეულის წონასწორობის შენარჩუნების უნარს. ადგილი, სადაც ნათხემი უნდა ყოფილიყო, ქალს საერთოდ არ ჰქონდა. მოგვიანებით უჩვეულო პაციენტმა ექიმებს უამბო, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში განიცდიდა სიარულის პრობლემას. მან ფეხზე 7 წლის ასაკში გაიარა, ხოლო მისი მეტყველების გარჩევა მხოლოდ 6 წლის ასაკში გახდა შესაძლებელი. **ექიმები ვარაუდობენ, რომ ნათხემის ფუნქციები საკუთარ თავზე ტვინის სხვა ნაწილებმა აიღეს, თუმცა ზუსტი მიზეზის დასახელებისგან თავს იკავებენ.**





## მარსზე სიცოცხლე არსებობს

ნასას დირექტორმა ჩარლზ ბოლდენმა განაცხადა, რომ მარსზე არსებობდა და დღემდე არსებობს სიცოცხლე. მისი თქმით, ადრე წითელი პლანეტა თითქმის დედამიწის იდენტური იყო და ზოგიერთი მსგავსება დღემდე შენარჩუნდა. **„მარსი ძალიან წააგავს დედამიწას. მასზე არსებობდა სიცოცხლე, ახლაც არსებობს და ზოგადად, მარსი იმისთვის არსებობს, რომ იქ სიცოცხლე შენარჩუნდეს“,** — აცხადებს ჩარლს ბოლდენი. ამას ამოუცნობი ნიშნები წინასწარმეტყველებენ, რომლებიც მარსზე რობოტი მკვლევარის მიერ დაფიქსირდა. მაგალითად, ქვაზე ამოტვიფრული სიმბოლოები.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შვიდვარსკვლავიანი სასტუმრო

მსოფლიოში არსებობს ერთადერთი შვიდვარსკვლავიანი სასტუმრო **dubais Burj Al Arab**, მისი ყველაზე ძვირადღირებული ნომერი კი არის 2-სართულიანი აპარტამენტი, რომელიც 2 საძინებლისა და კაბინეტისგან შედგება. საერთო ფართობი 780 კვადრატულ მეტრს შეადგენს. სასტუმროში მსგავსი სულ 2 ნომერია, ორივე მათგანი მთელი წლის განმავლობაში დაკავებულია. ძვირადღირებულ აპარტამენტებს, ძირითადად, ოლიგარქები, პრეზიდენტები და ცნობილი ვარსკვლავები სტუმრობენ.



















## ლალი ბადურაშვილი: მიშა ჩემი შვილიშვილი რომ იყოს, საკუთარი ხელით ჩავქოლავდი, იმდენი უბედურება დაატრიალა!

მსახიობმა ლალი ბადურაშვილმა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსა და სააკაშვილის ბებიას მიმართა.

„მივმართავ მარგველაშვილს, გვერდით დაუდგეს ქართველ ხალხს და იმ სასახლეში, რომელიც გაჭირვებული ქართველი ხალხის ფულით აშენდა, გახსნას დარბაზები ხელოვნებისთვის, დაუთმოს ახალგაზრდებს, უნივერსიტეტს. რა მოგივიდა, შე კაი კაცო, რას შევარდი ამ სასახლეში, მეორე მიშა ხარ?

მივმართავ ჩემს ხალხს: გვერდით დავუდგეთ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელსაც ძალიან მძიმე ტვირთი აქვს წამოკიდებული და სააკაშვილთან და მის ხროვასთან გასამკლავებლად ჩვენი მხარდაჭერა სჭირდება“.



მომღერალი ნინი ბადურაშვილის ბებიამ სააკაშვილის ბებიას — მზია წერეთელს მიმართა.

„რა ვქნა, მზია, მიშა ჩემი შვილიშვილი რომ იყოს, საკუთარი ხელით ჩავქოლავდი, იმდენი უბედურება დაატრიალა. ერთხელ მაინც წაგეკითხა „გამზრდელი“, გეცოდინებოდა, როგორ უნდა მოქცეულიყავი. სააკაშვილის ბებია ისეთი არაჩვეულებრივი, კომუნიკაბელური და უბრალოა, მერიდება, მაგრამ უნდა ვუთხრა, სააკაშვილი მარტო მის შვილიშვილად რომ დარჩენილიყო, მისი პრობლემა იქნებოდა, მაგრამ ახლა მთელი საქართველოს პრობლემაა,“ — განაცხადა ლალი ბადურაშვილმა „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

## სულხან მოლაშვილი: სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება «ნაციონალური მოძრაობის» სისხლისმსმელი რეჟიმის უტყუარი არსებობის დასტურია

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი, რომელიც ამჟამად საფრანგეთში იმყოფება, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოეხმაურა, რომლის თანახმად, იგი ევროპული კონვენციის ოთხი მუხლით გამართლდა. მოლაშვილის თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება ათწლიანი ბრძოლის შედეგია.



„ეს გადაწყვეტილება არის ათწლიანი ლოდინის, ათწლიანი ბრძოლის შედეგი, რომელსაც სულმოუთქმელად ველოდით. ეს არის დასტური „ნაციონალური მოძრაობის“ სისხლისმსმელი რეჟიმის უტყუარი არსებობისა, „ნაციონალური მოძრაობის“ მესვეურების მიერ წარმოებული პოლიტიკისა ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. ეს არის მაგალითი, როგორი არ უნდა იყოს ხელისუფლება და როგორ არ უნდა გააუბედურონ ოჯახები და როგორ არ უნდა გაამწარონ ადამიანთა სიცოცხლე“, — აღნიშნა სულხან მოლაშვილმა.

სტრასბურგის სასამართლომ სულხან მოლაშვილის საქმეზე გადაწყვეტილება გამოიტანა და კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელი ევროპული კონვენციის 4 მუხლით გაამართლა.

საქართველოს მთავრობას კი სულხან მოლაშვილისთვის 3 თვის ვადაში 20 ათასი ევროს ოდენობით კომპენსაციის გადახდა და 1 წლის ვადაში საქმის გამოძიება დაევალა.

როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გოჩა ლორთქიფანიძემ განაცხადა, სულხან მოლაშვილი უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად იყო დაპატიმრებული. „სულხან მოლაშვილის მიმართ ყოფილი პრეზიდენტის მხრიდან მისი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას ჰქონდა ადგილი. წინა ხელისუფლებაც გახდა იძულებული, აღიარების წერილი გაეგზავნა სტრასბურგში და დაეწყო მოლაშვილთან მორიგების პროცედურა, მაგრამ ამის შემდეგ დავა გაგრძელდა და გაიწელა ეს პროცესი, რადგან წინა ხელისუფლებასა და მოლაშვილის ადვოკატებს შორის ვერ ხერხდებოდა შეთანხმების მიღწევა მორიგების ტექსტის თაობაზე. ჩვენ ეს პროცედურა დავასრულეთ და სტრასბურგის სასამართლომ დახურა საქმე, რომლის ძალითაც ჩვენ, სახელმწიფოს, დაგვეკისრა 20 ათასი ევროს გადახდა“, — განაცხადა ლორთქიფანიძემ.

სულხან მოლაშვილმა სარჩელით ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2004 წელს მიმართა.



## ალექსი პეტრიაშვილი: ახლოვდება დიქტატურა, დემოკრატია საფრთხეშია!

„ახლოვდება დიქტატურა, დემოკრატია საფრთხეშია, მე გადავდექი, — განაცხადა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა ტელეკომპანია „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში.

ალექსი პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ ტელევიზიით შეიტყო თავისი მეგობრისა და კოლეგის — ირაკლი ალასანიას თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე და პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ თვითონაც წერილობით მიმართავს პრემიერმინისტრს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

## დავით უსუფაშვილი: კოალიციაში კრიზისული მოვლენებია

პარლამენტის თავმჯდომარის — დავით უსუფაშვილის შეფასებით, კოალიციაში „გარკვეული კრიზისული მოვლენებია“, თუმცა დარწმუნებულია, რომ აღნიშნული მოგვარდება და უფრო რთულ პრობლემებში არ გადაიზრდება.

„კოალიციაში კრიზისი არ არის. არის გარკვეული კრიზისული მოვლენები. რა თქმა უნდა, არ არის ქვეყნისთვის სასარგებლო, როცა უწყებები განცხადებით მიმართავენ ერთმანეთს. როდესაც პრემიერი და მინისტრი ტელევიზიით ესაუბრებიან ერთმანეთს ან როცა პარლამენტის თავმჯდომარეს მედიისთვის იმის თქმა უწევს, რასაც ახლა ვამბობ, ე. ი. რაღაც ნიშნები არსებობს იმისა, რომ დროზე მივხედოთ საქმეს, რათა ის უფრო რთულ პრობლემებში არ გადაიზარდოს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს ასეც იქნება“, — განაცხადა უსუფაშვილმა.

მისი შეფასებით, ხანდახან ასეთი კრიზისული მოვლენა სასარგებლოა იმისთვის, რომ „მიიხედ-მოიხედონ და სასარგებლო გადაწყვეტილებები მიიღონ“. პარლამენტის თავმჯდომარემ კოალიციის პარტნიორებსაც მიმართა და მოუწოდა, არსებული პრობლემები მოაგვარონ ისე, როგორც მათ ეკადრებათ.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-913-765; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი


გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის მეუღლე

ლიანა იამანიძე

პანაშვიდი: 5 ნოემბერს, 16 სთ-დან.
დაკრძალვა: 6 ნოემბერს, 14 საათზე.
მისამართი: დიღმის მასივი, ლუბლიანის ქუჩის მე-2 კმ („სვანური კოშკი“).


## სიმაღლეში სწრაფი ზრდა

2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება — თვეში 5-15 კგ. დიეტის და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე ძვალ სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ. 558-15-63-33;
218-46-08 ექიმი ნინო
მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»



## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა
მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»



საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009